დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

ISSN 1512-0708

შრომები
№1

2015

სარედაქციო კოლეგია:

1. ერეკლე ჩიგოგიძე (თავმჯდომარე)
2. მანანა მაღრაძე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ქეთევან ქუთათელაძე
4. ალექსი ბურდულაძე
5. ირეოდი ქადაგიშვილი
6. რიკ კლიფტონი, ამერიკის არმიის ვიცე პოლკოვნიკი
7. ჯეკ დაკერთი, ამერიკის არმიის ვიცე პოლკოვნიკი
8. რობერტ ჰენდი, ამერიკის არმიის გადამდგარი ვიცე პოლკოვნიკი
9. რომეო გალდავა, სოხუმის უნივერსიტეტი
10. სალომე კაპანაძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
11. რუსუდან დალაქიშვილი, გ. თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
12. ლევ ხაზანოვიჩ, ამერიკის მინისოტას უნივერსიტეტი

სარჩევი

სალომე კაპანაძე. დიალოგი კულტურის ენაზე - კონფლიქტის მოგვარების არაპოლიტიკური ასპექტები. 5

ლელა ალექსიძე, ზურაბ ზერაკიძე. განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურების შესახებ 15

შალვა ჯულაყიძე. ბიზნეს-პროექტების შერჩევის ძირითადი მოტივატორები 19

ირაკლი ქვარაია. ქეთევან ქუთათელაძე. ბეტონის ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების მოპოვების და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში 24

ქეთევან ჭიაბრიშვილი. ეკონომიკური კულტურის მნიშვნელობა მომავლის კონტექსტში 30

მერაბ ცინცაძე, შალვა კვეზერელი. თვითღირებულება და ფულის კურსი 37

მანანა მაღრაძე. კახაბერ ყავლაშვილი. ინტელექტუალური პოტენციალი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები 40

ირაკლი ქვარაია. ქეთევან ქუთათელაძე. თამაზ თავაძე. მშენებლობის მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები 52

ალექსი ბუდულაძე. ნახევრად ხისტი ფენილების კონსტრუირება 59

შოთა ვეშაპიძე. რა ასაზრდოებს ღირებულებათა ჩამოყალიბებას 62

მაია ავალიანი. საგზაო სამოსის რეაბილიტაციის თანამედროვე ტექნოლოგიები 74

მანუჩარ შიშინაშვილი. საგზაო საფარის მდგრადობის გაუმჯობესების მეთოდები 80

ვასილ სისაური. სასწავლო ბატალიონი-საბაკალავრო სკოლის ნაწილი. ადამიანური რესურსების მართვა 84

ხატია გაბეშია. სწავლის სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას 90

Nani Arabuli. **Vlada Khimenko.** The right approach to the safety of Wi-Fi networks 97

მანანა მაღრაძე. IP-ტელეფონია 102

ნინო ჯოჯუა. უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის 109

ვლადიმერ ადამია. ნანა არაბული. გიორგი გამდლიშვილი. უსადენო ქსელების კომუნიკაციის პრინციპები და უპირატესობა 117

მერაბ ცინცაძე. შალვა კვეზერელი. უცხო ენები და მეცნიერთა შესაძლებლობები 123

გიორგი კოხრეიძე. ქართული ენის გრამატიკული ლექსიკონის სამომხმარებლო ვერსია 126

ფიქრია ვარდოსანიძე. ყოფიერება მიგელ დე უნამუნოს მიხედვით 131

Teona Nachkebia. Styles of working: Group Working & Pair Working (Advantages vs disadvantages) 136

ზურაბ ტიელიძე. ელექტრონული სწავლების პლატფორმის დაპროგრამებისა და მართვის პრინციპები – ელექტრონული სწავლების პლატფორმა ილიასის მაგალითზე 142

ალექსანდრე გელაშვილი. ტერორიზმი და ფაქტორები, რომლებიც პიროვნებას ტერორისტად აქცევს. 149

დიალოგი კულტურის ენაზე - კონფლიქტის მოგვარების არაპოლიტიკური ასპექტები

სალომე კაპანაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი

კულტურა რწმენისა და გამოცდილების სამყაროა. იგი ყოველთვის განსაზღვრავდა ადამიანის პიროვნულ ორიენტაციას თანამედროვე სამყაროში. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც გასულმა საუკუნემ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ისეთი დესტრუქციული მოვლენის თვალსაზრისით, როგორიც ომი და ეთნოკონფლიქტებია. ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი წესრიგის დამყარების მცდელობებმა საზოგადოებრივი ცნობიერების თითქმის ყველა დონეზე პერმანენტული ხასიათი სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მიიღო და ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის სტეფან შენფილდის თქმით, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია გამოიწვია. თუმცა ასეთ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ეთნოცენტრიზმი და ნაციონალიზმი საშიშ მასშტაბებს აღწევს და ყველანაირი ინტელექტუალური არგუმენტი არამარტო შეუსმენადი, არამედ იგნორირებულია, მაინც ჩნდება მოთხოვნილება კულტურათა დიალოგზე. სიძულვილითა და დეჰუმანიზაციით დაზაფრულ სივრცეში ადამიანები იწყებენ გამოსავლის ძიებას და ამ დროს ცხადი ხდება, რომ ,,მშვიდობის ტაძრამდე" მისასვლელი გზის მნიშვნელოვანი წილი კულტურის პოლისემიურ ენაზე გადის. ემოციათა დაცხრომის ამ საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილი კრიტიკული თვალით უმზერს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინ მესიანიზმისა და ეროვნული გამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყება კათარზისის პროცესი და ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდებადა მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება. კულტურა ახერხებს იმას, რასაც ზოგჯერ პოლიტიკოსები ვერ აღწევენ. ეს ფაქტი იმ კანონზომიერებაში ჯდება, რომლის თანახმად შემოქმედი ყოველთვის იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ადამიანს საკუთარ თავში სიმართლე მოიძიოს. ეს პროცესი მუდმივ კავშირშია კულტურის, როგორც კაცობრიობის კეთილი ნების ფენომენის აღიარებასთან სიკეთის, სიყვარულისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად. არ შეიძლება არ დაეთანხმო ფრიდრიხ ნიცშეს, რომელიც თვლიდა, რომ კულტურა კაცობრიობის სინდისია. რომ იგი ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ,,ზე-მე"- სთან ანუ სუპერ- ეგოსთან, რომ მათი გამიჯვნა შეუძლებელია.

ქართული პოლიტიკური რეალობის ისეთი ტრაგიკული მოვლენა, როგორიც გახლავთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტები, მიუხედავად მრავალწლიანი რუტინული მოლაპარაკებებისა მოუგვარებელია. თუკი შეიძლება იმედის სადინარი მოუძებნოთ ამ სამწუხარო სტაგნაციას, ეს სახალხო დიპლომატია და კულტურის ეგიდით წარმოებული დიალოგია, სადაც აშკარად საგრძნობია პოზიტიური შედეგები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მხრიდან ეს რესურსი ბოლომდე არ არის

გააზრებული და იგი ლოკალურ ხასიათს ატარებს. ისტორიული მეხსიერების, კეთილი ტრადიციების, კულტურული ღირებებულებების თანხვედრა და მათი გააქტიურება კონფლიქტის დასაძლევად რომ ძალზედ ეფექტურია, ამას ევროპელი ექსპერტებიც აღიარებენ და საქართველოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში განსაკუთებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწორედ ამ საერთო ფასეულობებისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების საფუძველზე განიხილავენ ისინი ადამიანური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივას. მართალია, შესარიგებლად გაწვდილი ხელი ხშირად რჩება უპასუხოდ და ეს ჰუმანური აქტი ერთმნიშვნელოვნად შედეგიანი ყოველთვის არ არის. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოსტკოფლიქტურ პერიოდში აბსოლუტურ შედეგიანობაზე გათვლილი, უნივერსალური ფორმულა არ არსებობს. სასურველ შედეგამდე მისასვლელი გზები რთული, წინააღმდეგობით აღსავსე და ზოგჯერ არაპროგნოზირებადიც შეიძლება იყოს. იმის საილუსტრაციოდ, რომ პოსტკონფლიქტურ პერიოდში ადამიანური ურთიერთობების აღდგენის თვალსაზრისით დიალოგი კულტურის ენაზე შეიძლება იყოს გაცილებით პროდუქტიული, ვიდრე ქაღალდზე დარჩენილი რომელიმე მორიგი პოლიტიკური შეთანხმება, საუბარი უსათუოდ უნდა დავიწყოთ ქართულ თეატრალურ სივრცეში განხორციელებული საინტერესო სპექტაკლით, რომელიც ჩვენი სამიზნე აღმოჩნდა არამხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, არამედ იმ შედეგის გათვალისწინებით, რომელიც მან მოგვცა კულტურული დიალოგის ფორმატისათვის. 2005 წელს სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა სპექტაკლი ,,ზღვა, რომელიც შორია". თანამედროვე თეატრალური კულტურის ამ საინტერესო არტეფაქტის სცენარი ეკუთვნის სოხუმელ მწერალს გურამ ოდიშარიას. დადგმა - ცნობილ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს, რომელსაც თანარეჟისორობა გაუწია ახალგაზრდა, ნიჭიერმა სოხუმელმა რეჟისორმა ბადრი წერედიანმა. სპექტაკლში თემურ ჩხეიძის გამოჩენამ რეჟისორის ამპლუაში იმთავითვე დიდი მოლოდინი წარმოშვა, რასაც დაერთო ინტელექტუალურ მსახიობთა გუნდიც. სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ სოხუმელი მსახიობები - საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანი, მერაბ ბრეკაშვილი, ლილი ხურითი, ნუგზარ ჩიქოვანი, მერაბ ყოლბაია. საგანგებო აღნიშვნა, რომ მსახიობები იყვნენ აფხაზეთიდან იმისთვის დაგვჭირდა, რათა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ სპექტაკლში მოხდა ნიჭიერი სახიობისა და რეალურად განცდილის გულწრფელი თანხვედრა. სცენაზე წარმოდგენილმა აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენებმა მიიღო იმდენად ცოცხალი სახე, რომ ემოციურად დამუხტული მაყურებელი სპექტაკლის მსვლელობისას დიალოგშიც კი ერთვებოდა. ამ სპექტაკლმა ქართულ საზოგადოებაში რეალურად წარმოშვა აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზების ხელახალი განაზრებისა და თვითშეფასების სურვილი, მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო პოზიტივი ამ სპექტაკლს ელოდა მაშინ, როცა კონფლიქტის ზონაში სპექტაკლის ჩანაწერის ჩვენება განხორციელდა, თანაც

არაერთხელ. დადასტურებული ინფორმაციით, სოხუმის უნივერსიტეტში მოეწყო არამარტო ამ სპექტაკლის ვიდეოჩანაწერის ჩვენება, არამედ იგი გახდა სერიოზული განხილვის საგანი ახალგაზრდებს შორის. ეს კი გახლავთ აფხაზური საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გასაგები მიზეზების გამო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე მსჯელობა მხოლოდ 1992-1993 წლის მოვლენებზე დაყრდნობით შეუძლია. ძალიან შთამბეჭდავი გვეჩვენა რეჟისორ ბადრი წერედიანის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ შეთავაზა მან ქ. ერევანში ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია-თანხმობის" მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე აფხაზ ახალგაზრდებს სპექტაკლის ვიდეოჩანაწერის ნახვა. როგორ გაირღვა მის თვალწინ უნდობლობისა და ეჭვის ატმოსფერო სეანსის დასრულებისთანავე და როგორ შეძრა იგი აფხაზი ჭაბუკის მიერ ნათქვამმა ფრაზამ- ,,ეს არის ჩვენი საერთო სპექტაკლი". სპექტაკლის ვიდეოჩანაწერის ნახვამ აფხაზი ახალგაზრდის აზროვნებაში გააღვიძა ზოგადადამიანური განცდა იმისა, რომ შეუძლებელია ადამიანების გამოდევნა საკუთარი წარსულიდან. სწორედ ეს წარსული კრავს ქართულ-აფხაზურ იურთიერთობების მატიანეს და სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივასაც.

2009 წელს სპექტაკლის ,,ზღვა, რომელიც შორია" ჩვენება შედგა ქ. სოჭში საქართველოს ხალხთა ასამბლეაზე. სპექტაკლს ესწრებოდნენ ქალაქის სახელისუფლო წრეების წარმომადგენლები, რუსი, ოსი და აფხაზი მაყურებელი. ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ლილი ხურითი საუბრობს იმ რეაქციაზე, რომელიც ამ სპექტაკლმა გამოიწვია მათში. გაჩნდა საოცარი სინანულის გრძნობა და რაც მთავარია, ამის გამოხატვის შინაგანი მოთხოვნილება. აფხაზი და ოსი მაყურებელი მიდიოდა მსახიობებთან, ცდილობდნენ არამარტო იმწუთიერი კონტაქტის დამყარებას, არამედ საუბრობდნენ სამომავლო ურთიერთობებზეც. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ამ შესანიშნავმა სპექტაკლმა შეძლო იმ რეალური ცვლილებების გამოწვევა კონფლიქტის სხვადასხვა მხარესდარჩენილ ადამიანთა ცნობიერებაში, რომელიც მათ ურთიერთობების აღდგენასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაში უნდა დაეხმაროს. და ბოლოს, არ შემიძლია არ მოვიხმო ის სიტყვები, რომელიც ერთ-ერთმა ინგლისელმა კონფლიქტოლოგმა სპექტაკლის მორიგი ჩვენების დროს წარმოთქვა, წელს რომ ნობელის პრემია გაიცემოდეს მშვიდობის დარგში, უსათუოდ ამ სპექტაკლს მივანიჭებდიო. ეს ფრაზა, რომელიც იმშთაბეჭდილებებით იყო მოტივირებული, რომელიც ამ სპექტაკლმა გამოიწვია, კიდევ ერთხელ ცხადყოფს მის არამარტო კულტურულ ფასეულობას, არამედ სამშვიდობო მისიასაც.

2008-2009 წლებში ქართული ესტრადის ცნობილმა მომღერლებმა ლელა წურწუმიამ, უცნობმა, ზუმბამ აფხაზურ ენაზე ჩაწერეს თავიანთი პოპულარული ჰიტები. იმ ,,საჩოთირო" ფაქტს, რომ ამ სიმღერებს ქართველი მომღერლები ასრულებენ, ხელი არ შეუშლია აფხაზი ახალგაზრდებისათვის საყვარელ ჰიტებად ექციათ ისინი.

2009 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ცნობილმა კოლექციონერმა, საქართველოს 2004 წლის მოწვევის პარლამენტის წევრმა. პაატა ქურდოვანიძემ განახორციელა პროექტი- ,,ქართულ-აფხაზური ალბომი", რომელშიც თავი მოუყარა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ამსახველ უნიკალურ, უძველეს ფოტო-მასალას, ისტორიულ ფაქტებსა და აფხაზ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს. ეს არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ბუნებრივი ქრონიკა და არა ისტორიის მულიაჟი. ამ ალბომის მთავარი ლაიტმოტივი სწორედ თაობათა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთპასუხისმგებლობის საკითხია. პრეზენტაციაზე ამ წიგნს სამართლიანად უწოდეს ,,სიყვარულის გზავნილი". დადასტურებული ინფორმაციით, ერთმა აფხაზმა ქალბატონმა ამ წიგნის ნახვისას ემოცია ვერ დამალა და სამართლიანად აღნიშნა, ეს წიგნი ახალგაზრდებმა რომ ნახონ, ისინი უსათუოდ იამაყებენ თავისი ერის წარსულითო. ჩვენის მხრიდან დავძენდით, ეს ის წარსულია, სადაც ქართველები და აფხაზები მეგობრობის, ნათესაობის, ,,მორდუობის" ტრადიციებით არიან შეკრული.

ამდენად, კულტურული პროდუქტი ყოველთვის შეიცავს იმ ფასეულობას, რომლის ჩანაცვლება შეუძლებელია პოლიტიკური მოლაპარაკებებით.

კულტურული დიალოგის თვალსაზრისით გამორჩეულ ფაქტად მინდა ვაღიარო 2011 წელს გამოსული ახალი ალმანახი ..სამხრეთ კავკასია". მისი რედაქტორები არიან გურამ ოდიშარია და ბათალ კობახია. ამ ეტაპზე უკვე გამოცემულია მისი რამდენიმე ნომერი და იგი თვალსაჩინო, ეფექტური მაგალითია კულტურის ენაზე წარმოებული დიალოგისა, ვინაიდან ალმანახში წარმატებით თანამშრომლობენ სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსიქართველი, აფხაზი მწერლები და ჟურნალისტები.

ანალოგიური მისიით გადაწყვიტეს თავიანთი ხმების გაერთიანება ამიერკავკასიის მწერლებმაც წიგნებში ,,სიცოცხლის დრო"(2003) და ,,ხიდი".(2006) ამ პროექტის მისია ნათლად არის განსაზღვრული -მან რეგიონში ,,კაცთა შორის სიმშვიდეს" უნდა შეუწყოს ხელი. ამ უაღრესად საყურადღებო გამოცემის რედაქტორებად კვლავ გურამ ოდიშარია და ბათალ კობახია წარმოგვიდგებიან.

,,სიცოცხლის დრო" ეს არის ქართველ, აფხაზ, ოს, სომეხ და აზერბაიჯანელ მწერალთა ინიციატივა, რომლის შედეგად მშვიდობისა და ადამიანთა ჰუმანიზაციისათვის გაღებული მათი ლიტერატურული ღვაწლი ერთ წიგნად გაერთიანდა როგორც მაგალითი კულტურათა წარმატებული დიალოგისა. მათი თვალით დანახული ომი, პერსონაჟთა პორტრეტები და განცდები საოცრად ჰგავს ერთმანეთს და ინტერტექსტობრივ დატვირთვას იძენს. სხვადასხვა ეროვნებისა და ეთნოფსიქოლოგიის, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში სრულიად დამოუკიდებლად მოაზროვნე მწერლების მხატვრული ალუზიები კონცენტრირდება ერთი საერთო იდეის, ერთი ჭეშმარიტების ირგვლივ კაცობრიობამ უნდა უერთგულოს იმ ფასეულობებს, რომელიც ადამიანთმოყვარეობის ცნობილ პოსტულატებს ეფუძნება.

ესპანელი მწერლის მიგელ დე უნამუნოს მოთხრობის ,,მშვიდობა ომის დროს" ერთ-ერთი პერსონაჟი - მოხუცი კაცი შვილს ეუბნება, წადი ომში, ისწავლე ცხოვრება. მოგვიანებით მწერალი იტყვის, როდესაც მოვინდომე შემექმნა პოეზიით გამსჭვალული ნაწარმოები, რომელსაც შევალიე კიდეც მთელი ათი წლის ფიქრი, დაკვირვება, სიყვარული, ჩემი ბავშვობის მიწას, მშობლიურ ბასკონიას მივმართე, მის მთებს მივუბრუნდი, კარლისტებსა და ლიბერალებს შორის ომი გავიხსენე, ჩემი ბავშვობის ექოდ რომ ხმიანობს სულში და როცა გაიღვიძებს მაშინვე მოგონებები წამოიშლება. მიგელ დე უნამუნოს არ გამოპარვია, რომ ომის ფონზე შემონახულ ამ მოგონებებში ინახებოდა მისთვის რაღაც ძალიან საკრალური, ის, რაც მისცემდა მას ძალას ჩაწვდომოდა ადამიანური ყოფიერების იმ უფაქიზეს შრეებს, რომელიც სწორედ განსაცდელთან ერთად იხსნება და რომელიც აიძულებს ადამიანებს დაირაზმონ ერთი იმპერატივის გარშემო - გადაარჩინონ სიცოცხლე.

წიგნს, რომელიც ამ ფუნდამენტური მსოფლგანცდი სპრინციპებზეა აგებული და სადაც სამხრეთ კავკასიის მწერლები ზოგადკავკასიურ დიალოგს ამ ტონალობაში წარმართავენ, საოცრად მისადაგებული სათაური აქვს - ,,ჟამი სიცოცხლისა". პროექტის ავტორები ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია და აფხაზი ბათალ კობახია შესავალში აღნიშნავენ, ეს წიგნი არის მცდელობა იმისა, რომ შევიგრძნოთ იმ ადამიანების მაჯისცემა, ვინც იცის ნამდვილი სიცოცხლის ფასი. ჩვენ გვჯერა, რომ ეს წიგნი კავკასიაში მცხოვრებ ადამიანებს მისცემს საშუალებას, რომ უკეთ გაითავისონ ერთმანეთის პრობლემები. ეს წიგნი დაეხმარება ადამიანებს, ისწავლონ ომის შედეგების პრევენცია და საკუთარ თავში ის სამყარო აღმოაჩინონ, სადაც სიყვარული უზენაესობს.

აზერბაიჯანელი მწერლის ფახრი უგურლუს ესე ,,ომი" მსოფლიო სულის გადასარჩენად წარმოებული დიალოგია, იმ განცდების რეფლექსიაა, რომელიც სიკვდილისა და ძალადობის აპოლოგეტ რეციპიენტებზეა გათვლილი. ფახრი უგურლუ არ ცდილობს გამოცდა მოუწყოს თავის ნაციონალურ გრძნობებს და ანტითეზად დასახოს ყველაფერი ის, რაც მისგან არ მომდინარეობს, არ ცდილობს გაამართლოს ,,საღვთო ომი', დააკონკრეტოს დრო, სივრცე და ისე მოახდინოს წარსული სრეტროსპექტივა. მწერალი დროის მიღმა დგას და თავისი ესეც მარადიულ ფასეულობებზე აქვს გათვლილი. მე უნდა გადავრჩე, მტერი უნდა განადგურდეს_ ფახრი უგურლუს დევიზი არ არის.

დრო - სივრცული აღქმა შედარებით კონკრეტიზირებულია აზერბაიჯანელი მწერლის ელჩინ ჰუსენბეილის მოთხრობაში ,,ტყვეები'. მწერალი ქმნის ლიტერატურას ,,ტყუილის გარეშე". მას მთიანი ყარაბახის კონფლიქტი თავისი არსით, გაცხადებული თანამიმდევრობითა და მიზეზ-შედეგობრიობით ერთ ამბავში ისე აქვს კონცენტრირებული, რომ ლამის ყველა საბედისწერო კითხვის უნივერსალურ პასუხად ჟღერს. ომის სტიქიურ, დამღუპველ ძალას აქ ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს ნაჩვევი ადამიანების ცნობიერება გულუბრყვილოდ, თუმცა მოულოდნელი სიმძაფრით უპირისპირდება.

წიგნში, რომელსაც ,,სიცოცხლის ჟამი’ ჰქვია კავკასიურ დიალოგში აზერბაიჯანელებთან ერთად სომეხი, ოსი, ქართველი და აფხაზი მწერლები ერთვებიან. მათ ერთი სათქმელი, ერთი ტექსტი აერთიანებთ, რისთვისაც შესანიშნავად იყენებენ მეოცე საუკუნის დასასრულს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინსპირირებული კონფლიქტების რეალურ ისტორიებს. ჩარლზ დიქსონი ს გამონათქვამი - თუ თქვენს ქვეყანაში არაა კონფლიქტები, გაისინჯეთ, გაქვთ თუ არა პულსი, დაფიქრებისათვის იმდენად განგაწყობს, რამდენადაც გეყოფა სიმაღლე ამ ,,განწმენდის” ჟამს ყველაფერი აქედან დაინახო. არსებული დრამატიზმი ზოგადადამიანურ, უფრო გლობალურ კონტექსტში შეიგრძნო და ეთნონაციონალიზმის ,,ხიბლი” გადალახო. ზოგადადადამიანური ტკივილის შეგრძნობის, ემოციური თანამონაწილეობისა და თანალმობის გარეშე ამ წიგნის სამყაროში შესვლა შეუძლებელია. მისი უპირატესი მიღწევა სწორედ ინტერტექსტობრივი დატვირთვა, არასტერილური გარემო, ზნეობრივი ფასეულობებია. ამგვარად, წიგნში მაქსიმალურად მინორულია ეთნიკური აქცენტები, თუ მხატვრული ტექსტი დოკუმენტური პროზისათვის დამახასიათებელმა დეტალებმა არ გასცა. დოკუმენტალიზმი ამ შემთხვევაში გარდაუვალია და ამ პროექტის მონაწილე ყველა მწერალი ,,ტყუილის გარეშე” ცდილობს საუბარს. ისტორიული რეალობა სწორედ ის მედიუმია, რომელიც მათ სათქმელის ბოლომდე გამჟღავნებაში ეხმარება.

კოსტა ძუგაევის მოთხრობა ,,ტყვიებით დასერილი სივრცე” ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენა. 1990-91 წლებში ცხინვალში განვითარებული მოვლენები ორივე ნაპირიდან ისეა დანახული, რომ ეროვნების განურჩევლად ახდენს მკითხველის ცნობიერების ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტის - სინანულისა და თვითგვემის სურვილის პროვოცირებას. მწერალი შეგვახსენებს, რომ ამ ომში მხოლოდ სიკვდილი გაიმარჯვებს და საბოლოოდ ორთავე მხარეს საკუთარი გახუნებული ამბიციები შერჩება. შესაძლებელია თუ არა ნგრევისა და მძულვარებით დაღდასმული ურთიერთობების პირობებში ზნეობისა და ეთიკურობის შენარჩუნება. ეს კითხვა სომეხი მწერლის ვარდგეს ოვიანის მოთხრობის ,, მე შენ მიყვარხარ, სიცოცხლე” მთავარი თავსატეხია. თურმე შესაძლებელია, ადამიანები ყოფიერების სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დროებით მაინც გაერთიანდნენ და სოლიდარობის გრძნობა შეინარჩუნონ. მოთხრობაში საომარი მოქმედების პირობებში დანაღმული ველის გადასვლის სცენა ძალიან მარტივი გააზრების პირობებშიც კი თვალნათლივ პასუხობს ამ კითხვაზე. ადამიანს ძალუძს თვითონ გადაწყვიტოს, როგორი იქნება მისი მორალური პროფილი და როგორი დარჩება იგი განსაცდელის პირობებში.

90-იანი წლების აფხაზურ მწერლობაში დაურ ნაჭყებიამ არამარტო იმით მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ მან არნახული წნეხისა და ცენზურის პირობებში გაბედა ჩართულიყო კულტურათა დიალოგის პროცესში და თავისი სათქმელით შეერთებოდა იმ გუნდს, რომელშიც ქართველი მწერლებიც მოიაზრებოდნენ, არამედ

იმითაც, რომ ბოლომდე მიყვება შემოქმედებითი ინტუიციის ლოგიკას და სათქმელს ამ გადასახედიდან ამჟღავნებს. ,,მიწის ყივილი' მისგანაც მოითხოვს ხარკს, თუმცა დაურ ნაჭყებიას ეს არასოდეს უშლის ხელს შექმნას სრულფასოვანი ლიტერატურა. ,,ტკივილი არსებობის დამადასტურებელია - ცოცხლობ მანამ, სანამ გტკივა", ამბობს მწერალი ერთ-ერთ თავის მოთხრობაში ,,მალე შემოდგომა დადგება".

დაურ ნაჭყებიას მოუწია პოსტ-ფაქტუმ შედეგებზე დაყრდნობით ემსჯელა და ამ დროს სიმართლის პარალელურად ყოფილიყო საოცრად დელეკატური თავისი ერის ისტორიული საზრისისა და ეთნოფსიქიკის მიმართ. მისი, როგორც მწერლის ჰუმანისტური პოზიცია, უშუალობა, ის კონცეფციური მომენტებია, რომელიც არასოდეს ტოვებს მას და აძლევს საშუალებას იყოს აღმსრულებელი მეტად მნიშვნელოვანი მისიის-გააერთიანოს სხვადასხვა ნაპირზე დარჩენილი ადამიანები, რომელთაც ისტორიულად ყოველთვის უფრო მეტი აერთიანებდათ, ვიდრე ჰყოფდათ. დაურ ნაჭყებიას მოთხრობებში მკითხველი მუდმივად პოულობს იმას, რაც ომის დროს დანგრეულ-დანაწევრებულ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს აღდგენისათვის შეამზადებს და კვლავ თანაცხოვრებისათვის განაწყობს.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიმართებაში მწერლობის სათქმელის განვრცობა უხუცესი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის მოთხრობაში ,,ომი და ბიჭი" გამოკვეთილად პოზიტიური და თვალში საცემია. ფაზილ ისკანდერი ძალიან სათუთი თემატიკით უერთდება ზოგადკავკასიურ დიალოგს, ეს არის ომის ბავშვები, მათი უმანკო თვალებით დანახული რეალობა, რომელსაც უფროსები ომს არქმევენ და შემდგომ ვერაფერს უხერხებენ იმ უსამართლობებს, რომელიც მას მოსდევს.

ლელა ოჩიაურის შეფასებით, ,,ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები ყოველთვის ატარებს იმ დროის ნიშანს, როდესაც ისინი იქმნება. დაწყებული ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციიდან, სათქმელის მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებებამდე, სტილის სიახლემდე, მიმართულების თავისთავადობამდე და ა.შ. მით უფრო, თუ ეს დრო და განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ერის, ქვეყნის, ადამიანების ცხოვრების წესზე. საზოგადოების ბედზე. განსაზღვრავს ცნობიერებას, მოქმედების ფორმებსა თუ ინდივიდის არჩევანს. ასეთი მძაფრი შედეგის აღმოჩნდა ის დრამატული მოვლენები, რომლებიც საქართველოში, და არამარტო საქართველოში_კავკასიაში საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ განვითარდა."

არამარტო ქართულ პროზაში, არამედ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირების თვალსაზრისით ძალზე შთამბეჭდავი და შედეგიანია გურამ ოდიშარიას მოღვაწეობა. მისი პროზა რელიეფური, გამოკვეთილი პერსონაჟებით, ჰუმანიზმითა და დროის უზუსტესი ფსიქოლოგიური ანაბეჭდებით იქცევს ყურადღებას. ეს არის ქართულ-აფხაზური მეგობრობის მიკრომატიანე, რომელიც რეალური საფუძველია აფხაზ-ქართველთა საერთო წარსულისა და სამომავლო თანაცხოვრების გადასარჩენად. მიუხედავად შემზარავი რეალობისა, რომელსაც კანონიერი არსებობის უფლება აქვს მის შემოქმედებაში, მწერლის ხედვის რაკურსი

ყოველთვის ოპტიმიზმსა და კაცთმოყვარეობაზეა ფოკუსირებული. მისი მზერა ყოველთვის უახლეს წარსულს დატრიალებს, გურამ ოდიშარიას საკრალური კავშირი აქვს ამ წარსულთან, უწყვეტობის განცდა ანიჭებს მწერალს ინდივიდუალიზმს, რომლის უკან ყოველთვის დგას აფხაზეთი თავისი სასიცოცხლო სივრცითა და პიროვნებებით, რომელიც უახლეს ისტორიულ კონტექსტთან ერთად შეიგრძნობა. გურამ ოდიშარიას მოთხრობები საფუძველშივე ეწინააღმდეგება ომის მიერ კაცთმოძულეობის დამკვიდრებულ ტრადიციას. მიუხედავად იმ სივრცული არეალისა, სადაც რაოდენობრივად მორალური კრიზისი ჭარბობს, მწერლისა და პროექტის ავტორის ეს ფრაზა საბოლოოდ კრავს არამარტო მის მთავარ სათქმელს, არამედ ზოგადკავკასიური დიალოგისთვის გამიზნულ წიგნს ,,ჟამი სიცოცხლისა". გურამ ოდიშარიას, როგორც მწერლის სამშვიდობო მისია დასტურდება მისი არაერთი შესანიშნავი რომანით, მათ შორის მინდა აღვნიშნო ,,პრეზიდენტის კატა", რომელიც აფხაზეთის ბიბლიოთეკების კატალოგშია შეტანილი, ვინაიდან მასში საოცარი სიყვარულით არის გაცოცხლებული აფხაზინ კაცის ბღაჟბას სახე და მთელი რომანი იმ წარსულისადმი ერთგულებით სუნთქავს, რომელსაც მწერალი ასე უფრთხილდება. ეს განწყობა მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, როცა 2011 წელს თარგმნა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა აფხაზი მწერლის დაურ ნაჭყებიას რომანი ,,ღამის ნაპირი". სიმართლე გითხრათ, როცა ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოზე ვფიქრობ, კავკასიის ხალხთა შესარიგებლად ეს ფაქტები გაცილებით იმედისმომცემად მეჩვენება, ვიდრე პოლიტიკოსთა მრავალწლიანი მოლაპარაკებები. შეუძლებელია არ დაეთანხმო ფრიდრიხ ნიცშეს, კულტურა მართლაც კაცობრიობის სინდისია და აქედან გამომდინარე, მისი რესურსის ბოლომდე ათვისება სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმეა.

ლიტერატურა

1. კონფლიქტები, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევები, თბილისი, 2010 წ.
2. სიცოცხლის დრო, მოთხრობათა კრებული, მაიკოპი 2003 წ.
3. მიგელ დე უნამუნო, ესეები, თბილისი, 2009 წ.
4. ოჩიაური ლელა, გავდიოდი გაღმა ნაპირს, გაზეთი ქართული უნივერსიტეტი № 27, 2009 წ.
5. ტაბიძე ტიციან, რჩეული, ტ. 2, 1966 წ.
6. ხიდი, მოთხრობათა კრებული, თბილისი, 2007 წ.

რეზიუმე

დიალოგი კულტურის ენაზე - კონფლიქტის მოგვარების არაპოლიტიკური ასპექტები

სალომე კაპანაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი

კულტურა რწმენისა და გამოცდილების სამყაროა. იგი ყოველთვის განსაზღვრავდა ადამიანის პიროვნულ ორიენტაციას თანამედროვე სამყაროში. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მას შემდეგ, რაც გასულმა საუკუნემ მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ისეთი დესტრუქციული მოვლენის თვალსაზრისით, როგორიც ომი და ეთნოკონფლიქტებია. ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი წესრიგის დამყარების მცდელობებმა საზოგადოებრივი ცნობიერების თითქმის ყველა დონეზე პერმანენტული ხასიათი სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში მიიღო და ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის სტეფან შენფილდის თქმით, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დეზორიენტაცია გამოიწვია. თუმცა ასეთ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ეთნოცენტრიზმი და ნაციონალიზმი საშიშ მასშტაბებს აღწევს და ყველანაირი ინტელექტუალური არგუმენტი არამარტო შეუსმენადი, არამედ იგნორირებულია, მაინც ჩნდება მოთხოვნილება კულტურათა დიალოგზე. სიძულვილითა და დეჰუმანიზაციით დაზაფრულ სივრცეში ადამიანები იწყებენ გამოსავლის ძიებას და ამ დროს ცხადი ხდება, რომ ,,მშვიდობის ტაძრამდე" მისასვლელი გზის მნიშვნელოვანი წილი კულტურის პოლისემიურ ენაზე გადის. ემოციათა და ცხრომის ამ საფეხურზე საზოგადოების გონიერი ნაწილიკრიტიკული თვალით უმზერს იმას, რაც ცოტაოდენი ხნის წინ მესიანიზმისა და ეროვნულიგამორჩეულობის იდეებით განიცდებოდა. იწყება კათარზისის პროცესი და ბრძოლა იმისათვის, რათა არ დაუშვან ამის გამეორება. სამყარო თითქოს პატარავდება და მშვიდობის ელჩების სამიზნე ხდება. კულტურა ახერხებს იმას, რასაც ზოგჯერ პოლიტიკოსები ვერ აღწევენ. ეს ფაქტი იმ კანონზომიერებაში ჯდება, რომლის თანახმად შემოქმედი ყოველთვის იღებს ვალდებულებას დაეხმაროს ადამიანს საკუთარ თავში სიმართლე მოიძიოს. ეს პროცესი მუდმივ კავშირშია კულტურის, როგორც კაცობრიობის კეთილი ნების ფენომენის აღიარებასთან სიკეთის, სიყვარულისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად.

Abstract

Dialogue in Culture Language - Non-political aspects of conflict resolution

Salome Kapanadze. National Defence Academy of Georgia. Associate Professor

There is a hard historical inheritance like war and ethnoconflicts from the last century. Some values have been estimated in a new way and it has been done experiment to put a society in a new order. “Breaking the idols”in a conscious of the society was spreaded in the postcommunist countries that cause “Ideological and Psychological Disoriantation” - as a

famous American anthropologist Stefan Shenfild said. Although the situation where the ethnocentrism and nationalism are at the dangerous level and some intellectual arguments aren't realized and are ignored, cultrural relationship and dialogue are very important. Georgian reality, such a tragic event, such as wars in Abkhazia and South Ossetia is a routine matter for negotiation of many still unsolved. In our opinion, this is unfortunate for stagnatsiisa positive results may have public diplomacy and cultural dialogue. For evidence, we can talk about a number of cultural fact and the importance of the conflict resolution process, as recognized in human culture phenomenon of good. People in an atmosphere full of hate and dehumanisation have to find a solution and at this time it's clear that the way to get to the " temple of peace" is Art and Literature. Now when the hot emotions are already calmed down intelligent people of our society consider the "Mesianizm"and National pick out with criticism. It's beginning of catharsis not to be repeated such kind of experience any more. Unfortunately, I must say that the cultural resources in the struggle for peace is not fully utilized by the state. As proof of how effective we can be in dialogue with culture, pursue the facts.We talk about theater, literature, music, field projects, which has a positive impact on the restoration of human relationships. There is some feeling that world is getting smaller and it is becoming the aim of ambassadors for peace.

განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურების შესახებ

ლელა ალექსიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი
ზურაბ ზერაკიძე. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. პროფესორი

ვთქვათ მოცემულია ზომადი სივრცე (Ω, A). განვიხილოთ ზოგიერთი განსაზღვრება (იხ. 1-2):

განსაზღვრება 1.

სტატისტიკური სტრუქტურა ეწოდება ობიექტს $M = \{\Omega, A, \mathrm{a}_{\sim}, \sim \in I\}$, სადაც $\{\mathrm{a}_{\sim}, \sim \in I\}$ ალბათური ზომებია A-ზე, ხოლო $\sim \in I$ სტოქასტური სისტემის პარამეტრია.

განსაზღვრება 2.

შემდეგ ობიექტს $M = \{\Omega, A, \mathrm{a}_{\sim}, \sim \in I\}$, სადაც $\mathrm{a}_{\sim}$-ები $\pm$-სასრული ზომებია A-ზე ეწოდება განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა.

ვთქვათ a $\pm$-სასრული ზომებია A-ზე.

განსაზღვრება 3.

ვამბობთ, რომ განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა $M = \{\Omega, A, \mathrm{a}_{\sim}, \sim \in I\}$ დომინირებს a–სთან და ავღნიშნავთ ასე $M \le \mathrm{a}$, თუ ყოველი $\mathrm{a}_{\sim}$ $\pm$-სასრული ზომა აბსოლიტურად უწყვეტია a $\pm$-სასრული ზომის მიმართ ე.ი. თუ $\mathrm{a}(B) = 0 \;\Rightarrow\; \mathrm{a}_{\sim}(B) = 0,\ \forall \sim \in I$-თვის.

განსაზღვრება 4.

ვთქვათ მოცემული გვაქვს განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურები $\mathrm{P} = \{\Omega, A, \mathrm{a}_{\sim}, \sim \in I\}$ და $\Theta = \{\Omega, A, «\ ,\ \in I_1\}$. ვამბობთ, რომ P განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა დომინირებს Θ განზოგადოებულ სტატისტიკურ სტრუქტურასთან და ასე ავღნიშნავთ $\mathrm{P} \le \Theta$, თუ $«\ (B) = 0\ \forall\ \in I_1$ გამოდის რომ $\mathrm{a}_{\sim}(B) = 0\ \ \forall \sim \in I_1$-თვის $B \in A$.

განსაზღვრება 5.

ვამბობთ, რომ $\mathrm{P} = \{\Omega, A, \mathrm{a}_{\sim}, \sim \in I\}$ განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა ექვივალენტურია $\Theta = \{\Omega, A, «\ ,\ \in I_1\}$ განზოგადოებული სტრუქტურისა და ასე ავღნიშნავთ $\mathrm{P} \equiv \Theta$, თუ ერთდროულად სრულდება $\mathrm{P} \le \Theta$ და $\Theta \le \mathrm{P}$.

განსაზღვრება 6.

ვთქვათ მოცემულია სტატისტიკური სტრუქტურა $M = \{\Omega, A, P_{\sim}, \sim \in I\}$. სტატისტიკურ სტრუქტურას $M^* = \{\Omega, A, P_n, n \in N\}$ $M^* \subset M$ ეწოდება მკვრივი M-ში, თუ $M^* \equiv M$.

M^* როლში ხშირად იყენებენ ასეთ სტატისტიკურ სტრუქტურას $M^* = \{\Omega, A, \mathrm{a}_n, n \in N\}$ სადაც $\mathrm{a}_n(B) = \sum_{i=1}^{\infty} w_i^n p_i(B)$ $B \in A,\ w_i^n \ge 0\ \sum_{i=1}^{\infty} w_i^n = 1,\ \forall n \in N.$

შემდეგში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ სტატისტიკური სტრუქტურა

$M=\{\Omega, A, P_{\sim}, \sim \in I\}$ დომინირებს განზოგადოებულ სტატისტიკურ სტრუქტურასთან $\mathrm{P}=\{\Omega, A, \mathsf{a}\}$. ვთქვათ $f_p(x)=\frac{p(dx)}{\mathsf{a}(dx)}$ ეს არის რადონ-ნიკოდიმის თეორემის თანახმად სიმკვრივე a-ას მიმართ. P ზომის მატარებელი არის შემდეგი სიმრავლე $\mathrm{K}_p=\{x: f_p(x)>0\}$. ბირთვი K ეწოდება Ω-ს ისეთ ქვესიმრავლეს, რომ $\mathrm{K}\subseteq \mathrm{K}_p$ და $\mathrm{P}(\mathrm{K})>0$ რომელიმე $\mathrm{P}\in M$-თვის. ჯაჭვი ვუწოდოთ თანაუკვეთად ბირთვების გაერთიანებას. მტკიცდება შემდეგი თეორემები:

თეორემა 1.

ნებისმიერი განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა $\mathrm{P}=\{\Omega, A, \mathsf{a}_{\sim}, \sim \in I\}$ ექვივალენტურია $M=\{\Omega, A, P_{\sim}, \sim \in I\}$ სტატისტიკური სტრუქტურისა.

თეორემა 2.

ნებისმიერი განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა $\mathrm{P}=\{\Omega, A, \mathsf{a}_n, n\in N\}$, $N=\{1,2,...,n,...\}$ ექვივალენტურია განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურისა $\mathrm{P}'=\{\Omega, A, \mathsf{a}\}$, სადაც $\mathsf{a}(B)=\sum_{i=1}^{\infty}2^{-i}\mathsf{a}_i(B)$, $B\in A$.

თეორემა 3.

ნებისმიერი განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა $\mathrm{P}=\{\Omega, A, \mathsf{a}_n, n\in N\}$, $N=\{1,2,...,n,...\}$ ექვივალენტურია სტატისტიკური სტრუქტურისა $M=\{\Omega, A, \tilde{\mathsf{a}}\}$, სადაც $\tilde{\mathsf{a}}(B)=\sum_{i=1}^{\infty}\frac{1}{2^i}\frac{\mathsf{a}(A_i\cap B)}{\mathsf{a}(A_i)}$, $B\in A$, სადაც $\{A_1, A_2,...\}$ არის $\Omega=\bigcup_{i=1}^{\infty}A_i$, $A_i\cap A_j=\varnothing$, $i\neq j$ და $0<\mathsf{a}(A_i)<+\infty$ $\forall i\in N$.

თეორემა 4.

ნებისმიერი სტატისტიკური სტრუქტურა $M=\{\Omega, A, P_i, i\in N\}$, $N=\{1,2,...,n,...\}$ ექვივალენტურია სტატისტიკური სტრუქტურისა $M'=\{\Omega, A, p\}$.

თეორემა 5.

თუ სტატისტიკური სტრუქტურა $M=\{\Omega, A, P_{\sim}, \sim \in I\}$ დომინირებს განზოგადოებულ სტატისტიკურ სტრუქტურასთან $M'=\{\Omega, A, p\}$. ე.ი. $M^*\subset M$, რომელიც მკვრივია M-ში.

დამტკიცება. განვიხილოთ $C_1, C_2,..., C_n$ ისეთი ჯაჭვების მიმდევრობა, რომ $\lim_{n\to\infty}\mathsf{a}(C_n)=\sup\mathsf{a}(C_n)$. დავუშვათ $C^*=\bigcup_{n=1}^{\infty}C_n$, მაშინ $\mathsf{a}(C^*)=\sup\mathsf{a}(C_n)$. C^* არის ჯაჭვი და ამიტომ C^* არის თანაუკვეთადი ბირთვების $K_1, K_2,...$ გაერთიანება. ვთქვათ P_n ისეთი ალბათური ზომებია M ოჯახიდან, რომ $P_n(K_n)>0$ $n=1,2,...$ ვაჩვენოთ, რომ $M^*=\{P_1, P_2,...P_n,..\}$ მკვრივია M-ში. რადგან $M^*\in\mathrm{P}$, მაშინ $M^*\leq M$. ახლა ვაჩვენოთ

პირიქით $M \le M^*$. თუ $B \in A$ ისეთია, რომ $P_n(B) = \Theta \ \forall P_n \in M^*$. გამოდის, რომ $P(B) = 0, \ \forall P \in M$. ჯერ ვაჩვენოთ, რომ $P(B - C^*) = 0$ ნებისმიერი P-თვის M-დან. დავუშვათ საწინააღმდეგო ე. ი. $P(B - C^*) > 0$ რომელიმე P-თვის M-დან, მაშინ თუ K_P ავღნიშნავთ P-ზომის მატარებელს, ხოლო $\overline{K}_P = \Omega - K_P$, მაშინ $P[(B - C^*) \cap \overline{K}_P] = 0$. აქედან გამოდის, რომ $P[(B - C^*) \cap K_P] > 0$. მაშასადამე $(B - C^*) \cap K_P$ არის P-ზომის ბირთვი და რადგან M ოჯახი დომინირებს M'-თან, ამიტომ $\mathrm{a}[(B - C^*) \cap K_P] > 0$. ასევე ცხადია, რომ $(B - C^*) \cap K_P$ თანაუკვეთადია C^*-თან, ამიტომ $(B - C^*) \cap K_P \cup C^*$ არის ჯაჭვი და $\mathrm{a}[(B - C^*) \cap K_P \cup C^*] = \mathrm{a}[(B - C^*) \cap K_P] + \mathrm{a}(C^*) > \mathrm{a}(C^*)$ ეს კი ეწინააღმდეგება იმ დაშვებას, რომ C^* არის a ზომის ჯაჭვი, საიდანაც ვღებულობთ, რომ $P(B - C^*) = 0 \ \forall P \in M$. ახლა ვაჩვენოთ, რომ $P(B \cap C^*) = 0 \ \forall P \in M$. რადგან $P_n(B) = 0 \ \forall P_n \in M$ გამოდის, რომ $P_n(B \cap K_n) = \int\limits_{B \cap K_n} f_n(x) \mathrm{a}(dx) = 0 \ \ \forall P_n \in M^*$. რადგან $B \cap K_n$ ეს არის P_n-ზომის მატარებელის ქვესიმრავლე, ამიტომ $f_n(x) > 0 \ \ \forall x \in B \cap K_n$ და $\mathrm{a}(B \cap K_n) = 0 \ \ \forall n \in N$ და $\mathrm{a}(B \cap C^*) = \sum\limits_{n=1}^{\infty} \mathrm{a}(B \cap K_n) = 0$ და რადგან $M \le M'$, ამიტომ $P(B \cap C^*) = 0 \ \ \forall P \in M$. ე.ი. $M \le M^*$. ამით თეორემა დამტკიცებულია.

ლიტერატურა

1. L.Aleksidze, Z.Zerakidze. Construction of Gaussian homogeneus isotropic statistical structures connected with stochastic system. Bull. Of the Georgian Academy of sciences. V. 169 #3 (Tbilisi), 2004 ISSN 0132-1447.
2. Sh.Zacks. The Theory of statistical Inference. New-York-London-Sydney-Toronto.1971.
3. Г.Крамер, Математические методы статистики „Мир“, Москва, 1975
4. Е.Леман, Проверка статистических гиротез, „Наука“, Москва, 1964.

რეზიუმე

განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურების შესახებ

ლელა ალექსიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი

ზურაბ ზერაკიძე. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. პროფესორი

სტატიაში განხილულია განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურები და მტკიცდება, რომ ნებისმიერი განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა ექვივალენტურია სტატისტიკური სტრუქტურისა. აგრეთვე მტკიცდება, რომ თუ სტატისტიკური სტრუქტურა დომინირებს განზოგადოებულ სტატისტიკურ სტრუქტურასთან, მაშინ არსებობს ისეთი სტატისტიკური სტრუქტურა, რომელიც მკვრივია სტატიტიკურ სტრუქტურასტან.

Abstract

About General statistical structures

Lela Aleksidze. National Defence Academy of Georgia. Assistant Professor
Zurab Zerakidze. Gori State Teaching University. Professor

General statistical structures are considered in this paper. It is shown that a general statistical structure is equivalent to statistical structure. If statistical structure dominirres general statistical structure that exists dense statistical structure.

ბიზნეს-პროექტების შერჩევის ძირითადი მოტივატორები

შალვა ჯულაყიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე, პროექტები ბიზნესის კეთების სტანდარტული გზა გახდა. ყოველდღიურად ბაზარი გვთავაზობს სულ უფრო ახალ პროდუქტსა და მომსახურებას, ხოლო უკვე არსებული გაცილებით უფრო სწრაფად ძველდება, ვიდრე ჩვენ ვასწრებთ მათი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას. შესაბამისად, ორგანიზაციები, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ არ ჩამორჩნენ თავიანთ კონკურენტებს, იძულებულნი არიან გამოიმუშაონ მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული ცვლილებებისადმი სწრაფი შეგუების უნარი, რაც მათი წარმატების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

ყველა ბიზნეს-პროექტი გარკვეულ იდეას ეყრდნობა. ზოგადად, საპროექტო იდეა - ეს არის სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ, რა მოქმედებითაა შესაძლებელი პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მისი ფორმირებისას ყოველთვის არის რაღაც ისეთი, რაც ბიძგს აძლევს ამგვარ გადაწყვეტილებას და რაც შესაბამისად, აიძულებს ორგანიზაციის მენეჯმენტს იფიქროს მომავალი პროექტის შესაძლო ვარიანტებზე. ამ ფაქტის გამომწვევ მრავალ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანია: გლობალური კონკურენცია და მომხმარებელზე გაზრდილი ორიენტაცია.

საქმე იმაშია, რომ თანამედროვე ეტაპზე ფირმებს შესაძლებლობა აქვთ სწრაფი რეაგირება მოახდინონ მსოფლიო ბაზრებზე მომხდარ ცვლილებებზე ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი. ახალი ბიზნეს-პროექტები, რომლებიც განხორციელდა ერთ ქვეყანაში თითქმის სინქრონულად, მათი წარმოქმნის მომენტიდან რამდენიმე წუთში გადაიცემა სხვა ქვეყანასაც. ეს კი საშუალებას იძლევა მოხდეს ინფორმაციის სწრაფი გაცვლა ახალ ნაკეთობებზე, რომელმაც შეიძლება გაყიდვების მოცულობის მკვეთრი გადიდება ან შემცირება გამოიწვიოს. ანუ, იმის შედეგად, რომ ფირმებს შეუძლიათ სწრაფად მოახდინონ რეაგირება წარმოებისა და გასაღების პირობების შეცვლაზე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციამ დღეს მიიღო გლობალური ხასიათი.

თავის მხრივ, ორგანიზაციათა შორის გაზრდილი კონკურენცია იწვევს მომხმარებლების განსაკუთრებულ ორიენტაციას. დღეისათვის, მომხმარებელი იძენს არა ყველა პროდუქტსა თუ მომსახურებას, არამედ იგი მოითხოვს მასზე მორგებულ პროდუქტს, რომელიც აკმაყოფილებს მის სპეციფიკურ მოთხოვნებს. რაც, თავის მხრივ მოითხოვს უფრო ახლო ურთიერთობას მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. შუამავლებიც კი, რომლებიც მუშაობენ რა თავის მომხმარებლებთან მათი უნიკალური მოთხოვნებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად, ფაქტიურად იმავე ფუნქციას ემსახურებიან. ანუ, ბიზნეს-იდეა წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ აღმოჩენილ მომხმარებლის შესაძლო ინტერესს, რომელიც წარმატებული მენეჯმენტის ხელში კონკრეტულ ეკონომიკურ ფორმას იძენს.

ბიზნეს-იდეები უამრავია, საჭიროა მათ შორის საუკეთესოს შერჩევა.

ბუნებრივია, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტი მხოლოდ იმ იდეებს შეარჩევს, რომელთა პრაქტიკული ხორცშესხმა, მისი თვალსაზრისით, შესაძლებელია. თუმცა, მათ შორის საუკეთესოს შერჩევა ხდება იმ სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც ორგანიზაციის მენეჯმენტი ისახავს. მაგალითად, გვაქვს ორი ბიზნეს-იდეა: "A" და "B". მათგან "A" იდეის საფუძველზე შესაძლებელია ახალი საქონლით ბაზარზე ოთხ თვეში გასვლა, ხოლო "B" იდეის საფუძველზე კი - სამ თვეში. ამასთან, დავუშვათ, რომ "A" იდეა მოითხოვს 100 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიციას, ხოლო "B" იდეა 150 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიციას. ლოგიკურია, თუ ორგანიზაციის მენეჯმენტს სურს, რაც შეიძლება მალე გავიდეს ბაზარზე ახალი საქონლით, მაშინ პრიორიტეტულ იდეად ის შეარჩევს იმას, რომლის მოსამზადებელი დრო იქნება ნაკლები. ანუ გააკეთებს არჩევანს "B" იდეის სასარგებლოდ. ხოლო თუ კრიტერიუმად აიღებს ინვესტირების მინიმუმს, მაშინ შეირჩევს "A" იდეას.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა - მართლაც ამ ორი ვარიანტიდან რომელია უკეთესი? პასუხიც მარტივია - ის ბიზნეს-იდეა, რომელიც ინვესტიციის სწრაფ უკუგებას უზრუნველყოფს. ანუ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომლის მიხედვითაც ხდება ბიზნეს-პროექტის შერჩევა არის მისი ფინანსური კრიტერიუმი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ბიზნეს-პროექტების ფარდობითი ანალიზის ძალიან ბევრი მოდელი, რომელთა არჩევა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ინდუსტრიის სფერო, ორგანიზაციის ზომა, წარმოების ტიპი, რისკის დონე, ტექნოლოგიები, კონკურენცია, ბაზრები, მართვის სტილი და ბევრი სხვა ფაქტორი, რომლებიც საკმაო გავლენას ახდენენ მათ ანალიზზე. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ორი ფინანსური მოდელი იქცევს. ესენია: უკუგების მოდელი და დისკონტირებული წმინდა შემოსავალი.

- უკუგების მოდელი. ეს მოდელი აქცენტს აკეთეს დროის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც ხდება პროექტში ინვესტირებული თანხის ამოღება. რაც უფრო მცირეა ინვესტიციათა უკუგების პერიოდი, მით სასურველია საპროექტო იდეა. უკუგების მოდელი არის პროექტის შეფასების ყველაზე მარტივი და ფართოდ გამოყენებული მეთოდი, რომელიც ხაზს უსვამს ფულადი სახსრების მიმოქცევას - ბიზნესის ძირითად ფაქტორს. თუმცა, უკუგების მოდელის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ეს მეთოდი მხედველობაში არ იღებს ფულის ღირებულებას დროში.
- დისკონტირებული წმინდა შემოსავალი. ეს მეთოდი ახდენს სხვადასხვა დროში გაწეული დანახარჯებისა და მიღებული შემოსავლების დისკონტირებას (შესადარისობაში მოყვანას ფულადი სახსრების დღევანდელ ღირებულებასთან). შესაბამისად, ის ბიზნეს-პროექტია უკეთესი, რომელიც იძლევა დადებით წმინდა შემოსავალს და აღწევს სასურველ, მაღალ დისკონტირების კოეფიციენტს. რაც უფრო მაღალია პოზიტიური წმინდა დღევანდელი ღირებულება, მით სასურველია ასეთი ბიზნეს-პროექტი.

როგორც აღინიშნა, საპროექტო იდეების ანალიზის დროს გადამწყვეტ როლს

ასრულებს ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მენეჯმენტი. მაგრამ იდეის საბოლოო წარმატებისათვის, საჭიროა ასევე საპროექტო იდეის საბაზარო ორიენტაცია. ბაზარზე ორიენტირებულ მენეჯმენტს უნდა შეეძლოს საბაზრო სიტუაციის შესწავლა, მისი გაანალიზება და მოსალოდნელი ცვლილებების განჭვრეტაც კი.

საბაზრო ორიენტაციის მენეჯმენტიც კი შეიცავს რისკის ელემენტებს. ეს რისკი უშუალო კავშირშია ბაზრის კონიუნქტურასთან, როგორც საქონლის სადღეისო მიწოდების მომენტში, ასევე (მით უმეტეს) პერსპექტივაში. ბუნებრივია, ბაზარზე ახალი საქონლის მიწოდების დაწყებამდე ძნელია მასზე მომხმარებელთა ზუსტი რეაქციის ამოცნობა. მაგრამ წარმატების მსურველი მენეჯერი მაინც უნდა ცდილობდეს ბაზრის შესწავლას და მისი განსჯით, გარკვეულ დასკვნებს უნდა აკეთებდეს. როგორც წესი, ობიექტური მონაცემების მიღება ბაზრის შესახებ დაკავშირებულია მოთხოვნა-მიწოდების შესწავლასა და შესათავაზებელი ახალი საქონლის ფასის პროგნოზირებასთან.

ბაზრის, მოთხოვნა-მიწოდების პოზიციით, შესწავლამ უნდა გამოავლინოს, თუ როგორი თანაფარდობაა მოსალოდნელი იმ საქონლის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, რომლის წარმოებასაც აპირებს ჩვენი ბიზნესი. თუმცა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ზუსტი ინფორმაციის მიღება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის შესახებ პრაქტიკულად შეუძლებელია. მით უმეტეს, იმ საქონელზე, რომელიც ჯერ არ არსებობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შევისწავლოთ ეს საკითხი და არ დაიგეგმოს შესაბამისი მარკეტინგული სტრატეგია. საქმე იმაშია, რომ თანაფარდობის გამოვლენა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის საშუალებას აძლევს ორგანიზაციის მენეჯმენტს უპასუხოს¬კითხვას: ღირს თუ არა ასეთი ბიზნეს-პროექტის რეალიზაცია, თუ უმჯობესი იქნებოდა სხვა ვარიანტებზე ფიქრი? ხოლო, თუ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი მოთხოვნა შესათავაზებელ საქონელზე აღემატება მიწოდებას, ასეთი საქონლის წარმოება გამართლებულია. თუმცა, ასეთი ანალიზი, ყველაზე დამაიმედებელი შედეგების მიღების შემთხვევაშიც კი, ჯერ კიდევ არაა საკმარისი რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად. საჭიროა საინფორმაციო ბაზის გაფართოება - მოსალოდნელი ფასის პროგნოზირება.

ფასის პროგნოზირება - ეს არის გაირკვეს, თუ როგორი ფასია მოსალოდნელი შესათავაზებელ საქონელზე. როგორც აღინიშნა, ბაზარზე ახალი საქონლის გასვლა სარისკო საქმიანობას წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტი ცდილობს შეამციროს შესაძლო რისკის ხარისხი. მოცემულ შემთხვევაში მას შეუძლია ამის მიღწევა, თუ კი, მარკეტოლოგებს შესთავაზებს, რომ შემოსავლების გაანგარიშების საფუძვლად აიღონ არა მოსალოდნელი საშუალო¬საბაზრო ფასი, რომელიც არსებობს მსგავს საქონელზე (ბუნებრივია, მოსალოდნელი კონკურენტული უპირატესობის გათვალისწინებით), არამედ მაქსიმალურად დაბალი ფასი კონკრეტული ბაზრის პირობებში.

ლიტერატურა

1. კაკაბაძე ვ. ინვესტიციები და პროექტების მართვა, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წ.;
2. სულაბერიძე მ. პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 2008 წ. http://www.gtu.edu.ge/publishinghouse/eleqtronulebi.htm
3. შიხაშვილი გ., გედევანიშვილი მ., რუსიძე კ. პროექტების მენეჯმენტი, თბილისი, 2012 წ.
4. ჯაფიაშვილი ც. პროექტების მენეჯმენტი, თბილისი, თსუ, 2012 წ. www.economics.tsu.ge

რეზიუმე

ბიზნეს-პროექტების შერჩევის ძირითადი მოტივატორები

შალვა ჯულაყიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე, პროექტები ბიზნესის კეთების სტანდარტული გზა გახდა. შესაბამისად, ორგანიზაციები, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ არ ჩამორჩნენ თავიანთ კონკურენტებს, იძულებულნი არიან გამოიმუშაონ, მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული ცვლილებებისადმი სწრაფი რეაგირების უნარი, რაც მათი წარმატების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება. მათ შორისაა - გლობალური კონკურენცია და მომხმარებელზე გაზრდილი ორიენტაცია.

ბიზნეს-პროექტი წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ აღმოჩენილ მომხმარებლის შესაძლო ინტერესს, რომელიც წარმატებული მენეჯმენტის ხელში კონკრეტულ ეკონომიკურ ფორმას იძენს. მათი შერჩევა ხდება იმ სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც ორგანიზაციის მენეჯმენტი ისახავს. თუმცა, განსაკუთრებულ ყურადღებას ორი ფინანსური მოდელი იქცევს: უკუგების მოდელი და დისკონტირებული წმინდა შემოსავალი. ამასთან, ბიზნეს-პროექტის საბოლოო წარმატებისათვის, საჭიროა ასევე მისი საბაზარო ორიენტაცია. ბაზარზე ორიენტირებულ მენეჯმენტს უნდა შეეძლოს საბაზრო სიტუაციის შესწავლა, მისი გაანალიზება და მოსალოდნელი ცვლილებების განჭვრეტაც კი. ინფორმაციის მოპოვება ბაზრის შესახებ კი ნიშნავს მოთხოვნა-მიწოდების შესწავლასა და შესათავაზებელი ახალი საქონლის ფასის პროგნოზირებას.

Abstract

The Main Motivators for Selecting Business – Projects

Shalva Julakidze. National Defense Academy of Georgia. Associate Professor

At the present stage, Projects have become the standard way of doing business. Accordingly, Organizations who are trying to keep up with competitors, forced to develop rapid response ability to their changes of the Industrial Action. Among them are - Global Competition and Increased customer orientation.

Business – projects are organization's discovery of possible interest to customer, whichsuccessful period of management assumes a particular form of economic. Their selection is due to the strategic goals of the organization's management. Though, the focal point draws two financial models: Payback Model and Discounted Cash Flow Model. The ultimate success of the business is its market orientation. Market-oriented management shouldbe able to study the market situation, analyze and even predictexpected changes. Obtain information about the market means the study of demand – supply and conductprice forecasting of new products.

ბეტონის ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების მოპოვების და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

ირაკლი ქვარაია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ქუთათელაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

თანამედროვე მშენებლობები გამოირჩევა მრავალსართულიანი და დიდი გაბარიტის მქონე პროექტების განხორციელებით. აქედან გამომდინარე ძალიან აქტუალური ხდება მათი მასის შემცირების საკითხების გადაწყვეტა. სამშენებლო კონსტრუქციების შემსუბუქება დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებების და ამწე-მექანიზმების შერჩევის გამარტვივებასთან, ფუძე-საძირკვლების და მთელი რიგი მზიდი ელემენტების ზომების შემცირებასთან, სეისმიურად აქტიურ ზონებში კი სეისმომედეგობის მნიშვნელოვან ამაღლებასთან.შენობა-ნაგებობების დიდი უმრავლესობის მშენებლობა რკინაბეტონით ხორციელდება და ზემოთჩამოთვლილი პოზიტიური შედეგების მისაღწევად დიდ მნიშვნელობას იძენს მსუბუქი ბეტონების გამოყენება. უკვე მრავალია წელია, სამშენებლო მეცნიერების კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, მსუბუქი ბეტონების მიღება და მათი პრაქტიკული გამოყენება წარმოადგენს. ბევრ ქვეყანაში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დაიწყეს მსუბუქი ბეტონებისათვის საჭირო ხელოვნური შემავსებლების წარმოება. აღნიშნული მიზნებისათვის აშენებულია მრავალი საწარმო და ისინი დღესაც ინტენსიურად აგრძელებენ მუშაობას. მაღალხარისხოვანი ხელოვნური შემავსებლების სიძვირის მიუხედავად, იმდენად მომგებიანია მშენებლობაში მსუბუქი ბეტონების გამოყენების საკითხი, რომ მრავალი სამშენებლო კომპანია თანხებს არ ზოგავს მათ შესაძენად. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა, მსოფლიოში ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მსუბუქი ბეტონის - პოლისტიროლბეტონის შექმნის ისტორია. იგი კომპოზიციური მასალაა, პორტლანდცემენის შემცველობით, რომლის შემავსებელი აქაფებული პოლისტიროლის სახით გამოგონებული იყო გერმანელი მეცნიერის ფრიც სტესტნის მიერ 1951 წელს კომპანია BASF-ში. თავდაპირველად, ახალი მასალის ძალიან მაღალმა თვითღირებულებამ კომპანიას არ მისცა მისი რეალიზაციის საშუალება და წლების განმავლობაში ამ სიახლეს არავინ იყენებდა. 1967 წელს ახალი კვლევების დატექნოლოგიური პროცესების დახვეწის საფუძველზე კომპანიამ მოახერხა მისი თვითღირებულების შემცირება. ეს პერიოდი დაემთხვა მრავალსართულიანი მშენებლობების განვითარებას და სამშენებლო პრაქტიკამნათლად წარმოაჩინა ამ ტიპის შემავსებლების დიდი უპირატესობები სხვა მსგავს მასალებთან შედარებით. საკმაოდ მაღალი ღირებულების მიუხედავად პოლისტიროლბეტონი დღესაც ძალიან ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი ყველაზე დიდი მომხმარებლები არიან აშშ, კანადა, საფრანგეთი და გერმანია. ამ ტიპის ხელოვნური შემავსებლის ძირითად მწარმოებლად კვლავ რჩება გერმანია, კერძოდ კი მსოფლიოში ყველაზე დიდი ქიმიური კონცერნი - კომპანია BASF, რომელიც 1865 წელს დაარსდა ქ.ბადენში, რაც მისი აბრევიატურის გაშიფრვას წარმოადგენს.

გარდა ზემოთაღნიშნული ხელოვნური შემავსებლისა, მსუბუქ ბეტონებში ფართო გამოყენება პოვა, სხვადასხვა ბუნებრივი ქანების გამოწვის და გადამუშავების გზით მიღებულმა შემავსებლებმა, როგორიც არის კერამზიტი, აფუებულ პერლიტი და სხვა. ყველა ეს მასალები სიმტკიცესთან ერთად გამოირჩევიან მაღალი თბო- და ბგერასაიზოლაციო თვისებებით. სპეციალურად ბეტონისათვის დამზადებული ხელოვნური შემავსებლების გარდა მსუბუქი ბეტონების მისაღებად ხშირად გამოიყენება საწარმოო ნარჩენები, რომლებიც ასევე სათანადო გადამუშავებას მოითხოვენ. საბჭოთა კავშირის დროს, ხის საწარმოების ნარჩენებისაგან მსუბუქი ბეტონების - არბოლიტის (ხებეტონი) მისაღებად აშენებული იყო 100 მეტი ქარხანა. აზერბაიჯანში გავრცელებულია ხელოვნური მსუბუქი შემავსებელი აგლოპორიტი, რომელიც ალუმინის ქარხნის ნარჩენების გადამუშავების გზით მიიღება. ევროპის რიგ ქვეყნებში ინტენსიურად მიმდინარეობს ბეტონის მსუბუქი შემავსებლების მისაღებად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოყენება.

ნებისმიერი ტიპის მსუბუქი შემავსებლების წარმოებისათვის საჭიროა საკმაოდ სოლიდური თანხები და გადამამუშავებელი საწარმოების აგება, რომლებიც თავისი სპეციფიურობიდან გამომდინარე ძირითადად ეკოლოგიური საფრთხის შემცველია. ასეთ პირობებში საქართველოს გააჩნია უნიკალური შესაძლებლობები ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების მოპოვებისა და გამოყენების მხრივ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ვულკანური წარმოშობის ფოროვანი შემავსებლების მარაგები სამხრეთ საქართველოში, რომელთა დაძიებული რაოდენობა 200 მილიონ კუბურ მეტრს აჭარბებს. არსებული გათვლებით, მშენებლობის მასშტაბებიდან,გამომდინარე ეს რაოდენობა საკმარისია მინიმუმ 60-70-წლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის. ადრეულ წლებში საქართველოში მაღალი ტემპით მიმდინარეობდა მსუბუქი შემავსებლების დამუშავება და მათი მშენებლობაში გამოყენება. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება ადგილობრივ მსუბუქ შემავსებლებზე არსებობდა თბილისის N4 და N5 სახლმშენებელი კომბინატებში, რომლებიც მსხვილი საკედლე ბლოკების წარმოებისათვისახალქალაქის, ოკამის ადგილმდებარეობის მსუბუქ შემავსებელს იყენებდნენ. აღნიშნული კომბინატების მიერ აშენებული სახლები განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს მოსახლეობაში. მსუბუქი ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ „თბილი“ ბეტონის კედლები მაღალი თბო- და ბგერასაიზოლაციო თვისებებით გამოირჩევიან და შენობების შემსუბუქებასთან ერთად ამ მაჩვენებლითაც დიდ უპირატესობას ფლობენ. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მოპოვებული მსუბუქი შემავსებლებისაგან წვრილი საკედლე ბლოკების დამზადება საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ხორციელდებოდა. არსებული მოთხოვნილებიდან გამომდინარე, მსუბუქი ბეტონების მოპოვებისა და გადამუშავების გაფართოებას ისახავდა ერთ-ერთ ძიორითად მიზნად მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს განხორციელდა. სამწუხაროდ სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აღნიშნულმა რკინიგზამ

ვერ პოვა აღნიშნული მიმართულებით გამოყენება. კერძოდ, კორუპციული ინტერესებიდან გამომდინარე მაშინ მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ახალქალაქის რაიონიდან მსუბუქი შემავსებლენის ტრანსპორტირების სქემის შეცვლას. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სქემით, ახალაქალქის რაიონში მოპოვებული ოკამის შემავსებელი ავტოთვითმცლელებით მიეწოდებოდა ახალციხის გადამამუშავებელ საწარმოს, საიდანაც ფრაქციებად დაყოფილი მასალის გადაზიდვა რკინიგზის ვაგონების საშუალებით ხორციელდებოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ახალქალაქი-მარაბდის სარკინიგზო ხაზის გამოყენების შემთხვევაში, აღარ იყო საჭირო საავტომობილო გადაზიდვები ახალქალაქიდან ახალციხემდე, უქმდებოდა ახალციხის გადამამუშავებელი საწარმო და ძალიან მცირდებოდა ახალციხიდან რკინიგზის ტვირთბრუნვის მოცულობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში სამშენებლო სამუშაოების წარმოების შეწყვეტასთან ერთად საერთოდ შეწყდა აღნიშნული რეგიონიდან მსუბუქი შემავსებლების გამოტანა. საქართველოში მშენებლობების აღორძინების პროცესთან ერთად, კვლავ გამოიკვეთა მსუბუქი ბეტონების გამოყენების საჭიროება და დროთა განმავლობაში მათზე მოთხოვნილება აუცილებლად უფრო გაიზრდება. მსუბუქი შემავსებლების მოპოვებისა და გადამუშავების ტრადიციის აღდგენისა და არსებული რეალობიდან მათი გამოყენებისადმი სრულიად ახლებური მიდგომის უზრუნველსაყოფად აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს ზრუნვა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაზე. ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს საერთაშორისო რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული საბადოების მიზანმიმართული და ინტენსიური ათვისების შედეგად შესაძლებელი იქნება მსუბუქი შემავსებლების არა მხოლოდ ადგილობრივ მშენებლობებზე გამოყენება, არამედ მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანაც. ამასთან აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბუნებრივი შემავსებლების აბსოლუტური უმრავლესობა, საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ კარგად არის შესწავლილი. ბევრი მათგანი იძლევა საკმაოდ მაღალი მარკის ბეტონების მიღების და მზიდ სამშენებლო კონსტრუქციებში გამოყენების საშუალებას. გარდა მსუბუქი შემავსებლებით მშენებლობების უზრუნველყოფისა, მათი მოპოვება და დამუშავება მრავალი ადამიანის დასაქმებასთანაც არის დაკავშირებული, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ვულკანური წარმოშობის ფოროვანი მსუბუქი შემავსებლების ყველაზე დიდი მარაგები თავმოყრილია ნინოწმინდის რაიონში, სადაც მათი დაძიებული რაოდენობა 84 მილონ $მ^3$ აჭარბებს. სამი საკმაოდ დიდი ადგილმედბარეობის საბადოდან, ყველაზე მნიშვნელოვანია რაიონული ცენტრიდან 21 კილომეტრით დაშორებული – საღამოს საბადო. მისი მარაგი 52 მილონ $მ^3$ შეადგენს. იგი ყველაზე დიდია საქართველოში და მსგავსი თვისებების მქონე შემავსებლის ანალოგი იშვიათად მოიძებნება მსოფლიოში, რადგანაც შესაძლებელია 50-450 მარკის, 1600-1900 $კგ/მ^3$ მოცულობითი წონის მქონე მსუბუქი ბეტონების მიღება. საღამოს შემავსებელზე

დამზადებული ბეტონები, სიმტკიცითი და დეფორმაციული მახასიათებლებით არა თუ ჩამოუვარდებიან ჩვეულებრივ ბეტონებს, არამედ მრავალი კომპონენტის მიხედვით ბევრად უკეთესი თვისებებით ხასიათდებიან. აღნიშნული მსუბუქი ბეტონისაგან დამზადებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ნატურული გამოცდები, ყოველთვის დიდი წარმატებით იქნა განხორციელებული. Nნინოწმიდის რაიონში, დანარჩენი ორი საბადოს მარაგები შესაბამისად 8 და 24 მილონ მ³ შეადგენენ. მათაგან შესაძლებელია 50-200 მარკის ბეტონების დამზადება, მოცულობითი წონით 1300-1700 კგ/მ³ ფარგლებში და ორივე კარგი მასალაა წვრილი საკედლე და სატიხრე ბლოკების დასამზადებლად, ასევე საიზოლაციო და მოსამზადებელი ფენების მოსაწყობად.

ახალქალაქის რაიონში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული არსებობდა ბუნებრივი ვულკანური შემავსებლების მოპოვებისა და გადამუშავების ტრადიცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხუთი ძირითადი ადგილმდებარეობა, რომელთა საერთო მოცულობა თითქმის 73 მილონ მ³ შეადგენს. მათ შორის გამორჩეულია ოკამისა და დადეშის საბადოები, 5,6 მილიონი მ³ და 36,6 მილიონი მ³ მარაგებით, რომელთა ბაზაზე შეიძლება 50-300 მარკის ბეტონების დამზადება. ამასთან ოკამის შემავსებლის მოცულობითი წონა არ აღემატება 1600 კგ/მ³, რის გამო იგი განსაკუთრებული მოთხოვნილებით სარგებლობდა. დადეშის შემავსებელზე დამზადებული ბეტონები ოდნავ მძიმეა (1450-1750 კგ/მ³), მაგრამ მრავალმხრივი ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით გამოვლენილია მათი საკედლე და გადახურვის ელემენტებში გამოყენების კარგი შესაძლებლობები. სხვა ადგილმდებარეობის შემავსებლები შედარებით ნაკლები მარკის ბეტონების დამზადების საშუალებას იძლევიან, მაგრამ არსებული მარაგებიდან და მათგან დამზადებული ბეტონების სიმსუბუქიდან გამომდინარე, ძალზე ეფექტური და მომგებიანია კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციოMელემენტების დამზადება.

ბორჯომის რაიონში არსებული გუჯარეთისა და დიდი-თონეთის საბადოების დაძიებული მარაგები 12-12 მილიონ მ³ შეადგენენ. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად გუჯარეთის შემავსებელი იძლევა 50-250 მარკის მსუბუქი კონსტრუქციული ბეტონების დამზადების საშუალებას, რომელთა მოცულობითი წონა შეადგენს 1500-1700 კგ/მ³. შედარებით ნაკლები მარკიანობით 50-150 ხასიათდება დიდი-თონეთის შემავსებელზე დამზადებული ბეტონები, რომელთა მოცულობითი წონა 1400-1575 კგ/მ³.

საკმაოდ კარგად არის შესწავლილი წალკის რაიონში არსებული გუნია-კალას და პოხლი-ბულახის საბადოები. აღნიშნული შემავსებლების გამოყენებით მიღებულია კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო და კონსტრუქციული 50-200 მარკის მსუბუქი ბეტონები, რომელთა მოცულობითი წონა მერყეობს 1500-1750 კგ/მ³ ფარგლებში.

მსუბუქი შემავსებლების მარაგები არის ასევე დმანისის, გორის, ოზურგეთის, მაღალმთიანი აჭარის რაიონებში. ნაწილობრივ შესაწავლილია მათგან მიღებული

მსუბუქი ბეტონები, რომლებიც ძირითადად კონსტრუქციულ-თბოსაიზოლაციო თვისებებით გამოირჩევიან. აღნიშნული შემავსებლების მარაგები არ არის დიდი მოცულობის და მიზანშეწონილი არ იქნება მძლავრი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, მაგრამ მათი მოპოვება და გამოყენება ხელს შეუწყობს საკედლე და საიზოლაციო მასალების წარმოებას შესაბამის და მოსაზღვრე რაიონებში.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოში, განსაკუთრებით მის სამხრეთ რაიონებში ბეტონისათვის საჭირო ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების მოპოვების და გადამუშავების დიდი პერსპექტივები არსებობს, კარგად არის შესწავლილი მათი კონსტრუქციული და საიზოლაციო თვალსაზრისით გამოყენების შესაძლებლობები. ახალი სარკინიგზო ხაზის ამოქმედებასთან ერთად უფრო აქტუალური ხდება აღნიშნული მასალების ათვისების საკითხი. ამასთან აუცილებელია ქვეყანაში სათანადო ღონისძიებების გატარება, აღნიშნულ შემავსებლებზე დამზადებული მსუბუქი ბეტონების მშენებლობაში რაც შეიძლება ფართოდ დასანერგად.

ლიტერატურა

1. ი.ქვარაია. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენების ასპექტები თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიებში. სტუ-ს დაარსებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “21 - ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები”, შრომების კრებული, თბილისი, 19-21 სექტემბერი, 2012 წელი. გვ. 230-233.
2. ი.ქვარაია, ნ.მსხილაძე. საღამოს შემავსებელზე დამზადებული მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენების შესაძლებლობები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები #1(467) თბილისი, 2008. გვ. 174-177

რეზიუმე

ბეტონის ბუნებრივი მსუბუქი შემავსებლების მოპოვების და გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

ირაკლი ქვარაია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ქუთათელაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

თანამედროვე მშენებლობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს შენობა-ნაგებობების მასის შემცირების საკითხი. მშენებლობების აბსულუტური უმრავლესობა რკინაბეტონისაგან ხორციელდება და ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით ეფექტურია მსუბუქი ბეტონების გამოყენება. სამშენებლო პრაქტიკაში ამ მიზნით ფართოდ სარგებლობენ ბეტონის ხელოვნური მსუბუქი შემავსებლებით, რომელთა წარმოება საკმაოდ ძვირადღირებული და შრომატევადი პროცესია. საქართველო მდიდარია ვულკანური წარმოშობის

ბუნებრივი შემავსებლებით, რომელთა მოპოვების და გადამუშავების განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობები არსებობს ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში. ამასთან, კარგად არის შესწავლილი მათ ბაზაზე დამზადებული ბეტონების თვისებები და აუცილებელია სათანადო ღონისძიებების გატარება აღნიშნული ბეტონების საქართველოში მშენებარე ობიექტებზე გამოყენებისთვის.

Abstract

PROSPECTS OF LIGHTWEIGHT CONCRETE FILLER OBTAINING AND USING IN GEORGIA

Irakli Kvaraia. Georgian Technical University. Associate Professor

Ketevan Kutateladze. National Defence Academy of Georgia. Professor

One of the main objectives of the modern construction is the issue of the building's mass reduction. The absolute majority of constructions are carried out with the reinforced concrete, and in these cases, the usage of lightweight concrete is especially effective. For this reason, in the construction practice, throughout the world, artificial concrete lightweight fillers found a big use, which is costly and time-consuming process. Georgia is rich in natural volcanic-originfillers, and there are particularly big opportunities in the country's southern regions for obtaining and reprocessing those plasters. In addition, physiognomies of the concrete made in their bases are well studied and it is necessary to take steps toward the widespread use of the above-mentioned concrete in construction.

ეკონომიკური კულტურის მნიშვნელობა მომავლის კონტექსტში

ქეთევან ჭიაბრიშვილი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი

ნებისმიერი საზოგადოებისთვის და მმართველობის ნებისმიერი ფორმისათვის შესაბამისი განათლება უპირველესი აუცილებლობაა. ამ მოსაზრებას არაერთგზის უსვამდა ხაზს არისტოტელე, თავის ნაშრომში „პოლიტიკა“. ამ აუცილებლობით არის გაპირობებული განათლების პერიოდული კრიზისი და მისი თანმდევი კითხვები: რა ვასწავლოთ, როგორ ვასწავლოთ? განათლების ფილოსოფიის ძირითადი შინაარსი უნდა აიგოს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ისე კონკრეტული დროისა და ადგილისთვის დამახასიათებელ ფასეულობებზე. მან უნდა მოიცვას სიტუაციაც მსოფლიოში და ადამიანის ადგილიც მასში.

საზოგადოებისა და მთლიანად ჩვენი ცხოვრების ყაიდის ცვლილება იმით არის რთული, რომ თვით ჩვენს (ადამიანების) ცვლილებას მოითხოვს. სწრაფად ცვალებად სამყაროსთან ერთად ჩვენც უნდა შევიცვალოთ.. ამიტომ აქვს განსაკუთრებული როლი ადამიანურ ფაქტორს. საბზრო ეკონომიკაზე გადასვლა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ცხოვრების მრავალფეროვნება, ინტეგრირება მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, სადაც ბიზნესი კომერციული საქმიანობის საფუძველია, აუცილებელს ხდის მოსწავლეთა მომზადებას ამ მიმართულებით. ეკონომიკური კულტურის ფორმირება საბაზრო-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით სასკოლო ასაკშივე უნდა დაიწყოს, იმ ასაკში, როცა ყალიბდება ცხოვრებისეული პრინციპები, ფასეულობები, გეგმები, საჭიროა მოზარდთა დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისადმი. „ის, ვისაც არ აქვს ეკონომიკური ცოდნა, ჰგავს ყრუს, რომელიც საერთო ორკესტრში ცდილობს დაკვრას“ (პ. სამუელსონი).

ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე მრავალასპექტიანი ცვლილებები აუცილებელს ხდის პედაგოგიური და ეკონომიკური ცოდნის ინტეგრაციას, განათლების მთლიანი სისტემის ყველა რგოლის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და პედაგოგიური მიზნების ურთიერთკავშირს. „რატომ, რა სახით მიიღწევა მილიონობით ადამიანთა შორის (მათ შორის ერთმანეთისთვის უცნობთა) შეთანხმება და რატომ ვერ მიიღწევა ხოლმე ასეთი რამ ზოგჯერ?“ ამ კითხვაზე პასუხისას აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკონომიკური აზროვნების, ეკონომიკური კულტურის, ეკონომიკური აღზრდის მნიშვნელობაზე და ამ სამ კომპონენტთან დაკავშირებით ჰუმანიზმზე.

რა არის ეკონომიკური აზროვნება, ეკონომიკური აღზრდა და ეკონომიკური კულტურა?

ეკონომიკური აზროვნება - ეს ის შეხედულებები და წარმოდგენებია, რომელიც პრაქტიკული გამოცდილების, ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის, ყოველდღიური ცხოვრებისეული კავშირების საფუძველზე ყალიბდება. სუბიექტის ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან

როლს შემდეგი ფაქტორები ასრულებს: საკუთერების მრავალგვარი ფორმები, რომელთა ფარგლებში ის საკუთარ საქმიანობას ახორციელებს; ეკონომიკური ურთიერთობის სხვა სუბიექტები, რომელთანაც ის ურთიერთქმედებს; ურთიერთმოქმედი სუბიექტების (საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოები, ბანკები, საინვესტიციო ფონდები და სხვ.) მრავალფეროვნება და სხვა.

ეკონომიკური აღზრდა საზოგადოების წევრებზე თანმიმდევრული, მიზანმიმართული ზემოქმედებაა, რომლის მიზანი ზნეობრივი მეურნისთვის საჭირო ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების, ეკონომიკური აზროვნების წესის ჩამოყალიბებაა. მისი მთავარი ამოცანებია, ადამიანში მეურნე-თანამშრომლის თვისებების - ყაირათიანობის, დისციპლინის, ორგანიზებულობის, შრომისმოყვარეობის, მეურნის ჩამოყალიბება. ის ისწრაფვის ეკონომიკური ცოდნისა და აზროვნების საშუალებით საზოგადოების წევრებს შემოქმედებითი, რაციონალური, ეკონომიური შრომა, საზოგადოებრივი დოვლათისადმი მეურნის დამოკიდებულება, მნიშვნელოვანი შედეგების მინიმალური დანახარჯებით მიღწევა ასწავლოს.

კულტურის ძირითადი ელემენტია - ფასეულობები. სწორედ მათ თავისებურებებზეა დამოკიდებული რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს დააგროვებს ადამიანი.

კულტურის საკითხებში ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტის გირტ ჰოფსტედის აზრით, ადამიანის ქცევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის მენტალურ პროგრამაზე (ის „დაპროგრამებულია“ მის რეალიზაციაზე). მენტალურ პროგრამად, ავტორი „მსჯელობათა, გრძნობათა და ქმედებათა ნიმუშებს“ მიიჩნევს. ასეთ პროგრამებში ის სამ დონეს გამოყოფს.

ქვედა დონეზე - ადამიანური ბუნება - განთავსებულია უნივერსალური, ყველა ინდივიდისთვის საერთო პროგრამები. მათ მემკვიდრეობით ვიღებთ და ადამიანური ბუნების განუყოფელი ნაწილია.

მეორე დონეზე - კულტურა - ის მენტალური პროგრამებია, რომელიც ინდივიდთა კონკრეტული ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი. ისინი ყალიბდება სოციალური დასწავლისა და ჯგუფს შიგნით მუდმივი ურთიერთქმედების საფუძველზე. ამ დონეზე მოდელებს ჰოფსტედი კულტურას უწოდებს.

მესამე დონეზე - ინდივიდუალობა - კი ის მენტალური პროგრამებია, რომელიც კონკრეტული ინდივიდისთვის არის დამახასიათებელი. ისინი განსაზღვრავს მის ინდივიდუალობას, გამოარჩევს სხვებისგან. ნაწილობრივ, ეს პროგრამები გენეტიკურად გადადის, ნაწილობრივ, დასწავლით.

ეკონომიკურ კულტურაზე, ანუ კულტურის იმ სფეროზე საუბრისას, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთქმედებებს მოიცავს, ასევე სამი დონე შეიძლება გამოიყოს: მასობრივი ეკონომიკური კულტურა, გადაწყვეტილების მიმღებთა

ეკონომიკური კულტურა და თეორიული ეკონომიკური კულტურა. ეს დონეები ეკონომიკური კულტურის პირამიდას ქმნიან.

პირამიდის ქვედა დონე - მასობრივი ეკონომიკური კულტურა - მომხმარებელთა და დაქირავებულ მუშაკთა მასის ფასეულობები, ცოდნა, უნარჩვევები და წარმოდგენებია, რომლებიც გადაწყვეტილებებს მხოლოდ საკუთარი თავისა და ოჯახის წინაშე იღებენ.

პირამიდის მეორე დონე მენეჯერებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ეკონომიკური კულტურაა. ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებები ვრცელდება იმ ადამიანებზე, რომლებმაც მათ საკუთარი ინტერესების განხორციელება მიანდეს, გადაწყვეტილების მიღების უფლება მისცეს.

პირამიდის მესამე დონე - თეორიული ეკონომიკური კულტურა - პროფესიონალ ეკონომისტთა კულტურაა. ისინი ქმნიან სქემებს, რომლითაც ხელმძღვანელობენ გადაწყვეტილების მიმღებნიც და მასობრივი ეკონომიკური ქცევის წარმომადგენლებიც. სხვათა გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე პროფესიონალი ეკონომისტები თვითონ როდი იღებენ გადაწყვეტილებებს, ისინი განაზოგადებენ ინფორმაციას და გვთავაზობენ ასეთი გადაწყვეტილებების მზა ბლოკ-სქემებს.

რატომ არის მნიშვნელოვანი თანამედროვე მოზარდებში ეკონომიკურ აზროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, მათი ეკონომიკური აღზრდა და ეკონომიკური კულტურის ფორმირება?

ბავშვის გარემომცველი სამყარო ასაკთან ერთად თანდათან სცილდება მისი მყისიერი გარემოს ფარგლებს. ეკოლოგიური სისტემების ავტორი უ. რონფრენბრენერი შემდეგი სქემით წარმოგვიდგენს:

მე - ჩემი ოჯახი - ჩემი სკოლა - ჩემი ქვეყანა - სამყარო

მოსწავლე და მყისიერი გარემო ცენტრშია, პირველი დონეა. სხვა დონეებს დიდი გავლენა აქვს მოსწავლის კეთილდღეობაზე და სწავლის მისეულ უნარზე.

მეორე დონე მოიცავს ბავშვის ძირითად გარემოს, მის სახლს, სახლის გარეთ გარემოებს და ამ გარემოთა შორის ურთიერთკავშირებს.

მესამე დონე ასევე ახდენს გავლენას ბავშვის გამოცდილებაზე და მოიცავს მშობლების სამსახურს, სამეზობლოს, მასმედიას, არაფორმალურ სოციალურ ქსელებს. ის ასევე მოიცავს იმ პირობებს, რომლრბიც გავლენას ახდენს ბავშვის კეთილდღეობაზე, რადგან, ის რასაც მნიშვნელოვანი ზრდასრული (მშობლის ან სხვა) განიცდის ამ გარემოში, პირდაპირ აისახება ბავშვზე.

მეოთხე დონეა ქვეყნის დონე - ქვეყანაში გავრცელებული შეხედულებები, ღირებულებები, უფლებები, პასუხისმგებლობები და ა.შ.

პირველი ორი დონე - მოსწავლე და სასწავლო გარემო მჭიდროდ არის დაკავშირებული. ბავშვი იმ გარემოში სწავლობს ლაპარაკს, სადაც მას უფროსები ელაპარაკებიან. იმ გარემოში სწავლობს ანალიზს, სადაც ანალიზი ღირებულია და შესაძლებელი.

ბავშვზე ასევე დიდი გავლენა აქვს იმ საზოგადოებას, რომელშიც ის ცხოვრობს. ამ საზოგადოების ღირებულებებს, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, ტექნოლოგიებს, ისტორიას და ა.შ.

მოსწავლის უახლოესი კონტექსტები თანაბარმნიშვნელოვანია მისი ცნობიერებისა და აზროვნების ჩამოყალიბებაში. მხოლოდ შესატყვისად წარმართული სწავლა-აღზრდის და ამ გარემოთა სასიკეთო ზემოქმედების შედეგად შეიძლება მივაღწიოთ დღევანდელი საზოგადოებისთვის აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას, მნიშვნელოვანი ფასეულობებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და მათი დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

„სულიერი წონასწორობის ხელშეწყობა“

ბავშვები საკუთარი გარემოს პროდუქტები და იმავდროულად შემქმნელებიც არიან და ბავშვი და გარემო ურთიერთდამოკიდებული შედეგების მჭიდრო კავშირია.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის აღზრდის სოციალურ-ზნეობრივი შედეგი სახეზეა - მოზარდები ძირითადად აქტიური მომხმარებლები არიან. პიროვნების განვითარება, აღზრდა კი იმით გაიზომება, თუ როგორ თანაფარდობაშია მის მიერ მოხმარება და უკუგება. უკუგება მრავალწახნაგოვანია - დაწყებული საოჯახო შრომაში მონაწილეობით, დამთავრებული ნებისმიერი მატერიალური ღირებულების შემქმნელი საქმიანობით. საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია: მოზარდმა უნდა შეძლოს „იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე“. იქვე გაშლილია ამ პუნქტიოს არსი: „სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“.

ქართველი მწერალი რ.ინანიშვილი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს: „ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა შევაჩვიოთ იმ აზრს, რომ იგი განცხრომისთვის არ არის მოსული ამ ქვეყანაზე. მან უნდა ზიდოს მძიმე ლოდები სახლების ასაშენებლად. თხაროს ქვასავით მაგარი მიწა გზებისა და არხების გასაშენებლად... წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს სულიერ წონასწორობას. ეს კი უსაშინლესი დაავადებაა ყველა დაავადებათა შორის“.

სულიერი წონასწორობის დაკარგვა კი არა მხოლოდ მოზარდისთვის, ზრდასრულისთვისაც კი ძალზე ადვილი გახადა დღევანდელმა საზოგადოებამ ჰომო საპიენსისთვის თავისი გაუმართლებელი აქცენტებით მაქსიმალურ მოხმარებაზე, სიამოვნებაზე, ტკბობაზე.

აღზრდის თეორიამ და პრაქტიკამ ასევე უყურადღებოდ დატოვა კ. მარქსის ერთ-ერთი სასარგებლო მოსაზრება საზოგადოებრივი აღზრდის შესახებ. „ყოველი

ბავშვი ცხრა წლის ასაკიდან უნდა გახდეს მწარმოებელი“.!ისე, როგორც ყოველი შრომისუნარიანი ზრდასრული ემორჩილება ბუნების კანონს, სახელდობრ, რომ ჭამოს, უნდა იმუშაოს, არამარტო თავით, არამედ ხელებითაც. პრაგმატულ ამერიკაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში სკოლა ყოველთვის წარმოების ზურგის სამსახურშია. თევზის ჭერისთვის საჭირო მოწყობილობის მწარმოებელი ფირმა, გარდა იმისა, რომ სპეციალურად სწავლობს თევზზე მოთხოვნილებას, იმასაც ითვალისწინებს, მომავალში ვინ დაასაქმოს ფირმაში, რადგან დადგენილია, რომ თუ ბავშვი ათ წლამდე ვერ გაიტაცა თევზის ჭერამ, შანსი იმისა, რომ მოგვიანებით დაინტერესდება, ძალზე მცირეა.

შრომისმოყვარეობის, შრომისადმი დამოკიდებულების აღზრდის პრობლემაზე მრავალი მკვლევარი მუშაობდა, მაგრამ ყველა გვერდს უვლიდა საკითხს: რა დამოკიდებულებაა ბავშვთა შრომის ანაზღაურებასა და შრომისმოყვარეობის აღზრდას შორის.

როცა ვსაუბრობთ მოზარდთა დასაქმებასა და მათი შრომის მატერიალურ ანაზღაურებაზე, მხედველობაში გვაქვს მათი ისეთი ფსიქოლოგიური თავისებურება, როგორიცაა სწრაფვა დამოუკიდებლობისა და თვითდამკვიდრებისაკენ. „დიდის მდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილება გარდამავალ ასაკში, იძენს რა სოციალურ შინაარსს, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის აქტივობის მიმართულების განსაზღვრის საქმეში. ეს მოთხოვნილება, პირველ რიგში, სოციალური პრესტიჟის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა ფორმებში დიფერენცირდება და მოზარდის ყოველ ქცევაში, რომელიც მას რაიმე მხრივ სხვა ადამიანებთან აკავშირებს, ეძებს კმაყოფილებას“. როცა ეს მოთხოვნილებები „ქცევაში დაკმაყოფილებას“ ვერ პოულობენ, მოზარდი სოციალურ მოთხოვნილებათა ფრუსტრაციას განიცდის და უმუშავდება უარყოფითი ხასიათის სოციალური განწყობა.

მოზარდთა დასაქმებამ, მათი შრომის ანაზღაურებამ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ხელი უნდა შეუწყოს სოციალურ მოთხოვნილებათა ქცევაში დაკმაყოფილებას, მათ დაახლოებას ეკონომიკურ ყოფასთან, რამაც საბოლოო ანგარიშით უნდა განსაზღვროს მათი ეკონომიკური აზროვნება.

ფასეულობათა სისტემის როლი

საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამავალ პერიოდში ფასეულობათა პრობლემა მწვავდება. ფასეულობათა ცნება შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სინამდვილის მოვლენებისა და ფაქტების კულტურული, საზოგადოებრივი, ან პიროვნული მნიშვნელობის გამოხატულება.

ეს არის ადამიანის დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომელიც, თავის მხრივ, საგნობრივი და სუბიექტისეული ფასეულობის სახით წარმოგვიდგება. პიროვნული განსაზღვრულობა ვლინდება ფასეულობათა განსაზღვრული სისტემის მიმართ ადამიანის მყარ ორიენტაციაში.

იერუსალიმის ჰებროს უნივერსიტეტის პროფესორმა შალომ შვარცმა ფასეულობა განიხილა, როგორც მიზანი.

ასევე, საინტერესოა, ფასეულობათა ტიპების დაყოფის მისეული პრინციპები და დაშვებული შემდეგი ჰიპოთეზა: რადგან ფასეულობა განხილულია, როგორც მიზანი, მისი მიღწევა უნდა ემსახურებოდეს ინდივიდის ან კოლექტივის ინტერესებს. ინდივიდუალური ტიპის ფასეულობანი კოლექტიური ტიპის საპირისპიროა. რაც შეეხება მესამე ჯგუფის ფასეულობებს - უნივერსალიზმს, უსაფრთხოებას - იგი იცავს ორივე ტიპის ფასეულობათა ინტერესებს და გარკვეულწილად, „მოარიგებს“ ხოლმე მათ.

დაბოლოს, ფასეულობათა შეფასება, გადაფასება და დადგენა, მისი საშუალებით სწორი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება ინდივიდს და საზოგადოებას სწორ და სამართლიან განვითარებაში ეხმარება.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განათლება, ეკონომიკური აღზრდა, სკოლის ამოცანაა და სავალდებულოა. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ეკონომიკური განათლება ჯერ კიდევ ვერ გახდა ეროვნული სასწავლო გეგმის აუცილებელი დისციპლინა.

რადგან ეკონომიკის ჰუმანიზაცია განიხილება კაცობრიობის გადარჩენისა და პროგრესის პირობად, ცხადია, იგი ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს, თუ არ გაფართოვდა და არ გაძლიერდა ინტერდისციპლინარული ხედვა, მისი კავშირი ფუნდამენტურ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, პედაგოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, სოციოლოგიასთან და ასეთი ხედვის საფუძველზე არ შემუშავდა ეკონომიკური კულტურის აღზრდის ერთიანი მიდგომა.

ლიტერატურა

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, http://mes.gov.ge
2. ინანიშვილი რ., სამაგიდო რვეულები, I რვეული, 1996, გვ.28
3. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, http://lib.rin.ru/doc/7386133.html
4. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1954, გვ.
5. Шибутани Т., Социальная психология, М., 1969, с. 378; 450
6. Aristotle, Politics, Y, 1310a და VIII, 1337a.
7. Brondfenbrenner, Urie. The Ecology of Human Development. Cambridge, Mass.:Harvard UP, 1979
8. Heine P., The economic way of thinking, Preface the Russian edition; 1990
9. Hofstede G., Cultures and Organizations. Software of the Mind. N.Y.:McGraw-Hill, 1990. P.6

რეზიუმე

ეკონომიკური კულტურის მნიშვნელობა მომავლის კონტექსტში

ქეთევან ჭიაბრიშვილი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი

ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე მრავალასპექტიანი ცვლილებები აუცილებელს ხდის პედაგოგიური და ეკონომიკური ცოდნის ინტეგრაციას, განათლების მთლიანი სისტემის ყველა რგოლის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და პედაგოგიური მიზნების ურთიერთკავშირს. ამ შემთხვევაში აუცილებელი ხდება აქცენტი გაკეთდეს ეკონომიკური აზროვნების, ეკონომიკური კულტურის, ეკონომიკური აღზრდის მნიშვნელობაზე და ამ სამ კომპონენტთან დაკავშირებით ჰუმანიზმზე.

Abstract

THE IMPORTANCE OF ECONOMIC CULTURE IN THE CONTEXT OF FUTURE

Ketevan Chiabrishvili. National Defence Academy of Georgia. Professor. Asistent Professor

The ongoing multi-dimensional changes in all spheres of life necessitate the integration of pedagogical and economical knowledge, the relationship of socio-economic and educational objectives of development each area of the entire education system. In this case, it is necessary to underline the importance of economic thought, economic culture, economic education and humanism associated with abovementioned three components.

თვითღირებულება და ფულის კურსი

მერაბ ცინცაძე. მეცნიერ მუშაკი
შალვა კვეზერელი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი

ჩვენი შეხედულების /მოცემული სტატიის/ მიზანს წარმოადგენს მკითხველს გავაცნოთ ფულის ერთეულის, კერძოდ ლარის გაუფასურების ძირითადი მიზეზები და მათი თავიდან არიდებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები. ქვემოთ მოყვანილი გვაქვს აღნიშნული საკითხების მიმართ ჩვენი შეხედულების ძირითადი დებულებანი რაც შედარებით ვრცლად უახლოეს მომავალში მომზადდება გამოსაცემად.

დღეს დღეობით ფულის ერთეულის სიმყარისათვის ძირითადად მიმართავენ ისეთი ძვირფასი ლითონის მარაგებს, როგორიცაა ოქრო. ჩვენი შეხედულებით ფული დამყარებული უნდა იყოს არა ოქროს რაოდენობაზე, არამედ შენს (ქვეყნის მიერ) მოყვანილ ხორბალზე. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ როგორც ოქროს ასევე ხორბლის თვითღირებულება ცვალებადია. მუდმივი სიდიდეა ერთი სულის პურის ნორმა დღეში – 320 გრამი. ყოველგვარი შრომის ანაზღაურების გამოსაანგარიშებლად მნიშვნელოვანი უნდა იყოს სწორედ აღნიშნული სიდიდე. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება არის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური სიდიდე და იგი არ უნდა იყოს ხელოვნურად გაზრდილი მაღალი სახელფასო დანახარჯებით და სხვადასხვა გადასახადებით, ანუ უნდა ამოვიდეთ სუფთა თვითღირებულებიდან, რომელზეც 38 პროცენტამდე დამატებით უნდა დგინდებოდეს მისი გასაყიდი ფასი. მხოლოდ ასე გვექნება შეხამება ბუნებაში არსებულ ოქროს კვეთის კანონზომიერებასთან, რომლის დაყოფა არის მთელის 38 და 62 წილი /პროცენტი უცხოურად/. მაგალითად, თუ რაიმეს თვითღირებულება არის 0,62 ლარი მაშინ მას უნდა დაემატოს მისი 38 პროცენტი და გასაყიდი ფასი იქნება 0,86 ლარი. ეს იქნება მაღალი ჭერი და თუნდაც 1 თეთრის დამატება თავისთავად გამოიწვევს გაუფასურებას ფულისა. სასურველია ამ 38 წილიდან სახელმწიფოს რჩებოდეს 19

წილი, 10 წილი კიდევ მარაგში ფულის სიმყარისათვის და 9 წილი რჩებოდეს საწარმოს.

დღესდღეობით 1 კგ პურში მოსახლეობა იხდის 1,80 ლარს (საშუალოდ), მაშინ როდესაც 1 კგ ხორბლის თვითღირებულება არის 0,40 ლარი და გასაყიდი ფასი 0,5 – 0,7 ლარი, მაშასადამე 3÷4 ჯერ მეტი და ამდენად ლარი დიდი ხანია გაუფასურებულია. ინფორმაციით ფულის გაუფასურებაზე ყველანაირ მიზეზებს ვისმენთ გარდა ამ ნამდვილი მიზეზისა, რომ ნივთის გასაყიდი ფასი უამრავჯერ მეტია თვითღირებულებაზე. ბუნებაში არსებულ ოქროს კვეთის კანონზომიერებასთან შესაბამისობისათვის, როგორც ავღნიშნეთ მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მაჩვენებლის: წარმოებული საქონლის თვითღირებულებისა და გასაყიდი ფასის დაწყობა /დარეგულირება უცხოურად/. ძირითადი დებულებანი თუ რატომ ჯობია ასე მოცემულია ჩვენს ნაშრომში „სასწორი და სამართალი“ (გამომცემლობა „სვეტი+“, თბილისი 2015 წ.). დამატებითი დაწვრილებითი მოცემულობანი თითქმის მზადაა გამოსაცემად.

ლიტერატურა

1. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ადამ სმითი. თბილისი 2007.
2. ხორბლის სელექცია საქართველოში. პ. ნასყიდაშვილი, მ. სიხარულიძე, ე. ჩერნიში. თბილისი 1983;
3. სასწორი და სამართალი. მ. ცინცაძე, შ. კვეზერელი. თბილისი 2015.

რეზიუმე

თვითღირებულება და ფულის კურსი

მერაბი ცინცაძე. მეცნიერ მუშაკი

შალვა კვეზერელი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი

სტატია „თვითღირეულება და ფულის კურსი“ წარმოადგენს ძირითადი დებულებების ნაკრებს თუ რის გამო ხდება ფულის კურსის, კერძოდ ლარის სიმყარის (სყიდვის უნარიანობის) რღვევა და როგორ არის შესაძლებელი მისთვის თავის არიდება. მასში განხილულია ბუნებაში არსებული ოქროს კვეთის კანონზომიერების დაცვის აუცილებლობა. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების: წარმოებული საქონლის თვითღირებულებისა და გასაყიდი ფასის ურთიერთკავშირი.

Abstract

The cost price and money rate

Marabi Tsintsadze. Scientist

Shalva Kvezereli. National Defence Academy of Georgia. Assistant Professor

The article „The cost price and money rate“ represents the dataset of the main provisions for what is happening the decomposition of money rate, particularly GEL stability (purchasing capacity) and how it can be avoided. The article discusses the necessity of protection of the gold-mining regularity which are in the nature. The basic economic indicators: the relationship between the cost price and sale price of the output goods.

ინტელექტუალური პოტენციალი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები

მანანა მაღრაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი
მაიორი კახაბერ ყავლაშვილი. ეროვნული თავდაცვის აკადემია

ინტელექტუალური საკუთრება ფართო მცნებაა და იგი რამოდენიმე სახის კანონმდებლობით აღიარებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქტის ან იდეების საკუთრების უფლებას აღიარებს. ინტელექტუალური საკუთრების უფლება არამატერიალურ საგნებს, ანუ იდეებს შეეხება და საავტორო უფლებებს ამკვიდრებს, რომელთა უზრუნველყოფა პატენტების მეშვეობით არის შესაძლებელი. ინტელექტუალური საკუთრების უფლება წარმოსახვითი საგნების ფლობის უფლებას ამკვიდრებს, რომლებიც იმ მატერიალური საგნებისგან განსხვავდება, რომელთა მიმართებაშიც ამ საგნების განსხეულება ხდებ. დღეს არსებულ საკანონმდებლო სისტემებში ინტელექტუალური საკუთრების უფლება საავტორო უფლებებს, სავაჭრო მარკას, პატენტებს და სავაჭრო სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის კონფიდენციალურობას მოიცავს.

ინტელექტუალურ საკუთრებას აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მსოფლიოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმები და მექანიზმები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში.

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები პატენტის, სასაქონლო ნიშნის, დიზაინის, საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს.

ინტელექტუალური საკუთრება დაკავშირებულია ადამიანის გონებრივ შემოქმედებით საქმიანობასთან, რომელიც მოიცავს მეცნიერების, ტექნოლოგიების, წარმოების, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებს. ინტელექტუალური საკუთრება შეადგენს იმ უფლებათა ერთობლიობას, რომელიც ასეთი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად წარმოიშობა. ეს უფლებები არ ეხება უშუალოდ მატერიალურ ობიექტებს, რომლებშიც განსახიერებულია შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი (მაგ:მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია გამოგონების საფუძველზე, ან წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია ლიტერატურული ნაწარმოები), და ვრცელდება მხოლოდ ადამიანის გონების ქმნილებებზე. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები წარმოადგენენ ინფორმაციას, რომელიც გამოხატულია იდეის ან ფორმის სახით, შეუძლებელია მათ გამოყენებაზე უშუალო კონტროლის დაწესება და განხორციელება საკუთრების მატერიალური ფორმებისათვის მისაღები სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, რამაც გამოიწვია ინტელექტუალურ

საკუთრებაზე უფლებების წარმოშობის და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმების და მექანიზმების შექმნის აუცილებლობა. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების წარმოშობის და განხორციელების სპეციალური სამართლებრივი ნორმების და მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც აისახა შესაბამის ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში,საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობების უმრავლესობა არ იძლევა "ინტელექტუალური საკუთრების" რაიმე ფორმალიზებულ დეფინიციას.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენციის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს, რომლებიც ეხება:

1. ლიტერატურის, ხელოვნებისა და სამეცნიერო ნაწარმოებებს;
2. მსახიობ-შემსრულებელთა გამოსვლებს, ფონოგრამებსა და საეთერო მაუწყებლობის პროგრამებს;
3. გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში;
4. მეცნიერულ აღმოჩენებს;
5. სამრეწველო ნიმუშებს;
6. სასაქონლო ნიშნებს, მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და კომერციულ აღნიშვნებს;
7. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთას და ყველა სხვა უფლებას, რომლებიც გამომდინარეობს ინტელექტუალური საქმიანობიდან მრეწველობის, მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების სფეროებში".

ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან ტრადიციულად გამოყოფენ ორ სფეროს. კერძოდ, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებებისა და საავტორო უფლებების დაცვას.

- *სამრეწველო საკუთრების* ობიექტებია: გამოგონებები, სამრეწველო ნიმუშები, ინტეგრალური მიკროსქემები, სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები. გარდა ამისა, სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების დაცვის ერთ-ერთ სახეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაც წარმოადგენს.
- *საავტორო უფლება* მოიცავს სამეცნიერო ნაშრომებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს, როგორიცაა, რომანები, ლექსები, პიესები, ფილმები, მუსიკა, ნახატები, ფერწერული ტილოები, ფოტოსურათები, ქანდაკებები, არქიტექტურული პროექტები და სხვ. საავტორო უფლებით დაცვას ექვემდებარება, აგრეთვე, გონებრივი შრომის პროდუქტი, როგორიცაა, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები და ელექტრონულ მონაცემთა ბაზები.

- *საავტორო უფლებასთან დაკავშირებული უფლებებია* ის უფლებები, რომლებიც გააჩნიათ შემსრულებლებს საკუთარ შესრულებებზე, ფონოგრამების დამამზადებლებსა და სამაუწყებლო კომპანიებს - მათ რადიო და ტელეგადაცემების პროგრამებზე.

მეცნიერული აღმოჩენები ინტელექტუალური საკუთრების ამ ორი სფეროდან არც ერთს არ მიეკუთვნება. არსებობს აზრი, რომ მეცნიერული აღმოჩენები საერთოდ არ უნდა ფიგურირებდეს ინტელექტუალური საკუთრების ფორმათა შორის, ვინაიდან არც ერთი ეროვნული კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება არ ანიჭებს მეცნიერულ აღმოჩენებზე საკუთრების უფლებას, თუმცა, რა თქმა უნდა, საყოველთაოდაა მიჩნეული, რომ მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც, ისმო-ს განმარტებით, არის ბუნების იმ მოვლენების, თვისებების ან კანონების შეცნობა და აღიარება, რომლებიც ადრე არ იყო ცნობილი, წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის ფუნდამენტს, რომლის საფუძველზეც ხდება მეცნიერების შემდგომი განვითარება და პიონერული გამოგონებების შექმნა.

საკუთრების ნებისმიერი სხვა უფლების მსგავსად, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებები შემოქმედს ან პატენტის, სასაქონლო ნიშნის თუ საავტორო უფლების მფლობელს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს სარგებელი საკუთარი ნაშრომიდან ან ინვესტიციიდან. ამ უფლებათა ძირითადი პრინციპები მოცემულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოების ავტორობიდან გამომდინარე არაქონებრივი და ქონებრივი ინტერესების დაცვით სარგებლის მიღების უფლება.

ინტელექტუალურ საკუთრებას ხელშეწყობა და დაცვა სჭირდება, რაზედაც არსებობს უტყუარი არგუმენტები:

- კაცობრიობის პროგრესი და კეთილდღეობა სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მრეწველობაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვასა და კულტურის სფეროში განხორციელებულ შემოქმედებით სიახლეებთან;
- გონებრივ შრომით პროდუქციაზე უფლებების დაცვის სამართლებრივი სისტემის შექმნა ხელს უწყობს დამატებითი რესურსების გამოვლენას და სტიმულს აძლევს შემდგომ ინოვაციებს;
- ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა და მათი განხორციელებისათვის ხელშეწყობა აჩქარებს ეკონომიკური განვითარების პროცესს, ქმნის მრეწველობის ახალ დარგებსა და სამუშაო ადგილებს, აუმჯობესებს ცხოვრების პირობების ხარისხსა და დონეს.

საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების დაცვით მიღებული სარგებელი, რაც მრავალი გამოკვლევების შედეგად დადგინდა. თანამედროვე წამლების თითქმის ორი მესამედი არ შეიქმნებოდა საპატენტო დაცვის გარანტიის გარეშე, რამაც შესაძლებელი გახადა შემოსავლის მიღება კვლევების დასაფინანსებლად; მრავალი მილიარდი დოლარის ღირებულების

ფილმები, აუდიო-ვიდეოჩანაწერები, მრავალფეროვანი პუბლიკაციები, კომპიუტერული პროგრამები და სხვ., რაც სიამოვნებას ანიჭებს მილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში, არ იარსებებდა მათი საავტორო უფლებით დაცვის გარეშე; მომხმარებელს არ ექნებოდა საშუალება გაბედულად ეყიდა ნაწარმი ან მიეღო მისთვის სასურველი მომსახურება სასაქონლო ნიშანზე უფლებების საიმედო დაცვისა და ამ უფლებათა განხორციელების უზრუნველყოფის გარეშე, რაც კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების შექმნის საფუძველია.

წარმოგიდგენთ საავტორო უფლებების ზოგად მიმოხილვას და მისი გავრცელების სფეროებს. საავტორო უფლებები არის იმ უფლებათა ერთობლიობა, რომელიც წარმოეშვება ავტორს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე. საავტორო უფლებები ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად მათი ხარისხის, ჟანრის, მოცულობის, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. საავტორო უფლების ობიექტებია:

- ლიტერატურული ნაწარმოებები: წიგნები, ბროშურები, სტატიები, კომპიუტერული პროგრამები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები;
- დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები;
- ქორეოგრაფიის, პანტომიმის და სხვა სასცენო ნაწარმოებები;
- მუსიკალური ნაწარმოებები ტექსტით ან უტექსტოდ;
- აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოებები;
- სკულპტურის, ფერწერის, გრაფიკის, ლითოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა მსგავსი ნაწარმოებები;
- დეკორატიული-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებები;
- არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის და საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოებები;
- ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებები;
- რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოგრაფიას, ტოპოგრაფიას ან სხვა დარგებს;
- გადამუშავებული ნაწარმოებები: თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პწკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და სხვაგვარი გადამუშავება;
- შედგენილი ნაწარმოებები: კრებული (ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა) და სხვა ნაწარმოებები, რომელიც მასალის შერჩევისა

და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია; სხვა ნაწარმოებები.

საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა მისი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა (მაგ.: ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, ნოტები, ჩანაწერი, ნაწარმოების საჯაროდ წარმოთქმა (დეკლამირება) და სხვ.). საავტორო უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელი არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობების დაცვა. პირი, რომელიც ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე სათანადო წესითაა აღნიშნული, როგორც ავტორი, მიიჩნევა ამ ნაწარმოების ავტორად, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ იქნება დასაბუთებული.

ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში, საქართველოს კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის სურვილის შემთხვევაში, ითვალისწინებს ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის საქპატენტში დეპონირების შესაძლებლობას. დეპონირების შედეგად საქპატენტის მიერ გაიცემა 7 მოწმობა, რომელიც არ წარმოშობს საავტორო უფლებებს და ადასტურებს მხოლოდ საქპატენტში წარდგენის თარიღისთვის ნაწარმოების ობიექტური ფორმით (ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, ნოტები, ჩანაწერი და სხვ.) არსებობის ფაქტს. დეპონირებისას განმცხადებელმა არ უნდა დაარღვიოს სხვა პირთა საავტორო ან სხვა უფლებები. ამასთან, საქპატენტში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია თავად განმცხადებელი. დეპონირებულ ნაწარმოებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯარო შეიძლება გახდეს მხოლოდ თავად განმცხადებლის მოთხოვნით.

ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მფლობელია ნაწარმოების ავტორი. ნაწარმოების სახეობის შესაბამისად, ავტორი შეიძლება იყოს მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი, არქიტექტორი და სხვ. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში, ავტორებად მიიჩნევიან დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორი ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებისა, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისთვის. ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივი ინტელექტუალურ- შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლებები ერთობლივად ეკუთვნით თანაავტორებს.

ავტორს აქვს პირადი არაქონებრივი და ქონებრივი უფლებები. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია: აღიარებულ იქნეს ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან/და ნებისმიერი სახით გამოყენებისას, სათანადო წესით, ავტორის სახელის მითითების მოთხოვნის უფლების 9 ჩათვლით (ავტორობის უფლება);

მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს მისი მითითება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე ან ნებისმიერი სახით გამოყენებისას, აგრეთვე, უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე (სახელის უფლება); განსაზღვროს როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი; ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება); დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯების ან სხვაგვარი ხელყოფისგან, რამაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია (რეპუტაციის პატივისცემის უფლება); ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ მის ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვ.); საჯაროდ მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა ნაწარმოების გამოხმობის უფლება). პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ქონებრივი უფლებების დათმობის შემთხვევაშიც. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება დაუშვებელია.

ავტორის ქონებრივი უფლებებია: ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც გულისხმობს მის უფლებას განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს:

- ნაწარმოების რეპროდუცირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის გადაბეჭდვის ან ასლის გადაღების გზით, მაგნიტური ფირის გამოყენებით, ციფრული ფორმით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (რეპროდუცირების უფლება);
- ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელება გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება). ავტორის მიერ ან მისი ნებართვით კომერციული მიზნით ნაწარმოების ორგიგინალის ან ასლების საქართველოში პირველი გაყიდვით ამოიწურება ნაწარმოების საქართველოს ფარგლებში შემდგომი გავრცელების უფლება;
- ნაწარმოების ასლების იმპორტირება გაყიდვის ან გაქირავების ანდა საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის მიზნით, იმ ასლების ჩათვლით, რომლებიც დამზადებულია ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობით (იმპორტის უფლება);
- ნაწარმოების საჯარო ჩვენება (მაგ.: ნახატის ან ფოტოს დემონსტრირება);
- ნაწარმოების საჯარო შესრულება მათ შორის, ნაწარმოების საზოგადოებისთვის გაცნობა უშუალოდ დეკლამაციის, სიმღერის, ცეკვის

ან სხვა სახით (ცოცხალი 11 შესრულება), ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით). ამასთან, საჯარო შესრულებად არ ჩაითვლება შესრულება, თუ ის ხორციელდება ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეში ;

- ნაწარმოების საჯარო გადაცემა, კერძოდ, გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა რადიო- ან ტელეეთერში, კაბელით ან იტერნეტით;
- ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);
- ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება);
- ნაწარმოების ორიგინალის ან ასლის გაქირავება ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა.

გარდა ამისა, ავტორს ან განსაკუთრებული უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს ჰონორარი მისი ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის. პირადი არაქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული ანუ ქონებრივი უფლებები ავტორის გარდაცვალების შემდეგ გადადის მის მემკვიდრეებზე. ეს უფლებები შეიძლება გადაეცეს სხვა უფლებამონაცვლესაც (ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი)

კომპიუტერული პროგრამის ავტორს უფლება აქვს განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს მისი პროგრამის რეპროდუცირება, ანუ ჩატვირთვა, ჩვენება, შენახვა; პროგრამირების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა, ადაპტირება, სისტემატიზაცია და სხვ. მონაცემთა ბაზის ავტორს შეუძლია განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს მონაცემთა ბაზის დროებით ან მუდმივად რეპროდუცირება, მთლიანად ან ნაწილობრივ თარგმნა, ადაპტირება, სისტემატიზაცია, ნების მიერი გადაცემა, ჩვენება ან შესრულება საზოგადოების წინაშე, დიალოგური თუ პირდაპირი ტრანსლაციის ჩათვლით. ამასთან, დაიცვება იმ მეორე ტიპის მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები, რომელიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს, ვინაიდან მან გაიღო მნიშვნელოვანი ხარჯი მასალების მოპოვებაში, შემოწმებაში, გადამუშავებასა და სისტემატიზაციაში. კანონით დადგენილია შეზღუდვები და გამონაკლისები ავტორის ქონებრივი უფლებებიდან. კერძოდ: დაშვებულია ნაწარმოების რეპროდუცირება მხოლოდ პირადი სარგებლობის მიზნით, ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, გარდა:

- არქიტექტურული ნაწარმოების ნაგებობის ფორმით რეპროდუცირებისა;
- წიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროგრაფირებისა;
- აუდიოვიზუალური ნაწარმოების, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჰონორარს იხდიან რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობების (აუდიო და ვიდეო აპარატურა და სხვ.) და მატერიალურ მატარებელთა (ფირი, კასეტა, კომპაქტფირფიტა და სხვ.)მწარმოებლები და იმპორტიორები. ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე დაშვებულია:

- ბიბლიოთეკებისა და არქივების მიერ ერთეულ ასლად განადგურებული, დაკარგული ან სარგებლობისთვის გამოუსადეგარი ეგზემპლარის რეპროდუცირება მოგების მიუღებლად; ფიზიკურ პირთა მოთხოვნით ცალკეული სტატიებისა და სხვა მცირე ნაწარმოებების მოკლე ნაწყვეტების რეპროგრაფია სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით;
- ნაწარმოების ციტირება ან ილუსტრაციის სახით გამოცემებში გამოყენება სამეცნიერო, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის;
- მიმდინარე საკითხებზე პერიოდულ გამოცემებში უკვე გამოცემული სტატიების რეპროდუცირება ჟურნალგაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა, თუ ეს პირდაპირ არ არის აკრძალული;
- მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა საინფორმაციო მიზნით;
- საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, ლექციის, მიმართვის, ქადაგების, სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვის რეპროდუცირება ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მიერ ან საინფორმაციო მიზნით საჯარო გადაცემა;
- თავისუფალი დასწრების ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული არქიტექტურული, ფოტოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაწარმოების გამოსახულება ძირითად ობიექტს წარმოადგენს ან გამოიყენება მოგების მისაღებად;
- მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება ოფიციალური, სამგლოვიარო და რელიგიური ცერემონიების დროს;
- სასამართლო წარმოებისთვის;
- ეთერში გადაცემული იმ ნაწარმოების ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისთვის, რომელზედაც მიღებულია გადაცემის უფლება, თუ ჩანაწერი დამზადდება საკუთარი გადაცემისთვის და ჩანაწერი, გარდა დოკუმენტური კადრებისა, განა დგურდება ჩაწერიდან 6 თვეში.

ქონებრივი საავტორო უფლებები წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და 70 წელი მისი გარდაცვალებიდან; თუ ნაწარმოების გამოცემა ან საჯარო გაცნობა მოხდა ფსევდონიმით ან ანონიმურად, საავტორო უფლებები მოქმედებს ამ ფაქტის მართლზომიერად დადგომის დღიდან 70 წლის განმავლობაში; თანაავტორების ან აუდიოვიზუალური ნაწარმოების შემთხვევაში, საავტორო უფლებები მოქმედებს უკანასკნელი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში; ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება უვადოდ. საავტორო

უფლებების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ნაწარმოები შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა ჰონორარის გადახდის გარეშე.

ავტორს ან სხვა უფლებამფლობელს შეუძლია ქონებრივი უფლებების გაყიდვა ან სხვა ფორმით გასხვისება მთლიანად ან ნაწილობრივ. მასვე შეუძლია, აგრეთვე, დაუთმოს ნებისმიერ პირს ნაწარმოების გამოყენების უფლება, ანუ გასცეს განსაკუთრებული და ჩვეულებრივი ლიცენზია. ჩვეულებრივი ლიცენზიის დროს ავტორი ანიჭებს ლიცენზიატს ნაწარმოების გამოყენების უფლებას სალიცენზიო ხელშეკრულებით განსაზღვრული სახით და ვადით. ამავე დროს, ავტორი ინარჩუნებს უფლებას გასცეს ასეთივე ლიცენზიები სხვა პირებზეც. განსაკუთრებული ლიცენზიის შემთხვევაში მხოლოდ ლიცენზიატი იღებს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელ შეკრულებით განსაზღვრული სახით და ვადით. ხოლო ავტორს აღარ შეუძლია გასცეს ახალი ლიცენზია სხვა პირებზე. ამასთან, ლიცენზიატი უფლებამოსილი ხდება, ნება დართოს ან აუკრძალოს ნებისმიერ პირს (მათ შორის თავად ავტორსაც) ნაწარმოების გამოყენება.

საავტორო უფლებებით დაცვის ობიექტებს არ მიეკუთვნება: იდეები, მეთოდები, პროცესები, სისტემები, საშუალებები, კონცეფციები, პრინციპები, აღმოჩენები და ფაქტები, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, ახსნილია, აღწერილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში. საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაიცვება იდეის გამოხატვის მხოლოდ ფორმა და არა თვით იდეა. საავტორო უფლებები არ ვრცელდება:

- ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები) და მათ ოფიციალურ თარგმანებზე;
- სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);
- ასევე, დაცვას არ ექვემდებარება ინფორმაცია ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ IT უსაფრთხოებას თეორიულად 1999 წელს საავტორო უფლებების შესახებ მიღებული კანონი ამაგრებს, მეკობრეობის უკიდურესად მაღალი მაჩვენებელი მოწმობს, რომ კანონის აღსრულებაში პრობლემებია. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ IT სფეროს ეფექტიანი განვითარებისთვის ცალკეული პირების ან თუნდაც ორგანიზაციების გაბრძოლება ხშირად საკმარისი არაა.

საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტია, ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა, რასაც რამდენიმე ლოგიკური მიზეზი აქვს:

1. საქართველოს IT ბაზრის მეკობრული მაჩვენებელი უკიდურესად მაღალია - უკანასკნელი მონაცემებით ის 90 %-ზე მეტია. სხვა სიტყვებით, 10

პროგრამული უზრუნველყოფის ერთეულიდან, რომელიც ქვეყანაშია ინსტალირებული, 9 არალეგალურია.

2. IT სპეციალისტები განათლებას ან უცხოეთში იღებენ და სამუშაოდაც იქვე რჩებიან, ან საქართველოში მიღებულ ცოდნას, რომელმაც სამომავლოდ ამ სფეროს განვითარება უნდა უზრუნველყოს, ბაზრის სიმწირისა და კონკურენტუუნარობის გათვალისწინებით, ისევ და ისევ ქვეყნის გარეთ თუ იყენებენ, რითაც, საბოლოო ჯამში, ისევ საქართველოს ეკონომიკა ზარალდება.
3. დეველოპერები არ წერენ პროგრამებს კომერციალიზაციის ინტერესით და არ ავითარებენ საკუთარ ბიზნესს ამ მიმართულებით იმის შიშით, რომ მათი ინტელექტულური საკუთრება არ იქნება დაცული.

თუ მეკობრეობის ამ მაჩვენებლით პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლების საერთო ეკონომიკურ დანაკარგს განვიხილავთ, მარტო საქართველოში ის ყოველწლიურად 50 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტს შეადგენს. აქედან 18% დღგ-ის სახით, რაც საკმაოდ სოლიდურ მაჩვენებელს აღწევს, სახელმწიფოს ოფიციალური დანაკარგია. ამას ემატება ისიც, რომ Microsoft-ის ბიზნესის განვითარება პირდაპირპროპორციულად აისახება მისი პარტნიორი ორგანიზაციების ბიზნესბრუნვაზე, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების მიხედვით, იმას მოწმობს, რომ Microsoft-ის ლიცენზიაში დახარჯული თითოეული დოლარით ქვეყანაში 5 დოლარამდე ღირებულების დოვლათი იქმნება.

ქვეყნებში, სადაც IT ინდუსტრია პრიორიტეტულია და მაღალ დონეზეა განვითარებული, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ სახელმწიფოს წინსვლაზე, განვითარებასა და მსოფლიოში ავტორიტეტის მოპოვებაზე აქვს პრეტენზია, ამისთვის გარკვეული ბერკეტებია საჭირო. IT სფერო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ. თუ სახელწიფოს აქვს ამბიცია, რომ საერთაშორისო პოლიტიკური, სამხედრო და სავაჭრო ორგანიზაციების ღირსეული წევრი გახდეს, ეს გზა გასავლელია. სანამ სახელმწიფო დონეზე არ გახდება საკითხი პრიორიტეტული, IT სექტორში გარდამტეხი ცვლილებების პროგნოზირება რთული და უტოპიურიც კია, რადგან არცერთ კერძო კომპანიას, იცროსოფტ-ის ჩათვლით, არა აქვს იმხელა ძალა და გავლენა, რომ ვინმეს კანონის დაცვა აიძულოს. არასაკმარისი ფინანსების მომიზეზება რეალურად საკითხის არაპრიორიტეტულობას ნიშნავს.

სახელმწიფო იღებს კონკრეტულ ბენეფიტებს ლეგალური სოფტის გამოყენების შემთხვევაში. მათ შორისაა:

- კიბერუსაფრთხოება ლეგალური პროგრამების გამოყენება აუცილებელი პირობაა კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელწიფო მასშტაბით.

- .ეკონომიკური განვითარება ლეგალური პროგრამების გამოყენება ამცირებს მეკობრეობის დონეს, რაც დადებითად მოქმედებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე და ხელს უწყობს გარე ინვესტიციების მოზიდვას.
- .საერთაშორისო პერსპექტივა ინტელექტუალი საკუთრების დაცვის საკითხი ერთ-ერთი კრიტიკული ბერკეტია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობისთვის.
- .დასაქმება IT სექტორის განვითარება მაღალანაზღაურებადი და პერსპექტიული სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა

1. დავით გაბუნია: სანმრეწველო საკუთრების დაცვა
2. ტიბორ მაქანი: საკუთრების უფლებისა და კაპიტალიზმის დასაცავად
3. ფრიდონ გოგიაშვილი, გოჩა ლეკვეიშვილი: კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საინჟინრო განათლების სასწავლო პროცესში
4. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“:
5. ინტელექტუალური საკუთრება, წიგნი I, თბილისი, 2001
6. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია
7. რომის კონვენცია, 1961 საერთაშორისო კონვენცია
8. Intellectual Property Licensing: Forms and Analysis, by Richard Raysman, Edward A. Pisacreta and Kenneth A. Adler. Law Journal Press
9. Intellectual Property Licensing: Forms and Analysis, by Richard Raysman, Edward A. Pisacreta and Kenneth A. Adler. Law Journal Press, ISBN 973-58852-086-9

რეზიუმე

ინტელექტუალური პოტენციალი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები

მანანა მაღრაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

მაიორი კახაბერ ყავლაშვილი. ეროვნული თავდაცვის აკადემია

თანამედროვე მსოფლიოში ის ქვეყნები და ერები არიან მოწინავენი, რომლებსაც ახალი იდეებისა და ცოდნის, რევოლუციური აღმოჩენებისა და ტექ-ნოლოგიური მიღწევების გენერირება და რეალიზება შეუძლიათ. ინტელექტუალური პოტენციალი გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში, იგი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია პოლიტიკური გავლენის მოპოვების თვალსაზრისითაც. აღნიშნულმა პირდაპირი გამოხატულება ჰპოვა იმ ტენდენციებსა და პროცესებში, რომლებიც დაკავშირებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური მექანიზმების თვისობრივად ახალ დონეზე ფორმირებასა და განვითარებასთან, როგორც

გლობალურ, ისე რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. საქართველოში ერთ-ერთ პრიორიტეტად ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება იქნა მიჩნეული, რამაც ასახვა პოვა როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ისე ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიღებაში.

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კანონმდებლობის არსებობის მიუხედავად კანონის აღსრულების ხარისხი დაბალია. ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეფექტური განხორციელება ძირეულად უკავშირდება ამ სფეროში არსებული ცოდნისა და გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, საზოგადოების მზადყოფნას გაითავისოს და სამოქმედოდ აქციოს შესაბამისი პრინციპები და მექანიზმები. მიუხედავად ამისა, არსებობს უამრავი პრობლემები ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით.

Abstract

Intellectual Potential and Intellectual Property Protection Issues

Manana Maghradze. National Defence Academy of Georgia. Professor

Major Kavlashvili Kakhaber. National Defence Academy of Georgia.

Countries and nations which want generation and realization of new ideas and knowledge, revolutionary discoveries and technological achievements are successful in nowadays world. The intellectual potential plays a decisive role in the field of economic, social and cultural development of a country, as well as it is a factor of greatest importance from the standpoint of political influence. It is directly depicted in those trends and processes which are connected to formation and development of legal and institutional mechanisms of intellectual property protection on a new level, on global as well as regional and national level. Formation of national system for intellectual property protection was deemed one of the priorities in Georgia, which was adopted in the Georgian constitution as well as in regulative special legislative acts of the intellectual property field.

Degree of law execution in the intellectual property field in spite of legislation is low in Georgia. Effective implementation of intellectual property protection in a country is mostly connected to the wide spread existed knowledge and experience in this field and to readiness of society to grasp and carry out relevant principles and mechanisms. In spite of this, there are a lot of problems in regard with intellectual property protection.

მშენებლობის მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები

ირაკლი ქვარაია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ქუთათელაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი
თამაზ თავაძე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. დოქტორანტი

მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავარესი დარგია. მრავალი განვითარებული ქვეყანა თავის ეკონომიკურ სიძლიერეს ხშირად მშენებლობის მასშტაბებით და უნიკალური ობიექტების მშენებლობის განხორციელების საშუალებით გამოხატავს. ობიექტის სიდიდის მიუხედავად, სამშენებლო პროექტის წარმატებული განხორციელების ძირითადი პირობაა, კარგი მენეჯმენტი. სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში სამშენებლო ობიექტების დიდი უმრავლესობის მშენებლობა არასათანადო წინასწარი მომზადებისა და არასაკმარისი ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს. შედეგად სამშენებლო სამუშაოების წარმოების ვადები გაუმართლებლად ჭიანურდება და მათი შესრულების ხარისხიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნების დონეს. ბევრია დაუმთავრებელი ობიექტების რიცხვი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ბინათმშენებლობაში. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე ათას ადამიანს წინასწარ აქვს საკუთარი ბინის ღირებულება გადახდილი, რომელთა მშენებლობა რამდენიმე წლის წინ უნდა დასრულებულიყო, მრავალ სამშენებლო კომპანიას დღესაც არ აქვს გარკვეული რა სახსრებით და რა ვადებში მოხდება ამ მობინადრეების დაკმაყოფილება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან შეუძლებელია აქტიური ჩარევა კერძო ინვესტიციების განხორციელებაში, მაგრამ გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესი.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, საქართველოში მშენებლობა დიდ მასშტაბებს მოიცავდა. რესპუბლიკის ყველა კუთხეში მიმდინარეობდა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. დაპროექტების სტადიიდან ობიექტის სრულ დამთავრებამდე სამუშაოების წარმოება სახელმწიფოს სრული კონტროლის ქვეშ ხორციელდებოდა და მის წარმართვას თავიდან ბოლომდე სახელმწიფო სტრუქტურები უზრუნველყოფდნენ. სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობისათვის მზადდებოდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გამოიყოფოდა საბიუჯეტო სახსრები, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისათვის ხდებოდა შესაბამისი სამშენებლო ორგანიზაციის შერჩვა და უშუალოდ სამუშაოთა მიმდინარეობას სათანადო ზედამხედველობას უწევდნენ შესაბამისი სამსახურები. ამჟამად სახელმწიფო იშვიათი გამონაკლისის გარდა აღარ ერევა სამშენებლო პროცესებში. აღნიშნულმა დამოკიდებულებამ სრულიად საპირისპირო ხასიათი შეიძინა. მშენებლობის მენეჯმენტის განხორციელება, როგორც წესი მთლიანად ინვესტორზე არის დამოკიდებული. იგი წყვეტს საპროექტო და სამშენებლო საკითხებს, ირჩევს სამშენებლო კომპანიას და მშენებლობის მონიტორინგსაც

თვითონ ატარებს. მშენებლობის სფეროში მომხდარი აღნიშნული რადიკალური ცვლილებების ფონზე სახელმწიფოს მხრიდან მშენებლობისადმი კონტროლი იმდენად შემცირდა, რომ სამშენებლოს პროფილის ადრე არსებული ოცამდე სამინისტროსა და მსხვილი უწყების ნაცვლად, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში ერთად-ერთი მცირერიცხოვანი დეპარტამენტი ფუნქციონირებს. ხელისუფლების მიერ მშენებლობის საკითხებისადმი უყურადღებო დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, მრავალი მცდელობის მიუხედავად დღემდე არ არის დამტკიცებული ახალი სამშენებლო ნორმები და წესები. მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, ქვეყანაში არ შეიმჩნევა რაიმე ძვრები სამშენებლო საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოსაქცევად. ამგვარი შეუზღუდაობის პირობებში, განსაკუთრებით დახვეწას მოითხოვს კერძო ინვესტიციებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მენეჯმენტი, რომელიც მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოყვანილია მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი ოთხი ძირითადი ფუნქციის (დაგეგმვა, ორგანიზაცია, მართვა, კონტროლი) შესრულება საქართველოში მიმდინარე მშენებლობების მაგალითზე.

პირველი ფუნქცია – დაგეგმვა, ხშირად ძალიან არაპროფესიულ დონეზე ხორციელდება და წარმატებული მენეჯმენტის განხორციელებას თავიდანვე დიდ საფრთხეს ქმნის. იგი მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას უკავშირდება. კერძო ინვესტორი საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე ირჩევს პროექტის ავტორს და უშუალოდ მას აძლევს საპროექტო დავალებას. არქიტექტურული ნაწილის დამუშავებისა და დამკვეთთან შეთანხმების შემდეგ ხდება პროექტის კონსტრუქციული ნაწილის გადაწყვეტა და საჭირო გაანგარიშების საფუძველზე გაიცემა ტექნიკური დოკუმენტაცია. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სირთულე, როგორც წესი სწორედ დამთავრებული, ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების მიერ დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენებასთან არის დაკავშირებული, რადგანაც ხშირად ხდება დამკვეთის მოთხოვნებიდან გამომდინარე მისი შეცვლა და მთელ რიგ შემთხვევებში დასრულებული მშენებლობა სრულიად განსხვავდება პროექტის ავტორის მიერ ჩაფიქრებული თავდაპირველი არქიტექტურული სახისაგან. უცხოეთის ქვეყნებში მსგავსი ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია, რადგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას კანონის ძალა აქვს და ნებისმიერი მცირედი ცვლილებაც კი რთული პროცედურების გავლასთან არის დაკავშირებული. საქართველოში ინვესტიციების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან, ასეთ დათმობებზე ყოველ ნაბიჯზე ხდება წასვლა, რაც ბევრ გაუგებრობებს იწვევს. მსგავს ცვლილებებს ყოველთვის ეწინააღმდეგებიან პროექტის ავტორები, მაგრამ დამკვეთები საკუთარი პრივლეგირებული მდგომარეობით სარგებლობენ და

ფაქტიურად ბოლოს თვითონ ხდებიან „პროექტის ავტორები“, რადგანაც აუცილებლად მათი მითითების შესაბამისად უნდა მოხდეს ყველა საპროექტო საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. დამკვეთს გააჩნია საკუთარი სურვილების განხორციელებისაათვის საჭირო ბერკეტების გამოყენების საშუალება, რასაც ვერ ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო ორგანოები. არსებული მდგომარეობის გამოსწორებისათვის და მშენებლობის დაგეგმვის ეტაპის წარმატებული გავლისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი დათმობების ფაქტების აღმოფხვრა, ხოლო დამკვეთი მინიმუმ პროფესიონალურ ეთიკას მაინც უნდა იცავდეს და უხეშად არ უნდა ერეოდეს პროექტის ავტორების ფუნქციებში.

მეორე ფუნქცია – ორგანიზება, მშენებლობაში მთლიანად დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულების ორგანიზაციის პროექტისა და სამუშაოთა წარმოების პროექტის შედგენასთან, რასაც საქართველოს პირობებში ამჟამად არანაირი ყურადღება არ ექცევა. ადრეულ წლებში აღნიშნული პროექტების არსებობის გარეშე დაუშვებელი იყო მშენებლობის წარმოება. ასევე მკაცრი მოთხოვნებია მათ შედგენაზე და სამუშაოთა გრაფიკის დაცვაზე უცხოეთის ქვეყნებში. საქართველოში, კერძო ინვესტიციების განხორციელების პირობებში ადგილი აქვს ძირითადად დამკვეთისათვის სასურველი სამშენებლო კომპანიის შერჩევას. ხშირად დამკვეთის სუბიექტური თუ ობიექტური მოსაზრებიდან გამომდინარე ხდება ისეთი მოიჯარადე ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმება, რომელსაც სათანადო გამოცდილება არ გააჩნია და მშენებლობის დაწყებიდან, დამთავრებამდე უამრავი სირთულეები წარმოიშვება. მაგალითად, ყველაზე ხშირად ახალი მშენებლობების წარმოება დიდ უსიამოვნობებთან არის დაკავშირებული ქალაქების ცენტრალურ, განაშენიანებულ უბნებში. ასეთ შემთხვევებში პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიების გამაგრება, რათა არ მოხდეს მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობების დაზიანება. გამოცდილი და კარგად ორგანიზებული სამშენებლო კომპანია ზედმეტი გართულებების გარეშე ახერხებს არსებული ვითარებიდან გამოსვლას. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის და სამუშაოთა წარმოების პროექტის არ არსებობის პირობებში გართულებულია ასევე მიწის სამუშაოების შესრულება. ქვაბულის კედლების სათანადო გამაგრების გარეშე დამუშავებისას საფრთხე ექმნება არ მხოლოდ გარშემო მდებარე ნაგებობებს, არამედ დიდი სირთულეები იქმნება თვით ქვაბულის შიგნით მუშაობის პროცესში. ქვაბულის კედლების გასამაგრებლად ამჟამად გამოყენებული კონსტრუქციული სისტემები დიდ ადგილს იკავებენ და ძალიან ზღუდავენ მუშაობის საშუალებას. მოწინავე სამშენებლო კომპანიები დიდი ხანია წარმატებით იყენებენ ქვაბულის კედლების გასამაგრებლად ანკერული სისტემებს. მათი საშუალებით ხდება გრუნტის ზედაპირული ფენების ჩამაგრება მყარ ფენებში და ქვაბული სრულიად თავისუფლდება ხელისშემშლელი ელემენტებისაგან. აღნიშნული ანკერების კიდევ უფრო სრულყოფისათვის საინტერესო სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს

ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც მიმდინარეობს კვლევები ამოსაღები ანკერების გამოყენების მიზნით. მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ მშენებლობის ყველა ეტაპზე არის შესაძლებელი სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და დიდი წარმატებით განხორციელება. ამისათვის საჭიროა ისეთი სამშენებლო კომპანიის შერჩევა, რომელიც წარმოადგენს სრულფასოვან სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტს და საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე დაამუშავებს სამუშაოთა წარმოების კარგად გააზრებულ პროექტს. ნამდვილად გაუმართლებელია კერძო ინვესტორების მიერ მშენებლობის გაიაფების და საკუთარი მოგების უზრუნველყოფის მიზნით მშენებლობებზე ისეთი კომპანიების დასაქმება, რომლებიც კონტრაქტის გაფორმების უზრუნველყოფის მიზნით ძალიან ამცირებენ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას. ასეთი მიდგომა ხელს უშლის მენეჯმენტის სწორად წარმართვას.

სამშენებლო პროცესების მართვის განხორციელებას, როგორც წესი, კერძო ინვესტიციების პირობებში, ისევ დამკვეთი აწარმოებს. დამკვეთის ჩარევა მართვის პროცესში, ისევ და ისევ კერძო ინტერესებიდან გამომდინარეობს და დასახული სამუშაოების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით შესრულებას გულისხმობს. ამგვარი მიდგომა მთლიანად საფრთხის წინაშე აყენებს არსებული პროექტის სრულფასოვან განხორციელებას. დამკვეთი ცდილობს ცალკეული ოპერაციების გაიაფების ხარჯზე როგორმე შეამციროს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება, ხოლო უშუალო შემსრულებელი ამას აღწევს მხოლოდ სამუშაოთა შესარულების ხარისხის შემცირებით და იაფფასიანი მასალების გამოყენებით. გარდა ამისა, ჩნდება დამკვეთსა და შემსრულებელს შორის უნდობლობის პრობლემა. ამ დროს დამკვეთი ფიქრობს, რომ მშენებელი საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით თავაზობს დამკვეთს მაღალხარისხოვანი მასალების და შესაბამისად კვალიფიცირებული მუშახელის გამოყენებას. სწორედ ამიტომ, დამკვეთის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურები ხშირად უსაფუძლოდ უპრისპირდებიან უშუალო შემსრულებლებს. ხელმძღვანელობის წინაშე ყველაზე კეთილისმსურველებად საკუთარი თავის წარმოჩენისსათვის ასეთი თანამშრომლები ხშირად ბლოკავენ უშუალო შემსრულებლების წინადადებებსა და ინიციატივებს. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში მსგავსი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, მართვის პროცესი ისე არის ორგანიზებული, რომ დამკვეთსა და მშენებელს შორის წინასწარ ხდება არსებული პროექტიდან გამომდინარე, ზუსტად გაანგარიშებული მოცულობების მიხედვით გარიგება ერთი კვადრატული მეტრის შენობის აგების ღირებულებაზე ან ერთი კუბური მეტრი ბეტონის სამუშაოების შესრულებაზე, რომელიც შემდგომ არ შეიცვლება. ამავე მოლაპარაკებით წინასწარ არის განსაზღვრული მასალების და შესრულების ხარისხიც. ამგვარი მიდგომა მოსახერხებელს ხდის მართვის პროცესს და გამორიცხავს მშენებლობისათვის დამახასიათებელ ერთმანეთის უნდობლობის ფაქტორს. ასეთი შემთხვევებში მინიმუმამდე მცირდება საპროექტო

დოკუმენტაციის გადაკეთების შესაძლებლობები და მართვის პროცესი წინასწარშეთანხმებული ვადებისა და შესრულების ხარისხის უზრუნველყოფამდე დადის.

წარმატებული მენეჯმენტის განხორციელებისათვის ანუ საბოლოო შედეგის მისაღწევად, ყველაზე მნიშვნელოვანია სამუშაოების შესრულების კონტროლის შესაბამის დონეზე განხორციელება. სისტემატიური კონტროლისა და მონიტორინგის გარეშე შეუძლებელია მართვის პროცესის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის ზედამხედველობას სოციალისტური ეკონომიკის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. უკლებლივ ყველა სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოადგილე მხოლოდ სამშენებლო საკითხებით იყო დაკავებული და მის დაქვემდებარებაში შედიოდა კაპიტალური მშენებლობის სამსახურები, ხშირად საპროექტო და მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები. ასეთი სტრუქტურა საშუალებას იძლეოდა შესაბამისი დარგის მშენებლობებისათვის სათანადო ზედამხედველობა გაეწიათ აღნიშნული სამსახურების წარმომადგენლებს და ზუსტად არსებული პროექტის მიხედვით შესრულებულიყო ყველა წინასწარგათვალისწინებული სამუშაო. მაგალითად, განათლების სამინისტროს სამშენებლო სამსახურები აკონტროლებდნენ სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობებს, ჯანდაცვის სამინისტროს რგოლები - საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობას, მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო დანაყოფი ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობას უწევდა ზედამხედველობას, სოფლის მეურნეობის სამინისტროსი – სასოფლო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას და ასე შემდეგ. უკანასკნელ დრომდე, კერძო ინვესტიციებით განხორციელებული მთელი რიგი ობიექტების მშენებლობებზე არ ხორციელდება სათანადო ზედამხედველობა და მშენებლობის მიმდინარეობა მხოლოდ შემთხვევიდან-შემთხვევამდე კონტროლდება. ასეთი მიდგომა განპირობებული იყო დამკვეთების დიდი ნაწილის მიერ ზედამხედველობისთვის განკუთვნილი სახსრების დაზოგვით. უფრო მეტიც, ხშირად მშენებლობებზე არ არის დაცული შრომის ელემენტარული უსაფრთხოების ნორმები, რაც ბევრ შემთხვევაში ასევე დამკვეთის მიერ ამ მიზნებისათვის საჭირო თანხების გამოყოფისაგან თავის არიდებით არის გამოწვეული. მშენებლობის ზედამხედველობის გაუმჯობესების თვალსაზრისით ამ ბოლო დროს გარკვეული ძვრები შეიმჩნევა. იგი გამოწვეულია უცხოელი ინვესტორების მიერ საქართველოში განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის დროს ზედამხედველობის საკითხების მაღალ დონეზე შესრულებით, რომლებიც არ ერიდებოდნენ ერთ ობიექტზე, ზედამხედველობის ფუნქციების შესასრულებლად რამდენიმე ადამიანის გამოყოფას. აქედან გამომდინარე, ადგილობრივმა ინვესტორებმაც დაიწყეს ამ საკითხებისადმი ყურადღების მიქცევა. წინდახედული ინვესტორები უკვე ცდილობენ მშენებლობის ზედამხედველობის საფუძვლიან გაწევას და

შესაბამისად გაჩდა დასაქმების ბაზარზე მოთხოვნილება მშენებლობების ზედამხედველობის გასაწევად სპეციალური სამსახურების ჩამოყალიბებაზე.

ამრიგად, საქართველოში მშენებლობის სფეროს არასათანადო საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში, სერიოზული პრობლემები წარმოიშვება სამშენებლო სამუშაოების მენეჯმენტშიც. სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი მოთხოვნების არ არსებობის გამო, კერძო ინვესტორები მაღალმწარმოებლურობის მისაღწევად აქცენტირებას აკეთებენ გამოყენებული რესურსების ყაირათიანობაზე, ხოლო ნაკლები ყურადღებას უთმობენ შესრულებული სამუშაოების ეფექტურობას (ხარისხი, მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების დონე და სხვ.).

ლიტერატურა

1. ი.ქვარაია, თ.თავაძე. ქვაბულის გამაგრების და დამუშავების პრობლემები მჭიდროდ განაშენიანებულ ადგილებში. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი "მშენებლობა". 4(23), 2011. გვ. 49-52
2. ი.ქვარაია, ქ.ქუთათელაძე. მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები მშენებლობაში ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციის საშუალებით. ქუთაისის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები, რეალობა და პერსპექტივები". შრომების კრებული, ქუთაისი, 20-22 ოქტომბერი, 2012 წელი. გვ. 164-167
3. ი.ქვარაია, ქ. ქუთათელაძე, ე.მალანია. საქართველოში სამშენებლო ინვესტიციების განხორციელების დროს გასათვალისწინებელი ზოგიერთი საკითხები. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №4, თბილისი, 2012 წელი. გვ. 35-40/
4. ქ.ქუთათელაძე, ი.ქვარაია. წარმოების ორგანიზაციული პროექტირება ტექნოლოგიური ინოვაციის განხორციელების დროს. აკადემიკოს თ.ლოლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "ინოვაციური ტექნოლოგიები და მასალები". თბილისი, 2011 წლის 24-27 ოქტომბერი. გვ. 112-116

რეზიუმე

მშენებლობის მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები

ირაკლი ქვარაია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ქუთათელაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

თამაზ თავაძე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. დოქტორანტი

საქართველოში სამშენებლო სფეროს სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. ხელისუფლების მხრიდან სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვის მიმართ არასათანადო

მომთხოვნელობის გამო, საშენებლო პროცესები ქვეყანაში სერიოზული დარღვევებით ხორციელდება. განსაკუთრებით დიდი თავისუფლება აქვთ მინიჭებული სამშენებლო საქმიანობის წარმოების დროს კერძო ინვესტორებს, რის გამოც მშენებლობის მენეჯმენტი მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება. ისინი, როგორც წესი, მაღალმწარმოებლურობის მისაღწევად აქცენტირებას აკეთებენ გამოყენებული რესურსების ყაირათიანობაზე, ხოლო ნაკლები ყურადღებას უთმობენ შესრულებული სამუშაოების ეფექტურობას (ხარისხი, მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების დონე და სხვ.), რაც გამოსწორებას მოითხოვს.

Abstract

WAYS OFIMPROVING CONSTRUCTION MANAGEMENT

Irakli Kvaraia. Georgian Technical University. Professor

Ketevan Kutateladze. National Defence Academy of Georgia, Professor

Tamaz Tavadze. Georgian Technical University. PhD student

In order to properly improve construction area in Georgia, it is necessary to have a corresponding legal framework. Improper requirements for obeying construction norms and regulations from the government’s side cause the construction processes to be carried out with serious violations in the country. Particularly a lot of freedomis granted to private investors during the construction activities, whose management is characterized by a series of errors. Usually, in order to achieve high productivity, they accentuate the expediency of unused resources, and pay less attention to the effectiveness of work (Quality, level of customer demand satisfaction, etc.), which requires improvement.

ნახევრად ხისტი ფენილების კონსტრუირება

ალექსი ბუდულაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

ნახევრად ხისტი (კომპოზიციური) ფენილი წარმოადგენს ხისტი და არახისტი ელემენტებით შექმნილ საგზაო სამოსს. მისი სტრუქტურული თავისებურება განპირობებულია იმით, რომ ბიტუმის შემცველი არახისტი ფენილის ტანში ჩართულია ცემენტის შემცველი ხისტი ელემენტები, რომლებიც ასრულებენ ერთგვარი ჩონჩხის როლს და კარგად ეწინააღმდეგებიან ჰორიზონტალურ ძალებს. ხისტი ელემენტების ჩართვა შესაძლებელია როგორც ასფალტბეტონის, ისე შავი ღორღის ფენაში.

ასფალტბეტონისა და ცემენტბეტონის ფაზებს შორის კავშირი განხორციელებულია ბიტუმის აფსკების საშუალებით. ცემენტქვიშის ხისტი ფაზა უზრუნველყოფს ღორღის მარცვლებს შორის კონტაქტური ძაბვების გათანაბრებას, რაც ნათლად ჩანს ნახაზზე 1 წარმოდგენილ ფრაგმენტზე.



ნახ.1. არახისტი და ნახევრად ხისტი კომპოზიციური მასალების სტრუქტურის ფრაგმენტები

ა – ასფალტბეტონის სტრუქტურული ფრაგმენტი; ბ - კომპოზიციური მასალის სტრუქტურული ფრაგმენტი; 1 - შავი ღორღი; 2 - ქვიშის, მინერალური ფხვნილის და ბიტუმის ნარევი;
3 - ცემენტქვიშის ხსნარი; 4 - საკონტაქტო ძაბვების ეპიურა.

ნახევრად ხისტი ფენილი ავტომობილის თვლისაგან გადმოცემული ვერტიკალური ძალისაგან გამოწვეული ჩაღუნვის შემთხვევაში მუშაობს როგორც არახისტი (ასფალტბეტონის) ფენილი, ხოლო ჰორიზონტალური ძალებისაგან გამოწვეული ძვრის შემთხვევაში მუშაობს როგორც ხისტი (ცემენტბეტონის) ფენილი. ცხადია ასეთი ფენილი ხასიათდება ძვრისადმი მდგრადობით. ნახევრად ხისტ კომპოზიციურ ფენილში ყველაზე უფრო პლასტიკური მასა (ქვიშის, მინერალური ფხვნილისა და ბიტუმის ნარევი) შეცვლილია ცემენტქვიშის ხისტი-დრეკადი მასით. ასეთ ფენილზე მაღალი ტემპერატურეს გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც განაპირობებს მათ ფართო გამოყენებას ცხელი კლიმატის

პირობებში, მათ შორის აეროდრომების ასაფრენ-დასაჯდომი ზოლებისათვის. ნახევრად ხისტ კომპოზიციურ ფენილებში ბიტუმის აფსკები განაპირობებს ტემპერატურეს შემცირებით გამოწვეული შეკუმშვის საკომპენსაციო დეფორმირების უნარს [1].

ნახევრად ხისტი კომპოზიციური ფენილების პერსპექტიულობა განპირობებულია ერთის მხრივ მათი ძვრისადმი მდგრადობით, მეორეს მხრივ ბიტუმის მნიშვნელოვანი ეკონომიის შესაძლებლობით. გარდა ამისა ნახევრად ხისტი ფენილების კონსტრუირებისას ხისტი ელემენტების გაზრდილი ამტანურანიანობა შესაძლებელს ხდის ფართოდ გამოვიყენიოთ დაბალი სიმტკიცის ადგილობრივი ქვის მასალა.

მსოფლოს მრავალ წამყვან ქვეყანაში ნახევრად ხისტი ფენილები გამოიყენება ინტენსიური მოძრაობის მქონე ქუჩებზე, გზის გადაკვეთებზე, მოედნებზე, სამხედრო და სამოქალაქო ავიაციის ასაფრენ-დასაფრენ ზოლებზე და სხვ.

ბოლო წლებში საქართველოს საგზაო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის ცივი ფრეზირება, რომლის შედეგად მიღებული ასფალტბეტონის გრანულატის გამოყენებით შესაძლებელია აიგოს ნახევრად ხისტი კომპოზიციური ფენილი.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა ნახევრად ხისტ ფენილებში ძველი ასფალტბეტონის გამოყენების ეფექტურობა. ამ ტიპის საგზაო ფენილის ტექნიკურ-ეკონომიური უპირასობას განაპირობებს იაფფასიანი ძველი ასფალტის გამოყენების შესაძლებლობა, ტექნოლოგიური ცხელი პროცესების აცილება, დამატებითი ბიტუმისა და ღორღის საჭიროების მოხსნა, საამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ცივად წარმართვის შესაძლებლობა, ნებისმიერი კატეგორიის გზისა და ქალაქის ქუჩების ასფალტბეტონის ფენილების როგორც სარემონტო, ისე სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა ასფალტბეტონის ქარხნებთან დაკავშირების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ნახევრად ხისტი ფენილის დასამზადებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ, როგორც ფრეზირების, ასევე ძველი ასფალტის ნატეხების 10-40 მმ-ის ზომის მარცვლებად დაშლა-დახარისხების შედეგად მიღებული ასფალტბეტონის გრანულატი.

ნახევრად ხისტი ფენილის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი შეიძლება წარიმართოს შემდეგნაირად:

- ძველი ასფალტბეტონის გრანულატისაგან მოეწყოს მოეწყოს მინიმუმ 6-8 სმ სისქის დაუტკეპნავი ფენა;
- მასზე თხელ ფენად (2-3 სმ) გაიშალოს ცემენტქვიშის ხსნარი;
- ცემენტქვიშის ხსნარი ჩაიტკეპნოს ასფალტბეტონის გრანულატში საყოველთაოდ მიღებული ტექნოლოგიური მოწყობილობით.

ასეთნაირად შესაძლებელია მოეწყოს ფენილის როგორც ქვედა, ისე ზედა ფენა. ზედა ფენის მოწყობის შემთხვევაში ცემენტ-ქვიშის ხსნარს მიზანშეწონილია

დაემატოს წონის 2-4% ბიტუმის ემულსია.

საგზაო ფენილის ტექნიკური მაჩვენებლების გაზრდა შესაძლებელია მასზე ბიტუმის ემულსიის მოსხმით და დატკეპნით. შედეგად ფენილი დამატებით გაიჟღინთება ბლანტი ბიტუმის შემცველი ბიტუმის ემულსიით. ბიტუმის ემულსიიდან წყლის აორთქლების შემდეგ ზედაპირული ფენაზე იქმნება დამცავი ცხელი ასფალტბეტონის მსგავსი ქერქი სისქით 5-7 მმ, რაც ცივი ასფალტბეტონის მახასიათებლებს უახლოებს ცხელისას.

ლიტერატურა

1. В.М. Гоглидзе. Полужесткие композиционные дорожные покрытия. Тбилиси. 1988

რეზიუმე

ნახევრად ხისტი ფენილების კონსტრუირება

ალექსი ბუდულაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

ნაშრომში განხილული ნახევრად ხისტი კომპოზიციური ფენილების გამოყენების საკითხები. ნახევრად ხისტი კომპოზიციური ფენილების პერსპექტიულობა განპირობებულია ერთის მხრივ მათი ძვრისადმი მდგრადობით, მეორეს მხრივ ბიტუმის მნიშვნელოვანი ეკონომიის შესაძლებლობით. გარდა ამისა ნახევრად ხისტი ფენილების კონსტრუირებისას ხისტი ელემენტების გაზრდილი ამტანურანიანობა შესაძლებელს ხდის ფართოდ გამოვიყენიოთ დაბალი სიმტკიცის ადგილობრივი ქვის მასალა.

Abstract

Construction of semi-rigid pavement (decking)

Aleksi Burduladze. National Defense Academy of Georgia. Professor

This article deals with the use of semi –rigid composite pavement (decking).The perspectives of semi-rigid pavement is stipulated on the one hand by the sustainability towards movement and on the other hand by the substantial economy of bitumen. In addition to the construction of a semi-rigid materials the sustainability of rigid elements makes it possible to use widely low-rigid local stone material.

რა ასაზრდოებს ღირებულებათა ჩამოყალიბებას

შოთა ვეშაპიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

ღირებულებითი ორიენტირების გარეშე ადამიანის ყოველი ქცევა და ყოველგვარი მსჯელობა აზრს დაკარგავდა, თუმცა, თვით ეს ღირებულებები მათში იშვიათადაა დასახელებული.რა ასაზრდოებს ღირებულებათა ჩამოყალიბებას, სად, რომელ წყაროებში მოვიძიოთ და ამოვიკითხოთ ისინი, სად მივაგნოთ ღირებულებებს?ბევრი ასეთი წყარო და საშუალება არსებობს. ღირებულებანი შეიძლება მოძიებულნი იქნენ ისტორიულ ქრონიკებში, ფილოსოფიურ ტრაქტატებში, ჰიმნებში, ლექსებში და თვით პირად წერილებშიც კი, უძველეს თუ უახლეს კანონებსა თუ კონცეფციებში... პრესის ფურცლებზე, ენციკლოპედიებში, წიგნებსა თუ ინტერნეტში... ცნობები ღირებულებათა შესახებ არა მარტო მატეანეებში, არამედ უძველეს რომანებშიც მოიპოვება, რომელთაც რომანი იმიტომ ჰქვია, რომ თავდაპირველად რომანულ-ლათინურად იწერებოდა... ყველაფრის სათავე მაინც არის ბიბლია. ბიბლიის ენციკლოპედიის ერთტომეულშიაღნიშნულია: „დაიწყეთ დასავლური ცივილიზაციის საფუძვლების კვლევა და თქვენ მაშინვე ბიბლიას მიადგებით. მრავალი საუკუნის განმავლობაში მისი გავლენით ყალიბდებოდნენ დასავლური კანონები, განათლების სისტემა, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებების ჩვენეული კონცეფცია. დიდი ევროპელი რეფორმატორების უმრავლესობა პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ სფეროში ბიბლიით იყო შთაგონებული. თუ ბიბლიას არ მივიღებთ მხედველობაში, უბრალოდ, შეუძლებელიც კია თანამედროვე დასავლეთის სულიერი წყობის გაგება. ბიბლია დღესაც კაცობრიობის კულტურის ცენტრში დგას“ [1, გვ. 86].

ცივილიზაციური რესურსები, მეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, ღირებულებათა შესახებ ინფორმაციის ამოუწურავი წყაროა.გამოჩენილ ადამიანთა მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ საზოგადოების შესახებ გამოკვლევებსა და ტრაქტატებში გამოთქმული მოსაზრებები და მიღწეული შედეგები ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ხდება მათი მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ გამოთქმული ანუ ლაკონური, ლაპიდარული აზრების სახით (ფორმით). სწორედ ამიტომ ექცევა ცხოველი ინტერესის სფეროში ამ მოსაზრებათა თხზულებებიდან ციტატების, აფორიზმების, ფრთიანი თქმების, მორალური ხასიათის დარიგებების შემცველი აზრის ანუ სენტენციების შესახებ ინფორმაციათა მოპოვება, შეკრება და წიგნებად გამოცემა. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: ილია ჭავჭავაძე, ამას ვამბობ და ვღაღადებ... რედ.-შემდგენლები: გივი ლობჟანიძე, გიორგი გაბუნია. ქუთაისი, 1997, გვ. 584; – წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე), შეგონებანი, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გია ტივიშვილმა. დაიბეჭდა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსის სტეფანეს (კალაიჯიშვილი) ლოცვა-კურთხევით, 2003; – ვაჟა-ფშაველას აფორიზმები და გამონათქვამები, შემდგენელი მ. მთვარელიძე, თსუ

გამომცემლობა, თბ., 1988; – აკაკი გელოვანი. აფორიზმები, ხატოვანი თქმები, რჩეული აზრები მსოფლიოს ხალხთა პოეზიასა და პროზაში, გამომცემლობა „ხელოვნება", 1989, გვ. 816; გ. კალანდაძე.აფორიზმების ენციკლოპედია, ბრძნული აზრების საგანძური.გამომცემლობა „ოაზისი", თბ., 2006, გვ. 712; – ღმერთი, ადამიანი, თავისუფლება: ნ. ა. ბერდიაევის „აზრები". წიგნის შემდგენელი, გამომცემელი და რედაქტორი ნატო ციციშვილი, ტექსტი თარგმნა და მოამზადა რეზო კვესელავამ, თბ., 2004, გვ. 184. – ღვთიური სიბრძნის ენციკლოპედია ეკლესიის მამათა გამონათქვამები: უფლის სიბრძნე; წმინდა მამათა გამონათქვამები; ბერთა რჩევები; მოციქულთა დარიგებანი; წმინდანთა ცხოვრებანი, შემდგენელი გივი გაიოზის ძე კალანდაძე. თბილისი, 2007.ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის მამათა გამონათქვამები.შემდგენელი გივი გაიოზის ძე კალანდაძე, თბილისი, 2007.საქართველოს დიდება – ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები, შემდეგენელი გივი გაიოზის ძე კალანდაძე, თბ., 2009. სულიერი მეგზური. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს გამონათქვამების კრებული, 2012), ასევე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნია 2011 წელს ცნობილი ფლოსოფოსისა და მთარგმნელის ბაჩანა ბრეგვაძის მიერ გამოცემული ხატოვან აზრთა კრებული, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2011. ეს არის სხარტი აფორისტული გამონათქვამები, ანუ როგორც ევროპელები ამბობენ: „ყალყზე შემდგარი აზრი". მასში მოცემულია მსოფლიოს 1986 გენიალური მოაზროვნის გამონათქვამები, რომელიც სულ 366 გვერდზეა გადმოცემული. ჩამონათვალის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება.

მართლაც, ფასდაუდებელი ღირებულების მატარებელნი არიან დიდ ადამიანთა ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის აზრები. ისინი აადვილებენ თაობიდან თაობაზე ცოდნის გადაცემას. როგორც ცნობილი მკვლევარი და ლექსიკოგრაფი აკაკი გელოვანი აღნიშნავდა: „აფორიზმები, სენტენციები, ფრთიანი სიტყვები მარადიული ლურჯი ფრინველებივით დაჰქრიან საუკუნიდან საუკუნემდე, იჭრებიან სხვა ხალხთა ცხოვრებაში, იმკვიდრებენ ადგილს ეროვნულ საგანძურში და ხშირად კაცმა აღარ იცის, საიდან, ვისი და სადაურია, მაგრამ ყველასათვის ერთნაირად მახლობელია, რადგან ადამიანი მარად და ყველგან ერთნაირია, ერთნაირად ფიქრობს და განიცდის".[5, გვ. 7-8].

აღსანიშნავია, რომ ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის – ჰერაკლიტე ეფესელის ფილოსოფიური და თეოლოგიური აზრი სამყაროს და ღმერთების, ადამიანური ცხოვრების შესახებ მოძღვრებათა განვითარების თაობაზე „...მისი თხზულებებიდან სიტყვა-სიტყვით ამოკრეფილი და ჩვენამდე მიღწეული ფრაგმენტები დიდროს კრებულში 126 ძალზე მოკლე წინადადების სახითაა წარმოდგენილი". (Die Fragment der Vorsokratiker, griechisch und deutsch von Hermann Diels, Berlin, 1934, s. 150-179) [3, გვ. 5].

უმაღლესი ღირებულებები – სიყვარული, მეგობრობა, სათნოება და სხვა – თვით ადამიანშია და ვლინდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში. მაშასადამე, ამ ურთიერთობებშიც, ჩვეულებრივ საუბრებშიც არის შესაძლებელი მათი მოძიება. გამოჩენილ თუ უბრალო ადამიანთა ცხოვრებაზე ხალხი ხშირად სწორედ იმიტომ საუბრობს და ეს იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ მაგალითებზე გაარკვიოს ჩვენი – საზოგადოების, ერის, პიროვნებების – სხვადასხვა ღირებულებები.

სწორედ ამიტომაც არის ის, რომ, როგორც კი ჩვენ საკუთარ ღირებულებებზე დავიწყებთ ლაპარაკს, უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება ისეთი შედევრები, მოვლენები და პიროვნებები, როგორიცაა: ვეფხისა და მოყმის ბალადა, თამარ დედოფალი, ქეთევან წამებული, ცხრა ძმა ხერხეულიძე, საქართველოს ბოლო დედოფალი მარიამი, რომელიც სვეტიცხოველში განისვენებს, წმინდა ილია მართალი, რაფიელ ერისთავი, ექვთიმე თაყაიშვილი, კახეთის აჯანყება, მთიულეთის აჯანყება, ანდრონიკაშვილები, დიმიტრი ყიფიანი, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, ხიმშიაშვილების გმირობა, სამშობლოს ჯარისკაცი, გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი, გენერალი კოტე აფხაზი – ქართული მხედრობის ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დიდი მხედართმთავარი – პეტრე ბაგრატიონი, ვახტანგ გოგრასალი, მეფე სვიმონ I, მეფე ერეკლე II – პატარა კახი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, ქართული მხედრობა მეფე თამარის ეპოქაში...

ასეთი ღირებულებებით განსაკუთრებით არის მდიდარი ქართული ტრადიციები. ესენია უფროსებისადმი პატივისცემა, მათი გამოცდილების დაფასება, ნათესაური, მეზობლური, მეგობრული თანადგომა და ა.შ. სამწუხაროა, რომ ეს ღირებულებები ბოლო ხანს, თანდათანობთ კარგავენ – განსაკუთებით, ქალაქად – საყოველთაო აღიარებას.

მოკლედ, შევჩერდეთ ქართული კაზმულსიტყვაობის – ხალხური თქმულებებისა და მწერლობის – მნიშვნელობაზე ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში მაღალ ღირებულებათა დამკვიდრების საქმეში. ხალხურმა შემოქმედებამ დიდად განსაზღვრა ჩვენი მწერლობისა და, მთლიანად, ერის ღირებულებითი ორიენტირები და მისი ტრადიციები.

თავის მხრივ, ხალხურ შემოქმედებაში აისახა ქართული ხასიათი და ერის ყოფა-ცხოვრება, განსაკუთრებით, მისი გამუდმებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. ყოველივე ამან ერის განსაკუთრებულ ღირებულებებად აქცია თავისუფლება, პატრიოტიზმი, მეგობრობა, ბოროტებასთან შეურიგებლობა (მასთან ბრძოლის წყურვილი), ტოლერანტობა, სახელიანობა.

ამას ემყარება რუსთაველის ცნობილი სტრიქონები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, და სხვა. ხოლო „ვეფხისტყაოსანმა“ უდიდესი როლი შეასრულა

მძიმე XIII-XVIII საუკუნეებში ქართული ცნობიერების შენარჩუნებასა და, ამით თვით ჩვენი ერის, როგორც ერის გადარჩენაში.

ქართველი ხალხისთვის მიუღებელია გმირის გაამპარტავნება. უძველესი ამირანის თქმულება ხომ იმით მთავრდება, რომ გმირმა ღმერთთან შეჭიდება მოისურვა და ღმერთმა იგი დასაჯა – კავკასიონს მიაჯაჭვა. მინდიას თქმულების ვარიანტის მიხედვით, გმირი ბუნების ენის მცოდნე, ბრძენი, მისანი და მკურნალი – გაამპარტავნდა და ამიტომ დაკარგა თავისი ცოდნა. ამპარტავნობა უდიდესი ცოდვაა ქრისტიანული რელიგიის მიხედვით. ქართველმა ხალხმა კი უკვე ქრისტიანობის მიღებამდე გააცნობიერა იგი როგორც უარყოფითი ღირებულება. შედარებისთვის: უძველესი შუამდინარული ლიტერატურული ძეგლის, გილგამეშის ეპოსის გმირი ხალხს აწუხებს, პირველი ღამის უფლებასაც აძლევს საკუთარ თავს და ამით არაფერს არ კარგავს.

ქართულ მენტალობას იმთავითვე ახასიათებს ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების შეპირისპირება ნივთიერ სიმდიდრესთან, როგორც უფრო დაბალი რანგის ღირებულებასთან. კაცმა სახელიც კი არ უნდა ანაცვალოს სიმდიდრეს, ეს მოტივიც არის ამირანის თქმულებაში, სადაც ძმები ურჩევენ გმირს, რომ მიცვალებული ცამცუმის ანდერძის მიუხედავად, თან არ წაიყვანონ ცამცუმის ცოლი და ცხენი, რადგან მავანი ამას გაიგებს როგორც მკვდრის გაძარცვას.

ადამიანის, როგორც საზოგადოების უმაღლესი მიზნის, საკითხს „ვეფხისტყაოსანში“, ძალიან მნიშვნელოვანი კუთხით ეხება მეცნიერი ეკონომისტი გიორგი ჯულაყიძე. იგი ერთმანეთს უპირისპირებს ოქროს თაყვანისცემასა და ადამიანის პატივისცემას მსოფლიო ლიტერატურასა და ტარიელ-ავთანდილის ურთიერთობაში; მოჰყავს რუსთაველის ჯადოქრული ქართულით ნათქვამი „ნახე თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ და შემდეგ კი წერს: რუსთაველმა „იცის და ჩვენც გვასწავლის, რომ ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყნად ოქრო კი არ არის, არამედ ადამიანია, ის არის საზოგადოების უმაღლესი პროდუქტი და მიზანი. პოემაში ავთანდილი შეწუხებულია, რომ ტარიელი ოქროს სამხრეს არ იშორებს, განუყრელად ატარებს, ხოლო ასმათის მიტოვებას გამოქვაბულში არაფრად აგდებს. ამიტომ თითქოს გაბრაზებით ეუბნება იგი ტარიელს:

„სჯობს ასმათისა არ-ლევა მაგა სამხრისა ლევასა,
მიტომ არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა.
სამხრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი,
უასაკო და უსულო, არ სიტყვიერი, ცნობილი;
აღარად გინდა ასმათი, – ნახე მართალი ბრჭობილი!..“

ტარიელი ამ დარიგებით გონს მოეგო, უმართლე ხარ მეტისმეტადო უპასუხა. ამის შემდეგ წავიდნენ ისინი გამოქვაბულში ასმათთან შესახვედრად.

„ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი ადამიანისთვის კეთდება, თვით ღმერთმა ადამიანისთვის გააჩინა ქვეყანა და მისცა მას იგი „უთვალავი ფერითა“.

ჩვენ გვახსოვს რუსთაველის დაბადების 200 წლისთავის ზეიმის დღეებში, 1966 წელს მწერლის და ისტორიკოსის, ლევან სანიკიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ რუსთაველმა ადამიანი გააღმერთა, ღმერთამდე აიყვანა, ჰომეროსმა კი ღმერთები გააადამიანაო. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ რუსთაველის ეპოქაში, თამარ მეფის კანონებით ადამიანის სიკვდილით დასჯაც კი აიკრძალა. ასეთი კანონების მიღება ყველა ქვეყანაში დღემდეც მიუღწეველი რჩება“ [9,გვ. 13-14].

ჩვენს მწერლობაში ამ საკითხის განხილვისას, არ შეიძლება არ ვახსენოთ კლასიკური ფორმულირება სამერთიანი ღირებულებებისა – „მამული, ენა,სარწმუნოება“, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა იცის და რომელიც განსაზღვრულ გავლენას ახდენს ქართულ ცნობიერებაზე. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ მაინც ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონები პოემიდან „ბედი ქართლისა“: „რახელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“. ესეც კლასიკური ფორმულაა თავისუფლებისა და პატრიოტიზმის, როგორც უმაღლესი ღირებულებებისა. ან, აკაკის: „შენთვის ვარ, შენთვის მოვკვდები, ჩემო სამშობლო მხარეო“ და, ან, გალაკტიონის: „უსამშობლოდ დე ეს ღვინო გადამექცეს შხამად და სასიკვდილო გაზმორებად მოედოს ძარღვებს“. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ზოგჯერ დღეს გაიგონებ, თითქოს პატრიოტული თემები არაა მხატვრული ლიტერატურის საქმე.

განსაკუთრებული სიმძაფრით დაგვიხატა ღირებულებათა და ანტიღირებულებათა ბრძოლა ვაჟამ. მისი „გმირები – როგორც თ. ჩხენკელი წერს, – კვდებიან და კვლავ იბადებიან, როგორც თავის თავზე ზნეობრივად აღმატებული, მტრობისა და ბოროტების დამძლევი, ახალ ეთიკურ ღირებულებათა დამამკვიდრებელი, ღვთაებრივი ადამიანები“.[7,გვ.12]. სიკვდილ-დაბადებაში ავტორი აქ გულისხმობს რაიმე მოვლენის შემდეგ გმირის ფერიცვალებას, „გარდაცვალებას“, გარდასახვას.

თ. ჩხენკელი ფართოდ იხილავს „ალუდა ქეთელაურსა“ და „გველის-მჭამელს“, რომლებიც სწორედ გმირების ამ ხელახლა დაბადებას, ახალ ღირებულებათა დასამკვიდრებლად მათ ბრძოლას ეხება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეს ბრძოლა „გველის-მჭამელში“, რადგან გმირის ახალი ეთიკური ნორმები არის მის მიერ უზენაესი ღირებულების – ცოდნის – დაუფლებისა და ამ ცოდნით სიკეთეში გამოყენების პროდუქტი. ეს ცოდნა მინდიას არ მიუღია ეშმაკთან გარიგების შედეგად, როგორც ეს დასავლურ ფაუსტურ ვარიანტებშია.

ვაჟას მინდია არც გაამპარტავნებულა, როგორც ეს ხალხურ ვარიანტშია. მისი ტრაგედია – ცოდნის დაკარგვა – გამოიწვია ცხოვრების მოთხოვნებთან წინააღმდეგობამ, ამ მოთხოვნების გამაპიროვნებელ ადამიანებთან კომპრომისმა.

ადამიანებთან წინააღმდეგობას მიჰყავს დაღუპვამდე გრ. რობაქიძისეული (დრამაში – „ლამარა“) და გამსახურდიასეული მინდიაც (ნოველაში – „ხოგაის მინდია“). ოღონდ, გამსახურდიასეულ მოდელში, სავარაუდოა – გოეთეს გავლენით, მინდიას მიერ ცოდნის დაუფლების პირობად ოჩოპინტრეს სახით მოვლენილ ეშმაკის სხეულთან შეკვრაა გამოყვანილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ახლახანს გამოჩნდა მინდიას ახალი ხედვა – მ. გველესიანის „მინდია“, რომელშიც ეშმაკი ისეთი სახით შემოდის გმირის ზმანებაში, რომ წინასწარაა განწირული მასთან დამარცხებისათვის. აქ ავტორის მიერ გატარებულია აზრი, რომ სიბრძნე იმარჯვებს ბოროტზე, რომელიც ამ შემთხვევაში შინაგანად გაორებული გმირის ერთი ნაწილია.

ღირებულებათა წყაროების კვლევისთვის უმთავრესი არის ის, რომ ღირებულების წყარო მარადიული ჭეშმარიტებაა, ასეთი კი მხოლოდ უფლის გზაა, ე.ი. რაშიც უფალი განსახიერდება და დამკვიდრდება, ისაა, ანუ წყარო ჩვენს რწმენაშია. შემდეგ, თუ წყარო უფლის გზაშია საძიებელი, რა თქმა უნდა, ის მხოლოდ უფლის მადლით არსებობს. უფალი რასაც მოგვმადლის ჩვენთვის მარადიული ის არის. და კიდევ, ყველგან მყოფმა და ყოვლისმცნობელმა უზენაესმა თუ არ მოგმადლა, ვერც ღირებულებების მატარებელი გახდები და ვერც მის წყაროდ გადაიქცევი, მას ვერ მიაგნებ. ამიტომ სწორედ ღვთივმომადლებული ადამიანები არიან უზენაესი ღირებულებების მქონენი, მისი განსახიერებანი, რომლებშიც ღვთის მადლი გამობრწყინდება და ჩვენი წინსვლის მარადიულ გზამკვლევად მოგვევლინება იმქვეყნიური და ამქვეყნიური სულიერი სამყაროდან.

გარკვეული გაგებით, შეიძლება ითქვას, რომ ღირებულებების ჩამოყალიბება იგივე რწმენის ჩამოყალიბების საკითხია. ფსიქოლოგი მ. ჭავჭანიძე, სტატიაში „რწმენა და ინტელიგენტურობა“[9,გვ.7], საინტერესოდ განიხილავს რწმენისა და ღირებულებების ურთიერთკავშირს. ღირებულებას იგი ტერმინით „ზეფასეულობა“ მოიხსენიებს. ავტორი, განმარტავს რა რწმენას, წერს: „რწმენა ეს არის ცოდნა, ფასეულობათა სისტემა, რომელიც ლოგიკურ არგუმენტებს არ ექვემდებარება. ეს სრულიად ირაციონალური, არაცნობიერად ჩამოყალიბებული შეხედულებაა ადამიანისა გარე სამყაროსა თუ საკუთარი თავის მიმართ. ყველაზე საინტერესო მასში ისაა, რომ, როგორც წესი, მისი შინაარსი დადებითი და ზეფასეულოვანი მოტივაციებითაა განპირობებული. მე ჯერ არ მინახავს ადამიანი, რომელიც იტყოდა: „მე მწამს, რომ კაცობრიობა უნდა ამოწყდეს, მე ამ მიმართულებით უნდა ვიმოქმედო“, მაგრამ სრულიად დასაშვებია ასეთი გამოთქმა: „მე მწამს, რომ ყველა ნაძირალა (ან კიდევ რაიმე განსაკუთრებული კატეგორია ადამიანებისა) უნდა დაიხვრიტოს (გასახლდეს, განადგურდეს, აღიგავოს პირისაგან მიწისა)“.

მ. ჭავჭანიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ რწმენის ჩამოყალიბების პროცესი მთლიანად ინდივიდუალური და სუბიექტური მოვლენაა. იგი წერს:

„ვაგლახ, რომ რწმენის ჩამოყალიბების პროცესი ადამიანის ფსიქიკაში ინდივიდუალური და სუბიექტურია და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთი და იგივე რწმენის მქონესათვის ვერბალური ნაწილი ემთხვევა, მაშინაც კი ინტერპრეტაცია განსხვავდება. ადამიანს შეიძლება საკუთარ თავზე ჰქონდეს წარმოდგენა, რომ ის ძალიან კეთილი და შემწყნარებელია (ამას კარნახობს მისი რწმენა, როგორი უნდა იყოს ადამიანი) და განსხვავებული რწმენის ადამიანების მიმართ დაუნდობელი და სასტიკი იყოს. თუ გავიხსენებთ რელიგიურ ომებს, რევოლუციებს, გადატრიალებებს და გავაანალიზებთ შიდა მოტივაციებს, ყოველთვის მივადგებით რწმენათა შეჯახებას".

ავტორის აზრით, ადამიანი თვითონ იქმნის ზეფასეულობებს (ღირებულებებს) და აყალიბებს რწმენის სისტემას. იგი წერს: „არსებობს პიროვნებაში დაუძლეველი ლტოლვა შექმნას ზეფასეულოვანი წარმონაქმნები და ჩამოიყალიბოს რწმენათა სისტემა – ესაა მეგობრობა, ერთგულება, სიყვარული, პატიოსნება, სამართლიანობა და ა.შ.".

ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ინტელიგენტობა სხვა ადამიანის რწმენითი სისტემის შეგრძნებას და მის პატივისცემას ეფუძნება. „მასაც სტკივა, ისიც შეურაცხყოფილია" – კარგი განცდაა – აგრძელებს იგი. თუ ამ განცდამდე გაიზრდებით, თქვენ დაფიქრდებით ფორმაზე, როგორ იმოქმედოთ ჰუმანიზმის სახელით, მთელი კაცობრიობის სახელით, ძალადობის გარეშე, და იგრძნობთ, რომ უფრო მიმტევებელი და კეთილი გახდით".

დმანისის ეპისკოპოსი მამა ზენონი (იარაჯული) მიიჩნევს, რომ კაცობრიობის უმთავრესი ღირებულება არის „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის" საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები. ქრისტიანული მოძღვრების წიაღში განფენილია საზოგადოების უმთავრესი ღირებულებები. მხოლოდ წმინდა წერილი განასახიერებს ღირებულებების პირველწყაროს, რომელთაგან უმთავრესი არის ერთი მხრივ – თავისუფლება, და მეორე მხრივ, – სიყვარული. „წმინდა წერილმა, რომელზეც მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია აღმოცენდა, – აგრძელებს იგი, – გვამცნო რა იესო ქრისტეს მოწოდება – ყველა ადამიანის თანასწორობისა და ურთიერთსიყვარულის შესახებ, „ღვთის ხატებისა და მსგავსების" ძველი აღთქმისეული კონკრეტიკა მოგვცა. მას შემდეგ, რაც პირველქმნილმა ადამიანმა თავისუფალი ნების არჩევანით, უარი თქვა შემოქმედთან მუდმივი კავშირის უწყვეტელობაზე, რომლითაც ის სიკვდილს დაუქვემდებარებელ სიცოცხლეს ინარჩუნებდა, ღმერთმა თავი რელიგიური კანონის მეშვეობით შეგვახსენა, როგორც სამართლის პირველწყარომ, რომელიც, როგორც შემოქმედი გონი, სამყაროსთან მუდმივ მიმართებაშია. ღმერთისგან, როგორც „მყოფისგან", შეხსენება თავისთავად მოიცავს ერთი მხრივ მის თავისუფლებას და მეორე მხრივ – სიყვარულს. ეს ის თვისებებია, რომელთაც გოლგოთას მაცხოვარი ჯვარზე არა იძულებით, არამედ ნებით მიიყვანა და ხელით ქმნილ სამსჭვალზე

ძლიერად მიმსჭვალა. ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით, სამართლებრივი რეჟიმის დანიშნულების აღსაქმელად, თვალსაჩინო ფორმულას წარმოადგენს მართლმადიდებული ქრისტიანული მოძღვრების წიაღში აღმოცენებული პრინციპი – „კანონი პირმშოა თავისუფლების“. ქრისტიანული გაგებით, კანონი წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო გზამკვლევს, ჭეშმარიტების ყველაზე ღრმა კრიტერიუმს და ცხოვრების სწორად წარმართვის საშუალებას, რომლის მიზანია, დაიცვას პიროვნება, მისთვის ღმერთისაგან თანდაყოლილი ღირსება – რაიმეს იძულებისაგან; თუმცაღა, სრულიად გამიჯნულია თავისუფალ არსებაში თვითნებობად ქცეული მანკიერებისაგან“. [6,გვ.1.].

ეპისკოპოსი მიიჩნევს, რომ „ჩვენ ყოფიერების ორ პლანს განვეკუთვნებით – სულიერ და ბუნებრივ-სოციალურს, თავისუფლების და აუცილებლობისას“. მას მოჰყავს მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ 1986 წელს შემუშავებული პრინციპი ადამიანის უფლებათა შესახებ: „მართლმადიდებელი ქრისტიანები, ვინაიდან ყოველდღე ვიაზრებთ შთამოსვლას ღმრთისას, ვიბრძვით ყოველგვარი ფანატიზმისა და სიძულვილის წინააღმდეგ ადამიანებსა და ხალხებს შორის, იქიდან გამომდინარე, რომ ვქადაგებთ განკაცებას ღმრთისას და განღმრთობას ადამიანისას, ვიცავთ უფლებებს ნებისმიერი ადამიანისა და ნებისმიერი ხალხისა. ხოლო რაკი ქრისტეს მაცხოვნებელ ქმედებათა შემწეობით ვცხოვრობთ ღმრთის მიერ ნაბოძები თავისუფლებით, შეგვწევს ძალა და გვაქვს უფლება, კიდევ უფრო აღვამაღლოთ საყოველთაო ღირსება ნებისმიერი ადამიანისა და ხალხების“ (ციტირებულია იმავე წყაროდან).

ჟურნალისტ მ. ჭალაგანიძის სტაიაში „მისია, რომელიც დღეს გაცილებით დიდია“ [11,გვ.1], რომელიც ეკლესიის უპირველეს ამოცანებს ეძღვნება, ეპისკოპოსი ზენონი აცხადებს: „დღეს ეკლესიის მისია გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე აქამდე შეიძლება ყოფილიყო. დღეს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის, გლობალიზაციის პროცესები ჩვენს წინაშეც აქტუალურად დგას. მცირე ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ისე უნდა დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა შორის, რომ უფრო ძლიერმა ქვეყნებმა, დიდმა კულტურამ და ცივილიზაციამ, ერთგვარი უხერხულობა არ შეუქმნას“.

საერთოდ, ამ ინტერვიუში ეპისკოპოს ზენონის საუბრის ტექსტი ერთ მთლიანობად აღიქმება და მისი ციტირება ამ მთლიანობის ჰარმონიას არღვევს. მიუხედავად ამისა, გვინდა გამოვყოთ აზრი იმის შესახებ, რომ ყველაფერს თანამედროვე პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ. როგორც ეპისკოპოსი აღნიშნავს: „დღეს ქრისტიანიზაცია უნდა მოხდეს, ეკლესიამ, შეიძლება ითქვას, თავიდან უნდა დაიწყოს სამისიონერო მოღვაწეობა”. და მართლაც, განა ქრისტიანობა ყოველწამიერი თავიდან დაწყება არაა? ამ დაწყებაში კი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გვმართებს სხვისა და საკუთარი თავის მიმართ. არავინაა სრულყოფილი და ჩვენც უნდა გავიზარდოთ. მეუფე ზენონი ასე გვმოძღვრავს:

„ადრე, როცა პატარა ვიყავი, თითქმის გაფეტიშებულ ნაციონალიზმს ვუჭერდი მხარს. ეპისკოპოსი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ მართლმადიდებლობა ყველა ეროვნებაზე და ეროვნულობაზე მაღლა დგას“. როგორ გავს ეს სიტყვები არისტოტელეს სიტყვებს! პლატონი ჩემი მეგობარია, ჭეშმარიტება კი ყველაფერზე მაღლა დგასო.

პროფესორი ა. ცინცაძე ყურადღებას მიაპყრობს ისეთ სფეროს, როგორიცაა განათლება. იგი ამტკიცებს, რომ არსებობს სწავლების ორიგინალური ქართული მეთოდოლოგია, რომელსაც ჯერ კიდევ კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლაში (III-IV სს.) იყენებდნენ, სადაც სწავლება ემპირიულად მიგნებული ხერხით – „ერთიანი განწყობის შექმნის საფუძველზე ხდებოდა“. ამ თეორიის საფუძვლად მიჩნეულია ე.წ. განსწავლადი სისტემების თეორია[8,გვ.10]. ეს ნიშნავს იმას, რომ სწავლების ამ მეთოდოლოგიის თანახმად ისევე, როგორც მათემატიკურ ფორმულებში, „მხედველობაში მიიღება წინა ცოდნა (ინფორმაცია) და მისი დაზუსტება (გამდიდრება) ხდება თანდათანობით (ბიჯურად) ახალი სიტუაციის (ინფორმაციის) გათვალისწინებით“. ქართულ მენტალობაში განათლებისაკენ მისწრაფების შემცველობა წონადია და იგი შესაბამის ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება.

ეხებოდა რა ეროვნულ ღირებულებებს, ზვიად გამსახურდია,“საქართველოს სულიერი მისია“ და გროზნოდან გაზეთ „სამანის“ შეკითხვებზე გამოგზავნილ პასუხებში“[4,გვ.17] მიიჩნევდა, რომ „ქართული ცნობიერების საფუძველია ქრისტიანულ ღირებულებათა პრიორიტეტი, სულიერების მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, ქრისტიანული რაინდობა“. ზ. გამსახურდია ასაბუთებდა, რომ „მართლმადიდებლობა ქართული ცნობიერების საფუძველთა საფუძველია“. მას ასევე ღრმად სწამდა, რომ ქართველი ერი აუცილებლად დაიბრუნებს „კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას“ და „ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მიდგომა იქნება მთავარი მატარებული სულიერებისა, ქრისტიანობისა...“.

ვეხებით რა, ქრისტიანულ ღირებულებებსა და პრიორიტეტებს, მეტად მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა მაინც რა უდევს საფუძვლად ამ ღირებულებებს ან უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რა არის ყოველივე ამის სათავე, რომელია ყველაზე უმთავრესი ღირებულებები, რომელსაც შემდგომ ყველაფერი ეფუძნება.

ცნობილ ამერიკულ ფილმში „ათი მცნება“ ებრაელთა ბიბლიური წინამძღოლი მოსე, რომელსაც ღმერთი გამოეცხადება და ეუბნება: „მე ვარ რომელიც ვარ“-ო, შესთხოვს უფალს მის ხალხს ასწვლოს „წმინდა ადამიანებად“ გახდომა და სთხოვს, ამისათვის წესები მომეცი, როგორ უნდა იცხოვრონ, რომ ვისწავლოთო. უფალი მოძღვრავს: მაშინ ისე იმოქმედე, როგორც თავისუფალმა ადამიანმა. შენ თავს მიხედე და სხვის ქონებას ნუ მიითვისებო“.

ღმერთმა ისრაელიანები ეგვიტელთა მონობისგან იხსნა და მისცა მათ რჯული. ეს რჯული არა მარტო რელიგიას, არამედ ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავდა. მათი გულისგული კი ათი მცნება იყო.

„და თქვა ღმერთმა ეს სიტყვა: მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან.

ნუ გეყოლება სხვა ღმერთები ჩემს წინაშე.

ნუ გააკეთებ კერპს, რაიმე გამოსახულებას იმისას, რაც მაღლა ცაშია და რაც დაბლა დედამიწაზეა და რაც წყალშია მიწის ქვევით. ნნუ სცემ თაყვანს მათ და ნუ ემსახურები, რადგან მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შურისმაძიებელი ღმერთი, მამათა ცოდვის მომკითხავი შვიებისაგან მესამე და მეოთხე თაობამდე, ჩემი მტრებისაგან. წყალობისმყოფელი ათასი თაობის იქით ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი მცნებების შემსრულებელთათვის.

ნუ ახსენებ ფუჭად უფლის, შენი ღმერთის სახელს, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს თავისი სახელის ფუჭად მხსენებლი.

გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმინდა ჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე ყველა შენი საქმე. მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღმერთის შაბათია. არა საქმე არ აკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა და არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმინდაჰყო იგი.

პატივი ეც მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის.

არა ჰკლა.

არ იმრუშო.

არა იქურდო.

არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ.

არ ინდომო შენი თვისტომის სახლი; არ ინდომო შენი თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან.“(გამ. 20:1-17, რჯლ. 5:6-18).[2,გვ. 117].

ეს ისრაელის კანონების ყველაზე ცნობილი კრებულია. ცხადია,რომ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: გამოსვლათა წიგნში ამით იხსნება კანონთა მთელი კრებული, რომლებიც მოსეს მიეცა სინაზე, ხოლო მეორე რჯულის წიგნში ათი მცნების შემდეგ ნათქვამია: „ეს სიტყვები გითხრათ უფალმა მთელს თქვენს კრებულს... მეტი არ უთქვამს“ (რჯლ. 5:9,), – ე.ი. მნიშვნელობით ამათი ბადალი სხვა კანონი არც არსებობს.

ათი მცნება მთელს ისრაელს მიემართება (და არა რომელიმე ცალკეულ ჯგუფს, ვთქვათ, მღვდლებს) და იმავდროულად თითოეულ ისრაელიანსაც ცალ-

ცალკე. ათი მცნება, როგორც კანონთა კრებული, უნიკალურია, მით უმეტეს, რომ მისი ყოველი მცნებათაგანი ებრაული რჯულის სხვა ადგილებშიც მეორდება.

ათი მცნება იყო ღმერთის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება ისრაელიანებთან. იგი დაწერილი იყო ორი ქვის დაფაზე (ფიქალებზე). ერთი მათგანი ღვთის კუთვნილი ასლი იყო, მეორე კი – ისრაელის კუთვნილი ასლი. ისრაელში აღთქმა ღმერთსა და მის ხალხს შორის დაიდო. ორივე ასლი ათი მცნებისა ინახებოდა აღთქმის კიდობანში, რომელიც იყო ისრაელის უმთავრესი სიწმიდე. იმავდროულად ეს იყო ადგილი, სადაც ღმერთიც იმყოფებოდა. ამიტომ ორივე ასლი შეიძლება ერთად შენახულიყო. სასჯელად ათი მცნების დარღვევისთვის სიკვდილი იყო განსაზღვრული. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სასჯელი ყოველთვის სისრულეში მოჰყავდათ. ათი მცნება ყველაზე მთავარი იყო. ათი მცნება არის ღვთის „ხელშეკრულება-კანონი“ ისრაელისათვის. მათ ემატება ისრაელიანთა რჯულის წიგნები, რომლებიც შეიცავენ მრავალგვარ მითითებას სხვადასხვა შემთხვევისათვის. ათი მცნება არის უმთავრესი ღირებულება მთელი კაცობრიობისათვის.

ლიტერატურა

1. ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული. მთ. რედ. პატ ალექსანდერი; რედაქტორები: ჯონ დრეინი, დავიდ ფილდი, ალან მარალდი. ქართული თარგმანი. გ. ბ. ს. საქართველოს წარმომადგენლობა, 1997.
2. ბიბლიის ენციკლოპედია, ერთტომეული, მეორე გამოცემა, თარგმილი ინგლისური ენიდან, თბილისი, 2003.
3. ბრეგაძე ბ. ახალი თარგმანები. თხზულებებისა და თარგმანების ორტომეული, II, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. , 2006.
4. გამსახურდია ზ. საქართველოს სულიერი მისია და გროზნოდან გაზეთ „სამანის“ შეკითხვებზე გამოგზავნილი პასუხები, „ჯორჯიან თაიმსი“, №008 (271), 2004.
5. გელოვანია. აფორიზმები, ხატოვანი თქმები, რჩეული აზრები, მსოფლიოს ხალხთა პოეზიასა და პროზაში, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1989.
6. დმანისის ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული), კანონი პირმშოა თავისუფლების.მართლმადიდებლობა და ადამიანის უფლებები. „24 საათი˜, #82 (631), 7 აპრილი, 2004.
7. ჩხენკელი თ. მშვენიერი მძლევარი. თბ., 1989.
8. ცინცაძე ა.განსწავლადი სისტემების თეორია. „ჯორჯიან თაიმსი˜, #013 (276), 01.04. –08.04. 2004.
9. ჭავჭანიძე მ. „რწმენა და ინტელიგენტურობა˜„ჯორჯიან თაიმსში˜ #013 (276), 01.04-08.04, 2004.
10. ჯულაყიძე გ. ქართული იდეოლოგიის საფუძვლები შოთა რუსთაველის `ვეფხისტყაოსნის˜ მიხედვით, თბ., 1999.

11. ჭალაგანიძე მ.გაზეთის მისია, რომელიც დღეს გაცილებით დიდია, „24 საათი˜, #75 (624), 2004.
12. Die Fragment der Vorsokratiker, griechisch und deutsch von Hermann Diels, Berlin, 1934.

რეზიუმე

რა ასაზრდოებს ღირებულებათა ჩამოყალიბებას

შოთა ვეშაპიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

ცივილიზაციური რესურსები, მეცნიერება, მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, ღირებულებათა შესახებ ინფორმაციის ამოუწურავი წყაროა. ფასდაუდებელი ღირებულების მატარებელნი არიან დიდ ადამიანთა მსოფლიო მნიშვნელობის აზრები. ისინი აადვილებენ თაობიდან თაობაზე ცოდნის გადაცემას.კაცობრიობის უმთავრესი ღირებულება არის „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის“ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები. ქრისტიანული მოძღვრების წიაღში განფენილია საზოგადოების უმთავრესი ღირებულებები.ათი მცნება არის უმთავრესი ღირებულება მთელი კაცობრიობისათვის.

Abstract

What Feeds the Formation of Values

Shota Veshapidze. National Defense Acadamy of Georgia. Professors

Civilization resources, science, fiction, art are inexhaustible sources of information on values. The thoughts of great people having world value are invaluable. They simplify transfer of knowledge from generation to generation. Norms of international law on protection of the Human Rights and Fundamental Freedoms are the most important value of mankind. Important values of society contain in depths of the Christian doctrine. Ten Precepts are the major value for all mankind.

საგზაო სამოსის რეაბილიტაციის თანამედროვე ტექნოლოგიები

მაია ავალიანი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. დოქტორანტი

თანამედროვე საავტომობილო ტრანსპორტი, გაზრდილი ტვირთგადაზიდვები და დატვირთვები ახალ მოთხოვნებს უყენებს საგზაო სამოსს. ეს პირველ რიგში გულისხმობს საგზაო ფენილის სიმტკიცის და სხვა სატრანსპორტო - საექსპლუატაციო მახასიათებლების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. როდესაც საქმე ეხება ასფალტბეტონის საფარიან გზებს, დამატებითი პრობლემები წარმოიქმნება კლიმატური ფაქტორების ზემოქმედების გამო.

საქართველოში, მიუხედავად ტერიტორიული სიმცირისა, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის გამო, ცალკეული რეგიონები ხასიათდებიან მკვეთრად განსხვავებული კლიმაური ფაქტორებით. ამასთანავე კლიმატი მნიშვნელოვნად იცვლება წლის სხვადასხვა პერიოდში. შესაბამისად საგზაო სამოსს მუშაობა უხდება, როგორც მაღალ დადებით ასევე დაბალ - უარყოფით ტემპერატურაზე.

ზენოთ მოყვანილი ფაქტორებიდან გამომდინარე ასფალტბეტონის საფარიანი გზები განიცდიან ინტენსიურ ცვეთას და დღის წესრიგში დგება მათი რეაბილიტაციის ოპტიმაური ტექნოლოგიების დამუშავება.

დღეისათვის მთელ მსოფლიოში და საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება საგზაო საფარების რეაბილიტაცია ცივი რესიკლირების ტექნოლოგიით. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საგზაო საფარების რეაბილიტაცია „ადგილზე“ რესიკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით გაცილებით იაფია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. შესაძლებელია განვასხვავოთ რესიკლირების სხვადასხვა ტიპები [1], რომლებიც მოცემულია ნახაზზე 1.

საქართველოში დღეისათვის დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის რეაბილიტაცია ძირითადად წარმოებს ორი მიმართულებით:

1. დაზიანებული ასფალტბეტონის საფარის ფრეზირება და მიღებული ასფალტებტონის გრანულატუისა და ფრაქციული ღორღის გარკვეული თანაფარდობით (როგორც წესი 3/7 ან 2/3) საგზაო საფარის საფუძვლის ფენის მოწყობა. ცხადია, ეს მეთოდი თავისი არსით არ წარმოადგენს რესიკლირებას;
2. დაზიანებული ასფალტბეტონის ფენილის ფრეზირება სრულ სისქეზე, მიღებულ გრანულატზე ცემენტისა და ბიტუმის ემულსიის დამატება (შესაბამისად 1,5-2 და 3-4%) გაშლა და დატკეპნა. მიღებულ რესიკლირებულ ფენაზე, როგორც წესი ეწყობა ერთ ან ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი, მოძრაობის ინტესიობიდან გამომდინარე.

ეს მეთოდი წარმოადგენს ცივი რესიკლირების კერძო შემთხვევას. მაგრამ ჩვენს რეალობაში საფრის რეაბილიტაცია ხდება სპონტანურად, დაზიანებების შეფასებისა და შესაბამისი ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე.



ნახ.1. ასფალტბეტონის დაზიანებული საფარის რესიკლირების ტიპები

დანახარჯები საგზაო სამოსის რეაბილიტაციაზე შესაძლებელია დავიყვანოთ მინიმუმამდე, თუ საგზაო სამოსის კონსტრუქცია დაპროექტებული სწორედ და მისი საექსპლუატაციო მდგომარეობა მუდმივად შენარჩუნებულია სათანადო დონეზე, შესაბამისი სტანდარტული ღონისძიებების გატარებით და საცვეთი ფენის მუდმივი განახლებით. თავის მხრივ სამოსის რეაბილიტაციაც უნდა ჩატარდეს ოპტიმალური მეთოდით. ამ მიზნით აუცილებელია შეგროვდეს არსებული ინფორმაცია და შესაბამისი აპარატურით ჩატარდეს დეტალური კვლევა, რათა დადგინდეს საფარის დაზიანების ხარისხი და გამომწვევი მიზეზები. ამასთანავე საჭიროა ჩატარდეს მოძრაობის ანალიზი, სამშენებლო მასალების ლაბორატორიული გამოცდა და საგზაო სამოსის დეტალური ანგარიში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეირჩეს საგზაო სამოსის რეაბილიტაციის ოპტიმალური ტექნოლოგია.

ცნობილია, რომ არსებობს ორი ე.წ. „ოქროს“ წესი, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი ღონისძიების წარმატებად დასრულებისთვის [1]:

1. აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, რას ველით აღდგენილი საგზაო სამოსის მიმართებაში. ამისათ ვის ნუბნდა ვუპასუხოთ სამ შეკითხვას:
   - როგორი უნდა იყოსსაგზაო სამოსის სამსახურის ვადა ხანგრძლივი თუ ხანმოკლე?
   - როგორია მოთხოვნები საექსპლუატაციო მახასიათებლებისადმი?
   - როგორია პროგნოზირებული დანახარჯები გზის შენახვაზე მისი სამსახურის ვადის განმავლობაში?
2. აუცილებელია ჩატარდეს გარკვეული გამოკვლევები არსებული საგზაო საფარის მდგომარეობის და მისი დაზიანების ხარისხის დასადგენად.

ეს ორი წესი განსაზღვრავს საგზაო სამოსის აღდგენის მთელ სტარტეგიას. საგზაო სამოსის გაანგარიშება რასაკვირველია დამოკიდებულია თვით სამოსის ტიპზე.

ბლოკ-სქემაზე (ნახ.2.) მოცემულია საგზაო სამოსის რეაბილიტაციისას ჩასატარებელი გაანგარიშებების თანმიმდევრობის მაგალითი [1]. სქემამ შესაძლებელია განიცადოს გარკვეული კორექტირება დასახული ამოცანის მიხედვით.

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს გაანგარიშების პროცესი შესაძლებელია დაიყოს შვიდ ეტაპად:

1. ინფორმაციის მოგროვება - იგი თავის მხრივ შეიცავს შემდეგ ეტაპებს:
   - გზისადმი (საგზაო სამოსისადმი) წაყენებული მოთხოვნები;
   - ინფორმაციის შეგროვება;
   - საშიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის შეგროვება;
   - ინფორმაციის დამუშავება.
2. წინასწარი გამოკვლევა - ამ ეტაპზე ხორციელდება მსგავსი უბნების იდენტიფიკაცია;



ნახ. 2. საგზაო სამოსის კვლევა და გაანგარიშება. ბლოკ-სქემა

3. დაწვრილებითი კვლევა - ხორციელდება მთელი ინფორმაციის განზოგადება;
4. სამოსის რეაბილიტაციის წინასწარი ვარიანტების განხილვა - შეიცავს შემდეგ ეტაპებს
   - საგზაო სამოსის გაანგარიშების წიბნასწარი ვარიანტის ფორმულირება რესინკლირებადი მასალის თვისებების მიხედვით;
5. რესინკლირებადი მასალის სიმტკიცის ლაბორატორიული შემოწმება;
   - საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული ვარიანტებუის დამუშავება (სხვა შემკვრელის გამოყენება, დანამატების გამოყენება და სხვ);
6. საგზაო სამოსის საბოლოო ანგარიში;
7. ეკონომიკური გაანგარიშება - დამატებითი იმფორმაცვია ოპტიმალური ვარიანტის შესარჩევად.

ცხადია თითოეული ამ ეტაპის განხორციელებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი ძალისხმევა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ საგზაო სამოსის რეაბილიტაციისას აღნიშნული ალგორითმის გამოყენება იძლევა ოპტიმალური საპროექტო გადაწყვეტილების მიღების გარანტიას.

შემდეგ სტატიებში ვეცდებით განვიხილოთ რეცინკლირების სხვადასხვა ვარიანტები, მათი გამოყენების სფეროები, უპირატესობები ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების გზები.

ლიტერატურა

1. Wirtgen. Холодный ресайклинг. Руководство по применению. 2006

რეზიუმე

საგზაო სამოსის რეაბილიტაციის თანამედროვე ტექნოლოგიები

მაია ავალიანი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. დოქტორანტი

ნაშრომში განხილულია დაზიანებული საგზაო საფარების რეაბილიტაცია ცივი რესიკლირების ტექნოლოგიით. აღნიშნული ტექნოლოგიის პოპულარობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საგზაო საფარების რეაბილიტაცია „ადგილზე“ რესიკლირების ტექნოლოგიის გამოყენებით გაცილებით იაფია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. დღეისათვის საქართველოში რესიკლირების ტექნოლოოგით საფრის რეაბილიტაცია ხდება სპონტანურად, დაზიანებების შეფასებისა და შესაბამისი ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე.

ნაშრომში განხილულია ალგორითმი, რომლის გამოყენება იძლევა ოპტიმალური საპროექტო გადაწყვეტილების მიღების გარანტიას.

Abstract

Modern Technologies of rehabilitation of the road coating

Maya Avaliani . National Defense Acadamy of Georgia. PhD student.

This article deals with the rehabilitation of damaged road surface with cold recycling method. The popularity of the above mentioned technology is stipulated with the condition that the rehabilitation of the road surface with the “ ground” recycling method is much cheaper to compare with tradition al method.

Nowadays in Georgia the rehabilitation of the road surface with recycling technology occurs spontaneously, without assessing damaged places and planning effective measures.

This article presents the algorithm which is the guarantee of making optimal project decision.

საგზაო საფარის მდგრადობის გაუმჯობესების მეთოდები

მანუჩარ შიშინაშვილი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი

საავტომობილო გზაზე მოძრაობის ინტენსიობის განუწყვეტელი მატება, სატრანსპორტო საშუალებათა ტვირთამწეობის ზრდა, ღერძული დატვირთვების მომატება და მოძრაობის ჩქაროსნული რეჟიმების გაზრდა, ახალ მიდგომას მოითხოვს საგზაო საფარის მდგრადობის ამაღლების საკითხთა განხილვისადმი. ასფალტბეტონის საფარის მდგრადობის განმაპირობებელი ფაქტორებია სატრანსპორტო დატვირთვები, საგზაო სამოსის კონსტრუქციის მდგომარეობა, კლიმატური პირობები. ასფალტბეტონის საფარის მდგრადობის გაზრდის ეფექტური გზების შემუშავება უნდა ბაზირდებოდეს ასფალტბეტონების თვისებების კვლევაზე, დატვირთვის რეალური რეჟიმების გათვალისწინებით.

წინასწარ შერჩეულ ადგილებში ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა მოგვცა შესაძლებლობა, მიგვეღო ინფორმაცია საგზაო კონსტრუქციათა რეალური დინამიკური დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესახებ და გაგვეკეთებინა დასკვნა: ასფალტბეტონის საფარი დინამიკურ ზემოქმედებას ფართო სიხშირულ დიაპაზონში განიცდის. ავტომობილის თვლისგან გადაცემული დატვირთვის შედეგად ასფალტბეტონის საფარის რხევების სიხშირე 40-120 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას შეადგენს 1-10ჰც-ს. გამოხმაურების სპექტრზე საფარის უსწორობების გავლენა მჟღავნდება 0,5 ჰც-დან 100 ჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში. სატრანსპორტო საშუალებათა საკუთარი ვიბრაცია შეესაბამება 1-250 ჰც სიხშირულ დიაპაზონს, მაგრამ აქვს რხევის არსებითად უფრო დაბალი ამპლიტუდები. ამასთან უნდა აღინიშნოს ასფალტბეტონის ფენების დატვირთვის სიხშირის შემცირება სიღრმის მიხედვით, რაც უცხოელი ავტორების კვლევათა შედეგებით დასტურდება.

ლაბორატორიულ პირობებში ჩატარდა ასფალტბეტონის ნიმუშების დაღლილობითი რღვევის ექსპერიმენტული კვლევები. დაბალ სიხშირეებზე (17ჰც) ციკლების გარკვეული რაოდენობის შემდეგ ნიმუშში წარმოიქმნებოდა ერთეული მცირე ზომის ბზარი, რომელიც თანდათანობით ვითარდებოდა. გამოცდა ტარდებოდა ასფალტბეტონის ნიმუშების მინერალური მასალის შესამჩნევი გამოფხვნის გარეშე. ასფალტბეტონის ნიმუშის 50ჰც სიხშირეზე გამოცდისას დატვირთვის დრო გაცილებით ნაკლებია ასფალტბეტონის რელაქსაციის დროზე, რის შედეგად ასფალტბეტონის ფენაში არ ვითარდება ღუნვითი დეფორმაციები. ასფალტბეტონის ნარევის კომპონენტები ასრულებენ ფაზითა და ამპლიტუდით სხვადასხვა სიჩქარულ რხევებს და რღვევა ხდება მინერალური მასალის გამოფხვნის ხარჯზე ბზარების მომდევნო გამოჩენით წარმოქმნილი სიცარიელეების ადგილებში. ბიტუმის ელასტიური თვისებების როლი ასეთი პროცესისას მცირდება, იზრდება ასფალტბეტონის კომპონენტებს შორის ადჰეზიის როლი.

დაღლილობითი რღვევის მექანიზმზე პოლიმერული და ადჰეზიური დანამატების გავლენის დასადგენად გამოცდილი იქნა ასფალტბეტონის ნიმუშები შემდეგი შედგენილობით: №1 (Б ტიპის ასფალტბეტონის ნარევი დანამატის გარეშე), №2 (Б ტიპის ასფალტბეტონის ნარევი მოიცავს 0,3% პოლიმერულ დანამატს) და №3 (Б ტიპის ასფალტბეტონის ნარევი ზედაპირულად აქტიური ნივთიერების (ზან) დამატებით). გამოცდები ტარდებოდა დატვირთვის დაბალ (17ჰც) და მაღალ (50ჰც) სიხშირეებზე. დაბალ სიხშირეებზე ჩატარებული გამოცდების შედეგების შედარება გვიჩვენებს რღვევის დადგომამდე გასული დროის არსებით ზრდას, რომელსაც უძლებენ პოლიმერული დანამატის შემცველი ნიმუშები (2,6-ჯერ). დაბალი სიხშირეებისგან განსხვავებით, დაღლილობით სიმტკიცეზე ზან-ის გავლენა მნიშვნელოვნად გამომჟღავნდა მაღალ სიხშირეებზე გამოცდისას (ნახ. 1).



ნახ. 1. ასფალტბეტონების დაღლილობითი ხანგამძლეობა დატვირთვის სხვადასხვა სიხშირეებზე

დატვირთვის სხვადასხვა სიხშირეებისას ასფალტბეტონის რღვევის გამოვლენილი მექანიზმების საფუძველზე ასფალტბეტონის საფარების დაღლილობითი ხანგამძლეობის ასამაღლებლად რეკომენდებულია: საფარის ზედა ფენა მოეწყოს ჩაჭიდების მაღალი მაჩვენებლის მქონე მკვრივი ნარევებისგან, რომლებიც მდგრადია გამოფხვნისადმი, რაც მიიღწევა ასფალტბეტონის შემადგენლობაში ადჰეზიური დანამატების შეყვანის გზით. დაბალ ფენას, რომელიც ძირითადად განიცდის ღუნვითი დეფორმაციების ზემოქმედებას, უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ელასტიურობა და

დეფორმაციულობა, რაც მიიღწევა შემკვრელის შემცველობის ოდენობის ზრდით ან პოლიმერული დანამატების შეყვანით.

სატრანსპორტო საშუალებათა ჩქაროსნული ინტენსიური მოძრაობის თანამედროვე პირობებში ასფალტბეტონის საფარების ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია ასფალტბეტონის გამოცდის ახალ მეთოდებზე გადასვლა, რომლებიც დატვირთვის პირობების მიხედვით შეესაბამება სატრანსპროტო საშუალებათა მრავალჯერად ზემოქმედებას, და ასფალტბეტონის შედგენილობის შერჩევა უნდა შესრულდეს საექსპლუატაციო ვადის მთელ პერიოდში საანგარიშო დატვირთვის მოდების პროგნოზირებადი ოდენობის გათვალისწინებით.

ასფალტბეტონის საფარის დაღლილობითი გამოწვეული დეფექტების აღმოფხვრის ასამაღლებლად მოძრაობის მაღალი ინტენსიურობის მქონე საავტომობილო გზებზე საჭიროა ახალი კონსტრუქციული გადაწყვეტილებების გამოყენება: საფარების დაბალ ფენებში პოლიმერულ-ბიტუმის შემკვრელის შემცველი ასფალტბეტონის ნარევების გამოყენება; საფარის ზედა ფენებში ორგანული შემკვრელის გამოყენება, რომელსაც მომატებული ადჰეზიური თვისებები აქვს.

ასფალტბეტონის საფარების ტემპერატურული ბზარწარმოქმნის მდგრადობის ასამაღლებლად საფარის ზედა ფენებში აუცილებელია პოლიმერულ-ბიტუმის შემკვრელის შემცველი ასფალტბეტონის ნარევების გამოყენება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საექსპლუატაციო ტემპერატურათა ფართო დიაპაზონის რეგიონებში.

ლიტერატურა

1. Руденский А.В. Повышение долговечности дорожных асфальтобетонных покрытий // Ѣборник технической информации "Наука-московскому строительству" 2007. №4
2. Илиополов С. К. Современные пути повышеня долговечности асфальтобетонных покрытий // Вестник ХНАДУ. 2008. №40.
3. მ.შიშინაშვილი. საგზაო მშენებლობაში გამოყენებადი ბიტუმის ემულსიები და ქაფბიტუმი // საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი “შრომების კრებული”. 2009, №4
4. Edited by K. Wayne Lee, P.E., and Kamyar C. Mahboub, P.E - Asphalt Mix Design and Construction: Past, Present, and Future - American Society of Civil Engineers, 2006
5. Burduladze A., Shishinashvili M., Magradze M. "IMPROVEMENT OF THE QUALITY OF THE ASPHALT MIX." // Teoretičeskaâ i prikladnaâ nauka: 44.

რეზიუმე

საგზაო საფარის მდგრადობის გაუმჯობესების მეთოდები

მანუჩარ შიშინაშვილი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი

ნაშრომში განხილულია ასფალტბეტონის საფარების საექსპლუატაციო პერიოდის ამაღლების საკითხები, თანამედროვე პირობებში სატრანსპორტო საშუალებათა ინტენსიური მოძრაობისას. ნაჩვენებია, რომ ასფალტბეტონის საფარები მუშაობს ფართო სიხშირულ დიაპაზონში. დიაგრამის სახით ნაჩვენებია დატვირთვის სხვადასხვა სიხშირეებისას ასფალტბეტონის დაღლილობითი ხანგამძლეობის გამოცდის შედეგები. შემოთავაზებულია ასფალტბეტონის საფარების დაღლილობითი ხანგამძლეობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტიპის ასფალტბეტონის ნარევები და კონსტრუქციული გადაწვეტილებები. ასევე განხილულია ასფალტბეტონში ტემპერატურული ბზარწარმოქმნის საწინააღმდეგო ღონისძიებები.

Abstract

METHODS OF IMPROVING THE SUSTAINABILITY OF THE ROAD PAVMENT

Manuchar Shishinashvili. National Defense Acadamy of Georgia. Asistent Professor

The paper deals with asphalt concrete operational period, raising the question of modern vehicles intense driving conditions . It is shown that asphalt concrete works in a wide frequency range. In the form of a diagram showing the different frequencies of the asphalt load durability test results. It is proposed to improve the durability of asphalt concrete in different types of asphalt mixtures and constructive decisions. Also discussed asphalt temperature control measures.

სასწავლო ბატალიონი-საბაკალავრო სკოლის ნაწილი. ადამიანური რესურსების მართვა

კაპიტანი ვასილ სისაური. ეროვნული თავდაცვის აკადემია.

ორგანიზაციის წარმატება რამოდენიმე კომპონენტზეა დამოკიდებული: პროდუქტიულობა, ხარისხი, ადამიანური რესურსი, სიახლე/ინოვაცია. ადამიანური „კაპიტალი" ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული ნაწილია ორგანიზაციისთვის. ის არ არის მხოლოდ ადამიანური რესურსი, ის არის შედეგი, რასაც ეს ადამიანები ქმნიან. ადამიანური რესურსების მართვა მოიცავს მთელ რიგ ფუნქციებსა და საქმიანობებს, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის თანამშრომელთა ეფექტურობას. ადამიანური რესურსის მართვის ფუნქციაა: პერსონალის მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება. პერსონალის შესახებ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინფორმაცია, კონკრეტულ სიტუაციასა თუ ვითარებაში, შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი გახდეს. პერსონალის რომელიმე უნარის შესახებ ინფორმაციის ფლობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტისას.

გაცილებით ადვილია იყო ნებისმიერი დარგის პროფესიონალი - წარმატებული მენეჯერი, ინჟინერი, ექიმი ვიდრე სამხედრო საქმის პროფესიონალი, რადგან ამ დროს საქმე ეხება არა მარტო საკუთარი სიცოცხლის, არამედ სხვათა "სიცოცხლის მართვას". სამხედრო პიროვნების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მიიღებ ან გამარჯვებას ან დამარცხებას. ეს უკანასკნელი აუცილებლად ასოცირდება ეროვნულ ტრაგედიასთან. შესაბამისად საქმე გვაქვს ერთობ უჩვეულო და უმძიმესი ამოცანის შესრულებასთან.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტრუქტურული ერთეულის საბაკალავრო სკოლის მთავარი მიზანია აღზარდოს მაღალკვალიფიციური, გონებრივად და ფიზიკურად მტკიცე და განვითარებული, ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე პიროვნება, მოქალაქე, რომელიც იქნება იქ სადაც ეს ქვეყანას დასჭირდება, როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო სექტორში.

ბაკალავრიატი არის ორგანიზაცია, სადაც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ, როგორც სამოქალაქო პირები (პროფესურა) ასევე სამხედრო მოსამსახურეები. ასეთი ტიპის უმაღლესი სასწავლებლისათვის პერსონალის შერჩევა და მოზიდვა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აქ საქმე ეხება პიროვნების არა მარტო პროფესიონალად არამედ ისეთ მმართველად ჩამოყალიბებას, რომელსაც შეეძლებს გადაწყვეტილება მიიღოს კრიტიკულ სიტუაციაში და ძალიან მოკლე დროში.

იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ბაკალავრიატის სამხედრო მართვის ფუნქციები და გავერკვეთ როგორ ხდება მისი მართვა სამხედრო დონეზე, განვიხილოთ ბაკალავრიატის სამხედრო სტრუქტურა.

ბატალიონის სამხედრო სტრუქტურა



სასწავლო ბატალიონში გაერთიანებულია 4 სასწავლო კურსი და სამსახურები, რომლებსაც ერთმანეთისაგან განსხვავებული ფუნქციები აქვთ, წარმოადგენენ ბატალიონის შტაბს და ექვემდებარებიან ბატალიონის მეთაურის მოადგილეს. ბატალიონის მეთაურის მოადგილეს თავის მხრივ, აკისრია სხვადასხვა ვალდებულებები ბატალიონის მეთაურთან. ბატალიონის მმართველობას ეწოდება ბატალიონის შტაბი და მასში ბაკალავრიატის დონეზე ფუნქციურად შედის **S-1-ს, S-3-სა და S-4-ს სამსახურები (stuff-1, stuff-3, stuff-4).**

S-1-ს სამსახურის ფუნქციაა ბატალიონში მომსახურე სამხედროთა და სტუდენტ იუნკერთა ყველანაირი პირადი მონაცემებისა და დოკუმენტების შეგროვება და დახარისხება. პირადი მონაცემების დამუშავებითა და რაციონალიზაციით სასწავლო ბატალიონის მეთაურს საშუალება ეძლევა კონკრეტული პიროვნების შესახებ ქონდეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობილი ინფორმაცია და მის წინაშე დასმული ამოცანის მიხედვით განახორციელოს დავალებების გაცემა ისე, რომ ზუსტად იქნას შერჩეული ის სამხედრო მოსამსახურე ვინც შეძლებს ამ დავალების სწრაფად და ხარისხიანად შესრულებას. პერსონალს, რომელიც ამ სამსახურში მუშაობს, უწოდებენ სპეციალისტებს და მათი ხელმძღვანელი არის სამხედრო მოსამსახურე კაპიტნის ჩინით. სპეციალისტები შეიძლება იყვნენ, როგორც სამოქალაქო პირები, აგრეთვე სერჟანტის კლასის სამხედრო მოსამსახურეები.

S-3-ს ფუნქციონალურ მოვალეობაში შედის ყველა სახის დაგეგმვის პროცესი, რომელიც შეეხება სასწავლო ბატალიონის მიერ დაგეგმილ და განსახორციელებელ საველე წვრთნებს. S-3 ადგენს სასწავლო განრიგებსა და გრაფიკებს თითოეული კურსისათვის. ჩვეულებრივ, ისევე როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ბაკალავრიატშიც სწავლა წარმოებს პროგრამების მიხედვით, რომლის მოცულობა 240 კრედიტია, საიდანაც 64 კრედიტი განკუთვნილია სამხედრო პროფილის საგნებისათვის, როგორიცაა ტაქტიკა, სამხედრო ინჟინერია, სამხედრო ტოპოგრაფია, კავშირგაბმულობა და ა.შ. გარკვეული საათები ეთმობა პრაქტიკულ სწავლებას, რომელიც ხორციელდება, აკადემიის გარეთ სპეციალურად მოწყობილ სამხედრო საწვრთნელ ბაზებზე. **S-3 სამსახური** თითოეული კურსისათვის ახორციელებს ამ საველე სწავლებების დეტალურ დაგეგმვებს, რისთვისაც ის ხელმძღვანელობს სამხედრო პროგრამითა და შესაბამისი სილაბუსებით, რომელშიც დეტალურადაა გაწერილია თითოეული თემატიკა. აქედან გამომდინარე S-3 სამსახური არის სასწავლო ბატალიონის ის ფუნქციური სამსახური, რომელიც თავის მხრივ შეთანხმებულად მოქმედებს ბატალიონის მეთაურთანა და ბატალიონის მეთაურის მოადგილესთან.

S-4-ს – ლოგისტიკური უზრუნველყოფის სამსახური. ამ სამსახურის ფუნქცია, სასწავლო ბატალიონის ისეთი მატერიალურ ტექნიკური ბაზით აღჭურვა, რომელიც მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა სამხედრო სასწავლო პროცესის უწყვეტი და ეფექტური განხორციელებისათვის. ვინაიდან სტუქტურულ-ფუნქციური დანაწილების არსი მიზნის მიღწევაში მდგომარეობს, ლოგისტიკური უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციაც უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მიზნის მისაღწევად.

კურსები და მათი მართვა. თვითოეულ კურსს ჰყავს კურსის უფროსი, კურსის უფროსის მოადგილე, კურსის სერჟანტი, მმართველობის 2 სერჟანტი, ჯგუფის მეთაურები და ჯგუფის სერჟანტები. კურსის ხელმძღვანელობა არის სასწავლო ბატალიონის ერთ-ერთი სტრუქტურული რგოლი. კურსის ხელმძღვანელობის ზედამხედველობისა და მონიტორინგის ფარგლებში, სასწავლო ჯგუფის უფროსები და სერჟანტები მუშაობენ იუნკერებში სამხედრო დისციპლინის განვითარებასა და სამხედრო მეცნიერებებში მათ მომზადებაზე. სწორედ ისინი ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სასწავლო ბატალიონის წინაშე დასმული მიზნის მიღწევაში. მათი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა იუნკერებზე მაღალხარისხიანად განახორციელონ სამხედრო უნარ-ჩვევების განვითარება. მათ კომპეტენციაში შედის იუნკერებზე ზრუნვა, პრობლემების გადაჭრა და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იუნკერმა, შეძლოს სრულფასოვანი, მაღალკვალიფიციური განათლების მიღება.

აუცილებელია იმის აღნიშვნა რომ სასწავლო ბატალიონი დამოუკიდებლად ვერ აწარმოებს ამ ფუნქციური დაყოფის მიხედვით არსებული სამსახურების ფუნქციონირებას. ბატალიონის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს

ხელმძღვანელობს ბატალიონის მეთაური რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება დავალება შესასრულებლად გადასცეს რომელიმე სამსახურს აკადემიის კომენდანტის შუამდგომლობის გარეშე.

სასწავლო ბატალიონის დასახული მიზანი შესრულდება იმ შემთხვევაში თუ მოხდება სათანადო დაგეგმვა. ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურების ფუნქციონირება ხორციელდება ორი მიმართულებით:

- სტრატეგიული;
- ოპერაციული.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული მიმართულება მოითხოვს გლობალურ და გრძელვადიან ხედვას. სტრატეგიული მიმართულება ბატალიონში მოიცავს პერსონალის კვალიფიკაციის, პროფესიული განითარებისა თუ თანამდებობრივი წინსვლის დაგეგმვას. როდესაც ვსაუბრობთ ამა თუ იმ საკითხის სტრატეგიულობაზე, საქმე აუცილებლად გვაქვს გრძელვადიან მოვლენაზე.

სასწავლო ბატალიონში განსაკუთრებით საჭიროა სამხედრო პერსონალის განვითარების სტრატეგიული და გრძელვადიანი დაგეგმვა. უნდა აღინიშნოს რომ ცოდნაზე მოთხოვნა კურსიდან კურსზე იზრდება, სამხედრო კუთხით მოვალეობები და პასუხისმგებლობებიც სხვა, უფრო მაღალ საფეხურზე ადის და იმისათვის, რომ სასწავლო ბატალიონმა ღირსეულად და ხარისხიანად შეასრულოს მის წინაშე დასახული მიზანი, საჭირო ხდება მაღალკვალიფიციური პერსონალი. საჭიროა ღირსეული კადრების წინ წამოწევა, ანუ მათი თანამდებობრივად დაწინაურება, მათი სხვადასხვა სასწავლებლებში გაგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამას სხვა დადებითი ეფექტიც აქვს, კერძოდ ის, რომ სამხედრო მოსამსახურე, რომელიც საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიდის განსაზღვრული დროით, იქ ცოდნის გარდა, ეუფლება იმ ქვეყნების სამხედრო ძალებში არსებულ ტრადიციებსა და სამხედრო ხელოვნების კრიტიკულ ასპექტებს, ხედავს დადებითი და უარყოფითი ფაქტორების მნიშვნელოვან სურათს. როდესაც ასეთი კვალიფიციური კადრი ბრუნდება ბატალიონში, მიღებულ გამოცდილებას უკეთესად იყენებს და წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ადამიანური რესურსების მართვის ოპერაციული მიმართულება გულისხმობს მიმდინარე საქმიანობების შესრულებას, რომლებიც აუცილებელია ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის. ოპერაციული მიმართულების კუთხით ბაკალავრიატი ამ ფუნქციის ეფექტურობაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა, სადაც მუდმივი და შეუქცევადი პროცესია მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა, მათი საუკეთესო უნარების წინ წამოწევა და საჭორებისამებრ მიმართვა.

სამხედრო სტრუქტურას და ბაკალავრიატის ამ ნაწილს სათანადოდ სჭირდება მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა. ბაკალავრიატში მომუშავე ყველა სამხედრო იმყოფება ხელშეკრულებით ვალდებულებაში სახელმწიფოსთან, რომელშიც წინასწარ არის განსაზრვრული სახელმწიფოსა და სამხედრო მოსამსახურის ვალდებულებები. ამ ხელშეკრულებაში ძირითადად განსაზღვრულია

ის პირობები რა პირობებშიც სამხედრო მოსამსახურეს მოუწევს ამ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებში სამსახური, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სამხედრო პირების მიმართ განსაკუთრებულ ვალდებულებებს კისრულობს – ზოგ შემთხვევაში ბინით უზრუნველყოფაზე, ჯანმრთელობის, სოციალური პირობების დაცვისა და განათლების მიღებაზე, კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობაზე.

სამართლებრივი რეგულირება სასწავლო ბატალიონში ხდება ეროვნული თავდაცვის აკადემიის იურისტის მიერ კურსის უფროსების პატაკის საფუძველზე ბატალიონის მეთაურის შუამდგომლობით. სამართლებრივ წესრიგს არეგულირებს შეიარაღებულ ძალებში არსებული 2 უმნიშვნელოვანესი წესდება: შინაგანი სამსახურის წესდება და სადისციპლინო წესდება. შინაგანი სადისციპლინო წესდება აღწერს ფუნქციონალურ მოვალეობებს, პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს იერარქიული საფეხურების ყველა დონეზე, ხოლო სადისციპლინო წესდება განსაზღვრავს დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და ღირსეული საქციელის წახალისების ზომებს. სადისციპლინო წესდება პასუხობს შინაგანი სამსახურის წესდებით სამხედრო მოსამსახურეებისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა თუ ვალდებულებებს. კერძოდ: თუ სამხედრო მოსამსახურე არ ასრულებს შინაგანი სამსახურის წესდებით წაყენებულ მოვალეობას, სადისციპლინო წესდება ამ ქმედებაზე რეაგირებს, როგორც ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობას და კურსის უფროსის პატაკის საფუძველზე იურისტის მიერ ხდება პასუხისმგებლობის განსაზღვრული ზომის დაკისრება შესაბამისი მუხლით.

კადრების მოზიდვას განაპირობებს ეთა-ში არსებული სიტუაცია, რაც სამხედროსათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ყველა ორგანიზაციაში, ყურადღება ექცევა კადრების მოზიდვას, მათ განვითარებასა და შენარჩუნებას. აქ სამხედროებს სხვა ქვედანაყოფებთან შედარებით მეტი საშუალება აქვთ თვითგანვითარების, განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. სწორედ ეს სიტუაცია პასუხობს საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, როგორიცაა კადრების განვითარება. საქართველოს შეიარაღებული ძალების მსგავსად, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა დონის განათლების მისაღებად სასწავლო ბატალიონიდან სხვადასხვა მოწინავე ქვეყნების სამხედრო სასწავლებლებში იგზავნება სამხედრო პერსონალი. ასეთ ქვეყნებს შორის არის აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, ლიტვა, სლოვენია, საფრანგეთი და ა.შ. რაც შეეხება კადრების შენარჩუნებას, ამ ყველაფერს ხელს უწყობს ბაკალავრიატში არსებული კარგი გარემო და უკვე კარგად ჩამოყალიბებული სამსახურებრივი ურთიერთობები. რაც ამაღლებს პერსონალის მოტივაციას და ხელს უწყობს აკადემიის მისიის შესრულებას.

ლიტერატურა

1. ნ. გვენცაძე- ადამიანური რესურსების მართვა-სტუ 2008
1. სინერჯი ჯგუფი-თანამედროვე ორგანიზაციების მართვა
2. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა.ჯაჯი-ორგანიზაციული ქცევის სფუძვლები

რეზიუმე

სასწავლო ბატალიონი-საბაკალავრო სკოლის ნაწილი. ადამიანური რესურსების მართვა

კაპიტანი ვასილ სისაური. ეროვნული თავდაცვის აკადემია.

საბაკალავრო სკოლა წარმოადგენს ორი განსხვავებული ტიპის, სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის ერთობლიობას, რის გამოც მათი მართვა ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რომელთა გათვალისწინება და ერთი მიზნისაკენ მიმართვა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ქვეყნისთვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადებაზე.

ამ თვალსაზრისით ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის სამხედრო მართვის ფუნქციები ისეა შერჩეული, რომ პასუხობდეს დასახული მიზნის შესრულებას. არსებობს გარკვეული პრობლემები, რაც ძირითადად ვლინდება მუშაობის პროცესში, მაგრამ მუდმივად იხვეწება და ახალ ფორმას იღებს.

Abstract

Training Battalion as Part of Bachelor School. Human Resource Management Originality at The Bachelor School

Captain Vasil Sisauri. National Defense Acadamy of Georgia.

Bachelor School represents two different type integrity of civilian and military personal, and this kind of management is characterized with concise peculiarity, and if taking them into consideration, and directing them to the common goal, it'll be significantly connected to the process which guarantees the preparation of officer corps with the highest academic, and military education, leaders with high moral and characters.

In this point of view, military management functions of bachelor school of national defense academy is selected with the way to answer achieving the planned goals. There are different kind of problems, which is generally identified during the working process, but they're being improved constantly, and transferring into new better shape.

სწავლის სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას

ხატია გაბეშია. ეროვნული თავდაცვის აკადემია. დოქტორანტი

უახლესმა კვლევებმა ცხადყო სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების აუცილებლობა, რაშიც მოიაზრება სტუდნეტზე მორგებული სასწავლო გეგმა და გარემო, სადაც სტუდენტი თვითონ აგებს ცოდნას, ხოლო მასწავლებელი არა როგორც მხოლოდ ინფორმაციის გადამცემი, არამედ ფასილიტატორია, რომელიც ორგანიზებას უკეთებს სწავლის პროცესს, გეგმავს მასალის ასათვისებელ და უნარების განსავითარებელ აქტივობებს და ეხმარება სტუდენტს მეცნიერული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მეშვეობით ენის სიღრმისეულ შემეცნებაში. ასეთი მასწავლებლის როლია გაიგოს სტუდენტების სწავლის სტილი და ამის შესაბამისად წარმართოს თვითეული გაკვეთილი. მისი მოვალეობაა სტუდენტებისთვის სწავლის სტრატეგიებზე ინფორმაციის მიწოდება, და სტუდენტის დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბება. გარდა იმისა, რომ ასეთი მიდგომა იძლევა უცხო ენის გაცილებით უფრო მაღალ დონეზე დაუფლების საშუალებას, ის ხდის მასწავლებელს უფრო მრავალფეროვანს, კრეატიულს, რომლისთვისაც იერარქიული დამოკიდებულება მიუღებელია და მისთვის მნიშვნელოვანია შემსწავლელებთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარება. ის ქმნის ისეთ გარემოს, სადაც სტუდენტები იღებენ პასუხისმგებლობას სწავლაზე. სწორედ ამ დროს მიმდინარეობს სწავლა ეფექტურად და მასწავლებელიც და მოსწავლეც უფრო წარმატებულად და მოტივირებულად გრძნობს თავს (Oxford,1990).

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მახასიათებელი უცხო ენის სწავლებისას გარდა ზემოთ ნახსენები მაგალითებისა არის სტუდენტში კომუნიკაციის უნარის განვითარება. რაც ზრდის სტუდენტში მოტივაციას და ეხმარება მას სწავლის მიზნის განსაზღვრაში. თავისმხრივ, ეფექტური ზერითი და წერილობითი კომუნიკაცია სტუდენტში ავითარებს სააზროვნო უნარებს. რადგან კომუნიკაციაში არ იგულისხმება მხოლოდ უცხო ენაზე დასწავლილი ფრაზების, ლექსიკის და გრამატიკული ერთეულების გამოყენება. ადამიანმა, რომ განახორციელოს ეფექტური კომუნიკაცია, მან უნდა შეძლოს სწორი და დროული რეაგირება, გადაწყვეტილების მიღება, არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმა და დასაბუთება.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების და შესაბამისად კომუნიკაციური და სააზროვო უნარების განვითარების ერთ-ერთი ეფექტური გზა სტუდენტების მიერ სწავლის სტრატეგიების ცოდნა და გამოყენებაა.

პირველად ტერმინი „სწავლის სტრატეგია“ რუბინის მიერ იქნა გამოყენებული და განმარტებული როგორც „სწავლების ტექნიკა, ხერხი“,

რომელსაც სტუდენტი იყენებს ცოდნის მისაღებად. სხვადასხვა მეცნიერი სტრატეგიის ნაცვლად იყენებს ტერმინებს: „სწავლების ქცევა“ (Wesche, 1977, POlizter and McGroaty, 1985), „სწავლების ტაქტიკა“ (შელიგერი) ძველი ბერძნული განმარტება სტრატეგიის კი „შეგნებულობა და განზრახული ქმედებაა“ (ხფორდ) სწავლის სტრატეგია აძლევს სტუდენტს საშუალებას და ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ უნდა ისწავლოს. შემსწავლელისთვის კი აუცილებელია იმის ცოდნა თუ როგორ უნდა ისწავლოს და მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ დაეხმაროს მას (Oxford, 1990).

როდესაც სტუდენტი იყენებს სწავლის სტრატეგიას ეს ნიშნავს, რომ ის გააზრებულად მოქმედებს სწავლის დროს იმისთვის, რომ მიაღწიოს მის მიერვე დასახულ მიზანს. ის აკვირდება საკუთარი სწავლის პროცესს, აქვს სათანადო თეორიული ცოდნა საკუთარი აზროვნების და სწავლის სტილის შესახებ და იყენებს მისთვის ეფექტურ სხვადასხვა სტრატეგიას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სწავლების სრატეგია შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება, ცხადია მისი განუზომლად დიდი მნიშვნელობა. (Anna Uhl Chamot,2004) სტუდენტს თუ შეუძლია გაიაზროს შესასწავლი მასალის მნიშვნელობა, დაისახოს საკუთარი სწავლის მიზანი, დაგემოს შესაფერისი სტრეტეგიები, რომლის მეშვეობითაც ეფექტურად ისწავლის მასალას, სწავლების დროს მოახდენს საკუთარი სწავლების პროცესის მონიტორინგს და შეფასებას მის მიერ შერჩეული სტრატეგების სისწორის და შედეგიანობის და ბოლოს მთლიანობაში შეაფასებს სწავლების შედეგს მისი ყველა საფეხურის გაანალიზით, მაშინ ჩაითვლება, რომ მიზანი მიღწეულია, რადგან ჩვენ გვყავს „კარგი შემსწავლელი“ რომელსაც რუბინი ახასიათებს „სტრატეგიების მქონე სტუდენტად„ (Anna Uhl Chamot,2004) სტრატეგიების მქონე სტუდენტი სისტემატიურად აზროვნებს სწავლის პროცესში. ის გეგმავს, აკვირდება და აფასებს მის მიერ შესრულებულ აქტივობებს და აკვირდება საკუთარი სწავლის პროცესს. ჭენდენ – ის სრატეგიების მნიშვნელობას უკავშირებს გამონათქვამს „მიეცი ადამიანს თევზი და ის დაპურდება მთელი დღის განმავლობაში. ასწავლე მას თევზის დაჭერა და მას ექნება საკვები მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ და განმარტავს, რომ მზა პასუხების მიცემის ნაცვლად სტუდენტებს უნდა ვასწავლოთ ამოცანის გადაჭრის სტრატეგიები და საკუთარი სწავლის წარმართვა. (Nyikos and Oxford,1993) ოქსფორდი ასაბუთებს, რომ მიუხედავად მასწავლებლის მეთოდებისა „სწავლა მაინც სტუდენტებიდან იწყება“. ამიტომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მათი სწსვლების სტრეტგიებით აღჭურვაა, ვიდრე სწავლების სხვა პროცესებზე ყურადღების გამახვილება. ის ამბობს,რომ რაც არ უნდა ეფექტური მეთოდებით მიმდინარეობდეს სწავლება, სტუდენტის მიერ გამოყენებული სწავლების სრტატეგიების მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდია მათთან შედარებით. „კარგი შემსწავლელი“ სწავლის დროს უფრო აქტიური და ჩართულია. ის

იყენებს სწავლების უფრო მეტ სტრატეგიას, რაც გამოწვეულია მეტაკოგნიტურ აზროვნების მაღალი დონით და შესაბამისად საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვებით.

ყურადღება მინდა გავამახვილო სწავლის არაპირდაპირ-მეტაკოგნიტურ სტრატეგიაზე. რადგან სწავლის სტრატეგიების ფორმირება და გამოყენება შინაგანი პროცესების დროს ხდება და ნაკლებად ხილული პროცესია (Oxford,1990), ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სწავლების პროცესში სტუდენტებში არაპირდაპირი სტრატეგების ფორმირებაა, რადგან იმისთვს, რომ მოხდეს პირდაპირი სტრატეგიების გამოყენება აუცილებელია არაპირდაპირი სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება. არაპირდაპირი სტრატეგიებით აღჭურვილ სტუდენტს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება, ანალიზი და შესაბამისად საკუთარი სწავლის სტილის გათვალისწინებით სწავლის პროცესის ეფექტურად წარმართვა.

მეტაკოგნიცია ნიშნავს საკუთარი შემეცნებითი პროცესის - აზრების, ფიქრების გაცნობიერებას და მართვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მეტაკოგნიცია არის „აზროვნება აზროვნების“ შესახებ. ეს არის ცოდნა საკუთარი კოგნიტური სისტემის და მისი ფუნქციონირების შესახებ. მეტაკოგნიციის დროს ხდება იმის შემეცნება, თუ რა ვიცით (მეტაკოგნიტური ცოდნა), იმის გაცნობიერება, თუ რას ვაკეთებთ, როგორ ვიქცევით (მეტაკოგნიტური უნარი), ან როგორია ჩვენი მიმდინარე კოგნიტური და ემოციური მდგომარეობა (მეტაკოგნიტური შეგრძნება). მეტაკოგნიცია მოიცავს მეტაკომპონენტებს - მართვის პროცესებს, რომლებიც ინფორმაციის გადამუშავების კონკრეტულ პროცესებს არეგულირებენ. ეს კომპონენტებია: პრობლემის არსებობის აღიარება, პრობლემის გაცნობიერება და იმ პროცესების ამორჩევა, რომლებიც გამოდგება პრობლემის გადასაჭრელად, სტრატეგიის არჩევა, მენტალური რეპრეზენტაციის შერჩევა, გონებრივი რესურსების განაწილება, პრობლემის გადაწყვეტის მსვლელობაზე კონტროლი, პრობლემის გადაწყვეტის ეფექტიანობის შეფასება.როდესაც მეტაკოგნიცია ეხება საკუთარი სწავლის პროცესების გაცნობიერებას, მაშინ ადგილი აქვს „სწავლის სწავლას“ - ადამიანის მიერ საკუთარი სწავლის მართვას, რომელიც მოიცავს სწავლის დაგეგმვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს.“ (განმარტებითი ლექსიკონი,2008) დევიდ პერკონს მოჰყვს არგუმენტი "რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა აზროვნებისა და სწავლის შესახებ, ანუ რაც უფრო მაღალია მათი მეტაკოგნიტური ცნობიერება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ ისინი".

მეტაკოგნიცია როგორც ტერმინი პირველად გამოიყენა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჯონ ფლეველმა. (John Flavell, 1979) ის მეტაკოგნიტურ ცოდნას ყოფს 3 კატეგორიად და ამბობს, რომ ადამინს, რომ ჰქონდეს მეტაკოგნიტური უნარი მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია: სწავლის შესახებ (როგორ სწავლობს ადამიანი), სწავლის დროს შესასრულებელი დავალებების სპეციფიკის შესახებ და სწავლის

სტრატეგიების შესახებ. (Jennifer A. Lavingston,1997) სტუდენტი რომ ფლობდეს მეტაკოგნიტურ ცოდნას ის უნდა იყოს აღჭურვილი სამივე კომპონენტით. ამისათვის საჭიროა, რომ სტუდენტებს სისტემატიურად მიეწოდოს ინფორმაცია მეტაკოგნიტურ აზროვნების და მის სტრატეგიების შესახებ, რაც შესაძლებელია მოხდეს მეცნიერული ტექსტების გამოყენებით სასწავლო პროცესის დროს.

მეტაკოგნიციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ რადგან სტუდენტს აქვს თეორიული ცოდნა სწავლის ტრატეგიებზე, ის თავად ახდენს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვას საკუთარ თავზე, გრძნობებზე, ქმედებებზე დაკვირვების შედეგად.

მეტაკოგნიტური უნარის განვითარება ხელს უწყობს შემსწავლელის სასწავლო პროცესში ჩართვას, მასწავლებელსა და შემსწავლელს შორის ღია და თანასწორ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. სწავლის პროცესში მასწავლებელი სტუდენთებთან ერთად უნდა მსჯელობდეს მიღებული გადაწყვეტილების სისწორეზე, ეკითხებოდეს სტუდენტებს აზრს ამა თუ იმ საკითხზე, სისტემატიურად აფასებინებდეს ნასწავლ მასალას, საკუთარ მიღწევებს თუ ნაკლს და სხვა სტუდენტებს.

ჩავატარე რაოდენობითი დასკვნითი კვლევა იმის გასარკვევად თუ რამდენად ნათელი მიზნები აქვთ ინგლისური ენის შემსწავლელ ქართველ სტუდენტებს, რამდენად ინფორმირებულები არიან სწავლის სტრატეგიების შესახებ და რა სტრატეგიებს იყენებენ სწავლის პროცესში. კვლევა ჩავატარე 2 სხვადასხვა თუმცა ინგლისური ენის იგივე ცოდნის დონის მქონე ჯგუფში. ის ნაწარმოები იქნა რამდენიმე ეტაპად გარკვეული პერიოდის ინტერვალით. პირველ ეტაპზე სტუდენტებს უნდა ეპასუხათ კითხვებზე: რა იყო მათი ინგლისური ენის სწავლის მიზანი, მათი მიზნების შესაბამისად როგორი უნდა იყოს ინგლისური ენის ლექცია, რას ელიან ინგლისური ენის ლექციიდან, რა მოსწონთ ინგლისური ენის ლექციაზე და ენის სწავლის დროს რა სირთულეებს აწყდებიან. შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტებს აქვთ კონკრეტული მიზნები ენის სწავლის თუმცა ნაკლებად აკვირდებიან სწავლის პროცესს რადგან მათი პასუხები ამ თემასთან დაკავშირებით იყო ძალიან ზოგადი. მეორე კითხვარი ეხებოდა სწავლის სტრატეგიებს, სადაც სტუდენტებმა გასცეს პასუხი რა იყო სწავლის სტრატეგია, რას აკეთებენ დასახული მიზნის მისაღწევად,რას აკეთებენ იმისთვის, რომ მათთვის სწავლა უფრო ადვილი და შედეგიანი იყოს, გეგმავენ თუა არა საკუთარი სწავლის პროცესს. კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია სწავლის სტრატეგიების შესახებ და ზოგადად სწავლის დროს იყენებენ ძალიან მწირ და თითქმის ერთიდაიგივე სტრატეგიას. მხოლოდ ძალიან ცოტა რაოდენობამ უპასუხა, რომ გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს და თითქმის არცერთი სტუდენტი არ აკვირდება საკუთარი სწავლის პროცესს. მესამე კვლევის დროს კითხვარში კონკრეტულად იყო პირდაპირი და არაპირდაპირი ყველა სტრატეგიის ჩამონათვალი და სტუდენტებს უნდა

მიეთითებინათ ამ სტრატეგიებს რა სიხშირით იყენებენ. წინა კითხვარებისგან განსხვავებით სადაც სტუდენტები წერდნენ, რომ არ იცოდნენ სწავლის სტრატეგიები, კონკრეტული სტრატეგიების არჩევის შემთხვევაში მათ აღნიშნეს, რომ იყენებდნენ მათ, თუმცა სტრატეგიების გამოყენების სიხშირე იყო საშუალო ან დაბალი.

კვლევის შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი შემსწავლელელის ინგლისური ენის სწავლების მიზანი არც თუ ისე მკაფიოა, რაც ერთ-ერთ ხელისშემშლელ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ენის სწავლის დროს. ისინი იყენებენ სწავლის სტრატეგიებს თუმცა მათ არ აქვთ თეორიული ცოდნა სწავლის სტრატეგიების შესახებ და რადგან მათი გამოყენება სპონტანურად და გაუაზრებლად ხდება, სტუდენტები ვერ ახდენენ საკუთარი სწავლის პროცესისი დაკვირვებას და საკუთარი სწავლის სტრატგიების ცვლას, შედარებას და ანალიზს.

გამოსავალი მსგავსი სიტუაციიდან შეიძლება იყოს შემსწავლელების ინფორმირება სწავლის სტრატეგიების გამოყენების მნიშვნელოვნების შესახებ და მათი რეგულარულად სწავლება. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა იცოდნენ სწავლის სტრატეგიები რომელთა სწავლება უნდა მიმდინარეობდეს რეგულარულად სილაბუსით გათვალისწინებულ მასალასთან ერთად. სტუდენტის სტრატეგიებით აღჭურვა თანდათანობით პროცესია, რომლის დროსაც შემსწავლელი ითავისებს საკუთარ პასუხისმგებლობას. საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველ სტუდენტს უვითარდება საკუთარი თავის რწმენა, ის უფრო მეტადაა ჩართულობა სწავლის პროცესში და აკადემიური მოსწრებითაც გამოირჩევა.

ოქსფორდს თავის ნაშრომში მოჰყავს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი სწავლის სტრატეგიების სწავლებასთან დაკავშირებით. ის გვთავაზობს საინტერესო სქემებს ენის უნარების ცალკეულ სტრატეგიებს და ასაბუთებს, რომ სტრატეგიების განხილვა დეტალურად უნდა მოხდეს სტუდენტებთან. სტუდენტმა აუცილებლად უნდა იცოდეს რა სტრატეგია რას ანვითარებს. მას უკვე ჩვევად უნდა ჰქონდე სწორი და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება. ავიღოთ მარტივი საკითხი, სტუდენტი კითხულობს, აკეთებს ტექსტის შემდგომ სავარჯიშოებს, მაგრამ რომ კითხო ვერ გადმოსცემს წაკითხულის შინაარსს, ვერ მოახდენს მის ანალიზს. შეიძლება ამან მოსწავლეში გამოიწვიოს მოტივაციის დაქვეითება რადგან მან შეიძლება იფიქროს, რომ ვერ იგებს წაკითხულს. თუმცა ასეთ შემთხვევაში, თუ გამოვიყენებთ სისტემატიურად შესაფერის სტრატეგიებს (კითხვის მიზნის განსაზღვრა, კითხვის პროცესზე დაკვირვება და წაკითხულის შეჯამება) სტუდენტს უკვე ჩვევაში გადაუვა გამიზნულად კითხვა და თუ კიდევ წააწყდა წაკითხულის ვერ გაგების პრობლემას მიხვდება, რომ ამ პრობლემის მიზეზი წაკითხვამდე მიზნის არ განსაზღვრაა და ამით ის შეძლებს პრობლემის გამოსწორებას.

სწავლების პროცესში სტრატეგიების სწავლებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სტუდენტებს აქვთ ინტერესი სწავლის სტრატეგიების მიმართ და მათი სურვილია უფრო ღრმად შეისწავლონ ეს საკითხი. სტრატეგიების საწყის ეტაპზე გაცნობის შემდეგ გაიზარდა სტუდენტების მოტივაცია და ჩართულობა სწავლის პროცესში. ისინი გახდნენ ბევრად უფრო გახსნილები და დამოუკიდებელი შემსწავლელები. სტრატეგიების თეორიულმა გაცნობამ გამოიწვია სტუდენტების მიერ საკუთარი სწავლის პროცესის დაკვირვება, შესაბამისად საკუთარი სწავლის სხვადასხვა სტრატეგიების აღმოჩენა და ახალის სტრატეგიების გამოყენების მცდელობა. ამან გაზარდა ინტერაქტიული სწავლების და სააზროვნო უნარების განსავითარებელი აქტივობების გამოყენების შესაძლებლობა. ამან გაზარდა სტედენტებში მოტივაცია და შესაბამისად გაიზარდა მათი აკადემიური მოსწრებაც.

ლიტერატურა

1. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2008;
2. L.Michael O'Malley, Anna Uhl Chamot, Learning Strategies in Second Language Acquisition 1990;
3. Rebecca L.Oxford, Language Learning Styles and Strategies 1990;
4. Anna Uhl Chamot,Issues in Language Learning Strategies Research and Teaching 2004;
5. Michel Grenfell,The Good Language Learner;
6. Carol Griffits, Language Learning Strategies: Theory and Research (2004);
7. Laura Erlauer, The Brain Compatible Classroom: Using What we know about learning to improve teaching, Alexsandria, VA, 2003;
8. Alan Pritchard and John Woolard, Constructivism and Social Learning, Abingdon, 2010.

რეზიუმე

სწავლის სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას

ხატია გაბეშია. ეროვნული თავდაცვის აკადემია. დოქტორანტი

სწავლის სტრაგიების სწავლება იძლევა საშუალებას სწავლა გავხადოთ სტუდენტზე ორიენტირებული, რაც დაეხმარება სტუდენტს განსაზღვროს სწავლის მიზნები, განივითაროს საკომუნიკაციო და სააზროვნო უნარები. როდესაც სტუდენტი იყენებს სწავლის სტრატეგიას ეს ნიშნავს, რომ ის გააზრებულად მოქმედებს სწავლის დროს იმისთვის, რომ მიაღწიოს მის მიერვე დასახულ მიზანს. ის აკვირდება საკუთარი სწავლის პროცესს, აქვს სათანადო თეორიული ცოდნა საკუთარი აზროვნების და სწავლის სტილის

შესახებ და იყენებს მისთვის ეფექტურ სხვადასხვა სტრატეგიას. სწავლის ერთ-ერთი-არაპირდაპირი მეტაკოგნიტური სტრატეგიის განვითარება ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვას, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ღია და თანასწორ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მეტაკოგნიციის დროს ხდება იმის შემეცნება, თუ რა ვიცით, იმის გაცნობიერება, თუ რას ვაკეთებთ, როგორ ვიქცევით , ან როგორია ჩვენი მიმდინარე კოგნიტური და ემოციური მდგომარეობა. სტრატეგიების განხილვა დეტალურად უნდა მოხდეს სტუდენტებთან სწავლის პროცესში. მოსწავლემ აუცილებლად უნდა იცოდეს რა სტრატეგია რას ავითარებს. მას უკვე ჩვევად უნდა ჰქონდე სწორი და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება. ეს გაზრდის ინტერაქტიული სწავლების და სააზროვნო უნარების განსავითარებელი აქტივობების გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად გაიზრდება სტედენტებში მოტივაცია და მათი აკადემიური მოსწრება.

Abstract

Selecting and using learning strategies in English language teaching

Khatia Gabeshia. National Defense Acadamy of Georgia. PHD students

Learning strategies give us opportunity to make the learning process student-centered. They help students to define their learning goals and develop communicative and thinking skills. When a student uses learning strategies that means he is behaving meaningfully in order to achieve his goals. He observes his own learning process , has proper knowledge about his own thinking and learning styles , and uses a variety of effective strategies. One of the indirect strategies - metacognition promotes the involvement of students in the learning process and forms the teacher and students' open and equitable attitudes. When metacognition happens during the learning process students realize what they know, what they do, how they act, or what their current cognitive and emotional status is. It is necessary to discuss learning strategies in detail with students in the learning process. A student must know which skill each strategy can develop. Using correct and diverse strategies should become the habit of a student. This will increase the possibility of using activities of interactive learning and developing thinking skills. Consequently motivation and academic performance of the students will be increased.

The right approach to the safety of Wi-Fi networks

Nani Arabuli. National Defense Acadamy of Georgia. Associate Professor.
Vlada Khimenko. Batumi College "Black Sea". IT Teacher.

KEY WORDS: Network Security, Wi-Fi, WEP, WPA, 802.1x, EAP, Encryption.

Introduction

Recently, a lot of "exposing" of publications about breaking any of the next protocol or technology, compromising the security of wireless networks. Is it really to be feared, and how to do to access your network was the most protected? This article will help to bring together all the applicable encryption technology and authentication of radio access.

Basics

Any interaction of the access point (network) and wireless client, built on:

- *Authentication* - the client and the access point are presented to each other and prove that they have the right to communicate with one another;
- *Encryption* - which algorithm to scramble the transmitted data is used as the encryption key is generated and when it changes.

The wireless network, primarily its name (SSID), regularly advertised by the access point to broadcast beacon packets. In addition to the expected security settings are transmitted wishes for QoS, the parameters 802.11n, supported speeds for other neighbors and so on. Authentication determines how the client is the point. The options are:

- *Open - open network, in which all connected devices at once authorized;*
- *Shared - the authenticity of the connected device must be tested key/password;*
- *EAP - the authenticity of the connected device must be checked by the EAP external server.*

The openness of the network does not mean that anyone will be able to work with it. In order to transmit data to the network, you must match the encryption algorithm is applied, and thus it correctly establish an encrypted connection. Encryption algorithms are:

- *None - no encryption, data is transmitted in the clear;*
- *WEP - based on the algorithm of RC4 cipher with a different length of the static or dynamic key (64 or 128 bit);*
- *CKIP - replacing proprietary WEP from Cisco, an early version of TKIP;*
- *TKIP - the successor to WEP with additional checks and protection;*
- *AES / CCMP - the most sophisticated algorithm based on AES256 with additional checks and protection.*

The combination of **Open Authentication, No Encryption** is widely used in applications such as guest access of the Internet in a cafe or hotel. To connect you need to know only the name of the wireless network. Often, such a connection is combined with an additional test of the Captive Portal user by redirecting HTTP-request for an additional page on which you can ask for confirmation (login, password, compliance with regulations, etc.).

WEP encryption is compromised, and you can not use it (even in the case of dynamic keys).

Widely seen the term **WPA** and **WPA2** determine, in fact, the encryption algorithm (TKIP or AES). Due to the fact that for a long time client adapters support WPA2 (AES), use TKIP encryption algorithm does not make sense.

The difference between **WPA2 Personal** and **WPA2 Enterprise** is where are the encryption keys used in mechanics algorithm AES. For private (home, small) uses a static key (a password code word, PSK (Pre-Shared Key)) a minimum length of 8 characters, which is set in the settings of the access point and all wireless clients on this same network. Compromise of the key (blabbed neighbor, co-worker fired, stolen laptop) requires immediate password change for all of the remaining members that realistically only for a small number of them. For enterprise applications, such as the name implies, uses a dynamic key is unique for every client working at the moment. This key may be periodically updated on the fly without interrupting the connection, and for his generation meets an additional component - the authorization server, and almost always RADIUS-server.

All possible security settings are summarized in this table:

Property	Static WEP	Dynamic WEP	WPA	WPA 2 (Enterprise)
Identification	User, computer, WLAN Card	A user computer	A user computer	A user computer
Authorization	Shared Key	EAP	EAP or shared key	EAP or shared key
Integrity	32-bit Integrity Check Value (ICV)	32-bit ICV	64-bit Message Integrity Code (MIC)	CRT / CBC-MAC (Counter mode Cipher Block Chaining Auth Code - CCM) Part of AES
Encryption	Static key	The session key	A per-packet key TKIP	CCMP (AES)
Key distribution	A single hand	Segment Pair-wise Master Key (PMK)	Derived from the PMK	Derived from the PMK
The initialization vector	Text, 24-bit	Text, 24-bit	Advanced vector, 65-bit	48-bit packet number (PN)
Algorithm	RC4	RC4	RC4	AES
The key length, bit	64/128	64/128	128	256
The required infrastructure	No	RADIUS	RADIUS	RADIUS

WPA2 Enterprise



***Figure 1**: Enterprise Netrowk*

We are dealing here with an additional set of different protocols. On the client's component software, supplicant (usually part of the OS) interacts with the log in part, AAA server. In this

example, displayed the work of a unified radio network, built on a lightweight access points and the controller. In the case of access points "with brains" all the role of mediator between the client and the server can take over the point itself. Thus the client data transmitted by radio supplicant formed in the protocol 802.1x (EAPOL), and on the side of the controller, they are wrapped in RADIUS-packets.

The use of EAP authentication mechanism in your network leads to the fact that after the success authentication of the client by the access point, the last point asks the client to log in (to confirm their authority) of RADIUS-server infrastructure.



Figure 2: EAP authentication mechanism

Using **WPA2 Enterprise** requires your network RADIUS-server. Today, the most workable are the following products:

- *Microsoft Network Policy Server (NPS), a former IAS* - configured via MMC, is free;
- *Cisco Secure Access Control Server (ACS) 4.2, 5.3* - conf igured via a web interface, heaped up in functionality, allows to build distributed and fault-tolerant system is expensive
- *Free RADIUS* - free, configurable with text config files, in the management and monitoring is not convenient

In this case, the controller carefully watching the scene information exchange, and waits successful authorization or denial of it. With the success of the RADIUS-server is able to pass additional parameters access point (for example, in which VLAN put the caller, which he set the IP-address, etc.). At the end of the exchange of RADIUS-server allows the client and the access point to generate and exchange encryption keys (individual, valid only for this session).

EAP

EAP protocol is a container, that is, the actual mechanism of the authorization given at the mercy of internal protocols. At the moment, any significant widespread following:

- *EAP-FAST* (Flexible Authentication Via Secure Tunneling) - developed by Cisco; allows for authentication on login and password that is sent within the TLS tunnel between supplicant and RADIUS-server;
- *EAP-TLS* (Transport Layer Security). Uses the public key infrastructure (PKI) for authentication of client and server (supplicant and RADIUS-server) through certificates drawn by a trusted certification authority (CA). Discharging and installation requires client certificates for each wireless device, so is only suitable for a controlled corporate environment. Windows

Server certificates is a means to the customer to generate a self-signed certificate, the client - a member of the domain. Blocking client easily made his review certificate (either through accounts);

• *EAP-TTLS* (Tunneled Transport Layer Security) is similar to EAP-TLS, but when creating a tunnel does not require a client certificate. In this tunnel, similar to SSL-connection browser, made additional authentication (password or something else);

• *PEAP-MSCHAPv2* (Protected EAP) - similar to EAP-TTLS in terms of the initial establishment of an encrypted TLS tunnel between the client and the server requires a server certificate. Later in this tunnel there is an authorization by the well-known protocol MSCHAPv2;

• *PEAP-GTC* (Generic Token Card) - Same as above, but requires a one-time password cards (and associated infrastructure).

All of these methods (except for EAP-FAST) require a server certificate (for RADIUS-server), written out by the certification authority (CA). At the same CA certificate itself must be present on the client device in a group of trusted (that is easy to implement via Group Policy in Windows). In addition, EAP-TLS requires an individual client certificate. Authentication is carried out both by a digital signature, (optional) provided by the customer compared RADIUS-server certificate that the server is extracted from the infrastructure Active Directory.

Supports any of EAP methods must be provided supplicant on the client side. Standard, built-in Windows XP/Vista/7, IOS, Android provides a minimum EAP-TLS, and EAP-MSCHAPv2, which leads to the popularity of these methods. With client adapters Intel provides a utility for Windows ProSet, extending the available list. It also makes the Cisco Any Connect Client.

Conclusion

What is necessary an attacker to hack the network?

• For Open Authentication, No Encryption - nothing. Connected to the network, and all. Since the environment is open, the signal propagates in different directions, it is not easy to block. With appropriate client adapters that allow air to listen, network traffic can be seen in the same way as if the attacker was connected to a wire, a hub, a SPAN-port switch.

• For encryption-based WEP, only requires too much time on the fourth, and one of the many freely available tools scan.

- For encryption, based on the TKIP or AES decryption directly possible in theory, but in practice, break-ins are not met.
- Access the network protected EAP-FAST, EAP-TTLS, PEAP-MSCHAPv2 can only knowing the login password of the user (such as hacking is not possible). Attacks are brute force password, or aimed at vulnerabilities in MSCHAP also not possible or difficult due to the fact that EAP-channel "client-server" is protected by an encrypted tunnel.
- Network access, closed PEAP-GTC is possible either by breaking the server tokens or token gets stolen token along with its password.
- Network access, closed EAP-TLS is possible with stealing user certificate (together with its private key, of course), or by writing out valid, but a dummy certificate. This is possible only when the compromise of the certification center, which in normal companies cherish as the most valuable IT-resource.

Since all the above mentioned methods (except for PEAP-GTC) allow saving (caching) passwords/certificates, then the theft of a mobile device attacker has full access without question by the network. As a measure of prevention can serve as a full disk encryption with password request using the device.

References

1. Securing Wi-Fi Wireless Networks with Today's Technologies. Wi-Fi Alliance. 2009.
2. Eric Geier. Security Vulnerabilities of Enterprise (802.1X) Wi-Fi Security. Article is provided courtesy of Cisco Press. Mar 12, 2012.
3. Angus Wong, Alan Yeung. Network Infrastructure Security. Springer, 2009.

Abstract

The right approach to the safety of Wi-Fi networks

Nani Arabuli. National Defense Acadamy of Georgia. Associate Professor.
Vlada Khimenko. Batumi College "Black Sea". IT Teacher.

The article discusses the technology of wireless security. The review, which will bring together all the applicable encryption technology and authentication of radio access WEP, WPA, 802.1x, EAP and shown that a properly configured wireless setey is an insurmountable barrier to the attacker.

რეზიუმე

სწორი მიდგომა Wi-Fi ქსელის უსაფრთხოებისათვის

ნანი არაბული. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცორებული პროფესორი
ვლადა ხიმენკო. ბატუმის კოლეჯი „შავი ზღვა". დოქტორანტი

სტატიაში განხილულია უკაბელო ქსელების უსაფრთხოების ტექნოლოგია. ასევე განხილულია ყველა მოქმედი დაშიფვრუს ტექნოლოგია WEP, WPA, 802.1x და ა.შ. ნაჩვენებია, რომ სწორად კონფიგურირებული უკაბელო ქსელები წარმოადგენს გადაულახავ ბარიერს ჰაკერისთვის.

IP-ტელეფონია

მანანა მაღრაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ 21–ე საუკუნე გლობალური ინფორმაციული საზოგადოების საუკუნეა და მის საფუძველს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება წაროადგენს.

IP-ტელეფონია - ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ინტერნეტი ან სხვა IP ქსელი საერთაშორისო სატელეფონო საუბრების საწარმოებლად და ფაქსის გასაგზავნად რეალური დროის რეჟიმში. ინტერნეტ-ტელეფონია – IP-ტელეფონიის კერძო შემთხვევაა, როცა სატელეფონო ტრაფიკის გადაცემისათვის გამოიყენება ინტერნეტის ქსელის არხები.

დღეისათვის IP-ტელეფონია ძალიან განვითარდა როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. IP-ტელეფონიის უპირატესობების რეალიზება მეტად მნიშვნელოვანია.

საუბრის დროს ჩვენი ხმოვანი სიგნალები (სიტყვები, რომლებსაც წარმოვთქვამთ) გარდაიქმნებიან მონაცემთა შეკუმშულ პაკეტებად, რომელიც ინტერნეტით იგზავნება საჭიროებისამებრ. როცა მონაცემთა პაკეტები აღწევს ადრესატს, ისინი კვლავ გარდაიქმნება ორიგინალის ხმოვან სიგნალებად.

არსებობს ინტერნეტ-ტელეფონიის ორი ბაზური ტიპი:

1. კომპიუტერიდან - კომპიუტეზე
2. კომპიუტერიდან - ტელეფონზე

ჩვეულებრივი ტელეფონით სარგებლბისას, სატელეფონო ზარზე მოსაუბრეებს შორის დაკავშირება ხდება სატელეფონო სადგურის საშუალებით მხოლოდ საუბრის მიზნით, ხოლო ხმოვანი საგნალები გადაეცემა კონკრეტული სატელეფონო ხაზებით. ინტერნეტ-ტელეფონის შემთხვევაში მონაცემთა შეკუმშული პაკეტები ხვდება ინტერნეტში, გაივლის გარკვეულ მარშუტს კონკრეტული მისამართით და ადრესატისათვის მონაცემთა პაკეტი გადაჯგუფდება და დეკოდირდება ორიგინალის ხმოვან სიგნალად.

ინტერნეტ-ტელეფონია IP-ტელეფონიის კერძო შემთხვევაა, აქ გადაცემის ხაზებად გამოიყენება ინტერნეტის ჩვეულებრივი არხება. სუფთა სახით IP-ტელეფონია, სატელეფონო ტრაფიკის გადაცემის ხაზისათვის იყენებს გამოყოფილ ციფრულ არხებს.

ინტერნეტ-ტელეფონია უფრო იაფია. ჩვეულებრივი სატელეფონო ზარები მოითხოვს კავშირის სატელეფონო სადგურების განშტოებულ ქსელს, დაკავშირებულს მიმაგრებული სატელეფონო ხაზების საშუალებით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების მიყვანას და თანამგზავრულ კავშირს. სატელეფონო კომპანიების დიდ დანახარჯებს ჩვენ მივყავართ ძვირ საქალაქთაშორისო საუბრებამდე. სატელეფონო სადგურებისთვის გამოყოფილ ჩართვას ასევე გააჩნია

ბევრი ზედმეტი მწარმოებლობა ან გაცდენის დრო ლაპარაკის სეანსის განმავლობაში.

ინტერნეტ-ტელეფონია ნაწილობრივ ხორციელდება არსებულ მიმაგრებულ სატელეფონო ხაზებზე. მაგრამ, რაც მთავარია, ის იყენებს ჩვენი ხმოვანი სიგნალების შეკუმშვის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიებს და სრულად იყენებს სატელეფონო ხაზების ტევადობას. ამის გამო სხვადასხვა მოთხოვნების მონაცემთა პაკეტები და მათი სხვადასხვა ტიპიც კი შეიძლება გადაადგილდეს ერთი და იგივე ხაზით ერთდროულად.

გავრცელებული აზრით, ხმის ქსელში პროფესიონალური კომპიუტერით გადაცემის კონცეფცია ჩაისახა ილიონისის შტატის უნივერსიტეტში (აშშ). 1993 წელს ჩარლი კლანმა გამოუშვა PC-ის საშუალებით ხმის გარდაქმნის პირველი პროგრამა - Maven. ერთდროულად ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მულტიმედიური დანართი ქსელში გახდა CU-SeeMe, ვიდეოკონფერენციების პროგრამა Macintosh (Mac), შემუშავებული კორნელიის უნივერსიტეტში.

1944 წლის აპრილში Endeavor ხომალდის ფრენის დროს NASA-მ დედამიწაზე გადმოსცა მისი გამოსახულება CU-SeeMe პროგრამის საშუალებით. შეეცადნენ ერთდროულად გადმოეცათ ხმაც. ლუისის საკვლევი ცენტრიდან მიღებული სიგნალი მიდიოდა Mae-ზე, რომელიც შეერთებული იყო ინტერნეტთან და ნებისმიერ მსურველს შეეძლო მოესმინა ასტრონავტების ხმა. შემდეგ ერთი პროგრამა ჩააშენეს მეორეში და გაჩნდა CU-SeeMe–ს ვარიანტი - აუდიო და ვიდეო სრული ფუნქციებით, როგორც Mae, ისე PC–თვის.

1995 წლის თებერვალი. ისრაელის კომპანიამ Vocal Tec-მა წარმოადგინა Internet Phone პროგრამის პირველი ვერსია, შემუშავებული Windous-ში მომუშავე მულტიმედიური კომპიუტერების მფლობელთათვის. ეს გახდა მნიშვნელოვანი საწყისი ინტერნეტ-ტელეფონიის განვითარებაში! Vocal Tec-ს იმედოვნებდა ძალიან პოპულარული Internet Relai Chat (IRC) არხების გამოყენებას მსგავსი ინტერესების მქონე ადამიანების ორმხრივი ურთიერთობის საშუალებად. მაგრამ კომპანიამ ვერ შეძლო დაკავშირებოდა Eras Free NeTwork (Feet)-ს რომელიც კურირებდა IRC-ს და ინფორმაცია მიაწოდეს გრაფიკის პოტენციურად შესაძლო გაზრდის შესახებ, რის გამოც საზოგადოებრივ არხებთან დაშვება Internet Phone-თვის დაიხურა. რამდენიმე კვირის შემდეგ Vocal Tec-მა მოაგვარა თავისი უთანხმოებები EFNet-თან. ამ დროის განმავლობაში უკვე შეიქმნა Internet phone-ს სერვერების კერძო ქსელი და ათასობით ადამიანმა ჩატვირთა პროგრამა Vocal Tec-ის სახლის გვერდიდან და დაიწყეს ურთიერთობა, რასაც აგრძელებენ დღესაც.

იმავე 1995 წელს სხვა კომპანიებმა საკმაოდ სწრაფად შეაფასეს ის პერსპექტივები, რომლებიც აძლევდნენ საუბრის შესაძლებლობას სხვადასხვა ნახევარსფეროში მყოფ ადამიანებს, თანაც ისე რომ, არაფერს იხდიდნენ საერთაშორისო ზარში!!! ბაზარზე გაჩნდა ქსელზე გამავალი ტელეფონიისათვის საჭირო პროდუქციის მთა.

იმავე წლის სექტემბერში საცალო ვაჭრობაში გაჩნდა პირველი ასეთი პროგრამა - DigiPhone, შემუშავებული დალასში პატარა კომპანიის მიერ, რომელმაც შესთავაზა "დუპლექსური (ორმაგი)" შესაძლებლობები - ლაპარაკი და მოსმენა ერთდროულად. ზუსტად ამ მომენტში გაჩნდა აბონენტებისათვის მიმზიდველი ნამდვილი ინტერაქტიური კავშირი. რასაკვირველია აბონენტებისათვის მნიშვნელობა არა აქვს რა ხერხებით გადაეცემა საუბარი. მთავარია, ერთმანეთის ესმოდეთ.

მალე გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც ამ ტიპის პროგრამებით დაიწყეს მარათონების მოწყობა. მიზანი იყო ინტერნეტით მუშაობა ესწავლებინათ ჩვეულებრივი "საუბრის სეანსი" ტიპის აპარატისათვის, რომლის დროსაც მთელი ქვეყნის მოსახლეობას შეეძლო ჩართულიყო და ესაუბრა საათობით.

1996 წლის მარტში მოხდა კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა. გამოცხადდა ორი კომპანიის: უკვე ცნობილი Vocal Tec-ის და კომპიუტერული ტელეფონიის უმსხვილესი კომპანიის Dialogic-ის ერთობლივი პროექტის შესახებ სახელწოდებით: "Internet Telephone Gate", რისთვისაც, ქსელსა და ტელეფონს შორის გაკეთდა სპეციალური შლუზი. ამ უკანასკნელმა მიიღო სახელწოდება (Vocal Tec Telephone Gateway) და წარმოადგენდა სპეციალიზირებულ პროგრამას, რომელიც გამოიყენებდა Dialogic-ის ხმოვან პლატებს. მრავალარხიანი ხმოვანი პლატები საშუალებას იძლევა ჯერ ერთი, VTG-ს ერთმა სისტემამ მოახდინოს რვა დამოუკიდებელი სატელეფონო საუბრის გატარება ქსელში, მეორეც მოიშორეს მისამართების პრობლემა, აიღეს რა თავის თავზე ჩვეულებრივი სატელეფონო ნომრების გარდაქმნა IP მისამართებში და პირიქით. ერთი მომხმარებლის საუბრისათვის ამ პროდუქტში საკმარისი იქნება არხის ზოლი 11 კბტ/ს რიგის სიგანით. ამრიგად, არხის მაღალი შესაძლებლობის და კავშირის მცირე ღირებულების გამო შეიქმნა წანამძღვრები ტელეკომუნიკაციური სამყაროს საფუძვლიანი ცვლილებისათვის. დღეს ნათელია, რომ IT - მხოლოდ ნაბიჯია გლობალური მულტიმედია –კავშირისაკენ.

ერთი წლის შემდეგ ჩვეულებრივი გახდა ინტერნეტის საშუალებით პლანეტის სხვადასხვა ადგილას მყოფი ჩვეულებრივი ტელეფონის აბონენტების ერთმანეთთან დაკავშირება და სულ რაღაც ორ წელიწადში დადგა ფეხზე სატელეფონო კავშირის ალრტერნატიული საშუალება.

IP-ტელეფონიის სატელეფონო სერვერების მოქმედების ზოგადი პრინციპი ასეთია: ერთი მხრივ სერვერი დაკავშირებულია სატელეფონო ხაზებთან და შეიძლია დაუკავშირდეს მსოფლიოს ნებისმიერ ტელეფონს. მეორე მხრივ, სარვერი დაკავშირებულია ინტერნეტთან და შეუძლია დაუკავშირდეს ნებისმიერ კომპიუტერს მსოფლიოში. სერვერი ღებულობს სტანდარტულ სატელეფონო სიგნალს, გარდაქმნის ციფრულად, მნიშვნელოვნად კუმშავს, ყოფს პაკეტებად და ინტერნეტით აგზავნის დანიშნულებისამებრ ინტერნეტ პროტოკოლის (TCP/P) გამოყენებით. ქსელიდან სატელეფონო სერვერზე მოსული და სატელეფონო

ხაზებში მიმავალი პაკეტებისთვის, ოპერაცია მიმდინარეობს პირიქით. ორივე შემადგენელი ოპერაცია პრაქტიკულად ერთდროულად მიმდინარეობს, რაც იძლევა სრულად დუპლიკაციური საუბრის უზრუნველყოფის საშუალებას. ამ ბაზური ოპერაციების საფუძველზე შეიძლება ბევრი განსხვავებული კონფიგურაციის აგება. დავუშვათ, ზარს ტელეფონი-კომპიუტერი ან კომპიუტერი-ტელეფონი შეუძლია ერთი სატელეფონო სერვერის უზრუნველყოფა, ტელეფონი (ფაქსი)-ტელეფონო(ფაქსი) კავშირის ორგანიზებისთვის საჭიროა ორი სერვერი.

ნახ.1-ზე მოცემულია კომპიუტერი-ტელეფონის შეერთების სქემა, რომელიც განსხვავდება ტელეფონზე ზარების განხორციელების და ფაქსების IP საშუალებებით გაგზავნის სისტემის სქემისაგან.



ნახ.1 შეერთება კომპიუტერი-ტელეფონი

საქალაქთაშორისო (საერთაშორისო) ზარები ხორციელდება სატელეფონო სერვერებით. ორგანიზაციას ან მომსახურების ოპერატორს სარვერები უნდა ჰქონდეს იმ ადგილებში სადაც ან საიდანაც იგეგმება ზარები. ასეთი კავშირის ღირებულება თანრიგით მცირეა ჩვეულებრივ სატელეფონო ზარზე.

სატელეფონო ქსელი შექმნილია ისე, რომ გარანტირებული იყოს მომსახურების მაღალი ხარისხი დიდი დატვირთვების დროსაც. IP - ტელეფონია, პირიქით, არ იძლევა ხარისხის გარანტიას, ამასთან, დიდი დატვირთვების დროს ხარისხი მნიშვნელოვნად ეცემა.

ნებისმიერი მომსახურების ღირებულება და მისი ხარისხი, როგორც წესი, პირდაპირპროპორციულია. თუმცა გასაგებია, რომ ზოგჯერ არ არის გონივრული ხარისხის მცირე გაუმჯობესება მოახდინო ფასის დიდი ზრდით. კავშირის ხარისხი შეიძლება შეფასდეს შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

1. ხმის დამახინჯების დონე;
2. ხმოვანი პაკეტების "დაკარგვის" სიხშირე;
3. დაყოვნების დრო (დრო, პირველი აბონენტის მიერ ფრაზის წარმოთქმასა და მეორე აბონენტის მიერ მის გაგონებას შორის).

პირველი ორი მახასიათიბლის მიხედვით კავშირის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა IP - ტელეფონიის პირველ ვერსიებთან შედარებით, რომლებისთვისაც დასაშვები იყო საუბრის დამახინჯება და წყვეტა. ხმის კოდირების გაუმჯობესებამ და დაკარგული პაკეტების აღდგენამ შესაძლებელი

გახადა იმ დონის მიღწევა, როცა საუბარი საკმაოდ ოილად აღიქმება აბონენტების მიერ. გასაგებია, რომ შეფერხებები მოქმედებს საუბრის ტემპზე. ცნობილია, რომ ადამიანისათვის 250 მილისეკუნდამდე შეფერხება პრაქტიკულად შეუმჩნეველია. IP - ტელეფონიის დღეს არსებული გადაწყვეტები აჭარბებს ამ ზღვარს. ასე რომ, საუბარი ჰგავს ჩვეულებრივი ტელეფონით თანამგზავრით განხორციელებულ კავშირს, რომლის ხარისხიც შეფასებულია სავსებით დამაკმაყოფილებლად და რომელიც საჭიროებს მხოლოდ გარკვეულ შეჩვევას, რის შემდეგაც მომხმარებლისათვის შეფერხებები შეუჩნეველი ხდება. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის კავშირი IP - ტელეფონიით სავსებით მისაღებია ბევრი მომხმარებლისათვის.

შეფერხებები შეიძლება შემცირდეს შემდეგი სამი ფაქტორის საშუალებით:

1. პირველი - ხდება სატელეფონო სერვერების სრულყოფა (მისი ავტორები ებრძვიან შეფერხებებს, სამუშაოს ალგორითმის გაუმჯობესებით).
2. მეორე - ვითარდება კერძო ქსელები (მათ მფლობელებს შეუძლიათ აკონტროლონ გაშვების ზოლის სიგანე და შესაბამისად, შეფერხებების სიდიდეც).
3. მესამე - ვითარდება თვითონ ინტერნეტის ქსელიც. თანამედროვე ინტერნეტი არ იყო გათვლილი რეალურ დროში კომუნიკაციებზე. თუმცა, როუტერების განახლებზე მთელ მსოფლიოში და ორგანიზაციული საკითხებისათვის (მაგალითად, თანხობრივად როგორ შეფასდეს უფრო მაღალი ხარისხის სერვისი) საჭირო იქნება გარკვეული დრო, ინტერნეტის სამყარო კი მიუხედავად ზემოთ თქმულისა სწრაფად მიდის წინ და ამასთან სწორი მიმართულებით.

ხარისხის განისაზღვრა შეკუმშვის სხვადასხვა პროტოკოლების გამოყენებისას შეიძლება სხვადასხვა ხერხებით. ასეთი გაზომვებისათვის ერთერთი მიდგომაა სუბიექტური მეთოდის გამოყენება. ამ მეთოდის გამოყენების დროს ადამიანების ჯგუფი (ჩვეულებრივ საკმაოდ დიდი), შეაფასებს კავშირის ხარისხს გარკვეული სტანდარტული პროცედურების მიხედვით. ყველაზე ცნობილი სუბიექტური მეთოდი არის საერთო აზრის მეთოდი. ამ მეთოდში (იხ. შეფასებათა ცხრილი) კავშირის ხარისხი შეფასდება სხვადასხვა ადამიანების დიდი ჯგუფის მიერ და შემდეგ აიღება საშუალო.

შეფასებათა ცხრილი

ხარისხი	**შეფასება MOS**
მაღალი	4.0–5.0
სტანდარტული სატელეფონო	3.5–4.0
მისაღები	3.0–3.5
სინთეზირებული ხმა	2.5–3.0

შეფასებათა ცხრილში მოცემულია კავშირის ხარისხის შეფასება ექსპერტების მიერ. შეფასებები ამ შემთხვევაში იცვლება 1-დან (მიუღებელია) 5-დე (შესანიშნავია, მოსმენისას არ არის დისკომფორტი).



ნახ. 3 კავშირის ხარისხის დამოკიდებულება
გატარების არხის სიგანეზე (დიაპაზონი)

ნახ. 3-ზე ნაჩვენებია სხვადასხვა პოპულარული ხმის კოდერ-დეკოდერების შეფასება საერთო აზრის მეთოდით. ჰორიზონტალურ ღერძზე გადადებულია საუბრის გადაცემისათვის საჭირო არხის სიგანე (დიაპაზონი), რომელიც შეკუმშულია გარკვეული კოდერით, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე-შეფასება.

ლიტერატურა

1. Asterisk the definitive guide 3rd edition 2011 Leif Madsen, Jim Van Meggelen, and Russell Bryant;
2. http://www.ciscopress.com;
3. http://computer.howstuffworks.com/ip-telephony.htm;

რეზიუმე

IP-ტელეფონია

მანანა მაღრაძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. პროფესორი

IP-ტელეფონია - ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ ინტერნეტი ან სხვა IP ქსელი საერთაშორისო სატელეფონო საუბრების საწარმოებლად და ფაქსის გასაგზავნად რეალური დროის რეჟიმში. ინტერნეტ-ტელეფონია – IP-ტელეფონიის კერძო შემთხვევაა, როცა სატელეფონო გადაცემისათვის გამოიყენება ინტერნეტის ქსელის არხები.

დღეისათვის IP-ტელეფონია ძალიან განვითარდა როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში.

IP - ტელეფონია საშუალებას იძლევა ვაწარმოოთ საუბრები IP ქსელში და ეს მნიშვნელოვნად ეკონომიურია. მიუხედავად იმისა,რომ IP - ტელეფონიის დაყენება და მოწყობა საკმაოდ რთულია, ეს ტექნოლოგია საკმაოდ ქმედითია, ვიდრე ტრადიციული არხების კომუტაციის ქსელი

Abstract

IP-Telephonie (Telephony)

Manana Maghradze. National Defense Acadamy of Georgia. Professor

IP-Telephony – is a technology which enables the usage of Internet or other IP network for International telephone calls and sending fax in real time regime. Internet-telephonie (telephony) is separate case when internet networks are used for transmission.

Traditional systems have reached the peak of their development and their broadening is possible only by means of implementing IPs.

IP-telephony provides customers of communicating in IP network which is quite economical. Despite the difficulty of installing IP-Telephony this technology is quite effective, economical and convenient than traditional commutation networks.

უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის

ნინო ჯოჯუა. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

უმაღლესი განათლების მთავარი ფუნქციაა განათლების გავრცელება, განათლების დონის აწევა საზოგადოებაში და საზოგადოებისთვის და ქვეყნის ეკონომიკისათვის სპეციალისტების და მეცნიერების მომზადება, და ამიტომაცაა, რომ ინოვაციისა და ცოდნის გავრცელების მხრივ მისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეში, მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაში ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი როლი გლობალური მსოფლიო კრიზისის დროს, როდესაც მთავრობები მთელ მსოფლიოში უნივერსიტეტებში ხედავენ მნიშვნელოვან საშუალებას ნაციონალური და რეგიონალური ეკონომიკის გასაძლიერებლად, კვლევების საფუძველზე ახალი იდეების, პროდუქტებისა და სერვისების შექმნის და მოქალაქეების განათლების დონის გაზრდით ეროვნული დოვლათის გაზრდაში.

უმაღლეს განათლებას წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში უპირველესად მისი ოთხი ძირითადი მისიის მეშვეობით [1]:

- ადამიანური კაპიტალის ფორმირება (ძირითადად სწავლებით)
- ცოდნის შექმნა (ძირითადად კვლევით და განათლების განვითარებით)
- ცოდნის გავრცელება და გამოყენება (ძირითადად "ცოდნის მომხმარებლებს" შორის ურთიერთობით)
- ცოდნა/განათლების მხარდაჭერა (ძირითადად თაობებს შორის ცოდნის დაგროვება და გადაცემა)

ადრეული კვლევების მიხედვით დაწყებით განათლებას ჰქონდა ყველზე მაღალი უკუგების მაჩვენებელი, უმაღლეს განათლებას კი ყველაზე დაბალი [2], დღევანდელი მიდგომა ამ მაჩვენებლებთან მიმართებით იცვლება. რადგან საბაზო განათლების შედეგი დაუყოვნებლივ ჩანს, ხოლო უმაღლესი განათლების უკუგების მაჩვენებელი შედარებით უფრო რთული დასათვლელია და ნაკლებად თვალსაჩინოა. სულ უფრო მეტი კვლევა ადასტურებს, რომ ადრე მიღებული კვლევის მეთოდები ზუსტად ვერ ასახავს უმაღლესი განათლების მიერ დამატებულ სოციალურ ღირებულებას, მათ შორის სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკური და პოლიტიკური მმართველობის გაუმჯობესებას, მეწარმეობის ზრდას და ა.შ. [3, 4] კვლევების მიხედვით, უმაღლესი განათლების მქონეთ დასაქმების ხუთჯერ მეტი შანსი აქვთ, ვიდრე საშუალო განათლების მქონეებს, რაც ცხადია მათ შემოსავლებზეც აისახება: ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების მქონე პირების დასაქმებიდან შემოსავალი 55%-ით მეტია საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია უმაღლესი განათლების აკადემიურ და პროფესიულ დონეების ეფექტი შემოსავლებზე: პროფესიული ციკლის ეფექტი და დროში ზრდის ტემპი შედარებით დაბალია. [5,6]

უფრო და უფრო მეტად ხდება იმის აღიარება, რომ უმაღლესი განათლება ხელს უწყობს ეკონომიკის ინფრასტრუქტურის განვითარებას. იგი სტიმულს აძლევს არა მხოლოდ დოვლათის შექმნას ქვეყანაში, არამედ ასევე ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ზრდას. მისი წვლილი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში დაახლოებით უტოლდება სარეკლამო სექტორის წვლილს და გაცილებით უფრო მეტია ვიდრე საავიაციო და ფარმაცევტული სექტორების წვლილი [7]. 2012-2013 წლის ბიზნესის და საზოგადოების ურთიერთმოქმედების კვლევის თანახმად, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ადასტურებს ამ სექტორის მზარდ ეკონომიკურ მნიშვნელობას, 2012-2013 წლებში უმაღლესმა განათლებამ ბიზნესისა და საზოგადოებისათვის მომსახურეობის გაწევის გზით, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში შეიტანა დაახლოებით 3.5 მილიარდი ფუნტი, რაც 4.4%-ით მეტია 2011-2012 წლებში მის წვლილზე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. [8]. HE-BCI კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მიუხედავად ეკონომიკური რეცესიისა და არასტაბილური გარემოსი, უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლები წარმატებულები არიან საკუთარი ცოდნის, პროფესიონალიზმისა და რესურსების გამოყენებაში და წვლილი შეაქვთ დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში კვლევებით, პროფესიული ტრენინგებით, კონსულტანციებით და სხვადასხვა სერვისებით და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ქმნიან შემოსავალს მათი ძირითადი საქმიანობის მხარდასაჭერად. სხვადასხვა გამოკვლევების თანახმად, უმაღლესი განათლების სექტორი ხდება უფრო და უფრო მნიშვნელოვანი დიდი ბრიტანეთის მშპ-ში. Universities UK-ს აღმასრულებელი დირექტორის, ნიკოლა დანდრიჯის (Nicola Dandridge) მიხედვით „უნივერსიტეტები ყოველწლიურად ახდენენ დაახლოებით 59 მილიარდი ფუნტის გენერირებას ქვეყნის ეკონომიკაში და ამ მონაცემებში არ გაითვალისწინება მათი კურსდამთავრებულების მიერ შექმნილი ღირებულებები“

გარდა იმისა, რომ უმაღლესი განათლება არის ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, უმაღლესი სასწავლებლების მიერ კონკრეტულ დარგში სპეციალისტების მომზადების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში დარგის განვითარების დონეს. წარმოადგენს და განახორციელებს რა სათანადოდ კონცეპტუალიზებულ საგანმანათლებლო აკადემიურ პროგრამებს კონკრეტული კვალიფიკაციებით, იგი ხელს უწყობს დარგის მომავალ განვითარებას. კვლევების თანახმად, “ძირითადი მიზეზი იმისა რომ, ბრიტანეთმა ეფექტურად ვერ განავითარა ახალი ქიმიური პროდუქტების და ელექტრონული მოწყობილობების ინდუსტრია, გამოწვეული იყო ბრიტანული უნივერსიტეტების მარცხით, განევითარებინათ სწავლებისა და კვლევის შესაძლებლობები მეცნიერების სხვადასხვა დარგებში და ინჟინერიაში, განსხვავებით გერმანიისა და აშშ-ს უნივერსიტეტებისგან. [9].

შესაბამისად, უმაღლესი განათლების სექტორი ზრდის რა განათლების დონეს, ხელს უწყობს ახალი კვალიფიციური მუშახელის შექმნას და დასაქმებას და ამავე დროს, იგი თავად არის ქვეყანაში მნიშვნელოვანი დამსაქმებელი სუბიექტი. 2007-

2008 წლებში უმაღლესი განათლების სექტორში დასაქმებული იყო დიდი ბრიტანეთის სრული სამუშაო ძალის 1%-ზე მეტი. 2007/2008 წლებში დიდ ბრიტანეთში შექმნილი ახალი კომპანიებიდან 53 კომპანია უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლების მიერ იყო შექმნილი და 2 031 კი მიმდინარე ან წინა წლის კურსდამთავრებულების მიერ.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე საერთაშორისო სტუდენტების წვლილი სექტორში და მთლიანად ეკონომიკაში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო ჯგუფები ხდება უფრო და უფრო ინტერნაციონალიზებული. ყოველწლიურად დაახლოებით 2.7 მილიონი სტუდენტი სწავლობს საზღვარგარეთ (არა მის მშობლიურ ქვეყანაში). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის თანახმად 2009 წელს 6 ქვეყანაში: აშშ-ში, ავსტრალიაში, კანადაში, საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში სწავლობდა მსოფლიოს საერთაშორისო სტუდენტების ნახევარზე მეტი. მსოფლიოს ქვეყნებში დიდი ყურადღება მახვილდება საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე. უცხოელი სტუდენტები ხარჯს სწევენ საცხოვრებელზე, საკვებზე, სასმელზე, გართობაზე და ა.შ. 2010 წელს ინგლისში საერთაშორისო სტუდენტების მიერ გაწეულმა ხარჯებმა ქვეყნის ეკონომიკაში 3.3 მილიონი ფუნტის გამომუშავებას და 27800 სამსახურის შექმნას შეუწყო ხელი.

ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოება მრავალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. უნივერსიტიტეტები ეკონომიკური საზოგადოების წევრები არიან და მათზეც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მრავალი გარემოს ფაქტორი: გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, ფინანსური კრიზისები, ნოვაციები, წარმოების, საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების თანამშრომლობა და ყველაფერი ეს გაზრდილი კონკურენციის ფონზე.

ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალიზაციის გავლენას მეცნიერები და ეკონომისტები აფასებენ ორგვარად: როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენის მქონეს. ასეთნაირადვე არის შესაძლებელი მისი განხილვა უმაღლესი სასწავლებლებთან მიმართებაშიც. გლობალიზაცია - "ეკონომიკა და ბიზნესი საზღვრებს გარეთ", უმაღლეს სასწავლებლებს აძლევს კარგ საშუალებას ითანამშრომლონ სხვა ქვეყნების ორგანიზაციებთან, კვლევების დაფინანსებისა და შედეგების რეალიზაცია მოახდინონ სხვა ქვეყნების კომპანიებთან. გლობალიზაცია ხელს უწყობს ინტელექტუალური რესურსების თავისუფალ გადაადგილებას, ერთობლივი საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას, იგი არღვევს ქვეყნებს შორის საზღვრებს და ბარიერებს.

თავად ქვეყნები და უმაღლესი სასწავლებლები მნიშვნელოვან სარგებელს ხედავენ საერთაშორისო თანამშრომლობაში. სტუდენტების გაცვლითი საერთაშორისო პროგრამები არის ერთი იმ მრავალ სტრატეგიათაგანი, რომელსაც იყენებენ მთავრობები, რათა ახალგაზრდობა და შესაბამისად ქვეყნის პოლიტიკური

და ეკონომიკური მომავალი იყოს უფრო ეფექტური გლობალურად ურთიერთადაკავშირებულ ეკონომიკასა და საზოგადოებაში. გააცნობიერა რა, რომ ეკონომიკის სტიმულირებისთვის ქვეყანას სჭირდება უკეთესად მომზადებული სამუშაო ძალა, ჩინეთის მთავრობამ 2008 წელს დააფინანსა უცხოეთში სწავლების პროგრამები და სტიპენდიები 2.7 მილიარდი დოლარით (მშპ-ს 2.8%), მაშინ როდესაც, 2006 წელს მხოლოდ 240 მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი ამ მიზნებისთვის. 2010 წელს ჩინეთის მთავრობის ხარჯმა სტუდენტთა საერთაშორისო სწავლების დაფინანსებაზე მშპს 4% შეადგინა.

უნივერსიტეტები და ქვეყნები ეხმარებიან სტუდენტებს, მკვლევარებს და პედაგოგებს საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობების გამოყენებაში, რადგან მათი მიზანია:

- მსოფლიო მოქალაქეების ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო ურთიერთგაგების განმტკიცება;
- კულტურათაშორისი ცნობიერების და უნარების შემუშავება;
- სამუშაო უნარების (ჯობ სკილლს) გაუმჯობესება და დასაქმების დონის გაზრდა;
- დარგში/სფეროში ცოდნის დონის ამაღლება;
- საგანმანათლებლო პროგრამების/კურიკულუმების ხარისხის ამაღლება.

ინტეგრაციული პროცესების აშკარა ნიმუშია ბოლონიის პროცესი, რომლის მთავარი არსია ერთიანი საერთაშორისო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. იგი, როგორც უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საუკეთესო საშუალება აკავშირებს ერთმანეთთან უმაღლეს სასწავლებლებს მთელს მსოფლიოში.

მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორედ გლობალიზაციაა ემიგრაციის, შრომითი რესურსების, სტუდენტების გადინების (brain drain) ერთ-ერთი მიზეზი. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემაა განვითარებული ქვეყნებისათვის. ამ ქვეყნებიდან ხდება საუკეთესო (Top talent) სტუდენტების, შრომის რესურსების გადინება, და რაც ამ ქვეყნებისთვის ძალიან ცუდია, ამ გადინებული რესურსების დიდი ნაწილი უკან, სამშობლოში აღარ ბრუნდება.

ცხადია უმაღლეს სასწავლებლებს სჭირდებათ გლობალიზაციის ასპექტებისთვის ყურადღების მიქცევა, თავიანთი პოლიტიკის, სასწავლო გეგმების გადახედვა და მათი ინტერნაციონალიზაცია, სამიზნე ქვეყნების სტუდენტებში ცნობადობის გაზრდისათვის და პარალელურად საკუთარ, ადგილობრივ ბაზართან მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება, რადგან უმაღლესი სასწავლებლები ისევე, როგორც სხვა ეკონომიკური სუბიექტები მოქმედებენ კონკურენტულ გარემოში და შესაბამისად, კონკურენცია მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მათ გადაწყვეტილებებზე. კონკურენცია ყოველთვის იყო განათლების სექტორის მამოძრავებელი ელემენტი პრესტიჟისთვის, საუკეთესო სტუდენტებისტვის, დოტაციებისა და კვლევითი გგრანტებისთვის, საუკეთესო პედაგოგებისთვის და მკვლევარებისთვის. ის მუდმივად გაუმჯობესებისაკენ, წინსვლისაკენ, ახალი

იდეებისაკენ უბიძგებს მათ. დღევანდელი კონკურენტული გარემო გამოწვეულია სხვადასხვა ძალებით, მაგრამ წარსული პერიოდიდან განსხვავებით გაზრდილი კონკურენცია გამოწვეულია მეტოქეობის გაჩენით როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო არენაზე. ამავე დროს, დღეს სტუდენტები განათლების მიღებას აღიქვამენ საგანმანათლებლო პროდუქტის "მყიდველის" პოზიციიდან. მით უფრო, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა მრავალი შემოთავაზებებიდან აირჩიოს ის, რომელიც უკეთ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და პროირიტეტებს კურიკულუმთან, ხარისხთან, სერვისებთან, ფასთან თუ მდებარეობასთან მიმართებაში.

ინგლისელი სტუდენტები, რომლებიც ტრადიციულად ნაკლებად მიდიოდნენ სასწავლებლად სხვა ქვეყნებში მოკლევადიან კურსებზეც კი, დღეს ირჩევენ სასწავლებლად სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებს. განსაკუთრებით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე –მაგისტრატურაზე, რადგან თვლიან რომ, შრომის ბაზარზე საერთაშორისო გამოცდილება ძალიან ფასეულია.

იუნესკოს 2012 წლის გლობალური მონიტორინგის ანგარიშის - "განათლება ყველასათვის"[10], მიხედვით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში კვლავაც პრობლემად რჩება განათლებამიღებული ადამიანების დასაქმება. ასეთ ქვეყნებში იუნესკო ავღანეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, ირანთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, უკრაინასა და კიდევ რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, საქართველოსაც მოიაზრებს. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურად ყველა სოციალური გამოკითხვა ადასტურებს, რომ დღეს ქვეყნის მთავარი პრობლემა უმუშევრობაა.ამ საკითხმა წინ გაუსწრო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ტერიტოროული მთლიანობა, სიღარიბე, პენსიები, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა და ა.შ. უმუშევრობის მიზეზების კვლევისას კი სპეციალისტები ხშირად მიდიან აზრამდე, რომ განათლების ხარისხი და კვალიფიციური კადრების დეფიციტი ქვეყანაში ინვესტიციების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას წინაღობას უქმნის.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გაზომილი მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის GCI 2013-2014 წლის მონაცემების მიხედვით [11] დაწყებითი განათლების ხარისხით საქართველო 94-ე ადგილზეა 148 ქვეყნიდან (3.4 ქულა); უმაღლეს განათლებისა და ტრენინგის მიმართულებით საქართველოს კონკურენტუნარიანობა ასევე ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაშია 8-ვე შემადგენელ კომპონენტში:

- მეორადი განათლება - 80 - ე ადგილი (86.2 ქულა);
- პროფესიული განათლება - 77-ე ადგილი (28.2 ქულა);
- საგანმანათლებლო სისტემის ხარისხი - 105-ე ადგილი (3.2 ქულა); (2012-2013 წლებში 114-ე ადგილი (3 ქულა);
- მათემატიკური და სამეცნიეროგანათლების ხარისხი - 106-ე ადგილი (3.7 ქულა); (2012-2013 წლებში 101-ე ადგილი (3.5 ქულა);
- მენეჯმენტის სკოლების ხარისხი - 107-ე ადგილი (3.7 ქულა); (2012-2013 წლებში 110-ე ადგილი (3.6 ქულა);

- სკოლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა- 62-ე ადგილი (4.5 ქულა); (2012-2013 წლებში 65-ე ადგილი (4.3 ქულა);
- სამეცნიერო და სატრენინგო მომსახურების ადგილობრივი შესაძლებლობები -130-ე ადგილი (3.3 ქულა). (2012-2013 წლებში-119-ე ადგილი (3.3 ქულა).
- ადამიანური რესურსების დატრეინინგება -107-ე ადგილი (3.6 ქულა).(2012-2013 წლებში 101-ე ადგილი (3.6 ქულა).

ასევე მძიმედ გამოიყურება ინოვაციის მაჩვენებელი: ინოვაციიური შესაძლებლობები - 118-ე ადგილი (3 ქულა) თუმცა იგი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა 2012-2013 წწ 142-ე ადგილი (1.9 ქულა);

- 2013-2014 წლის მონაცემებით მისი შემადგენელი კომპონენტები ასე გამოიყურება: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი - 124-ე ადგილი (2,8 ქულა); (2012-2013 წლებში143-ე ადგილი (1.9 ქულა)
- კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე - 128-ე ადგილი (2,5 ქულა); (2012-2013 წლებში 144-ე ადგილი (1.7 ქულა);
- ინდუსტრიული ინსტიტუტების მონაწილეობა კვლევასა და განვითარებაში - 132-ე ადგილი(2,7 ქულა); (2012-2013 წლებში143-ე ადგილი(1.9 ქულა)
- განვითარებული ტექნოლოგიური პროდუქციისსამთავრობო შესყიდვები - 62-ე ადგილი (3,6 ქულა);(2012-2013 წლებში - 143-ე ადგილი (2.1 ქულა);
- მეცნიერების და ინჟინრების არსებობა - 126-ე ადგილი (3,2 ქულა); (2012-2013 წლებში 140-ე ადგილი (2.7 ქულა);
- პატენტებით სარგებლიანობა - 62-ე ადგილი(1,4 ქულა); (2012-2013 წლებში 106-ე ადგილი(0 ქულა);

აქვე ავღნიშნოთ, რომ შეფასება 10 ბალიანი სისტემით ხდება და მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ კომპონენტებში გასულ წელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, საერთო სურათი ნამდვილად არასახარბიელოა.

ამიტომ, ცხადია ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სექტორის განვითარებაში. სახელმწიფოს როლი აშკარად ჩანს მსოფლიო გლობალური კრიზისის (2008) პერიოდის (EUA; 2010, 2011) კვლევების მონაცემებით[12, 13]. კვლევის თანახმად კრიზისის ზემოქმედებით უმაღლესი განათლების სექტორი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად და სხვადასხვა ეტაპზე დაზარალდა და ეს განსხვავებები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აისახა კრიზისი მათი ქვეყნის ეკონომიკაზე და რა რეაგირება მოახდინა მათი ქვეყნის მთავრობებმა. ბევრ ქვეყანაში (უნგრეთი, ბელგია, ავსტრია, ესპანეთი და ა.შ.) მთავრობებმა აღარ შეასრულეს აღებული ვალდებულებები დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით. შემცირდა საქველმოქმედო და სხვა სახის დაფინანსებებიც.

შესაბამისად, ევროპული უნივერსიტეტების 75%-ს მოუწია შემცირებულ დაფინანსებასთან შეგუება. უნივერსიტეტების ბიუჯეტის შემცირებამ გამოიწვია ის, რომ გატარდა ღონისძიებები ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ფაკულტეტების, დეპარტამენტების გაერთიანება, სასწავლო კლასების ზომების

გაზრდა და სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება, ბიბლიოთეკის მუშაობის და სხვა სტუდენტების მხარდამჭერი მომსახურების მათ შორის საკონსულტაციო საათების შემცირება.

და პირიქით, ზოგიერთმა ქვეყანამ (საფრანგეთი, გერმანია, დანია, ნორვეგია, ირლანდია, პორტუგალია, ფინეთი, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი) შეინარჩუნა ან გაზარდა დაფინანსება კონკრეტული კვლევითი აქტივობებისთვის. გაიზარდა დაფინანსება მეცნიერებაში, ტექნოლოგიის დარგში, საინჟინრო სფეროსა და მათემატიკაში (science, technology, engineering, and math - STEM). ხელოვნების დარგებს, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებს კი დაფინანსება შეუმცირდა ან შეუჩერდა.

ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია სახელმწიფოს მიერ განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მაჩვენებელი (დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში), ასევე მაღალია დასაქმებისა და შემოსავლის მაჩვენებლები. რაც შეეხება იმ ქვეყნებს (მაგალითად რუმინეთსა და სლოვაკეთში), სადაც დაბალია სახელმწიფოს მიერ სექტორში ინვესტირების მაჩვენებლები, ასევე დაბალია დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლები [6, 13, 14].

ამრიგად, უმნიშვნელოვანესია უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. ძლიერი ურთიერთკავშირია განათლებაზე გაწეულ ხარჯებსა და დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებთან. საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს წარმოდგენილი კვლევების მონაცემები, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება უმაღლესი განათლების (ასევე დაწყებითი და საშუალო განათლების) სექტორთან მიმართებაში და განათლებაში ინვესტირებით და მისი ეფექტურობის გაზრდის ხელშესაწყობად ქმედითი ნაბიჯების გადადგმით ხელი შეუწყოს მისი მისიის განხორციელებას, რაც თავის მხრივ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააძლიერებს.

ლიტერატურა

1. The Organisation for Economic Co-operation and Development; repot “Education at a Glance, OECD indicators”; OECD 2008
2. George Psacharopoulos, Harry A. Patrinos Returns to Investment in Education: A Further Update; World Bank Policy Research Working Paper 2881, September 2002
3. Pundy Pillay, Higher Education and Economic Development, Literature review, CHET 2011, p66;
4. Fasih, T.Linking Education Policy to Labor Market Outcomes. The World Bank. 2008.
5. The Organisation for Economic Co-operation and Development; repot “Education at a Glance 2012, OECD indicators”; OECD 2012
6. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM), უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით, 2013
7. The Economist, Foreign university students Will they still come? Aug 5th 2010, 12:40

8. Higher Education –Business and Community Interaction Survey 2008-09, June 2010
9. Röpke Jochen, *The Entrepreneurial University: Innovation, academic knowledge creation and regional development in a globalized economy*, Department of Economics, Plilipps-Universität Marburg, Germany, September 16, 1998
10. UNESCO: Education for All; Global Monitoring Report 2012
11. Klaus Chwab; The Global Competitiveness Report; World economic forum 2013-2014
12. European University association, (EUA), Annual report 2010
13. European University association, (EUA), Impact of the economic crisis on European universities (January 2011)
14. Ionescu, A. M. 2012. How does education affect labour market outcomes? Review of Applied Socio- Economic Research. (Volume 4, Issue 2/ 2012), pp. 130 http://www.reaser.eu

რეზიუმე

უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის

ნინო ჯოჯუა. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

სტატიაში ნაჩვენებია უმაღლესი განათლების როლი ქვეყნის ეკონომიკის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, დოვლათის შექმნაში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის ზრდაში, დასაქმებასა და შემოსავლების ზრდაში. ძლიერი ურთიერთკავშირია განათლებაზე გაწეულ ხარჯებსა და დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლებთან. განათლებაში ინვესტირება და მისი ეფექტურობის გაზრდის ხელშესაწყობად ქმედითი ღონისძიებები არა მხოლოდ უმაღლესი განათლების სექტორს განავითარებს, არამედ ასევე საფუძველს უყრის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაძლიერებას.

Abstract

Function and Role of High Education in the Economic and Social Development of the Country

Nino Jojua. National Defence Academy of Georgia. PhD in Economics

The article demonstrates a vital role of the Higher Education for national economic and social development. It is generally agreed today, that the major function of higher education is not only to disseminate literacy but to create and train a quality workforce for a country's economics. Furthermore, one should not forget that in terms of education spreading and industrial innovation, higher education is considered to be one of the leading aspects of any country's future economic enhancement and society's prosperity. There is a strong link between the indicators of the employment and income and the Education spending. Effective actions promoting the investment in the education and increasing its efficiency will develop not only the Higher Education, but also lays the foundation in the reinforcement of the social-economic situation of the country.

უსადენო ქსელების კომუნიკაციის პრინციპები და უპირატესობა

ვლადიმერ ადამია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
ასოცირებული პროფესორი
ნანა არაბული. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი
გიორგი გამდლიშვილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. დოქტორანტი

მიუხედავად იმისა რომ უსადენო ქსელები ბაზარზე გამოჩნდა 1990 წლიდან, ტექნოლოგია ფაქტიურად არსებობდა 1800 წლიდან. მუსიკოსმა და ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა (1732-1822) აღმოაჩინა ინფრაწითელი სხივები, რომელიც ადამიანის თვალისთვის უხილავი იყო. ეს აღმოჩენა წარმოადგენდა გზას ელექტრომაგნიტური ტალღების თეორიისაკენ რომელიც სიღრმისეულად შემდგომში გამოკვლეული იქნა ჯეიმს მაქსუელის მიერ. მისი აღმოჩენების უდიდესი ნაწილი ელექტრომაგნეტიზმის კუთხით დაფუძნებული იყო მიხეილ ფარადეის და ანდრე მარია ამპერის კვლევებზე. მაქსუელის აღმოჩენები გამოიყენა ჰენრიხ ჰერცმა და დაასკვნა რომ ელექტრომაგნიტური ტალღები მოძრაობს სინათლის სიჩქარით და ელექტრობა შესაძლებელია გადატანილი იქნას ამ ტალღების მიერ.

ჩნდება კითხვა რა კავშირშია ყოველივე ზემოთქმული უსადენო ქსელებთან. ქსელში მონაცემები გადაიცემა ეზერნეტის სადენის საშუალებით ელექტრონული სიგნალის სახით, ხოლო ჰერცის აღმოჩენა საშუალებას იძლევა საჰაერო გზების მეშვეობით განხორციელდეს იგივე მონაცემების გადაცემა როგორც ელექტროსიგნალის. საბოლოოდ ყოველივე ამის გადაწყვეტა ხორციელდება რადიოტალღების მეშვეობით.

მთავარ მიზანს წარმოადგენს რადიოტალღების მეშვეობით მაქსიმალურად სწრაფად და მაქსიმალურად შორს განხორციელდეს ინფორმაციის გადაცემა, მაგრამ ასეთი ტექნოლოგიის გამოყენებას თან სდევს ისეთი შემაფერხებელი ფაქტორები როგორიცაა სხვადასხვა რადიოტალღების ურთიერთზემოქმედება და ჩახშობა.

უსადენო ქსელების სტანდარტს წარმოადგენს IEEE 802.11 რომლის ოპერირებაც ხორციელდება ფედერალური საკომუნიკაციო კომისიის მიერ განსაზღვრული წესების ფარგლებში. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტანდარტი იყენებს არალიცენზირებულ სიხშირეს (ISM). ინფორმაციის გადაცემის პროცესში ხორციელდება გადამტანი სიგნალის დატვირთვა მონაცემებით. ამ პროცედურას მოდალაციის ტექნიკა ეწოდება. უსადენო ქსელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მომხმარებლისთვის ქსელთან წვდომის მოქნილი სისტემის შექმნა და ასევე ისეთ გარემოში მუშაობა სადაც სადენის დამონტაჟება გართულებულია ან არ არსებობს შესაბამისი დონის მოთხოვნა. ასევე მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მობილურ მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში როუმინგის

უზრუნველყოფა. უსადენო წვდომის მარშრუტიზატორს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მაუწყებლობა მის განკარგულებაში არსებული არხებიდან ერთ-ერთზე რომელიც მოცემულ სიტუაციაში არ ფარავს სხვა არხს და ამით დაცულია ინფორმაციის დაზიანებისგან.

ქვემოთ ნაჩვენებ სურათზე მოცემულია არხების დიაპაზონები და ამასთან მათი განაწილების სქემა რათა თავიდან არიდებული იქნას სიგნალის დამახინჯება და ერთ წერტილში რამოდენიმე დაფარვის ზონის არსებობის შემთხვევაში მათი ურთირთშეუფერხებელი მუშაობა. აქედან გამომდინარე შესაბამისი სიხშირული დიაპაზონები უნდა განისაზღვროს წინასწარ ან დადგინდეს თვითონ მოწყობილობის მიერ წინასწარ სივრცის სკანირების შედეგად.



ნახ. 1. არხების დიაპაზონები და მათი განაწილების სქემა

დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული არალიცენზირებული სიხშირეა 2,4Ghz. ამ სიხშირეზე მაუწყებლობენ 802.11b, 802.11g, 802.11n ასევე გვაქვს 802.11a სტანდარტი რომელიც მაუწყებლბისთვის იყენებს 5Ghz სიხშირეს. აქვე უნდა აღინიშნოს უსადენო ქსელებში გამოყენებული მოდულაციის ტექნიკის ვარიანტები: DSSS, OFDM, MIMO.

DSSS მოდულაციის ტექნიკის გამოყენების დროს ადგილი აქვს სიგნალის გავრცელებას მის მიერ გამოყენებულ მთლიან სიხშირულ სპექტრზე. მაგალითად თუ უსადენო წვდომის მარშრუტიზატორი მაუწყებლობისთვის იყენებს 1 არხს იგი ავრცელებს სიგნალს მთელ არხზე რომლის სიგანეც 22MHz.

იმისათვის რომ განხორციელდეს მონაცემთა კოდირება DSSS-ის მეშვეობით, გამოიყენება მიკროკადრების თანმიმდევრობა. საბოლოოდ კოდირება ეს არის მონაცემთა ერთი ფორმატიდან მეორეში გარდაქმნა. ეს მოდულაციის ტექნიკა მუშაობს ინფორმაციის გადაცემის შედარებით დაბალ სიჩქარეებთან და 11 Mbps სიჩქარით მაუწყებლობის დროს იყენებს CCK მექანიზმს რომელიც 64 უნიკალური კოდის სიტყვის მეშვეობით წარმოადგენს მონაცემების 6 ბიტს.

OFDM არ არის გადაწყვეტილი როგორც სიგნალის გავრცელების სპექტრული ტექნოლოგია. OFDM მოდულაციის ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელის მიღწეულ იქნას ინფორმაციის სწრაფი გადაცემა და გარე ზემოქმედების მიმართ მდგრადობა. OFDM განსაზღვრავს არხების გარკვეულ

რაოდენობას მოცემულ სიხშირულ დიაპაზონში, ხოლო შემდგომში არხი რომელზეც ხორციელდება მაუწყებლობა იყოფა ქვეარხებად. არხის სიგანე შეადგენს 20 MHz და იგი იყოფა ქვეგადამტან სიხშირეებად 300 KHz დიაპაზონით. ასეთი მიდგომით ჩვენ ვღებულოთ 52 ქვეგადამტან სიხშირეს თითოეულ არხზე.

წარმოადგენს ორთოგონალურად დაყოფილი სიხშირის მულტიპლექსინგს. ეს მოდულაციის ტექნიკა გამოიყენება 802.11 a და 802.11 g სტანდარტის უსადენო ქსელებში.

MIMO ეს არის ტექნოლოგია რომელიც გამოიყენება ახალი სტანდარტის 802.11n სტანდარტის უსადენო ქსელებში. ამ ტექნოლოგიაში გამოიყენება რამოდენიმე ანტენა სიგნალების მიღება-გადაცემისთვის. ინფორმაციის გადაცემა წარმოებს რამოდენიმე არხის მეშვეობით პარალელურად რაც მნიშვნელოვნად ზრდის სიჩქარეს. ამ სტანდარტის მიღება-გადაცმის სიჩქარე 300 Mbp/s აღწევს.



ნახ. 2. ტექნოლოგია CSMA/CA.

უსადენო ქსელებში გამოიყენება CSMA/CA ტექნოლოგია, ვინაიდან ინფორმაციის გადაცენა წარმოებს უსადენო ქსელის წვდომის წერტილის

მეშვეობით და მისი ფუნქციონირება დზაან გავს ჰაბის ფუნქიონირებას, უნდა განხორციელდეს კოლიზეების აცილება თავიდან. ამ მიზნით კლიენტის მხრიდან ხდება მოთხოვნის გენერირება ინფორმაციის გადაცემის უფლების მიღებაზე. ამ პროცესში ადგილი აქვს RTS/CTS სიგნალების კომბინაციის გენერირებას. ერთი აღნიშნავს გადაცემაზე უფლების მოთხოვნას, მეორე მინიჭებას.

ზემოთ აღწერილი ტექნოლოგიების მეშვეობით ხორციელდება გარკვეულ წილად ქსელთან წვდომის მოქნილობის გაზრდა და გარკვეულ წილად დანახარჯების შემცირება.

უსადენო ქსელების აგებისას და მათი გამოყენებისას ძალზედ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მექანიზმების გამოყენება. უსადენო ქსელებისთვის სამ ძირითად საფრთხეს წარმოადგენენ:

• პირები რომლებიც სკანირების მეშვეობით ცდილობენ დაუცველი არის აღმოჩენას და შემდგომ მასთან მერთებას;

• კრეკერები რომლებიც ცდილობენ არაავტორიზებული წვდომის მიღებას;

• თანამშრომლები, რომლებმაც შესაძლოა დაფარვის არის გაზრდის მიზნით განახორციელონ უსადენო ქსელის წერტილის მიერთება კორპორაციის ქსელთან.

ერთ-ერთ გავრცელებულ საფრთხეს წარმოადგენს შუალედური უსადენო წვდომის წერტილის ჩანერგვა. როგორც ცნობილია სადენის შემთხვევაში ჩვენ ფიზიკურად უნდა მიუერთდეთ მას რათა განხორციელდეს ტრაფიკის მოსმენა. უსადენო ქსელებში ამის აუცილებლობა არ არის, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ ნებისმიერი ნოუთბუქს აქვს შესაძლებლობა შესაბამისის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის შედეგად იფუნქციონიროს როგორც უსადენო ქსელთან წვდომის წერტილმა. ამ გზით შესაძლებელია განხორციელდეს ლეგიტიმური მომხმარებლების მიერთება და შემდგომ მათგან სენსიტური ინფორმაციის მოპოვება, ისეთის როგორც პირადი მონაცემები, პაროლები, კონფიდენციალური ბიზნეს მიმოწერა.

ამ პრობლემების თავიდან აცილების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს შეღწევის პრევენციის სისტემის არსებობა და მაგალითად საწარმოო ქსელის არსებობის შემთხვევაში დაფარვის ზონის სიხშირული სკანირება არალეგიტიმური უსადენო წვდომის წერტილების აღმოჩენის მიზნით.

ასევე მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემის მიერ ხორციელდებოდეს უსადენო წვდომის წერტილის აპარატურული დატვირთვის შეფასება. თუ უსადენო წვდომის წერტილი ჩვეულებრივზე მეტად დატვირთულია შესაძლებელია ივარაუდებოდეს არააუტორიზირებული წვდომის მიღების მცდელობა.

ასევე მნიშვნელოვანია დაფარვის ზონის სიხშირული სკანირება რათა არ მოხდეს სერვისთან წვდომის შეზღუდვა. ეს შესადზლოა განხორციელდეს შეტევის შედეგად ან გარემოს არასრულფასოვანი შეფასების შედეგად. ვინაიდან უსადენო ქსელთან წვდომის მოწყობილობები იყენებენ არალიცენზირებულ

სიხშირეებს დიდია ალბათობა სიხშირული გადაფარვის ან ზედდების სხვა მოწყობილობებთან, რამაც შესაძოა შეზღუდოს მათი შესაძლებლობა სერვისის მიწოდების კუთხით.

შეტევის შემთხვევაში შემტევმა რომელმაც იცის რა უსადენო ქსელთან წვდომის მოწყობილობის მუშაობის პრინციპი შესაძლოა გაავრცელოს CTS სიგნალი რომელიც აღნიშნავს რომ მოწყობილობა მზადაა კლიენტისგან მიიღოს ინფორმაცია. ასეთი სიგნალის მიღების შემდეგ ბევრი ნოუთბუქი არღვევს რა რიგითობის პრინციპს იწყებს ინფორმაციის გადაცემას რაც საბოლოოდ ზღუდავს ქსელთან წვდომის სერვისს. სწორედ აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც აპარატურის ასე დაფარვის ზონის მონიტორინგი.

უსადენო ქსელების უსაფრთხოების ერთ-ერთ მექნიზმს წარმოადგენს აუტენტიფიკაციის და შიფრაციის მექანიზმები. WEP წარმოადგენს შიფრაციის ერთ-ერთ მარტივ ალგორითმს იგი იყენებს ამ მიზნით წინასწარ გაზიარებულ 32 ბიტიან გასაღებს რომლითაც ხორციელდება გადასაცემი მონაცემების დაშიფვრა მაგრამ მისი შედარებით სუსტი უსაფრთხოების გამო უფრო აქტუალურია 802.11 i სტანდარტის გამოყენება რომელიც იყენებს TKIP დაშიფვრის ალგორითმს, რომელიც შემდგომში განისაზღვრა WiFi ალიანსის მიერ როგორც WPA უსაფრთხოების მეთოდი.

ასევე დაშიფვრის ერთ-ერთ ძლიერ ალგორითმს წარმოადგენს AES,, რომელიც გამოყენებულია WPA2 უსაფრთხოების მეთოდში. უსაფრთხოების გაზრდის მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას TACACS და RADIUS სერვერები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ერთ კონკრეტულ ადგილას მოხდეს მომხმარებელთა აუტენტიფიკაცია და მხოლოდ ამის შემდეგ ქსელის რესურსებთან მათი დაშვება. ამისთვის გამოიიყენება EAP პროტოკოლი. სანამ ეს უსაფრთხოების მექანიზმები დაიმკვიდრებდა ადგილს, გამოიყენებოდა ფიზიკური მისამართების დონეზე ფილტრაცია და არის იდენტიფიკატორის დაფარვა რაც ვერ უზრუნველყოფდა შესაბამის უსაფრთხოებას თუმცა ეს მექანიზმის დღესაც გამოიყენება როგორც დამატებითი უსაფრთხოების საშუალება.

თანამედროვე ბიზნესი ძალზედ სენსიტიურია ამ მიმართულებით. ზოგადად გლობალური ქსელის გამოყენების დროს მისთვის მნიშვნელოვანია თუ რამდენად არის დაცულუი მისი მიერ გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და ზემო თქმულის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორიც ამაში მდგომარეობს, სწორედ ამიტომ იქმნება უსაფრთხოების მექანიზმები.

შედარებით დიდ მანძილზე ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენება ვაიმაქსის სტანდარტი 802.16 LastMile რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა

დაკავშირებას ინტერნეტ სერვისპროვაიდერთან და ამისთვის ის იყენებს 10-66 GHz არხებს.

ასევე აღსანიშნავია ახალი სტანდარტის გამოჩენაც რომელიც დღეს-დღეობით განხილვის პროცესშია. ეს არის 802.11 ac სავარაუდოდ იგი შეძლებს 1 Gbp/s სიჩქარით ინფორმაციის გადაცემას და ასევე point to point და point to multipoint რეჟიმებში მუშაობას.

ლიტერატურა

1. F. Molish., Wireless communication. published 2011 (ISBN: 9780470741870);
2. CCNA Wireless Official Exam Certification Guide Pearson Education, Oct 23, 2008 (Category: Cisco Press—Cisco Certification);
3. Steve Rackley., Wireless networking technology from principles to successful implementation (ISBN13: 978-0-7506-6788-3).

რეზიუმე

უსადენო ქსელების კომუნიკაციის პრინციპები და უპირატესობა

ვლადიმერ ადამია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი

ნანა არაბული. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასოცირებული პროფესორი

გიორგი გამდლიშვილი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. დოქტორანტი

ნაშრომში მოცემულია უსადენო ქსელების ქსელურ ინფრასტრუქტურასთან და კონკრეტულ სერვისებთან წვდომის მოქნილი მექანიზმები, მათი გამოყენების სფეროები და ამოცანები. მათი განვითარების, კონკრეტულ გარემოზე და ამოცანებზე ორიენტირების ასპექტები. განხილულია უკაბელო ქსელების გადაცემის სიხშირის ლიცენზირება და მისი გამოყენების ეკონომიკური ეფექტი. დღესდღეობით არსებული სტანდარტების მიხედვით მაგისტრალური კავშირების აგების შესაძლებლობა.

Abstract

Wireless communications principles and advantages

Vladimer Adamia. Georgian Technical University. Associate Professor

Nani Arabuli. National Defense Acadamy of Georgia. Associate Professor.

Giorgi Gamdlishvili. Georgian Technical University. PhD student

In thesis is shown accessing to wireless networks infrastructure and flexible tool for accessing certain services. Basic aspects of their development and also orientation on concrete environment and tasks. Discussed licensing of wireless networks transmission frequency and economic effect of their use. According to current standards, how we can build trunk connections.

უცხო ენები და მეცნიერთა შესაძლებლობები

მერაბ ცინცაძე. მეცნიერ მუშაკი
შალვა კვეზერელი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი

ჩვენი შეხედულების /მოცემული სტატიის/ მიზანს წარმოადგენს ქართული მეცნიერების განვითარების შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის, როგორიცაა საკუთარი-მშობლიური ენობრივი ასპარეზის დაკნინება და უცხო ენათა წინ წამოწევა-თავსმოხვევის შემაშფოთებელი გარემოებებისადმი მკითხველის ყურადღების მიპყრობა.

ცხადია, რომ შექმნილი მოთხოვნები მეცნიერთა შესახებ აუცილებელს ხდის მათ მიერ უცხო ენების სრულყოფილ თუ არა, საკმაოდ კარგად შესწავლას და მის გამოყენებას. ორივე ქმედება: შესწავლა და გამოყენება შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ სარგებლიანობის თვალსაზრისით. პირველი ის რომ საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი დედა ენის-ქართულის სრულყოფილება, როგორც წინადადების მკაფიოდ, ცხადად ისე წარმოთქმის სიადვილით. ქართული ენა აყალიბებს ქართულ აზროვნებას და განაპირობებს მის სიძლიერეს აზრის მკაფიოდ გადმოცემით, რომელიც თავის მხრივ გაპირობებულია ათასწლეულებში გამოვლილი ქართული სიტყვის შინაარსით. მიუხედავად უამრავი გამოკვლევისა დღესაც არ არის ახსნილი თუ რის საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართულში ესა თუ ის სიტყვა ან არსებითი სახელი. მაგალითად - „მიწა“ რა წყობის, შინაარსის მატარებელია იგი. რუსულად იგი იქნება „ზემლია“, ჩვენ არც ის ვიცით თუ საიდან არის წარმოქმნილი და რა შინაარსის მატარებელია იგი, შეესიტყვება იგი შინაარსით ქართულ სიტყვას „მიწას“ თუ არა, მიუხედავად იმისა რომ კათალიკოს კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) გამოკვლევით ბევრი რუსული სიტყვა ქართული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. ასევე შეიძლება ითქვას სხვა უცხო ენების შესახებაც. ასეთივე დიდი განსხვავებები არსებობს წინადადებების ჩამოყალიბების მხრივაც. ჩვენი შეხედულებით ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანია რადგან სიტყვა თუ არ გამოსახავს მის შინაგან არსს და გამოსახავს სხვა მოვლენას მაშინ ეს აშკარად იმოქმედებს ადამიანის აზროვნების ხასიათზე. ასე მაგალითად: პირადად სამეცნიერო მუშაობისას მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც დიდი დატვირთვა არ მქონდა რუსული ენისა, დაახლოებით ხუთი წელი დასჭირდა მისი, ანუ რუსული აზროვნების თავისებურებებიდან გამოსვლას. დავაკვირდი, რომ შემდგომი ქართული წინადადებები მიდრეკილი იყო ამ უცხო ენის წინადადებათა წყობისაკენ. რაც დიდად შემაშფოთებელი აღმოჩნდა ჩემთვის და როგორც მოგახსენეთ დაახლოებით ხუთი წელი მოვანდომე თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენ ბუნებრივ ჩვეულებაში ჩადგომას. აქედან უკვე ცხადია რამდენად საზიანოა ყველა უცხოური: ინგლისური, გერმანული, ფრანგული თუ სხვა წარმოშობის სიტყვების შემოტანა ქართულ აზროვნებით სივრცეში, რომელიც ისეა დღევანდელობაში გაჟღენთილი უცხო სიტყვებით, რომ ზოგი დაკვირვებული მკვლევარის განმარტებით თითქმის აღარც ვლაპარაკობთ ქართულად. ეს ცუდი იმიტომ არის რომ ქართულ ენას გააჩნია აზროვნების უსაზღვრო შესაძლებლობანი

და ჩვენ ვერ ვიყენებთ მას იმის გამო, რომ უცხო სიტყვებს ვანიჭებთ უპირატესობას, როდესაც ქართული შესატყვისი ვიცით. ეს ალბათ იმიტომ, რომ უფრო გამოვჩნდეთ ვითომ განათლებულობით სხვა ადამიანების წინაშე.

მეორე ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება არის, ის რომ მკვლევარისა და მეცნიერის გონებრივი შესაძლებლობის არც თუ მცირე ნაწილი მიმართული აღმოჩნდება უცხო ენის შესწავლისათვის, მათი აზროვნებითი თავისებურებათა დაძლევისათვის მშობლიურ აზროვნებასთან შეთავსების დროს და ამდენად მოხდება მათი ძალების გაფანტვა სივრცეში – ანუ ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის ფუჭი ფლანგვა. როგორც ფიზიკა გვასწავლის, ენერგიის გარდაქმნას, ერთი სახიდან მეორეში გადასვლისას თან ახლავს დანაკარგები. მაშასადამე სინამდვილეში გვექნება სამეცნიერო ენერგიის განახევრება თუ არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილის დანაკარგები მაინც.

შეიძლება ვინმეს წარმოეშვას კითხვა რომ ინგლისელიც სწავლობს ფრანგულს, გერმანულს და პირიქით და ასე შემდეგ. მაგრამ ესენი ყველა მჭიდროდ ნათესაური ინდო-ევროპული ენებია, რომელთა სიტყვები თითქმის ერთნაირი შინაარსისაა და შესაბამისობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ამიტომ მათ არ ექნებათ სამეცნიერო ენერგიათა ისეთი დიდი დანაკარგები ქართულთან შედარებით, რადგან მოგეხსენებათ ქართული ენა არ მიეკუთვნება არც ერთ ენას მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იბერიულ კავკასიურ ენათა ჯგუფში ირიცხება.

ქართველ მეცნიერთა ამ დამატებითი დაძაბულობის და ძალების ხარჯვის გამო ცხადია თუ რამდენად დიდი გონიერების იყვნენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც ბევრ დარგში გაუთანასწორდნენ უცხოელ მკვლევარებს.

ჩვენი შეხედულებით მეცნიერის მთელი შესაძლებლობის /პოტენციალის/ გამოყენება მოხდება იმ შემთხვევაში თუ უცხო ენების სწავლება არ იქნება სავალდებულო. სწორედ ამისათვის თვით უცხოეთშიც კი მოქმედებს მთარგმნელობითი დაწესებულებანი. ასევე ქართულიდან შეიძლება მოვიყვანოთ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მაგალითი, რომლებსაც დრო აღარ ეყოთ ქრისტიანული თეოლოგიის საკითხებისადმი თავიანთი ნააზრევის ჩამოყალიბებისათვის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გამო, თვით იოანე პეტრიწიც მხოლოდ პროკლეს კავშირნის განმარტებით /კომენტარებით/ შემოიფარგლა.

ლიტერატურა

1. ქართული იდენტობის საგანძური და მისი მცველი კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე. თ. პაპუაშვილი. თბილისი 2012;
2. ქართული ანბანი, ინდო ციფრები და „ვეფვისტყაოსნის“ თეოლოგია. მ. ცინცაძე. თბილისი 2008.

რეზიუმე

უცხო ენები და მეცნიერთა შესაძლებლობები

მერაბი ცინცაძე. მეცნიერ მუშაკი

შალვა კვეზერელი. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ პროფესორი

სტატიაში „უცხო ენები და მეცნიერთა შესაძლებლობები“ განხილულია ქართული მეცნიერების განვითარების შემაფერხებელი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა საასპარეზო სივრცის - მშობლიური ენის დაკნინება და მის სანაცვლოდ უცხო ენათა დამკვიდრება. აღწერილია უცხო ენის შესწავლისათვის, მათი აზროვნებითი თავისებურებათა დაძლევისათვის მშობლიურ აზროვნებასთან შეთავსების დროს ქართველ სამეცნიერო მოღვაწეთა ძალების გაფანტვა სივრცეში – ანუ ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილის ფუჭი ფლანგვა. სამეცნიერო ენერგიის ფუჭი დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნულია მთარგმნელობითი დაწესებულებების განვითარების აუცილებლობა.

Abstract

The foreign languages and scientists capabilities

Marabi Tsintsadze. Scientist

Shalva Kvezereli. National Defense Acadamy of Georgia. Assistant Professor

In the article „The foreign languages and scientists capabilities“ is discussed such an important hassling issue of the Georgian science development such as a detract from competition of space - the native language and in return for the establishment of foreign languages. It is described the scattering of the forces in the space – i.e. the aimless wasting of the significant part of the energy of the Georgian scientists at the time for studying of foreign language, for overcoming of the thought peculiarities to combine the native thinking. In order to avoid aimless losses of the scientific energy, there is marked the development necessity of the translation institutions.

ქართული ენის გრამატიკული ლექსიკონის სამომხმარებლო ვერსია

გიორგი კოხრეიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. მასწავლებელი

ეგლ- ელექტრონული გრამატიკული ლექსიკონი

ეგმ - ელექტრონული გრამატიკული მოდული

ქეგლ - ქართული ელექტრონული გრამატიკული ლექსიკონი

მგლ - მექანიკური გრამატიკული მოდული

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზაციამ ენების სწრაფი განვითარება გამოიწვია. ენის სწორად განვითარებისათვის და სწორი გრამატიკული ნორმების დანერგვისათვის წარმოიქმნა გრამატიკული ლექსიკონის შექმნის საჭიროება, რომელმაც ფართო რეალზება პოვა ელექტრონულ სამყაროში. ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველია უ.ე.ს.ფ ნანუ, სადაც უკვე შექმნილია ეგლ-ები უკრაინული, ინგლისური, გერმანული, თურქული, ესპანური და რუსული ენებისთვის. ზემოთ ჩამოთვლილი ეგლ-ები შესრულებულია კონცეპტუალურ და სისტემოტექნიკურ საფუძვლებზე, რომლებიც დამუშავებულია უესფ-ში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ქართული ელექტრონული გრამატიკული ლექსიკონი (ქეგლ), რომლის შექმნაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის პროფესსორ თ. ჯაგოდნიშვილს, რომელთან ერთადაც დამუშავდა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურა. შეიძლება გამოიყოს ლექსიკონის ძირითადი დანიშნულებები როგორც სამეცნიერო, ისე სამომხმარებლო მიმართულებებით. მოცემულ სტატიაში წარმოგიდგენთ ქეგლ-ის სამომხმარებლო ვარიანტს.

პროგრამის ინტერფეისი ოთხ ენოვანია (ქართული, ინგლისური, უკრაინული და რუსული). ინტერფეისის ძირითადი ენა ქართულია, ვინაიდან ქეგლი განკუთვნილია ქართული ენის მცოდნე (მინიმალურ დონეზე), ან მისი შესწავლის მსურველთათვის. ლექსიკონი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ბაზური (რეესტრული) და მექანიკური მოდულებისგან.

რეესტრულ მოდულში არსებული ლექსიკური ერთეულების რაოდენობა მოცემულ ეტაპზე დაახლოებით 5000 ერთეულია. აქ მომხმარებელს საშუალება აქვს რეესტრის სორტირება მოახდინოს გრამატიკული კლასების მიხედვით. (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა).

არსებითი სახელის ბრუნებისას მომხმარებელმა უნდა აირჩიოს ბრუნების ტიპი, რადგან ზოგიერთი სახელი იბრუნვის რამოდენიმე ტიპის მიხედვით.

მაგალითად:

ია - როგორც ყვავილი, მრავლობითი ფორმა გააჩნია (იები).

ია - როგორც საკუთარი სახელი, მრავლობითი ფორმა არ გააჩნია.

ასევე ქართული ენისთვის გამოიკვეთა თავისებურებანი. უმეტესწილად ნეოლოგიზმები არ ემორჩილებიან ენის კუმშვა-კვეცის წესებს. ამიტომ მომხმარებელს საშუალება ეძლევა გამორთოს კუმშვის, კვეცის, ან ორივეს ერთად ფუნქციები. ბრუნების შედეგად მომხმარებელი ღებულობს: მხოლობით, მრავლობით და ნარ-თანიან მრავლობით (არქაული) ბრუნების ცხრილებს,

გავრცობილ ფორმებს, თანდებულიან ფორმებს როგორც მხოლობით ისე მრავლობით რიცხვში, ასევე სახელწარმოების შედეგებს და კნინობით ფორმებს. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონის შექმნისას გათვალისწინებულ იქნა ენის პოტენციალი და მომხმარებელს მიეწოდება ის ფორმებიც, რომლებიც სალაპარაკო თუ ლიტერატურულ ენაში არ გამოიყენება, მაგრამ გრამატიკულად აბსოლიტურად სწორი ფორმებია და დევს ენის პოტენციალში.

ზედსართავი სახელის ბრუნების შედეგად, მომხმარებელი ღებულობს ზედსართავი სახელის ბრუნების ცხილებს როგორც ცალკე ბრუნების შემთხვევაში, ასევე არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას. რადგან ზედსართავი სახელი სხვადასხვაგვარად იბრუნვის ცალკე, არსებითი სახელის წინ და მის შემდეგ.

ვინაიდან, ქართული ზმნა მეტად რთული კლასია, მისი უღლება რეესტრულ მოდულში მომხმარებელთან დიალოგურ რეჟიმში მიმდინარეობს. მომხმარებელმა თავად უნდა აირჩიოს ზმნისწინი რადგან ერთმა ზმნამ შეიძლება შეითავსოს სხვადასხვა ზმნისწინი და ამასთან საკამაოდ იცვლება ზმნის მნიშვნელობა.

მაგალითად:

წერა

გადაწერა

ჩაწერა

მომხმარებელმა ასევე თავად უნდა აირჩიოს ქცევის ან გვარის ნიშანი ვინაიდან ის ცვლის ირიბ ობიექტს.

მაგალითად:

ვაკეთებ

ვიკეთებ

გიკეთებ

ვუკეთებ

ასევე, პირველი მარცვლის ზმნისწინის ნიშანთან თანხვედრის შემთხვევაში, დიალოგურ რეჟიმში მომხმარებელმა უნდა განსაზღვროს შეზრდილი ზმნისწინია ის თუ ძირეული მარცვალია. უღლების შედეგად მომხმარებელი ღებულობს უღლების ცხრილს, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობისთვის. თითოეული მათგანი იყოფა კატეგორიებად. სუბიექტური წყობა იყოფა შუალობითი და უშალო კონტაქტების კატეგორიებად. შუალობითი კონტაქტი გამოხატავს მოქმედებას მესამე პირის მიერ სუბიექტის მოთხოვნით, ხოლო უშუალო კონტაქტი - თავად სუბიექტია მოქმედი. ობიექტური წყობა დაყოფილია მოქმედი ობიექტის პირის მიხედვით,

მაგალითად:

მწერ - (შენ მე)

მწერს - (ის მე)

ორ კატეგორიად (მეორე და მესამე ობიექტი), ხოლო თითოეული მათგანი მოქმედი ობიექტის რიცვის ქვეკატეგორიებად.

მაგალითად:

მწერ (შენ მე)

მწერთ (თქვენ მე)

რეესტრულ მოდულთან ერთად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ქეგლ-ში არის მექანიკური მოდულიც. გრამატიკული ლექსიკონის მექანიკური მოდული აერთიანებს: არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის, ზმნის, ნაცვალსახელის გრამატიკულ ლექსიკონებს. ასევე შერეული (მსაზღვრელ საზღვრულის) ერთდროულად ბრუნების მოდულს.

მექანიკური მოდული შეიცავს სრულ პარადიგმას თითოეული გრამატიკული კატეგორიისთვის, რომლის საშუალებითაც ქეგლი ხდება გახსნილი სისტემა მომხმარებლისთვის და არ არის შეზღუდული მონაცემთა ბაზაში არსებული ლექსიკური ერთეულების რაოდენობით, რაც პროგრამას მეტად მოქნილს ხდის. მისი გამოყენება შეუძლია ენის მინიმალურად მცოდნე ნებისმიერ მომხმარებელს.

არსებითი სახელის მგლ-ში სახელის შეყვანა ხდება მოთხრობით ბრუნვაში. ამ ბრუნვაში შეყვანა აუცილებელია, რათა მოხდეს სახელის ფუძის განსაზღვრა. აქვე ხდება ბრუნების ტიპის არჩევა და გამონაკლისი შემთხვევებისთვის, როდესაც სახელი არ ემორჩილება კუმშვა-კვეცის კანონზომიერებას, ამ ფუნქციების ამორთვა. ბრუნების შედეგად მომხმარებელი იღებს რეესტრული მოდულიდან ბრუნების აბსოლიტურად იდენტურ შედეგს.

ზედსართავი სახელის მგმ-შიც სახელის შეყვანა ხდება მოთხრობით ბრუნვაში, აქვე გათვალისწინებულია კუმშვა-კვეცის ფუნქციის ამორთვის შესაძლებლობა გამონაკლისი შემთხვევებისთვის. ამ შემთხვევაშიც ბრუნების შედეგად მომხმარებელი იღებს რეესტრული მოდულიდან ბრუნების აბსოლიტურად იდენტურ შედეგს.

ზმნის მგმ-ში ზმნის შეტანა ხდება ორი ფორმით. პირველი – საწყისი ფორმა, მეორე – მეორე სერიის წყვეტილი წრის მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა. ორი ფორმით შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ზმნის საუღლებლად საჭიროა როგორც ზმნის ფუძე ასევე მისი ძირი, ამასთან უნდა განისაზღვროს რედუქტირებადია თუ არა ზმნის ძირი. უღლების პროცესი მიდის რეესტრულ მოდულში უღლების ანალოგიურად; მომხმარებელი თავად ირჩევს ზმნისწინს და ქცევის ან გვარის ნიშანს, თანხვედრის შემთხვევაში, დიალოგურ რეჟიმში საზღვრავს პირველი მარცვალი შეზრდილი ზმნისწინია თუ ძირეული მარცვალი.

რიცხვითი სახელის მგმ-ი ორ ნაწილად იყოფა: რაოდენობითი რიცხვითი სახელის მოდული და რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელის მოდული.

რაოდენობით რიცხვითი სახელის მოდულში შეყვანა შეიძლება როგორც რიცხვითი ფორმით ასევე სიტყვიერად. მოდულს რიცხვითი ფორმიდან გადაყავს სიტყვით ფორმაში და აბრუნებს რიცხვებს პირველ ტრილიონამდე. ხოლო სიტყვითი ფორმით შეყვანისას შეზღუდვა არ არსებობს.

რაოდენობითი და წილობითი რიცხვითი სახელების შეყვანა ხდება მხოლოდ სიტყვიერი ფორმით. შეზღუდვა ამ სახელებისთვის არ არსებობს.

ნაცვალსახელის მგმი რეესტრული ტიპისაა; რადგან მათი ბრუნება აბსოლიტურად სპეციფიურია და არ გააჩნია საერთო პარადიგმა.

შერეული ბრუნების მოდული ახდენს მსაზღვრელ-საზღვრულის ერთდროულ ბრუნებას. მათი შეყვანა ხდება მოთხრობით ბრუნვაში, რათა დადგინდეს თითოეული მათგანის ფუძე. მომხმარებელმა უნდა განსაზღვროს მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა, პრეპოზიციურია თუ პოსტპოზიციური. გამონაკლისი სახელის შემთხვევაში შეცდომის გამოსარიცხად მომხმარებელს დიალოგურ რეჟიმში ეძლევა საშუალება თითოეული სიტყვისთვის გამორთოს კუმშვა კვეცის ფუნქცია.

პროგრამას გააჩნია ხმოვანი ანბანი, რაც ენის შესწავლის მსურველ მომხმარებლებს დაეხმარება ქართული ბგერების სწორად გამოთქის შესწავლაში. ასევე მომხმარებელს დახმარების სახით მიეწოდება თითოეული გრამატიკული კატეგორიის აღწერა, რომელიც მას წარმოდგენას შეუქმნის ბრუნების თუ უღლების შედეგად მიღებული თითოეული შედეგის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე.

რეზიუმე

ქართული ენის გრამატიკული ლექსიკონის სამომხმარებლო ვერსია

გიორგი კოხრეიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. მასწავლებელი

თანამედროვე მსოფლიოს ცივილიზაციამ ენების სწრაფი განვითარება გამოიწვია. ენის სწორად განვითარებისათვის და სწორი გრამატიკული ნორმების დანერგვისათვის წარმოიქმნა გრამატიკული ლექსიკონის შექმნის საჭიროება, რომელმაც ფართო რეალზება პოვა ელექტრონულ სამყაროში. ჩვენს მიერშექმნილი ქართული ელექტრონული გრამატიკული ლექსიკონი შეიძლება იქნას გამოყენებული როგორც სამეცნიერო, ისე სამომხმარებლო მიმართულებებით. მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია ქეგლ-ის სამომხმარებლო ვარიანტი.

პროგრამას მომხმარებლური თვალსაზრისით შეიძლება მრავალმხრივი დანიშნულება მიენიჭოს, როგორც ორთოგრაფიული, ასევე სასწავლო სახელმძღვანელო, რაშიც იგულისხმება მომხმარებლისთვის გრამატიკულად სწორი ფორმების მიწოდება.

Abstract

Consumer version of the Georgian grammar dictionary

Giorgi kokhreidze. National Defense Acadamy of Georgia. Head teacher

The civilization of the modern world has led to the rapid development of languages. For the proper development of the language and setting up correct grammatical rules it was necessury to create a grammar dictionary, which has been widely implemented in the electronic world. Georgian grammar electronic dictionary created by us can be used in both scientific and consumer fields. In this article the consumer's version of Georgian grammar electronic dictionary is presented.

In terms of consumption, the program could be multifunctional; it may be the orthographic as well as the training manual impling to provide corect forms to the consummers.

ყოფიერება მიგელ დე უნამუნოს მიხედვით

ფიქრია ვარდოსანიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ფილოსოფიის მაგისტრი

„უნივერსუმისათვის მე ვარ არარა, ჩემთვის მე ვარ ყველაფერი“
მიგელ დე უნამუნო

ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე ყოველთვის მთავარ საკითხად განიხილებოდა ყოფიერების პრობლემა. ანტიკური ფილოსოფიიდან ახალ დრომდე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა ადამიანის მიერ ყოფიერების შემეცნების საკითხი. მიგელ დე უნამუნო (1864-1936 წწ.) ესპანელი მწერალი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე იყო, რომელმაც თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობით ასახა იმ დროის ესპანური ფილოსოფიისა და საერთოდ ესპანური კულტურის კრიზისი. უნამუნოს ძირითადი ფილოსოფიური შრომები „ადამიანებისა და ხალხების სიცოცხლის ტრაგიკული გრძნობის შესახებ“ და „ქრისტიანობის აგონია“ ორიგინალობით გამოირჩევა. უნამუნო მიეკუთვნება ექსისტენციალურ ფილოსოფიას, რადგან მისეული მცდელობა დაედგინა ადამიანური ყოფიერების არსება, განესაზღვრა ცნებების - ძრძწოლა, წუხილი, არარა, სიცარიელე და სხვ. - გაგება, ქმნის მკვეთრ ექსისტენციალურ გარემოს. უნამუნოს ფილოსოფიის მთავარი ღერძია ადამიანის არსებისა და არსებობის პრობლემა.

უნამუნოს პოზიციის ნათლად წარმოჩენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია იმ საკვანძო მოაზროვნეების შეხედულებების ანალიზი, რომლებმაც ამ მხრივ მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ფილოსოფიის ისტორიაში.

ყოფიერება არის ფართო ცნება და აღნიშნავს ნებისმიერი სახის არსებობას, სიცარიელეც ყოფიერებაა. ყოფიერება, როგორც ფილოსოფიური კატეგორია ძირითადად ორი მინიშვნელობით გამოიყენება, აღნიშნავს საერთოდ არსებობის ნებისმიერ ფორმას და ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულს, ანუ ობიექტურ რეალობას. მატერიალიზმი ყოფიერებას აიგივებს მატერიასთან, ხოლო იდეალზმი – ცნობიერების მოვლენებთან. მსჯელობა ყოფიერების საკითხის შესახებ ანტიკური ფილოსოფიიდან იღებს სათავეს და დღეისათვისაც აქტუალურია. პარმენიდე ელეელმა (ძვ. წ. 540 ან ძვ. წ. 515 — დაახლ. ძვ. წ. 450) ყოფიერება გააიგივა აზრთან და დაუპირისპირა არარაობას – არსი სინამდვილის მეტაფიზიკური არსებაა, აზრის საგანია; აზრი არ არსებობს არსის გარეშე; დემოკრიტემ (დემოკრიტე აბდერიელი ძვ.წ.აღ. დაახლ. 460-370 წწ.) ყოფიერება ატომებზე დაიყვანა და დაუპირისპირა სიცარიელეს; სამყაროს პირველსაწყისად მიიჩნევდა სრულიად პატარა განუყოფელი ნაწილაკებს "ატომებს" (ეს სიტყვა მან პირველმა გამოიყენა) და სწორედ მათგან შედგება მთელი სამყარო. პლატონმა (ძვ. წ. 428/427 – 348/347 წწ.) გამიჯნა ნამდვილი ყოფიერება – იდეები და მოჩვენებითი ყოფიერება, იგი უპირისპირდება მატერიალისტებს და აღიარებს იდეალიზმის, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტი ყოფიერება მხოლოდ გონებით

მისაწვდომი უსხეულო იდეები, შეგრძნებებისათვის არსებული მათი ანარეკლია. არისტოტელეს (ძვ. წ. 384 – 322 წწ.) მიხედვით ყოფიერება ფორმისა და მატერიის ერთიანობაა (მეტაფიზიკა). შუა საუკუნეებმა დამოუკიდებელი არსებობა ღმერთს მიაწერა და სამყარო ღმერთის მიერ არაფრისგან შექმნილად გამოაცხადა. თანამედროვეობაში ყოფიერების სამი ძირითადი ინტერპრეტაციაა: ა) მეტაფიზიკურ–მატერიალისტური თვალსაზრისის მიხედვით, ყოფიერება დაიყვანება სხეულებრივ ნივთთა ერთობლიობაზე (ბუნება), იგი უცვლელია და ემორჩილება მექანიკურ კანონებს, ადამიანიც ბუნების ერთ–ერთი ნივთია; ბ) სუბიექტურ–იდეალისტური თვალსაზრისის მიხედვით, ყოფიერება არის ადამიანის ცნობიერებასთან მიმართებაში არსებობა; გ) ობიექტურ–იდეალისტური თვალსაზრისის მიხედვით, ყოფიერება არის აბსოლუტური გონება, ობიექტური იდეა.

ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა საკუთარი თავი, თავისი ადგილი ამ სამყაროში, თავისი როლი და მნიშვნელობა. ბერძენი ფილოსოფოსი ანაქსიმანდრე (დაახლ. ძვ.წ. 610 — ძვ.წ.547/540 წწ.) პირველი იყო, ვინც ადამიანი და ცხოველი განასხვავა შემდეგნაირად: დაბადების შემდეგ ცხოველს ძალიან მოკლე ხანში შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, ხოლო ადამიანს დიდი ხნის მანძილზე ესაჭიროება ზრუნვა და მოვლა. ეს იყო პირველი შეხედულება, როდესაც განსაკუთრებული, გამორჩეული ყურადღება გამახვილდა ადამიანზე, თუმცა ადამიანის შესახებ ფართო მეცნიერული მოძღვრება მოგვიანებით XIX ს. შუა პერიოდში ჩამოყალიბდა. ანთროპოლოგია (ბერძ. anthrōpos ადამიანი, logos მოძღვრება) არის მეცნიერება ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის, ადამიანთა რასების შესახებ, ხოლო ფილოსოფიური ანთროპოლოგია (XX საუკუნე), იკვლევს ადამიანის არსს, მისი ყოფიერების სპეციფიკას და თავისებურებებს. ადამიანი ერთადერთი არსებაა დედამიწაზე, რომელსაც შეუძლია დასვას კითხვა თავისი თავის შესახებ: რატომ გავჩნდი ამ ქვეყნად? რისთვის ვარსებობ და ვიბრძვი? თუ უნდა მოვკვდე, მაშინ რა აზრი ჩემს სიცოცხლეს? საბოლოოდ, ვინ ვარ მე? ადამიანი იკმაყოფილებს ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, მას შეუძლია ბუნებასთან ურთიერთობა და მისი მზერა მთლიანად მიმართულია გარესამყაროზე. პირველყოფილი რელიგიები და მითოლოგიები ცდილობდნენ ფანტასტიკური ფორმებით ჩაწვდომოდნენ სამყაროსა და ადამიანის საიდუმლოებას. ანაქსიმანდრეს შემდეგ, სოფისტებმა (ძვ.წ. V ს.) დაიწყეს შემობრუნება ადამიანიანისაკენ, პროტაგორამ (ძვ. წ. 480—410 წწ.) წამოაყენა თეზისი - "ადამიანია ყველაფრის საზომი", სოკრატემ (ძ.წ. 469–399 წწ.) დელფოს სამისნოს წარწერა აქცია ფილოსოფიური განსჯის ღერძად - "შეიცან თავი შენი" .

ადამიანის არის ცხოველი, მაგრამ ყოველი ცხოველი არ არის ადამიანი, ანუ უნდა მოიძებნოს ისეთი სპეციფიკური ნიშანი, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ადამიანს, რათა გამოვყოთ ცხოველთა დანარჩენი სამყაროსაგან. არისტოტელეს თანახმად, ადამიანი პოლიტიკური ცხოველია, თ. აქვინელის (დაახლ. 1225 —6

მარტი, 1274) თანახმად, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, ასევე, ადამიანი მოაზროვნე ცხოველია, მწარმოებელი ცხოველია და სხვ. დახასიათება ნებისმიერი ნიშნით, ყოველთვის ცალმხრივია და ადამიანის ადეკვატური განსაზღვრება ერთი რომელიმე თვისების მიხედვით შეუძლებელია, შესაბამისად, მიზანშეწონილია დავახასიათოთ არა მისი რომელიმე ნიშანი, არამედ თვით ადამიანური ყოფერების წესი, რათა ვაჩვენოთ მისი თავისებურებანი. ადამიანის ყოფიერების წესი სრულად განსხვავებულია ყველა სხვა არსების ყოფიერებისაგან და საერთოდ, სხვა ყოფიერებისაგან და შემდეგნაირად ხასიათდება: *მას შეუძლია ცნობიერი, თავისუფალი, შემოქმედებითი საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს მეტყველებისა და ენის გამოყენებით. ეს თავისებურება ადამიანურ ყოფიერებას არსებითად განასხვავებს ყოველი სხვა ყოფიერების არსებობისაგან.*

ექსისტენციალისტმა ფილოსოფოსმა მარტინ ჰაიდეგერმა (1889-1976 წწ.), რომლის მოძღვრების მთავარი ღერძია ყოფიერების საზრისის გამოკვლევა, შექმნა ფუნდამენტური ნაშრომი „ყოფიერება და დრო“. ჰაიდეგერის მიხედვით, ადამიანური არსებობა განიცდის კრიზისს და ხნის ერთადერთი გზაა ყოფიერების შესახებ საკითხის ხელახალი დასმა. ჰაიდეგერისეული ჭეშმარიტება ყოფიერების გაცხადებაა, ღიაობაა. ყოფიერების მოაზრება არ ძალუძს მეცნიერებას, ის ძალუძს მხოლოდ ფილოსოფიას და პოეზიას. ამ აზრსვე ეხმიანება ალ. კამიუ, როდესაც საუბრობს აბსურდების შესახებ: ადამიანი მთელი ცხოვრების მანძლზე აწყდება აბსურდებს, წინააღმდეგობებს, კონფლიქტებს ადამიანის მისწრაფებებსა და არსებულ რეალობას შორის. ადამიანი უნდა ეცადოს გარდაქმნას არსებული რეალობა თავისი აზრებით, რომელთაც გამოთქვამს მხატვრულ შემოქმედებაში - „ხსნის ერთადერთი გზა ხელოვნებაა“. უნამუნოს მიხედვით, ყოფიერების არსების გაცნობიერება ბადებს სწორედ სიცოცხლის ტარგიკულ გრძნობას. ყოფიერება ცნობიერების იგივეობრივია, რადგან ადამიანს არ შეუძლია წარმოიდგინოს თავისი თავი არასებულად, ყოფიერება ცნობიერების ცოცხალი პროცესებია, სწორედ ეს პროცესებია კონკრეტული ყოფიერება. კონკრტეული ყოფიერება წინააღმდეგობრივია, რადგან ის არის სასოწარკვეთილი და უიმედო ბრძოლა. სიცოცხლის საწყისია გრძნობა, რომელიც ისწრაფვის ინდივიდუალური მე-ს შენარჩუნებისათვის, სიკვდილის საწყისია ცნობიერების მაარარავებელი მოქმედება, ანუ აგონიური ბრძოლა საკუთარ თავთან.

ყოფიერების საკითხის კვლევასთან დაკავშირებით ჰაიდეგერი მივიდა მეტაფიზიკისა და ყოფიერების ურთიერთიმიმართების საკითხთან და დაასკვნა, რომ მეტაფიზიკამ დაკარგა ენის გაგების უნარი და, შესაბამისად, დაკარგა ყოფიერების გაგების უნარიც; შემოიტანა „მუნყოფიერებისა“ და “ექსისტენცის“ ცნებები, რაც კავშირშია ყოფიერებასთან. თანამედროვე ადამიანი კარგავს თავის ინდივიდუალობას და მთელს თავის ცხოვრებას, საქმიანობას უკავშირებს საშუალოს - მან-ს, ამით ადამიანი იცილებს საკუთარ პასუხიმგებლობას და

მოქმედებს საშუალოს, საზოგადოებრივის მიხედვით, მასზე დაყრდნობით. ადამიანის საყრდენი არ არის ამ სამყაროში - ინ-სისტენცი, არამედ სამყაროს გარეთ - ექსისტენცი. ჰაიდეგერისული ყოფიერება ადამიანს აკარგვინებს ინდივიდუალობას, ყოველგვარ ადამიანურ მოქმედებას და უმორჩილებს ყოფიერებას, რომელიც სამყაროს გარეთაა და ადამიანს არაფერია დარჩენია, გარდა ყოფიერების ლოდინისა. უნამუნოს მიხედვით კი, ყოფიერების ძრძწოლის შემცველი განცდა ეუბნება ადამიანს, რომ იგი არსებობს; ადამიანი მუდმივად მოსწრაფვეა მარადიულობისა, უკვდავებისა. უნამუნოს ფილოსფიაში ადამიანის პრობლემა დაიყვანება ადამიანის უკვდავების საკითხზე, ჩნდება კითხები - „საიდან მოვედი?“, „საით მივდივარ?“, ანუ სურვილი მარადიული არსებობისი - „ყოფიერების შეშლილი შიმშილი“. ადამიანს მუდმივად აქვს სურვილი დატოვოს ამ ქვეყნად თუნდაც თავისი აჩრდილი. უნამუნო არ საუბრობს იმის შესახებ, თუ რატომ აქვს ადამიანს ეს სურვილი, იგი საუბრობს რაციონალურისა და ირაციონალურის, გონებისა და გრძნობის, რწმენისა და ურწმჯნობისე ერთიანობის, ურთიერთდამოკიდებულბის შესახებ, რომ ერთი არ არსებობს მეორეს გარეშე და პირიქით.

მიგელ დე უნამოუნო განსაკუთრებით ხაზს უსვამს თავის კვლევის საგანს - კონკრეტულ ადამიანს და არა ადამიანს საერთოდ, მე მსურს ვიყო თვით მე და ამავე დროს ვიყო ყველაფერი სხვა, შესაბამისად, მისთვის ყოფიერების საკითხი მხოლოდ ალტერნატივაა „ან ყველაფერი, ან არარა“. კონკრეტული ყოფიერების ტრაგედია ვლინდება იმ ფაქტში, რომ მე არ არის საკუთარი თვითობის, საკუთარი სიცოცხლის ერთადერთი შემოქმედი, მისი სიცოცხლის შექმნაში მონაწილეობენ სხვებიც, რიტაც ადამიანს აძლეევნ თავის ცნობიერებაში ახალ, აგნსხვავებულ არსებობას. ამის გამო შეუძებელია იმის დადგენა, თუ რას წარმოადგენს თვითონ ეს პიროვნება. უნამუნოს შემოქავს ნამდვილი არსებობის ცნება - ნოუმენალური, რაც გულისხმოსბ არსებობსი სურვილს, როგროც ადამიანს, ასევე იდეას აქსვ არსებობსი სურვილი, თუკი მან ეს მოისურვა. უნამუნოს ფილოსოფია ადამიანის არსებობის კრიზისი მკვეთრ სურათს იძლევა, იგი ადამიანური არსებობის ირაციონალური კანონიების დადგენის პროცესში სრულ პესიმიზმამდე მიდის და მისდა უნებურად უარყოფს ადამიანის თავისუფლებას, აქტიურობას, შემოქმედებითობას.

ლიტერატურა

1. მიგელ დე უნამუნო, ბურუსი, წმინდა მანუელ სათნო წამებული, თბ., 2012
2. ალბერ კამიუ, შავი ჭირი, თბ., 1988
3. ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში (ჩვენი ეპოქის გაგებისათვის), თბ., 2001
4. ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი? თბ., 1983
5. მარტინ ჰაიდეგერი, თემშარა, (თარგ. გიორგი ბარამიძე), თბ.,1991
6. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია თბ., 1970

რეზიუმე

ყოფიერების კონცეპტი მიგელ დე უნამუნოს მიხედვით

ფიქრია ვარდოსანიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ფილოსოფიის მაგისტრი

ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა საკუთარი თავი, თავისი ადგილი ამ სამყაროში, თავისი როლი და მნიშვნელობა. თემა ეხება ზოგადად ყოფიერებას, ადამიანის ყოფიერებას, ადამიანის მიერ ყოფიერების შემეცნების საკითხს. უნამუნოს ფილოსოფიის მთავარი ღერძია ადამიანის არსებისა და არსებობის პრობლემა. მრავალასპექტიანია ადამიანი და, შესაბამისად, მისი გამოვლენაც მრავალასპექტიანია. ადამიანს მუდმივად აქვს სურვილი დატოვოს ამ ქვეყნად თუნდაც თავისი აჩრდილი. უნამუნო არ საუბრობს იმის შესახებ, თუ რატომ აქვს ადამიანს ეს სურვილი, იგი საუბრობს რაციონალურისა და ირაციონალურის, გონებისა და გრძნობის, რწმენისა და ურწმუნოების ერთიანობის, ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომ ერთი არ არსებობს მეორეს გარეშე და პირიქით.

Abstract

THE CONCEPT OF HUMAN EXISTENCE ACCORDING TO MIGEL DE UNAMUNO

Pikria Vardosanidze. National Defense Acadamy of Georgia. Master of Arts in Philosophy

A human being was always interested in himself/herself, in his/her role and importance in this world. The issue is related to the existence in general, the existence of human being and the question of perception of the existence by an individual. The main postulate of Unamuno’s philosophy is the question of a human being and his/her existence: A human being ase a multiple characteristic person and apparently she/he exposes with the numerous characteristics. A human being constantly has a with to leave his/her shadow in this world. Unamuno is not talking about the reason of this wish. He talks about the relation between rational and irrational, mind and feelings, faithful and faithless that one doesn’t exist without another and vice versa.

Styles of working: Group Working & Pair Working (Advantages vs disadvantages)

Teona Nachkebia. National Defense Acadamy of Georgia. Teacher

Introduction

While teaching students in a second language classroom, one of the major issues is dealing with reticent ones, especially when they are from multicultural background. The role of a teacher is to increase opportunities for students to speak the target language through pair and group activities. Working in pairs and small groups allows students to be involved in meaningful communication and motivates them to use the language. We can consider that both types of working – group and pair work – are class management strategies and the teacher is just a facilitator. After the years of observation it is declared, that teacher–directed and dominated classrooms seriously lack interaction elements. To my mind teachers should be tolerant of errors students make while attempting to communicate. Teachers must always remember that learning a language is a long process during which a learner will inevitably make numerous mistakes.

Pair work and group work give the students far more chances to speak English in the classroom. Students participate in the lesson much more actively because they are involved in talking to their friends exchanging opinions, practicing new structures more than listening to their teacher talking. In our reality when English lessons usually take place three times a week, teachers have to practice, develop all the language skills and it happens that there is no time left for speaking. So if a teacher has ten minutes left during the lesson it is better to divide the class into groups and pairs and to give the learners opportunity of using language for communication with each other. ‘According to Michael Long and his colleagues who investigated differences were found in the quantity and quality of student language in group work versus teacher centered activities. Students, working in groups, were more varied and greater in quantity. Learners take the initiative to express themselves, they are more spontaneous. Asking questions and responding they use more language functions. ‘ (Gorgon –Matera, A. ,2008)

Working in pairs and groups is less stressful and more effective for students, especially introverts who needn't perform in the front of the whole class. They feel more confident working with the friend they like and are more likely to accept his/her correction or criticism. There are always more and less gifted pupils in the process of language learning and these methods prevent them from not being laughed at by the whole class if they say something wrong. It is generally easier to show that you do not know, or do not understand something, in a smaller group than in a large one.

Brumfit says that pair work and group work are the most effective techniques of classroom organization which combine aspects of communication learning and natural interaction in a stress free environment. (Brumfit, 1984)

Pair work

Pair work is great for practicing model dialogues, playing games such as battleship, conducting vocabulary checks, and completing worksheets. Working in pairs gives individual students a lot of speaking time. If working together, students will often have more confidence than when completing exercises individually. If students are competing with their partners, they will be more motivated.

Pair work is harder to monitor than group work because there are going to be many more pairs of students than groups of students. The best way to monitor students working in pairs or groups is to walk around the classroom during the activity correcting students who make mistakes and answering questions. [Software] - http://busyteacher.org

If students sit in the same seats for the entire year, they are likely to be paired with the same person throughout the course. For pairs that work well together, this is a good thing but usually not everyone benefits from having the same partner for a long period of time. Try to change the assigned seating regularly so that everyone can maximize the amount they learn in class and have an opportunity to work with different people.

There are some clear advantages to using pair work. First, in large classes it gives more students the opportunity to speak. Another reason is that students will learn from each other. Learning is not just a top-down activity where the teacher opens up the top of the student's heads and pours in the information. By using pair work teachers gives students the opportunity to learn from each other and learn from doing. Finally, pair work gives students a degree of privacy and allows them to try things out that they might not attempt in the more public forum of a class discussion or a teacher-fronted activity.

When students speak with a partner only one other person can hear their mistakes (and, of course, the teacher can hear them if s/he is monitoring). This gives shy and reserved students more confidence in their ability to use the language. Also, Many pair work activities are a lot more fun to do than more traditional exercises. Students who enjoy what they are doing are more likely to learn than those who find the work boring.

But with all these positive sides, certain problems occur with pair work. Students start using their native language in monolingual groups. Incorrectness is another worry. Sometimes teachers do not want to use pair work. Using pair work means that many learners are speaking at the same time. It's complicated for the teacher to control all students and to notice what they are saying. There is, of course, a loss of control in terms of how much the teacher can check and hear. This does mean that some students may continue to make mistakes simply because the teacher does not hear them.

So, some teachers claim that if they allow students to make mistakes, they will reinforce the errors students are making. Many teachers feel that if they do not correct mistakes immediately, they will be helping reinforce incorrect language production. On the other hand, there is a group of teachers who think that if they don't allow students to make mistakes, they will take away from the natural learning process required to achieve competence and, eventually, fluency.

However, the manner in which teachers correct students plays a vital role in whether students become confident in their usage or become intimidated. Correcting students as a group, in correction sessions, at the end of activities, and letting them correct their own mistakes all help in encouraging students to use English rather than to worry about making too many mistakes. There are several possibilities for error correction in pair work. One of them is delayed correction.

Peer correction is another possibility how to correct mistakes in pair work. If students can get used to correcting each other in a positive way, this can be very helpful during pair and group work. If the students aren't sure what is correct, they can make a note of

their difficulty, carry on with the exercise, and ask the teacher later. There is a question what happens if the partner doesn't notice a mistake and the students continue with their work. I agree with Edge who claims that at this stage of learning, it is much more important that the students get lots of practice in the language than that everything is absolutely correct.

Another way of reducing mistakes is to appoint a very good student to correct the mistakes of his friends. Such a student is responsible for checking the correctness of others' utterances when the teacher helps another pair.

Finally, making mistakes in language use is not only normal, but necessary to language learning. For some of the time, it is important that students are not corrected but simply encouraged.

Group work

Pair work and group work obviously give rise to interaction and promotes communication. A considerable amount of research has been conducted in recent years into learner interaction, particularly interaction which takes place through group work. According to Harmer (1991) "…. group work is more dynamic than pair work: there are more people to react with and against in a group and, therefore, there is a greater possibility of discussion."

By dividing the class into groups students get more opportunities to talk than in full class organization and each student can say something. One researcher, Penny Ur, recommends that teachers working with large classes should divide them into five groups which is the most effective organization for practicing speaking. (Neville, C.)

When learners work in groups, there is greater chance that at least one member of the group will be able to solve a problem when it arises. It is more relaxing than working in pairs, particularly in case of passive students who become active and vocal participants in the process.

Working in a group children are more engaged not only intellectually but emotionally as well. They have to think, contribute to the group, evaluate what other members of the group say, share information, ask friends for clarification, and prepare a presentation together. Group work gives learners exposure to a range of language items and language functions.

It is advantageous to use group work with mixed ability classes; when both able and less able students may feel a sense of achievement while completing a task. It is more demanding and time consuming for the teacher because s/he must decide about the level of the students and prepare appropriate tasks yet it gives a lot of satisfaction and motivates the students.

Let's try to separate out the reasons into two types: *process related reasons* and *people related reasons*.

Here is the chart of possible problems:

People problems	Process problems
• There is no attempt to get to know each other as people. • One or two people try to dominate the others. • Some group members try to monopolise the discussion. • Some group members do not speak at all – they just sit in silence. • Most of the group wants to talk – and not listen. • Individual members' ideas are ridiculed or dismissed by other group members. • Group members are reluctant to take the initiative to start a discussion. • Individual members' ideas are ridiculed or dismissed by other group members. • Some group members make racist or sexist remarks that are not challenged. • Individual members prove to be unreliable: they do not do what they say they will do. • Group members are unpunctual or fail to show up for meetings. • Two or three group members quarrel and create a bad atmosphere. • Some group members are deliberately isolated or ignored.	• There are no 'ground rules' agreed, on, for example, when, where and how often the group will meet. • There are no agreed agendas for meetings – there is a lack of clarity on the purpose of each meeting. • Specific roles or tasks are not agreed and delegated to group members. • No deadlines are agreed on. • There is no chairperson agreed or allocated for each meeting. • Meetings start late or run on over time. • No record of the meeting is made, e.g. who has agreed to do what and by when.

(By Neville, C.)

So, after reviewing both types of working (group work and pair work) I want to write about one problem that occurs during pair or group work. I want to speak about "noise". Some teachers are reluctant to introduce pair work and group work being afraid of noise or discipline problems which might occur particularly with children. Indeed students make noise while working on the task; they discuss things, check words, and communicate with one another. However, this is so- called "positive noise" and it does not disturb the students. They are

concentrated on the task and they do not hear it. If an activity goes on for too long students, especially the poor ones make noise because they become bored, they want to get the teacher's attention and they may become disruptive. Such noise may become disruptive for the whole activity and class behavior because misbehavior is contagious. To avoid a danger of this happening the teacher should plan his/her activity very carefully. Assuming that the learners are familiar with the code of conduct discussed at the beginning of the school year the teacher should give them clear instructions about what to do, when to start and when to stop. The task should be clearly defined and not go for too long. At first students may be confused but once a routine has been set up they should know what is expected from them. This should prevent excessive noise and prevent the class from getting out of control.

Conclusion

Pair work and group work give the students far more chances to speak English in the classroom.

Students participate in the lesson much more actively because they are involved in talking to their friends exchanging opinions, practicing new structures more than listening to their teacher talking. This is important to divide the class into groups and pairs and to give the learners opportunity to really use the language to communicate with each other.

"It is advisable for teachers to spend at least one lesson a month devoted only to speaking. If the

topics are adequate to the learners' interests and level such a lesson can be really effective and give a lot of satisfaction both to the learner and the teacher. We should always remember how important the ability to communicate is and provide enough communicative practice while working with the whole class. That is why oral practice in small groups and pairs is essential." Gorgon –Matera, A. (2008)

References

1. Gorgon –Matera, A. (2008). Advantages and disadvantages of pair work and group work
2. Neville, C. , *Making Groupwork Work*.
3. Bercikova, P., *Teacher's Role in Pair Work*, Brno 2007
4. Brumfit, C.J. 1984. Communicative Methodology in Language Teaching: The Roles of Fluency and Accuracy. Cambridge: Cambridge Univdersity Press
5. Harmer , J. The practice of English language teaching. Longman, 1991
6. http://busyteacher.org/4265-pair-work-vs-group-work-whats-better-for-the.html

Abstract

Working Styles in Class: Group Working & Pair Working
(Advantages vs Disadvantages)

Teona Nachkebia. National Defense Acadamy of Georgia. Teacher

While teaching students in a second language classroom, one of the major issues is dealing with reticent ones, especially when they are from multicultural background. The role of a teacher is to increase opportunities for students to speak the target language through pair and group activities. Working in pairs and small groups allows students to be involved in meaningful communication and motivates them to use the language. We can consider that both types of

working – group and pair work – are class management strategies and the teacher is just a facilitator. After the years of observation it is declared, that teacher–directed and dominated classrooms seriously lack interaction elements. To my mind teachers should be tolerant of errors students make while attempting to communicate. Teachers must always remember that learning a language is a long process during which a learner will inevitably make numerous mistakes. Consequently the paper deals with the discussion of group work styles, advantages and disadvantages which motivate the creation of effective surrounding for classroom interaction.

რეზიუმე

წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა

(მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები)

თეონა ნაჭყებია. ეროვნული თავდაცვის აკადემია. მასწავლებელი

როდესაც, საქმე ეხება მე-2 უცხო ენის შესწავლას, უმთავრეს საკითხს წარმოადგენს - პრობლემა, რომელსაც ენის შემსწავლელის თავშეკავებულობა ჰქვია. ეს საკითხი განსაკუთრებით თვალში საცემია, როდესაც საქმე გვაქვს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან. მასწავლებლის როლი კი იმაში მდგომარეობს, რომ მან უნდა აამაღლოს სტუდენტის შესაძლებლობა სამიზნე ენაზე კომუნიკაციის დასამყარებლად. ყოველივე ეს კი ჯგუფური და წყვილებში მუშაობის შედეგად მიიღწევა. წყვილებში და მცირე ჯგუფებში მუშაობა ამაღლებს სტუდენტის მოტივაციას ისაუბროს სამიზნე ენაზე, რაც საშუალებას აძლევს აქტიურად იყოს ჩართული აზრიან კომუნიკაციაში. ორივე მათგანი – წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა – არის აუდიტორიის მართვის ერთგვარი სტრატეგია, სადაც მასწავლებელი არის მხოლოდ მეთოდისტი და ორგანიზატორი. მრავალწლიანმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ აუდიტორია, სადაც მასწავლებელი არის დომინანტი, ვერ იქნება ინტერაქტიული. ჩვენი, მასწავლებლების, ვალია მოთმინებით მივუდგეთენის შემსწავლელის მიერ დაშვებულ ყველა შეცდომას, ვინაიდან უნდა გვახსოვდეს, რომ ენის შესწავლა ხანგრძლივი პროცესია, რომლის დროსაც შემსწავლელი აუცილებლად დაუშვებს ძალიან, ძალიან ბევრ შეცდომას. ზემოთაღნიშნული პრობლემა ვრცლად განვიხილე ჩემს სტატიაში, სადაც უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ წყვილებში და ჯგუფებში მუშაობის დადებით-უარყოფით მხარეებს და ყველა იმ აქტივობას, რაც აუცილებელია სწავლის პროცესსში.

ელექტრონული სწავლების პლატფორმის დაპროგრამებისა და მართვის პრინციპები – ელექტრონული სწავლების პლატფორმა ილიასის მაგალითზე

ზურაბ ტიელიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ - პროფესორი

ელექტრონული სწავლება (E-learning) წარმოადგენს ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას განათლების სფეროში. ელექტრონული სწავლება მოიცავს კომპიუტერზე დაფუძნებულ სწავლებას (computer-based training), დისტანციურ სწავლებას, მობილურ სწავლებას (m-learning) და სხვა ასპექტებს, რომელთა დახმარებითაც ტრადიციული სასწავლო პროცესი იღებს ციფრულ სახეს. ამ დროს ფართოდ გამოიყენება ტექსტური, ვიდეო, აუდიო მასალა, ანიმაციები, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ენები მაღალი ინტერაქტიულობის მისაღწევად. ელექტრონული სწავლების დროს შეიძლება გომოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები

1) ტრადიციული დიდაქტიკური ინფორმაციის გადაცემა (ლექციები, კონფერენციები და ა.შ)

2) დებატები. (სწავლება სოციალური აქტივობების დახმარებით, დისკუსიები, გუნდური სამუშაოები, ინტერვიუები და ა.შ)

3) ექსპერიმენტები. (ლაბორატორიული სამუშაოები, ვირტუალური სიმულაციები სხვადასხვა ჰიპოთეზების შესამოწმებლად, იმიტაციები)

4) შემოქმედებითი აქტივობები. (პროექტები, ესეები, სტატიები, ციფრული ვიდეობი, ვებსაიტები)

5) კვლევები (ინფორმაციის მოპოვება დამუშავება, ლიტერატურის განხილვა და ა.შ.)

6) შეფასება (დავალებები, ტესტები, ელექტრონული გამოკითხვები, და სხვა)

ელექტრონული სწავლება შეიძლება იყოს ასინქრონული, სინქრონული, შერეული ტიპის. ასინქრონული სწავლება წარმოადგენს პიროვნებაზე ორიენტირებულ სწავლებას, როდესაც დაინტერესებული პირები ცვლიან ინფორმაციას სხვადასხვა ვებ-ტექნოლოგიების საშუალებით და გააჩნიათ ერთნაირი სტატუსი, სწავლის გრაფიკი არ არის გაწერილი დროში და ამ პროცესში ჩართვა შეიძლება ნებისმიერი ადგილიდან. ასინქრონული სწავლების ორგანიზატორები არიან კონკრეტული სფეროს სპეციალისტები ან სტუდენტები და ძირითადად სწავლება მიმდინარეობს აუდიტორიის გარეთ. ამ ტიპი სწავლება შეიძლება იყოს, როგორც ძირითადი სასწავლო პროცესის, ასევე კვალიფიკაციის ამაღლების დამხმარე საშუალება. ამ დროს ფართოდ გამოიყენება ბლოგები, ფორუმები, სოციალური ქსელები ან სხვა ტიპის ელექტრონული საშუალებები .

სინქრონული სწავლება წარმოადგენს ტრადიციულ სასწავლო პროცესს, რომლის დროსაც ყველა სტუდენტი ერთდროულად იმყოფება აუდიტორიაში და სასწავლო პროცესი არის დროში გაწერილი. ელექტრონული სწავლების დანერგვის

საწყის ეტაპზე უპირატესობა ენიჭებოდა ასინქრონულ სწავლებას, მაგრამ მოგვიანებით ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შესაძლებელი გახდა, რომ ამ პროცესს მიეღო უფრო ორგანიზებული სახე, კერძოდ ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ, ვირტუალურმა კონფერენციებმა, ლაივჩატებმა და სხვა ვირტუალურმა ხელსაწყოებმა შესაძლებელი გახადა, რომ სინქრონული სწავლება, გამხდარიყო ხელმისაწვდომი და ეფექტური ელექტრონულ რეჟიმშიც.

შერეული სწავლების მოდელი მოიცავს როგორც სინქრონული ასევე ასინქრონული სწავლების კომპონენტებს და თანამედროვე სასწავლო დაწესებულებებში სწორედ ეს მოდელია ყველაზე პოპულარული.

იმისთვის, რომ ელექტრონული სწავლების პროცესის მართვა გახდეს შედარებით მარტივი და მოხერხებული გამოიყენება ვირტუალური სასწავლო გარემოცვები ეგრეთ წოდებული სასწავლო პლატფორმები, როგორიცაა ILIAS-ი, Moodle, eFront, Dokeos, Claroline, ATutor, OLAT, Sakai, openlms და სხვა.

ამ სტატიაში განხილული იქნება ILIAS–ის შესაძლებლობები სასწავლო პროცესის მართვის დროს. ILIAS-ი წარმოადგენს პლატფორმას ღია კოდით, რომელიც არის უფასო და მასში შესაძლებელია, როგორც სინქრონული და ასინქრონული ასევე შერეული ტიპის სწავლების პროცესის წარმართვა. ILIAS-ს აქტიურად მოიხმარს ბევრი უნივერსიტეტი. ILIAS-ი ერთერთი ყველაზე ძველი ელექტრონული სწავლების პლატფორმაა ის შეიქმნა 1997 წელს მისი ინსტალაცია შეიძლება ნებისმიერ სერვერზე, რომელსაც აქვს PHP-ს და MySql-ის მხარდაჭერა.

მას გააჩნია შემდეგი შესაძლებლობები:

1) კურსების მენეჯმენტი

2) SCORM (Sharable Content Object Reference Model)-ს მხარდაჭერა

3) ონლაინ მიმოხილვები

4) ჯგუფების მენეჯმენტი და ურთიერთკავშირი

5) აუტენტიფიკაციის უფლებების და წვდომების მენეჯმენტი

6) პეროსნალური სამუშაო მაგიდა

7) პორტფოლიო

8) ტესტები და შეფასება

9) კითხვარები და უკუკავშირი

10) სხვა ღია კოდის პლატფორმებთან იტეგრაციის შესაძლებლობა

11) ონლაინ კონფერენციები და ვირტუალური საკლასო ოთახი

12) დროის მართვის შესაძლებლობა ინტერაქტიული კალენდრით და ცხრილებით

განვიხილოთ თითოული მათგანი - ILIAS-ს გააჩნია საკუთარი კურსების მართვის მოდული, რომელშიც შესაძლებელია სასწავლო მასალის (დოკუმენტების, ელექტრონული წიგნების, აუდიო და ვიდეო მასალის) განთავსება და მისი მართვა. შესაძლებელია დაშვებების, კურსის აქტიურობის (ონლაინ რეჟიმში ყოფნის) ქრონოლოგიური გაწერა.

SCROM-ი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნეოლვან ასპექტს როგორც ILIAS-ის ასევე სხვა პლატფორმებისთვისაც. მისი ან მისი ექვივალენტის გარეშე შეუძლებელია კურსის მაღალი ინტერაქტიულობის მიღწევა. SCORM-ი არის სტანდარტების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება პროგრამისტებს, რომ შექმნან ისეთი კოდი, რომლის ინტეგრაციაც შესაძლებელი იქნება ყველა ელექტრონული სწავლების პლატფორმაში. ის შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა ვირტუალურ გარემოცვებს, რომ მოხდეს შემცველობის გაცვლა მხოლოდ ერთი ფაილით. SCORM-ი წარმოადგენს მთავარ ინსტრუმენტს დისტანციური სწავლების პროცესში, რადგან მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კურსების უპრობლემო გადატანა ერთი სერვერიდან მეორეზე. SCORM-ს გააჩნია მონაცემთა სტრუქტურა, და პროტოკოლების ნაკრები, რომელთა დახმარებითაც იგი პოულობს შეხების წერტილებს სასწავლო პლატფორმის ინტერფეისთან და ახდენს სასწავლო მასალების (ზოგჯერ ძალიან მაღალი ინტერაქტიულობის მქონე მაგალითად ვირტუალური ლაბორატორიის) რეგისტრაციის წესების დადგენას ვიარტუალურ სასაწავლო გარემოცვაში.

SCORM-ს გააჩნია SCO -ები (Shareable Content Object - გაზიარებადი შემცველობის ობიექტები), რომლების იმპორტირება-ექსპორტირება შეიძლება ძალიან მარტივად, სასწავლო გარემოცვის გრაფიკული ინტერფეისის გამოყენებით.

SCO განსაკუთრებულია იმით, რომ როდესაც ის გაშვებულია მოსწავლის ბრაუზერში ის გადასცემს ინფრომაციას სასწავლო პლატფორმას, თუნდაც ის იყოს განლაგებული მოშორებულ სერვერზე. პლატფორმა კი თავის მხრივ ინახავს იფნორმაციას მოსწავლის პროგრესის შესახებ. SCO წარმოადგენს სასწავლო რესურსის ყველაზე დაწვრილებით დეტალიზაციას რომელსაც იყენებს ვებ ინტერფეისის მქონე სასწავლო გარემოცვა (ამ შემთხვევაში ILIAS-ი) . SCORM-ი არ არეგულირებს SCO ების ზომას. ის შეიძლება იყოს როგორც ერთი ვებგვერდი ასევე ვებგვერდების ერთობლიობა.

ყველა SCO უნდა იყოს მრავალჯერადად გამოყენებადი. ამის მისაღწევად აუცილებელია, რომ ის იყოს დამოუკიდებელი და არ იყენებდეს სხვა ანალოგიური ობიექტების ლინკებს.

ნებისმიერი „პასიური“ მასალა შეიძლება გადაკონვერტირდეს SCO-დ

SCO–ს რეკომენდირებული მახასიათებლებია

1) მრავალჯერადად გამოყენებადობა სწავლების კონტექსტის მიუხედავად

2) ვიზუალური მონაცემების დამოუკიდებლობა და მოხერხებულობა

3) უნდა იყოს შესაძლებელი მუშაობის დროს მონაცემების შენახვა ყველა ეტაპზე, რათა არ მოხდეს მათი დაკარგავა

4) მუდამ უნდა იყოს კომუნიკაციაში დამთავრების სტატუსთან. რათა შეფასდეს მიმდინარე პროგრესი

5) არ უნდა უშვებდეს სხვა ფანჯარას ვიდრე არ დაიხურება წინა ფანჯარა

6) არ უნდა იყოს დაკავშირებული სხვა ფაილთან, რომელიც არ არის ამ SCO-ს ნაწილი

SCORM-ის SCO ების შექმნა შესაძლებელია ILIAS–ის გრაფიკულ ინტერფეისში. თუმცა გრაფიკული ინტერფეისის შესაძლებლობები შეზღუდულია და პროგრამირების ენები, როგორიცაა php და javascript-ი შესაძლებლობას იძლევა, რომ კონკრეტული ობიექტის შესაძლებლობები გაფართოვდეს.

SCORM-ის ძირითადი კომპონენტების და ფუნქციების განლაგება შემდეგნაირია

1) შიგთავსის სტრუქტურა და სწავლების მიზნები

2) ინფორმაციის მონიტორინგი

3) განლაგების წესების განსაზღვრა

4) ნავიგაციის მოთხოვნა და მონაცემთა განლაგების მოთხოვნა

შიგთავსის სტრუქტურა წარმოადგენს ხეს, რომლის თითოეული კომპონენტიც ასოცირდება, კონკრეტულ აქტივობასთან თითოეულ აქტივობას შეიძლება გააჩნდეს შვილობილი აქტივობაც. თითოეულ აქტივობა აუცილებლად ასოცირდება ერთ კონკრეტულ სწავლების მიზანთან, თუმცა ერთ მიზანთან შეიძლება ასოცირებული იყოს რამოდენიმე აქტივობა. გლობალურ მიზანს კი წარმოადგენს ყველა მიზნის შესრულება.

ინფრომაციის მონიტორინგში იგულისხმება მოსწავლის მიმდინარე სტატუსი. ის დაკავშირებულია ყველა აქტივობასთან და ყველა მიზანთან და ასახავს იმ პროგრესს, რომელსაც მოსწავლე გადის აქტივობების დახმარებით სწავლების მიზნამდე.

შიგთავსის შემქმნელები აღწერენ შიგთავსის სტრუქტურას და აწესებენ სტრუქტურის შესაბამის განლაგების წესებს რომელსაც ინახავენ .XML გაფართოების ფაილში. ნავიგაციის მოთხოვნის შემდეგ (მომხმარებლის მხრიდან) ხდება მიმართვა ამ ფაილთან და ხდება მონაცემების განლაგების მოთხოვნა. ეს პროცესი გრძელდება სწავლების დასრულებამდე.

იმისთვის, რომ შიგთავსი იყოს მრავალჯერადად გამოყენებადი შემქმნელები იყენებენ მეტამონაცემებს. ამ მონაცემებით აღწერენ პაკეტის ელემენტებს, რომლებიც ასევე განთავსებულია ზემოთაღნიშნულ XML ფაილში. მეტამონაცემების გამოყენებით სასწავლო რესურსების მოძებნა სხვადასხვა სისტემებს შორის გაცილებით მარტივდება. მეტამონაცემები შეიძლება იყოს როგორც კონტექსტზე დამოკიდებული, ასევე კონტექსტისგან დამოუკიდებელი. კონტექსტისგან დამოუკიდებელი მეტამონაცემები ძირითადად მიმართავენ უცვლელ მონაცემებს, როგორიცაა შიგთავსის ობიექტები ან ციფრული მასალები. ხოლო კონტექსტზე დამოკიდებული მეტამონაცემები მიმართავენ მარტო ერთი ტიპის მონაცემებს(ეს მათ კონტექსზეა დამოკიდებული)

ნავიგაციის ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება ასოცირებული იყოს ინფორმაციის მონიტორინგის ნაწილთან, რათა პროგრამამ განსაზღვროს არა მარტო კურსის გავლის დრო თითოეული მომხმარებლის მხრიდან, არამედ ჩაბარებების მცდელობის რაოდენობაც და თითოეული სწავლების მიზნის შესრულების ხარისხი. მაგალითად, როდესაც მომხმრებელი უბრუნდება განვლილ მასალას, ნავიგაციის

გრაფიკული ინტერფეისის გამოყენებით, დროის ათვლა იწყება თავიდან, რადგან გავლილი მასალა როგორც წესი ასოცირდება სხვა სწავლების მიზანთან. სწავლების დამთავრების შემდეგ თითოეულ დავალებაზე დახარჯული დრო და მცდელობების რაოდენობა იკრიბება და ადმინისტრატორს ეძლევა შესაძლებლობა სუსტად შეაფასოს თუ რომელმა მოსწავლემ როგორ რა დროის განმავლობაში და რამდენი მცდელობით გაართვა თავი ამა თუ იმ დავალებას.

როგორც უკვე ავღნიშნეთ SCORM-ი არ არის უბრალოდ ვირტუალურად მასალების განთავსების საშულება. მისი დახმარებით ILIAS-ში შეიძლება ინტეგრირდეს ფაქტიურად ნებისმიერი სირთულის სიმულაციური პლატფორმა (კავშირგაბმულობის აპარატურის სიმულაცია, პილოტაჟის სიმულაცია და ა.შ.) სწორედ ეს განასხვავებს მას ILIAS-ის სტანდარტული სასწავლო მოდულისგან.

SCORM-ის სრულფასოვანი კურსის შესაქმნელად აუცილებელია შესაბამისი კომპეტენციის პირების კოორდინირებული მუშაობა.

1) სასწავლო დიზაინერის

2) ადმინისტრატორი

3) SME (subject-matter expert - იმ საგნის სპეციალისტი, რომლის შესახებაც კეთდება კურსი. ის ძირითადად არის მოწვეული და არ არის ჯგუფის მუდმივი წევრი)

4) პროგრამისტი

5) რესურსების მენეჯერი

6) პროექტის ლიდერი

თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტისთვის ძირითადად საინტერესოა სასწავლო დიზაინერის, ადმინისტრატორის და პროგრამისტის ფუნქციები.

სასწავლო დიზაინერი წარმოადგეს ჯგუფის წევრს, რომელიც პასუხისმგებელია სახელმძღვანელოს შექმნის დიზაინზე მას უნდა ესმოდეს,

როგორც ვებ დიზაინის პრინციპები ასევე მომხმარებელთა ფსიქოლოგიური თავისებურებები, რათა სწორად დააპროექტოს სახელმძღვანელო.

გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი სახელმძღვანელოები ძირითადად განთავსებულია ვებ გარემოცვაში, ხარვეზების გასწორება და სასწავლო დიზაინის დახვეწა უკვე მომხმარებში შესულ სახელმძღვანელოებშიც კი არ წარმოადგენს პრობლემას. ამიტომ სასწავლო დიზაინერის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სახელმძღვანელოს მონიტორინგი და მომავალში მისი ეფექტურობის და ხარისხის კონტროლიც. მსგავსი მოქნილობა ელექტრონული სახელმძღვანელოს კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

სასწავლო დიზაინერმა უნდა გაანალიზოს რა უნდა ასწავლოს, განსაზღვროს როგორ ასწავლოს და შეაფასოს როგორ სწავლობენ მომხმარებლები. სასწავლო დიზაინი სისტემატური პროცესია და მოიცავს სტუდენტებს, მასწავლებლებს, სასწავლო მასალებსა და სწავლების გარემოცვებს.

სასწავლო დიზაინერი ასევე წარმოადგენს ჯგუფის წევრს, რომელმაც ზუსტად უნდა განსაზღვროს და წერილობით ჩამოაყალიბოს ელექტრონული სახელმძღვანელოს მიზნები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სახელმძღვანელო იყოს ეფექტური და ჯგუფის სხვა წევრებს არ მოუწიოთ შემდეგში ელექტრონული სახელმძღვანელოს სტრუქტურის შეცვლა. სახელმძღვანელოს დიზაინისგან განსხვავებით უშუალოდ კოდის შეცვლა (პროგრამისტის მხრიდან) გაცილებით დიდ დროს მოითხოვს ამიტომაცაა აუცილებელი მიზნები თავიდანვე სწორად იყოს გაწერილი.

ელქტრონული სახელმძღვანელოს სასწავლო დიზაინერი მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამისტთან და ჯგუფის სხვა წევრებთან.

სასწავლო დიზანიერი ანხორციელებს პროტოტიპების დატესტვას „რედიზაინინგს“ და გეგმავს სასწავლო აქტივობების ტიპებს, რომლებიც თავის მხრივ მიბმულნი არიან ელექტრონულ სახელმძღვანელოსთან.

ადმინისტრატორის ფუნქციებს წარმოადგენს ელექტრონული სწავლების პლატფორმის ადმინისტრირება. მომხმარებელთა ფუნქციების განსაზღვრა მათი ჯგუფებად დახარისხება და შესაბამის სახელმძღვანელოებზე დაშვებების შექმნა. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნა ატარებს კომერციულ ხასიათს. მასზე წვდომა უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი. რის საშულებასაც ისევ ელექტრონული პლატფრომა გვაძლევს. ადმინისტრატორის ფუნქციებში აგრეთვე შედის იმ სისტემის ადმინისტრირება, რომელზეც არის გამართული ელექტრონული პლატფორმა როგორც წესი ეს არის UNIX ღია კოდის ოპერაციული სისტემის სერვერი. ადმინისტრატორი უნდა ზოგადად იცნობდეს მონაცემთა ბაზის სტრუქტურასაც, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შეძლოს მასში აუცილებელი ცვლლებების შეტანა რეკომენდირებული გზით, თუმცა დეტალურად მისი ცოდნა ადმინისტრატორისთვის არ არის აუცილებელი, რადგან ძირითად მანიპულაციებს მონაცემთა ბაზაზე პროგრამისტი ანხორციელებს.

პროგრამისტის ფუნქციებს ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნაში განეკუთვნება :

1) ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ენაში სახელმძღვანელოსთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

2) ამ პროგრამული უზრუნველყოფის მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება,

3) მოხმარებლისთვის და ადმინისტრატორისთვის მოქნილი გრაფიკული ინტერფეისის შექმნა.

4) კოდის დოკუმენტირება, რათა სხვა პროგრამისტს გაუმარტივოს მომავალში კოდის რედაქტირება (მხოლოდ ღია კოდის პლატფორმის შექმთხვევაში).

პროგრამისტი წარმოადგენს ჯგუფის წევრს, რომელსაც უწევს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება, მის გარეშე ვერ გაიმართება პლატფორმა და შესაბამისად ვერც სახელმძღვანელო დაინერგება. პროგრამისტი გასაზღვრავს რა

არსებული მეთოდები უნდა გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად და აგრეთვე ქმნის ახალ მეთოდებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ სახელმძღვანელოს, პროგრამისტმა შეიძლება დაუწეროს შეფასების ინსტრუმენტი (პროგრამული უზრუნველყობა). გამომდინარე იქიდან, რომ შეფასების უნივერსალური სტრუქტურა არ არსებობს, ის როგორც წესი განსხვავდება სასწავლო დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე. დაპროგრამების მეთოდიკა სწორედ ამ სექტორშია ყველაზე აქტუალური.

ლიტერატურა

1. G.Dacanay. e-learning on computer programming 2 from DMMMSU institute of computer science - Michaelangelo
2. R.Robson. A Practical Introduction to SCORM

რეზიუმე

ელექტრონული სწავლების პლატფორმის დაპროგრამებისა და მართვის პრინციპები – ელექტრონული სწავლების პლატფორმა ილიასის მაგალითზე

ზურაბ ტიელიძე. ეროვნული თავდაცვის აკადემია. ასისტენტ - პროფესორი

სტატია ეხება ელექტრონული სისტემების გამოყენებას სასწავლო პროცესში და მათი მართვის მეთოდებს. მაგალითისთვის განვიხილავ ILIAS-ს. სტატიაში განხილულია ელექტრონული სწავლების პლატფორმა (ILIAS-ის) შესაძლებლობები - კომპიუტერზე დაფუძნებული სწავლება, მობილურ სწავლება დისტანციური სწავლება და ა.შ. ძირითადად სტატია შეეხება გაზიარებადი შიგთავსის ობიექტის მართვის მოდელის (SCORM) დაპროგრამებასა და დანერგვას. გაზიარებადი შიგთავსის ობიექტების დანიშნულებას, მათ მოქნილობას და სხვა უპირატესობებს. აგრეთვე მოკლედაა ახსნილი როგორ გამოვიყენოთ ობეიქტზე ორიენტირებული პროგრამირების ენები და xml-ი იმისთვის, რომ გავაფართოვოთ ელექტრნული სწავლების პლატფორმის და გაზიარებადი შიგთავსის ობიექტის შესაძლებლობები.

Abstract

Programming and administration principles of e-learning platform. By the example of e-learning platform ILIAS

Zurab Tielidze. National Defense Acadamy of Georgia. Assistent-professor

Article is about usage of electronic systems in learning process such as e-learning platform and their Management methods. As an example I will review ILIAS. in the article is discussed multiple possibilities of e-learning platform (ILIAS) - computer-based training, m-learning, distance learning etc. In general article is about Sharable Content Object Reference Model (SCORM) programming and implementation. About Designation of Sharable Content Objects, about Flexibility and other advantages. Also it is briefly Explained how to use object oriented programming languages and xml to extend possibilities of e-learning platform and SCOs.

ტერორიზმი და ფაქტორები, რომლებიც პიროვნებას ტერორისტად აქცევს.

უფროსი ლეიტენანტი ალ.გელაშვილი. ეროვნული თავდაცვია აკადემია

მსოფლიოში ყოველწლიურად ასობით ტერორისტული აქტი ხდება, რის გამოც მრავალი ადამიანი იღუპება. მრავალი ქვეყანა ძალღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ აღკვეთონ ტერორიზმი, მაგრამ ამაოდ, - ტერორიზმი კვლავ რჩება კაცობრიობის ურთულეს პრობლემად, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც იგი სხვადასხვა ქვეყნებში პოლიტკური, ეთნიკური მიზნების მიწევის საშუალებად, ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად და თვით პოლიტიკური ძალადობის და ზეწოლის ფორმადაც კი იქცა. ტერორიზმი საფრთხეს უქმნის არა მარტო შიდა სახელმწიფოებრივ ღირებულებებს, არამედ იგი საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია. ამდენად, ტერორიზმი განიხილება როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელიც მიმართულია საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობის წინააღმდეგ.

ტერორიზმის საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა, ზოგადად ტერორიზმი გულისხმობს, ძალადობრივ აქტს, რომლის მიზანი არის შიშის დანერგვა. ,,ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. სხვა განმარტებებით: ტერორიზმი არის ძალადობრივი აქტი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია პოლიტიკური მიზნების გამო, იგი არის ომის ფსიქოლოგიური სტრატეგია. მისი მიზანია არა მოწინააღმეგისადმი რაიმე სტრატეგიული ზიანის მიყენება, არამედ მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობას შორის შიშის კლიმატის დანერგვას და რომელიც პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალისტური ან იდეოლოგიური საფუძვლითაა ჩადენილი. ტერაქტები მიზნად ისახავენ შიშის ჩანერგვას და რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაშინებას მიუხედავად იმისა, რაიმე საერთო აქვთ თუ არა ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან.

ტერორიზმი შეიძლება მიმართული იყოს ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფებისკენ, ქვეყნისკენ, მთავრობისკენ, პოლიტიკური პარტიისკენ, საზოგადოებრივი აზრისკენ. ტერორიზმის მიზანია წარმოშვას ძალა, თუ ის არ არსებობს და გააძლიეროს, თუ ძალა პატარაა. საჯარო ძალადობის გზით ტერორისტები ცდილობენ მიიღონ ძალაუფლება პოლიტიკური ცვლილებების მოსახდენად ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე. ტერორიზმი მიიჩნევა ტრადიციულ საშუალებად მათთვის, ვინც ებრძვის თავისზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს, ტერორიზმი წარმოადგენს ძალადობის იარაღს, რომელსაც შეუძლია ასე თუ ისე გააწონასწოროს მხარეთა საშუალებები.

ტერორიზმთან ბრძოლის წარმატებულობა პირდაპირ არის დაკავშირებული იმ ასპექტების იდენტიფიცირებასთან, რაც კონკრეტულ ჯგუფსა თუ ინდივიდს ტერორისტული აქტის განხორციელებისკენ უბიძგებს.

ჩემი ნაშრომი მიზნად ისახავდა გამოიკვლია ფაქტორები რომელიც ხელს უწყობს ტერორიზმს წარმოშობას და პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებას. მე შევეცადე მომეძია მიზეზები თუ როგორ ხდება ადამიანი ტერორისტი, და პასუხი გამეცა მრავალ კითხვას რომელიც არსებობს საზოგადოებაში ამ თემასთან დაკავშირებით.

ერთი მხრივ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელია, მეორე მხრივ კი აუცილებელი. რადგან მიზეზების ცოდნამ შეიძლება შეცვალოს ის გარემოება რაც ადამიანს ტერორიზმისკენ უბიძგებს. თუკი აღმოიფხვრება ის ფაქტორები რომელიც განაპირობებს პიროვნების ტერორისტად გარდაქმნას მაშინ გლობალურ და ლოკალურ ტერორისტულ ორგანიზაციებს აღარ ექნებათ საშუალება თავისი იდეოლოგია განახორციელონ რიგითი ადამიანების ხარჯზე. არ იქნება მართალი თუ კი მტკიცებას დავიწყებთ, რომ ამ მიზეზების შესწავლით მისი სრულად აღმოფხვრა შესაძლებელია. მაგრამ რაც მეტად ექნებათ ტერორისტულ ორგანიზაციებს ადამიანური რესურსების შევსების პრობლემა, მით მეტად გაუძნელდებათ დასახულ იდეოლოგიურ გზაზე წინსვა.

მე გავაანალეზე ის ფაქტორები, რომელიც ადამიანში დაბადებიდან მთელი ცხოვრების განმავლობაში გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე და შესაბამისად ქმედებებზე. ასევე, მაგალითისათვის მოცემულია რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებზე დაყრდნობითაც მინდა განვიხილო რამდენიმე წინ წამოწეული ფაქტორი.

ოჯახური ფაქტორები. ზრდასრული პიროვნების ფსიქოლოგიურ მიდრეკილებებს საფუძვლად უდევს ბავშვობაში ჩამოყალიბებული ფსიქონერვიული სისტემა, რომელიც იქმნება ოჯახურ ატმოსფეროში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით დგინდება, რომ იმ ოჯახში, სადაც ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხშირად ვლინდება ბავშვის ან სხვა ოჯახის წევრების მიმართ, იქმნება ძალადობირვი ატმოსფერო, რომლის ფონზეც ყალიბდება ბავშვის ფსიქოლოგია. შედეგად, მას მიდრეკილება უჩნდება ძალადობისკენ, მისი ფსიქოლოგიური სისტემა უფრო აგრესიულადაა განწყობილი, ვიდრე ნორმალური ოჯახის პირობებში გაზრდილი ბავშვისა. ასეთ სიტუაციაში გაზრდილი ბავშვები მომავალში თვითონ ხდებიან მოძალადეები. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ოჯახურ ატმოსფეროს სადაც ბავშვი იზრდება. ამავე დროს, ნაშრომში ნათლად გამოჩნდა, რომ მისი ნორმალური საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებაში პირველი და ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით მშობლებს.

სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი. ოჯახურ ატმოსფეროზე ზეგავლენას აზდენს სოციალური და ეკონომიკური ფაქტორი. ოჯახში არსებული სიტუაცია დამოკიდებულია ოჯახის წევრების ფსოქოლოგიურ მგდომარეობაზე, რომელზეც

გავლენას ახდენს ოჯახის წევრების რაოდენობა, სამუშაოს ქონა არ ქონა, ვალი, პრობლემები კანონთან, გადასახადები, მატერიალური-ფიზიკური შესაძლებლობები და ოჯახის წევრების განათლების დონე. აქედან გამომდინარე ოჯახური ძალადობის შემთხვევები დიდია იმ ქვეყნებში, სადაც არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური პირობებია, განათლებისა და მენტალური გაგების დონე დაბალია და არ არსებობს ცივილიზებური სოციალური ნორმების მაკონტროლირებელი სისტემა. ბავშვები რომლებიც ასეთ პირობებში იზრდებიან უჩნდებად დაბალი თვითშფასება, მომავლის შიში, იზიანებენ საკუთარ თავს, უქვეითდებათ სასკოლო უნარები. ხშირია ფსოქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევები, ხშირად სახლიდანაც გარბიან, ეძალებიან ალკოჰოლს და ხდებიან ნარკოტიკების მომხმარებლები, ექცევიან კრიმინალური და ტერორისტული დაჯგუფებების გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას და თავადაც ხდებიან მოძალადეები. თუ გავითვალისწინებთ ტერორისტული დაჯგუფებებისა და ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მოძიება-შევსების მეთოდებს, სწორედ ასეთი აზალგაზრდები ხვდებიან მათი ყურადღების არეალში. ამის შემდეგ სხვადასხვა საფასურის სანაცვლოდ (პატივისცემა, დაფასება, ფინანსური მხარდაჭერა, პრობლემების მოგვარება, ძალაუფლება, აღიარება და ა.შ.), ზოგჯერ ჩათრევის მეთოდის გამოყენებით მათ თავის რიგებში აწევრიანებენ.

ინფორმაციული წყაროები-მასმედია. თანამედრო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ტერორიზმს კიდევ ერთი განზომილება დაემატა-ინტერნეტი. მისი გამოყენებით უფრო სწრაფად და ფართო არეალზე ავრცელებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას, პროპაგანდას და იდეოლოგიას. როგორც ავღნიშნეთ, ტერორისტები სხვადასხვა ტერაქტებს ახორციელებენ საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობისთვის და მიზნად ისახავდნენ საზოგადოებაში შიშის ფაქტორის დანერგვას. მათთვის მსხვერპლი მხოლოდ საშუალებაა, მთავარი მიზანი კი იმ ხალხზე ზეგავლენის მოხდენაა ვინც ტელევიზორს უყურებს ან ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით იღებს. ამიტომ, თუ მათი ნამოქმედარი გაზეთში არ დაიბეჭდება, ტელევიზორში არ გამოცხადდება და ინტერნეტ საიტებზე არ დაიდება, ანუ ამ მხრივ გატარდება მკაცრი ცენზურა, მაშინ მათი მიზანი განუხორციელებელი დარჩება. ამდაგვარი ღონისძიებები შეზღუდავს როგორც ტერორიზმს ასევე მის იდეოლოგიურ გავრცელებას, ხელს შეუშლის იმ პირებს რომელსაც მიდრეკილება გააჩნია ტერორიზმისკენ და ინტერნეტიდან სწავლობს ტერაქტების მოწყობას, მძევლების აყვანისა და ბომბის დამზადების მეთოდებს.

ეთნიკური წარმომავლობა და პატრიოტიზმი. ირლანდიის ტერორისტული ორგანიზაციის IRA-ს ჩამოყალიბება ძირითადად განაპირობა პატრიოტიზმმა და ნაციონალისტური თვითშეგნების ზრდამ. IRA-ს სურს რომ ჩრდილოეთ ირლანდია გახდეს ირლანდიის შემადგენელი ნაწილი და შედგეს ერთიანი ირლანდიის სახელმწიფო. მიზნის მისაღწევად იგი იბრძვის ტერორიზმით და ახორციელებს ტერორისტულ დავდასხმებს. მისი მოქმედების ამგვარი სტრატეგია გამოიწვია

ბრიტანეთის მიერ საუკუნეების განმავლობაში ირლანდიაში გატარებულმა პოლიტიკამ, რომელიც გაამწვავა რელიგიურმა ფაქტორმა.

ესპანეთში არსებული ტერორისტული ორგანიზაცია ETA შექმნილია ნაციონალისტური მისწრაფებების საფუძველზე. თავდაპირველად იგი იყო შეიარაღებული ბრძოლა ეროვნული, სოციალური და რელიგიური სამართლიანობისათვის, რომელიც გაამძაფრა ფრანკოს დიქტატორულმა რეჟიმმა. შემდგომში მან ვერ შეძლო საკუთარი თავის კონტროლი და ვერ მოახდინა ადაფტირება შეცვლილ სახელმწიფო პოლიტიკასთან, ამის გამო პირველ რიგში დაკარგა ბასკების მხარდაჭერა, შემდეგ კი მისი მიზანი გახდა ტერორი ტერორისათვის.

რელიგია, იდეალიზმი-ფანატიზმი და სექტური მიმდევრობები(თარიკატი). ჰამასი არის ტერორისტული ორგანიზაცია რომელზეც მორგებულია პალესტინის სახელმწიფო სტრუქტურა. მიზნად ისახავს პალესტინის განთავისუფლებას ისრაელისაგან, რადგან ისრაელი მიაჩნია ბოროტ ძალად რომელიც უნდა განადგურდეს. ეს ორგანიზაცია მოქმედებს საკმაოდ რაციონალურად შექმნილ გრძელ ვადიანი სტრატეგიით, რომლის საფუძველი და არსი არის რელიგია. მათი აზრით პატრიოტიზმი არის რელიგიური იდეოლოგიის ნაწილი და გაიგივებულია ჯიჰადთან. იგი ეროვნულ და რელიგიურ ასოციაციებს, ინსტიტუტებს, ინტელიგენციას, არაბულ და ისლამურ სამყაროს, ყველა მოჯაჰედს, მწერლებს, მეცნიერებს, ჟურნალისტებს, ექიმებსა და მასწავლებლებს მოუწოდებს მხარდაჭერისაკენ, რათა გააქტიურდეს მუსლიმი ხალხისა და მისი დამხმარეთა ძალა, გაძლიერდეს მისი სტრატეგიული სირღმე სულიერ და მატერიალურ სფეროში, ასევე ინფორმაციაში, დროსა და სივრცეში. მასზე შეიძლება ითქვას, რომ იგი თვითონ არის სახელმწიფო, მისი ყველა მოქალაქე - ბავშვიდან მოხუცამდე, ქალიდან კაცამდე - არის რელიგიური მოტივებით გაბრუებული მოჯაჰედი.

ვაჰაბიზმი (მეორე სახელწოდებით სალაფიზმი) გასული საუკუნის 90 იანი წლებიდან გავრცელდა კავკასიაში. მისთვის რელიგური მრწამსი პირველ ადგილზეა, სხვა დანარჩენი, ისევე როგორც ეთნიკური წარმომავლობა, მეორე ხარისხოვანია. ამიტომ, ჩრდილოეთ კავკასიაში შეძლეს გაერთიანებული სახელმწიფოს, კავკასიის ემირატის ჩამოყალიბება, რომელიც იმართება ვაჰაბისტური მრწამსის საფუძვლებით. იგი ქადაგებს ისლამს პირველადი სახით, რის გამოც უპირისპირდება გავრცელებულ ისლამურ რელიგიებს. მასში დევს ორი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც საშიშ ძალად აქცევს. მისი რწმენა მოუწოდებს სალაფიზმის მიმდევრების გარდა ყველა სარწმუნოების მიმდევრების განადგურებას ჯიჰადის წესებით. მებრძოლებს სანაცვლოდ პირდება ზეციურ ჯილდოს სამოთხის სახით. დაღესტანში მის გავრცელებას ხელი შეუწყო მძმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, რუსეთის ფედერაციის მიერ გატარებულმა უსამართლო, დაუნდობლობის და განუკითხაობის პოლიტიკამ. შურისძიების მიზნით გაუჩნდა უამრავი მიმდევარი, ეყრდნობა

მოსახლეობის მხარდაჭერას, იყენებს პატრიოტიზმის გრძნობებს. მათი მიზანია რუსეთისგან დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნა.

გლობალური პოლიტიკა-სახელმწიფოთა მიერ ტერორიზმის მხარდაჭერა. ტერორიზმი გავრცელებულია მთელს მსოფლიოში და წარმოადგენს გლობალურ პრობლემას. ამ პრობლემის მოგვარებას სხვა ბევრ ფაქტორთან ერთად ამწვავებს ისიც, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მხარს უჭერს სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს, უშუალოდ მონაწილეობენ ოპერაციების ინიცირებითა და მართვით, ან ახორციელებენ ტერაქტებს საზღვარგარეთ საკუთარი ოფიციალური შენაერთების საშუალებით, რათა ამა თუ იმ ქვეყანასთან პოლიტიკურ მიზნებს მიაღწიონ ომის გამოცხადებისა თუ სხვა პირდაპირი დაპირისპირებების გარეშე. მათი მხარდაჭერა ტერორისტული ორგანიზაციებისა გამოიხატება დაფინანსებით, თავშესაფრისა და საწვრთნელი ბაზების მიცემით, იდეოლოგიური მხარდაჭერით, საჭირო დოკუმენტაციის უზრუნველყოფით, იარაღის მომარაგებითა და საბრძოლო მომზადებაში დახმარებით. ტერორიზმს ეროვნული ინტერესებისათვის იყენებენ და მხარს უჭერენ როგორც სუსტი, ასევე ძლიერი სახელმწიფოები. ტერორიზმის მხარდაჭერა ემსახურება სტრატეგიული მიზნების მიღწევას ისეთი გარემოებების არსებობის დროს, როდესაც შეიარაღებული ძალების გამოყენება არის არაეფექტური, ზედმეტად სარისკო და რთული. ეს ყველაფერი თავისთავად ტერორიზმის გავრცელებას ხელს უწყობს, რის შედეგადაც იზრდება ტერორისტული ორგანიზაციების რაოდენობა და შესაბამისად მრავლდებიან ტერორისტები.

ტერორისტების ფსიქოლოგიური მოტივები. ტერორისტთა ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტებია: საზოგადოებაში დამკვიდრების და საკუთარი თავის გამოვლინების მცდელობა; საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის პიროვნული სიძლიერისა და ღირებულებების დამტკიცება; წარუმატებლობა კარიერაში, რის გამოც პიროვნებას უჩნდება სტრუქტურისადმი შურისძიების სურვილი და აგრესიას გადააქვს სხვაზე; ნეკროფილია (ლტოლვა სიკვდილისაკენ) და სიკვდილის შიში; ქსენოფობია, გამძაფრებული რასიზმი და ნაციონალიზმი; საკუთარი თავისა და გარშემო მყოფებისადმი სიძულვილი. ტერორისტებისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი ღირებულებების უარყოფა (ანომია), აგრესიულობა და სისასტიკის მაღალი დონე. მათგან ბევრს ახასიათებს ნარციზმი, განსაკუთრებით მძიმე შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფურმა ნარციზმმა, რადგან მისი რეალობა ანუ რწმენა გამყარებულია ჯგუფური სოლიდარობით. ნარციზმის ფსიქოლოგიური საფუძველი არის რომელიმე ერზე, რელიგიაზე ან სოციალურ ჯგუფზე მიკუთვნება, მათი გაღმერთება, მათით აღფრთოვანება, რაც აღიქმევა პატრიოტიზმით. განსაკუთრებულად საშიშები არიან რელიგიურად ფანატიკოსი ტერორისტები, რადგან ისინი მზად არიან თავი შესწირონ მათ იდეებს. ტერორიზმი ცნობიერების სფეროდან მომდინარეობს როგორც პირდაპირი შედეგი ფიზიოლოგიური ინსტიქტებისა, პირველ რიგში სქესობრივი და აგრესიის ინსტიქტით. ამიტომ,

ადამიანის ტერორისტად ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მარტო სოციალურ ფონზე ჩამოყალიბებული ფსიქოლოგია, არამედ ბიოლოგიური ფაქტორიც-გენები.

აღნიშნული ფაქტორები არის არასრული ჩამონათვალი იმ ფაქტორებთაგან, რაც ადამიანს ტერორიზმისაკენ უბიძგებს, მაგრამ სტატისტიკური კვლევით დადგენილია, რომ ეს მიზეზები ყველაზე ხშირად განაპირობებს ტერორიზმს.

ლიტერატურა

1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2683
2. https://pirveli4ever.wordpress.com
3. http://terorizmi1.blogspot.com/
4. http://fsiqologicfa.blogspot.com/
5. http://www.ireporter.ge
6. http://education.ge/index.php?do=definition/view&id=242
7. https://burusi.wordpress.com/2010/06/24/agression/
8. https://charliuss.wordpress.com/2011/07/19/oppression-of-children/
9. http://www.parliament.ge/files/1114_18777_313304_abstract_ninomakhashvili_geo.pdf
10. http://www.socium.ge/index.php/articles/student-articles/25-internetisa-da-media-sashualebebis-roli
11. http://intermedia.ge
12. http://kvira.ge/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90/
13. http://simongureshidze.blogspot.com/2010_12_01_archive.html
14. https://gipa.ge/uploads/files/Cyber_Protection.pdf
15. კიბერდანაშაული და კიბერუსაფრთხოების პრობლემატიკა/ელენე კავთუაშვილი/სამართლის მაგისტრი
16. http://blog.milliyet.com.tr/pkk--ira-ve-eta-orgutleri-birbirine-ne-kadar-benziyor-/Blog/?BlogNo=412655
17. http://ka.wikipedia.org/wiki/ეტა_(ორგანიზაცია)
18. http://www.academia.edu/2333071/Etnik_Bir_Ter%C3%B6r_%C3%96rg%C3%BCt%C3%BC_IRA
19. http://www.radikal.com.tr/yorum/kuzey_irlandada_siddet_sorunu_nasil_cozuldu-1125062
20. http://www.turktoresi.com/viewtopic.php?f=35&t=2824
21. http://nukriko.blogspot.com/2013/02/blog-post_8240.html
22. http://www.tabula.ge/ge/tablog/90619-kataloniuri-separatizmi
23. http://akademikperspektif.com/2014/11/11/dogusundan-gunumuze-eta-teror-orgutu/

24. www.forum.ali.ge/index.php?/topic/1144-ტერორისტული-ორგანიზაცია-“ეტა”/
25. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/26736/50/search:16:loop:true
26. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000210/Djaparidze%20Tako.%20Disertacia.%20bolo2.pdf
27. http://burusi.wordpress.com/2010/06/12/giorgi-ardazishvili-2/
28. http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia
29. ალექსანდრე ეროიანი , მარიამ ცხადაძე, „კავკასიური იმარატი“ – რადიკალი ისლამისტების ფანტაზიის ნაყოფი თუ ანგარიშგასაწევი ძალა
30. http://www.nplg.gov.ge/, თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში (რეგიონული პროცესების მაგალითზე)
31. http://www.geo- army.ge , ისლამური რადიკალური ორგანიზაციების იდეოლოგია და მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა
32. http://socium.ge/index.php/articles/11-students-articles/41-evrokavshir-rusetis-urtiertobebi-energosafrtxeebi
33. intermedia.ge/სტატია/59123-ტერორი-და-ფსიქოლოგია/53/user:ნათია%20გოგალაძე:show:channel
34. http://ydcgblog.blogspot.com/2013/03/blog-post_6848.html
35. http://studinfo.edu.aris.ge/2015/03/09/terorizmis-amxsneli-faqtorebi-studenturi-konferencia/
36. https://carpediemy.wordpress.com/2013/05/27/%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98/
37. http://change.ge/suicidi-2/
38. http://burusi.wordpress.com/2010/06/24/agression/
39. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2864
40. http://www.24saati.ge/news/story/2614-teroristis-gonebashi
41. intermedia.ge/სტატია/28441-მარტოხელა-მგლის-ტერორიზმის-ფენომენი/26/

რეზიუმე

ტერორიზმი და ფაქტორები, რომლებიც პიროვნებას ტერორისტად აქცევს.

უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე გელაშვილი. ეროვნული თვდაცვია აკადემია

ტერორიზმი არის ძალადობრივი აქტი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია პოლიტიკური მიზნების გამო და ეწირება უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. ტერორიზმი წარმოადგენს გლობალურ

პრობლემას.იგი მიზნად ისახავს მოსახლეობას შორის შიშის კლიმატის დანერგვას და ადამიანების დაშინებას მიუხედავად იმისა, რაიმე საერთო აქვთ თუ არა ტერორისტების პოლიტიკურ პოზიციასთან.

მრავალი ქვეყანა ძალღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ აღკვეთონ ტერორიზმი, მაგრამ ამაოდ, - ტერორიზმი კვლავ რჩება კაცობრიობის ურთულეს პრობლემად.

ნაშრომი მიზნად ისახავს იმ ფაქტორების გამოკვლევას, რაც ხელს უწყობს ტერორიზმის წარმოშობას და პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებას. მიზეზების ცოდნით, რომელიც ადამიანს ტერორისტად ჩამოაყალიბებს პასუხი გაეცემა მრავალ კითხვას, რომელიც არსებობს საზოგადოებაში ამ თემასთან დაკავშირებით.

Abstract

The terrorism, and the factors that have been forming a person as a terrorist

First lieutenant Al. Gelashvili. National Defense Acadamy of Georgia.

The terrorism is an act of violation against civilian people, which's commited for political benefit, and there have been sacrificed a great number of ungilty population's life. The terrorism is a global problem. Its main goal is to plant a climate of fear among the usual population, and get them fright to terrorists despite they have any close relation with terrorists' political view or not.

Many countries effort to take pricautions, and nessessery steps in order to prevent to happen the terror, but terrorism itself has been staying the most complicated problem for whole humanity.

The goal of this labor is to research that factors which helps situational development for raising the terrorism, and shapes person into the terrorist. If we are able to know the reasons that forms person as a terrorist, we will respond to many questions about this theme that exists in our society.

ავტორთა საძიებელი

ადამია ვლადიმერი 117
ავალიანი მაია 74
ალექსიძე ლელა 15
არაბული ნანა 117
ბუდულაძე ალექსი 59
გაბეშია ხატია 90
გამდლიშვილი გიორგი 117
გელაშვილი ალექსანდრე 149
ვარდოსანიძე ფიქრია 131
ვეშაპიძე შოთა 62
ზერაკიძე ზურაბი 15
თავაძე თამაზი 52
კაპანაძე სალომე 5
კვეზერელი შალვა 37, 123
კოხრეიძე გიორგი 126
მაღრაძე მანანა 40, 102
სისაური ვასილი 84
ტიელიძე ზურაბ 142
ქვარაია ირაკლი 24, 52
ქუთათელაძე ქეთევანი 24, 52
ყავლაშვილი კახაბერი 40
შიშინაშვილი მანუჩარი 80
ცინცაძე მერაბი 37, 123
ჭიაბრიშვილი ქეთევანი 30
ჯოჯუა ნინო 109
ჯულაყიძე შალვა 19
Arabuli Nani 97
Khimenko Vlada 97
Nachkebia Teona 136

ავტორთა საყურადღებოდ

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებული გამოდის წელიწადში ორჯერ. პირველი ნომერი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 მაისამდე, მეორე ნომერი 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე.

კრებულის დანიშნულებაა მეცნიერებისა და სამხედრო საქმის განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერებისა და სამხედრო სპეციალისტების მიერ მოპოვებული ახალი მიღწევებისა და კვლევების შედეგების გამოქვეყნება.

სტატიები მიიღება ქართულ და ინგლისურ ენებზე და ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გამოქვეყნება უფასოა.

სტატიის ავტორთა რაოდნობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს.

სტატიის გაფორმების წესი

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით A4 ფორმატის ქაღალდზე, არანაკლებ ოთხი გვერდისა;
- არეები 2 სმ, ინტერვალი 1,5;
- ნაშრომს დართული უნდა ჰქონდეს გამოყენებული ლიტერატურის სია და რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს DOC ფაილის სახით (MS-Word) ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე;
- ქართული ტექსტისათვის გამოიყენება Sylfaen შრიფტი, ინგლისური ენისათვის - Times Now Roman. შრიფტის ზომა 12,
- სტატიის ქუდი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ავტორის (ავტორების) სახელი გვარი;
  - ავტორის (ავტორების) სამსახური (უნივერსიტეტის/დაწესებულების დასახელება);
  - ავტორის (ავტორების) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- ნახაზების კომპიუტერული ვარიანტი შესრულებული უნდა იყოს ნებისმიერ გრაფიკულ ფორმატში, გარჩევადობით არანაკლებ 150 dri;
- სტატია შედგენილი უნდა იყოს წიგნიერად, სწორმეტყველებისა და ტერმინოლოგიის დაცვით, სტილისტური და ტექნიკური შეცდომების გარეშე;
- ავტორი (ავტორები) პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.